

ლაშა ბაქრაძე



გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს



ქართული ეროვნული კომიზაციის
საქმიანობა 1914-1918 წწ.

ლაშა ბაქრაძე

**გერმანულ-ქართული
ურთიერთობები
პირველი მსოფლიო ომის
დროს**

(ქართული ეროვნული კომიტეტის
საქმიანობა 1914-1918 წწ.)



K 284.657

დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა
მარია მიქელაძე
ნიგნზე მუშაობდა
შალვა ლურსმანაშვილი
კორექტორი
ნათელა ქყოიძე

© ლაშა ბაქრაძე
ამ გამოცემაზე © გამომცემლობა პეგასი, თბილისი 2010

ISBN 978-9941-9113-1-6

ტირაჟი: 5 00

გამომცემლობა „პეგასი“
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ. 39 07 27, ტელ./ ფაქსი 42 10 00
ელ-ფოსტა book@pegasus.ge
ვებ-გვერდი www.pegasus.ge

ვუძღვნი მამაჩემს

Für meinen Vater

Außerdem wissen wir sehr gut, daß eine Schwächung Rußlands nicht nur im Interesse der unterdrückten Völker dieses Reiches liegt, sondern vor allem auch im Interesse Deutschlands und der ganzen zivilisierten Menschheit, weil damit ein gewaltiges Hindernis des europäischen Fortschritts beseitigt und ein ewiger Herd der Reaktion zerstört wird. Nur wer den Wert der europäischen Kultur nicht versteht, kann Deutschland seine Sympathie verweigern, - der großen Nation, die sich diese weltgeschichtliche Aufgabe gestellt hat.

Michael Tsereteli, 1916

გარდა ამისა, ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ რუსეთის დასუსტება მარტო ამ იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ინტერესებში კი არ შედის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გერმანიისა და მოელი ცივილიზებული კაცობრიობის ინტერესსაც წარმოადგენს, რადგან ამგვარად ევროპული პროგრესის გზაზე არსებული ძლიერი წინააღმდეგობა ვადაღახული იქნება და რეაქციის მარადიული კერა დაინგრევა. მხოლოდ ის, ვინც ევროპული კულტურის ფასი არ იცის, შეიძლება გერმანიის მიმართ სიმპათიით არ იყოს განმსჭვალული, დიდი ერის მიმართ, რომელიც ამ მსოფლიო მნიშვნელობის ამოცანას შეეჭიდა.

მიხეილ წერეთელი, 1916 წ.

Leider ist das Los der politisch tätigen Leute sehr schwer; wird es uns z.B. gelingen, nach Georgien einzudringen und den Russen zu verjagen, wird man uns als Vaterlandsbefreier, Helden u.s.w. feiern; scheidet aber die Sache, so wird man uns die schönen Namen Abenteurer, Agenten der fremde Mächte und so ähnliches nicht ersparen.

Georg Matschabeli, 1915

სამწუხაროდ, პოლიტიკური მოღვაწის ხვედრი ძალიან მძელია; მაგალითად, ჩვენ თუ მოვახერხებთ საქართველოში შეჭრასა და რუსების გაძევებას, სამშობლოს განმათავისუფლებლად და გმირებად მოგვანთლავენ; ჩვენი საქმე თუ ჩაიშალა, არ დაიშურებენ ჩვენთვის ღამამ სახელებს - ავანტიურისტები, უცხოეთის აგენტები და ამის მსგავსი.

გიორგი მახაბელი, 1915 წ.

გერმანია 1914 წელი



სარჩევი

წინასიტყვაობა	9
1. შესავალი (ისტორიოგრაფია)	12
2. 1914 - 1916	21
2.1.1. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი და კავკასია	21
2.1.2. გერმანული „რევოლუციონირების“ გეგმები	31
2.1.3. ქართული კომიტეტი	34
2.1.4. ქართული გეგმები	51
2.1.5. ქართულ-გერმანული ფრონტისპირა საქმიანობა	56
2.2. ქართველი გყვეუბი	60
2.2.1. პროპაგანდა ქართველ გყვეუბა შორის	68
2.3. საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის	79
2.4. ქართული ბუჭდვითი სიტყვა გერმანიაში	90
2.4.1. „ელ ჯიხად“ – „კავკასია“	90
2.4.2. „ქართული გაზეთი“	97
2.4.3. თურქეთში ქართული გაზეთის გამოცემის მცდელობა	103
2.4.4. „ევროპის მოამბე“	105
2.5. ურთიერთობები „უცხო“ ერებთან	109
2.5.1. გერმანულ-ქართული საზოგადოება	109
2.5.2. რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგა	113
2.5.3. ერთა კავშირის შესამე კონფერენცია	126
2.5.4. ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან	133
2.6. ქართული ლეგიონი	137
2.6.1. ხარყამისის შემდეგ	137
2.6.2. მულენბურგის მისია	143
2.6.3. თურქულ-ქართული შეთანხმებები	146
2.6.4. ლეგიონის აღმშენებლობა	152
2.6.5. ლეგიონერთა რიცხვი	156
2.6.6. ლეგიონის მმანმეწონილობა	158
2.6.7. თამარ მეფის ორდენი	161
2.6.8. რა იცოდნენ რუსებმა ლეგიონის შესახებ	163
2.6.9. ლეგიონის დასაქმება	167
2.6.10. ლეგიონის დაშლა	175
2.6.11. ლეგიონის შემდგომი ბედი	181
2.6.12. გერმანელებისა და ქართველების ურთიერთშეფხება	186
2.7. ქართული კომიტეტის კონტაქტები საქართველოსთან	193
3. 1917	209
3.1.1. თებერვლის რევოლუცია თბილისში	209
3.1.2. თებერვლის რევოლუცია და ქართული კომიტეტი	216
3.1.3. საქართველოსთან კონტაქტების განახლება	225
3.1.4. საქართველოში გადასახლეულად მოწყობილი ექსპედიციები	229
3.1.5. მიხეილ წერეთელი საქართველოში	231

3.1.6. ახალი ცნობები საქართველოდან	
3.1.7. საქართველოს (კავკასიის) დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი	238
3.1.8. აჭარის საკითხი	240
3.1.9. კავკასიის ურონგზე	242
4. 1918	245
4.1.1. იძულებით დამოუკიდებლობის გზაზე	245
4.1.2. ქართული კომიტეტი 1918 წლის დასაწყისში	248
4.1.3. ბრანდენერ-მაჩაბლის მისია	250
4.1.4. ქართული კომიტეტის არსებობის ბოლო თვეები	263
4.1.5. ქართული კომიტეტის წევრები 26 მაისის შემდეგ	269
5. დასასრული	275
დასკვნა	283
ბიბლიოგრაფია	287
Instead of Summary (Response of Professor Stephen Jones)	314
Kurzfassung	316
ისტორიულ პირობა საბიბლიოთეკაში	320

80-იანი წლების ბოლოს, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იენის უნივერსიტეტში, გერმანისტიკას ვსწავლობდი, ვაპირებდი, ჩემი სადიპლომო ნაშრომი მაშინ ჯერ კიდევ ტაბუდადებულ გრიგოლ რობაქიძეზე დამეწერა. აღმოსავლეთ გერმანიაში ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური ლიტერატურა სპეციალურ საცავებში ინახებოდა (ჩვეულებრივ, მათ სააფთიაქო ტერმინოლოგიიდან ნასესხებ Giftschränk=შხამის (შესანახ) კარადას უწოდებდნენ). რადგან თბილისისა და იენის უნივერსიტეტებს შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა სუფევდა, პროფესორ ნოდარ კაკაბაძის თხოვნით ადვილად მომცეს ასეთ სპეცსანახში შესაღწევი სპეციალური ნებართვა (Giftschein=შხამის (მოხმარების) ბარათი).

როგორც კი დროს გამოვნახავდი, იენიდან ლაიფციგში მივდიოდი ხოლმე. ლაიფციგის გერმანულ წიგნსაცავში (Deutsche Bücherei) გრძელი, ბნელი, ხვეული კიბით ყოველი მხრიდან მზით თვალისმომჭრელად განათებულ გუმბათში ავდიოდი. აქ, სრულ სიჩუმეში, „თანამშრომლის“ ზედამხედველობის ქვეშ, ცალ-ცალკე მაგიდებთან თავჩაქინდრულნი მკვლევარები მუშაობდნენ. „თანამშრომელი“ ცივი სახით, უსიტყვოდ მაძლევდა ჩემ მიერ შეკვეთილ ლიტერატურას. გაკაშკაშებულ დარბაზში ყველა მე მიყურებდა. როგორც ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი იმათ შორის, ვისაც ოდესმე წილად ხვდა აქ მუშაობა.

ამ კავკასებურ სიტუაციაში, კავკასიური ემიგრაციის ლიტერატურის კითხვისას ჩემ წინაშე ახალი, მიჩქმალული წარსული სამყარო იშლებოდა, უცნობი ან ყურმოკრული სახელებით.

გდრ-ის არსებობის ბოლო წელს, 1989-ში, დიპლომი სულ სხვა თემაზე დავწერე, მაგრამ ინტერესი მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის უცნობი მხარეების მიმართ არ გამწვანებია.

1990-1991 წწ., როცა შვეიცარიაში ვიმყოფებოდი, ბერნში, აღმოსავლეთ ევროპის ბიბლიოთეკაში, უამრავ საინტერესო წიგნს შორის გავეცანი ვოლფდიტერ ბილის, ვერნერ ციურერის და პატრიკ ფონ ცურ მიულენის წიგნებს. ამ ავტორების

გამოკვლევებმა საბოლოოდ გადამანყვეტინა დამეწყობის ნიერო მუშაობა პოლიტიკისა და ისტორიის დარგში.¹

წინამდებარე მონოგრაფია ნაყოფია მრავალწლიანი მუშაობისა, რომელიც ხშირად შეწყვეტილა ხოლმე ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და არის პირველი ნაწილი ნაშრომისა, რომელიც გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს შეეხება ორ მსოფლიო ომში.

მინდა მადლობა გადაუხადო ყველას, ვინც წლების განმავლობაში მამხნევებდა, გამეგრძელებინა მუშაობა ამ თემაზე, რჩევითა და საქმით მედგა გვერდში: ჩემს ხელმძღვანელს ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში პროფესორ ლუდმილა თომასს და ხელმძღვანელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორ დიმიტრი შველიძეს, ასევე, თბილისის უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის თანამშრომლებს, რომლებიც დიდი გულისყურით მოეკიდნენ ჩემს სამუშაოს: პროფესორ ილია ტაბალუას, რომელიც ჩემი თემისადმი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღების იჩენდა, აღმოსავლეთ გერმანიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიკოსს, პროფესორ ფრიც კლაინს და სოციალ-დემოკრატიის „დიდ ქალბატონს“ სუზანე მილერს, რომელთა შუამდგომლობასაც ნაწილობრივ მაინც უნდა ვუმაღლოდე ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) ორწლიან სტიპენდიას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ამ ნაშრომისთვის აუცილებელი კვლევა-ძიების ჩატარება. ასევე მადლობის ღირსია ავსტრიის აკადემიური სამსახური (ÖAD) და პირადად მისი ყოფილი თანამშრომელი იან მალეკზადე, რომელმაც საშუალება მომცა, 5 თვის განმავლობაში მემუშავა ავსტრიის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, გამეცნო პროფესორი ვოლფდიტერ ბილი.

განსაკუთრებული მადლობა გერმანიის საელჩოს, რომელმაც ნება დამრთო, მემუშავა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივის საქართველოსთან დაკავშირებული იმ დოკუმენტების ასლებით, რომლებიც გერმანულმა მხარემ საქართველოს გადასცა. ეს მადლობა, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსადმი გამოჩენილი ინტერესისათვის

¹ უფრო დაწვრილებით ჩემი სწავლა-განათლების შესახებ - ლ. ბაქრაძე, შევეიარაღა და გერმანიაში სწავლისა და სამეცნიერო მუშაობის მოკლე ანგარიში, „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, გ. III, თბილისი 1997, გვ. 269-271.



ეკუთვნით გერმანიის ყოფილ ელჩს საქართველოში დოქტორ ნორბერტ ბაასს, საელჩოს ყოფილ თანამშრომლებს - ინა ლე-პელსა და ფრიდ ნილსენს.

დიდი მადლიერებით ვიხსენებ ჩემთვის პირადად უცნობ ბიბლიოთეკარებსა და არქივარიუსებს, რომლებიც გულისყურით ეკიდებოდნენ ჩემს საქმიანობას იენაში, ლაიფციგში, ბერლინში, ბერნში, ციურიხში, ჟენევაში, ბონში, პარიზში, ვერსალში, ნანტერში, ვენაში.

დაუზარელი მუშაობისა და ჩემდამი გამოჩენილი დიდი ყურადღებისთვის უღრმესი მადლობა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი ქართველოლოგიის განყოფილებას. გულითადი მადლობა საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივის თანამშრომლებს.

და ბოლოს (როგორც ინგლისურად იტყვიან ხოლმე last but not least), დიდი მადლობა ლამარა კიკილაშვილს, რომელმაც არ დაიზარა ჩემი ნაშრომის კორექტურა და, რასაკვირველია, დედაჩემს, ნელი რუსიშვილს, რომლის დაჟინებული თხოვნის გარეშე მე ვერ დავასრულებდი ამ შრომას.

ბერლინი - თბილისი, ზაფხული, 2001 წ.

P.S. 7 წლის განმავლობაში ჩვენთვის საინტერესო თემის გარშემო უამრავი რამ დაინერა, რასაკვირველია უცხოეთში და განსაკუთრებით 2004-2008 წლებში, ომიდან 90 წლის გასვლის გამო, მაგრამ გადავწყვიტე დისერტაცია (ბიბლიოგრაფიითურთ) შინაარსობლივად უცვლელად, მხოლოდ ილუსტრაციებით გამდიდრებული გამოვაქვეყნო.

დიდი მადლობა ნაშრომის კრიტიკული შეფასებისათვის 2002 წელს, დისერტაციის ოფიციალურ ოპონენტებს დოქტორ ქეთევან პავლიაშვილს და დოქტორ ოთარ ჯანელიძეს.

დიდი მადლობა ახალი კორექტურისა და რჩევებისათვის ია გადუას, ნინო ლეჟავას და ლუდმილა კლოცს.

თბილისი, 11. 11. 2008 წ.

ლაშა ბაქრაძე



ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ბევრი რამ დაინერა საქართველოს ისტორიის იმ საჭირობოროტო საკითხებზე, რომელთაც საბჭოური ისტორიული მეცნიერება ან გვერდს უვლიდა, ან ტენდენციურად აშუქებდა. ტენდენციური გაშუქება, თუნდაც სულ სხვა კუთხით, ხშირად დღემდე გრძელდება. ეკონომიკური სიდუხჭირე და მრავალი სხვა მიზეზი, სამხუხაროდ, საშუალებას არ გვაძლევს სათანადოდ ჩავატაროთ კვლევა-ძიება, გამოვცეთ ნყაროები, ვიქონიოთ ურთიერთობა უცხოელ კოლეგებთან და ინსტიტუტებთან, ვიცნობდეთ თანამედროვე კვლევის დონეს საზღვარგარეთ. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ჩამოტანილი საარქივო მასალების უდიდესი ნაწილიც კი, რომელიც ჩვენი ისტორიის ბევრ პრობლემას მოჰყენდა ნათელს, მკვლევართათვის ჯერჯერობით ხელმიუწვდომელია. ამიტომაც ხშირად გვიხდება საკმაოდ მწირი მემუარული ლიტერატურისა და კიდევ უფრო მწირი ქართული ემიგრანტული ისტორიოგრაფიის გამოყენება. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც „ქართული ეროვნული კომიტეტის“ ისტორიის ამსახველი გამოკვლევები. აბელ და კახაბერ სურგულაძეების,² რევაზ გრძელიძის,³ მალხაზ სიორიძის⁴ საყურადღებო ნაშრომებს საფუძვლად უდევს კალისტრატე სალიას მიერ მიხეილ წერეთლის მონათხრობის საფუძველზე აღწერილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ „თავგადასავალი“,⁵ რომელიც უთუოდ მნიშვნელოვანი ნყაროა, მაგრამ კრიტიკულ მიდგომასაც საჭიროებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაწერილი ეს მონოგრაფიები და სხვა საგანზეთო სტატიები,⁶ რა თქმა უნდა, გამდიდრებულია ჩვენს მკვლე-

2 სურგულაძე ა. ბ., სურგულაძე კ. ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994.

3 გრძელიძე რევაზ, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი 1914-1918, თბილისი, 1995.

4 სიორიძე მალხაზ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათუმი, 1998.

5 კალისტრატე სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს - „ბუდი ქართლისა“, პარიზი, 1962, № 39-40, გვ. 16-30. შემდეგში ეს ნაშრომი ციტირებულია „საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან“, თბილისი, 1995, ტ. II (VI), გვ. 57-70-დან.

6 მალხაზ სიორიძე თავისი მონოგრაფიის შესავალში ფართოდ მამოიხილავს ეროვნულ კომიტეტთან დაკავშირებულ ლიტერატურას.



ვართათვის ხელმისაწვდომი საარქივო მასალებით, რომლებიც დღემდე სრულად არაა გამოყენებული და ასევე, ზოგიერთი უცხოური გამოკვლევითაც.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა და აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სცსსა-ში შენახული საქართველოს ეროვნული კომიტეტის დოკუმენტების ნაწილი.⁷

ქართული ეროვნული კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძისა და ნოე ჟორდანიას მემუარები.⁸ მიხეილ წერეთლის აქა-იქ მიმოფანტული მოგონებები,⁹ თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი მონაყოლის მიხედვით დანერილ კალისტრატე სალიას წერილს, დიდი ინფორმატიულობით არ გამოირჩევა. არ ვიცი, ქართული ბუნების რომელ მხარეს უნდა დავაბრალოთ, მაგრამ საერთოდ ქართული მემუარული ლიტერატურა მეტად მწირია. გასაოცარია, რომ ისეთი ბიოგრაფიისა და მწერლური ნიჭის ადამიანს, როგორც მიხეილ წერეთელი იყო, მოზრდილი ავტობიოგრაფიული ნაწარმოები არ დაუწერია. შალვა ქარუმიძეს უკვე 1918 წელს უცდია მოგონებების დანერა ქართულ კო-

7 ქართული ეროვნული კომიტეტის საქმეები: 5414-5449 – ფონდი (ფ.) 13, კაქკასიის შუფისნაცვლის კანცელარია, აღწერა (ა.) 27; ძალიან საინტერესოა, როდის და რაგამ მოხდა ამ ფონდში ეს დოკუმენტები. სამწუხაროდ, არქივში ამის პასუხი ვერ მივიღე.

8 გაბაშვილი რ., რაც მახსოვს (ქართული ემიგრანტული ლიგურაგურა - „დაბრუნება“ ტ. 3. თბ. 1992; ვაჩნაძე დავით, სამშობლოს სამსახურში (მოგონებათა რეველი), „ივერია“ ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნალი, №1 (1992), №2 (1993), დავით ვაჩნაძე არაუფრს ამბობს ეროვნული კომიტეტის შესახებ სტატიებში Deutsche Blätter in der georgischen Geschichte. In: Mitteilungen des Bundes der Asienkämpfer, Jg.12, Nr.9/10 (15.09.1930) 97-98 u. Jg.13, Nr.1 (1.1.1931) 1-4; ჟორდანიას ნოე, ჩემი წარსული (მოგონებანი), პარიზი 1953; ნაშრომში იცხადებულა თბილისის (1990) გამოცემის მიხედვით. ეს მოგონებები, განსაკუთრებით ჟორდანიასი, ბევრ უზუსტობას შეიცავს და უაღრესად კრიტიკულ მოპყრობას ითხოვს.

9 წერეთელი მიხეილ, უკანასკნელი ქართული ეპოპეია, ვაგ. „ქართველი ერი“, ნოე-იორკი, 1955/1956, №1, გვ. 5; წერეთლის მიერ დაწერილი ნეკროლოგიები საინტერესოა ამ მხრივ. სტატიებში Georgien von 1914 bis zur Gegenwart. In: Zwischen Kaukasus und Sinai. Jahrbuch des Bundes der Asienkämpfer, 1924, Bd.4, S.135-167. წერეთელი (***) ძალიან მოკლედ ეხება კომიტეტის საქმიანობას. მოგონებების თაობაზე, შეად: ნელი საგინაშვილი, თანამედროვეთა მოგონებები მხაკო წერეთელის შესახებ, „მნათობა“, №7-8/2001 წ., გვ.62-72.

მიტეტზე, მაგრამ რატომღაც დაუმთავრებელი დარჩა. ვე გაზეთ „კლდეში“, სადაც ქარუმიძემ გამოაქვეყნა თავისი მოგონებების პირველი ნაწყვეტები, ნესტორ მალალაშვილმა დაბეჭდა „ქართული ლეგიონის ისტორიიდან“ და „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ისტორიიდან.“¹¹ ქართული ეროვნული კომიტეტის სხვა წევრებს ან არ დასცალდათ, ან არ მონდომებიათ მემუარების დანერა. ქართული მემუარული და საისტორიო-პოლიტიკური ლიტერატურის შედეგრი, ზურაბ ავალიშვილის „საქართველოს დამოუკიდებლობა“, სამნუხაროდ, მხოლოდ ორიოდ სიტყვით მოიხსენიებს ქართულ კომიტეტს.¹²

საბჭოთა პერიოდში, გერმანული დოკუმენტების საფუძველზე, მხოლოდ გიორგი ფიფია შეეხო ქართული კომიტეტის ისტორიას.¹³ ამ გერმანული „ნადავლი“ დოკუმენტების ინდექსაცია საბჭოურია და მის მიხედვით შეუძლებელია შემდეგში გდრ-ისათვის დაბრუნებულ არქივში (ამჟამად გერმანიის ფედერალური არქივის ნაწილი) შესაბამისი დოკუმენტების მოძიება. სამნუხაროდ, როგორც ჩანს, იმავე შეცდომას ადგილი ექნება გერმანიის მიერ სცსსა-ისთვის გადმოცემული საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლების არამეცნიერული, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს

10 შალვა ქარუმიძე, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (მოგონება), კლდე. № 2, 22 ენკენისთვე 1918, № 5, 13 ოქტომბერი. თბ. მისივე მოგონება გ. მანაბულზე – კლდე. № 13, ბერლინი 1935.

11 ნესტორ მალალაშვილი, ქართული ლეგიონის ისტორიიდან, კლდე. № 4, 6.10.1918, გერმანიის ორიენტაციის მიღება, № 5, 13.10.1918, „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ისტორიიდან, № 6, 20.10.1918, ოსმალეთთან შეთანხმება 1914 წელს, № 7, 27.10.1918; სამწუხაროდ, ხელთ გაზეთის არასრული კომპლექტი მქონდა და არ შემოიღია ვოქეა, ამაზე წყდება თუ არა მალალაშვილის მოგონებები. შემდგომ ნომრებში (8,9,10) კი აღარ ვრძელდება. საერთოდ, ჩვენი საგაზეთო ფონდები კატახროფულ მდგომარეობაშია. არამცთუ ვასაბჭოებაშეღვი, საბჭოთა პერიოდის გაზეთების სრული კომპლექტიც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. რაც არის, ისიც ნაღვეურდება, ხშირად მკითხველთა დაუღვეარი მოპყრობის გამო.

12 ავალიშვილი მურაბ, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 1929; ამ შესანიშნავი შეყნვერის ყველა ნაწარმოები ჩვენში ცნობილი არაა, განსაკუთრებით უცხო ენებზე გამოქვეყნებული. ვგონებ, უცნობია, მაგ.: The Caucasus since 1918, in: Slavonic Review, vol. III, Nr. 8, London, December 1924, pp. 320-336.

13 Пипия Г. В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 г.г. Москва 1978, შეად.: ახვეე Г. Г. Пипия, Политика Германии в Закавказье в 1918 году, сборник документов. Тбилиси 1979.



პოლიტიკური არქივისგან განსხვავებული ინდექსაციის გამო, საქიროების შემთხვევაში ძნელი იქნება ჩვენი არქივის სამუშაოებით თუნდაც ჩემს ნაშრომში მოყვანილი გერმანული დოკუმენტების გადამონმება ან შედარება.

გერმანიის არქივებში და, უპირველეს ყოვლისა, ზემოხსენებულ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ არქივში, ინახება უამრავი, დღემდე ჩვენში უცნობი, საქართველოს ისტორიისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ეს არქივი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული კომიტეტის ისტორიისა და 1918 წლის საქართველო-გერმანიის პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობების კვლევისთვის, რადგან შესაბამისი პერიოდის გერმანიის სამხედრო უწყებების დოკუმენტები მეორე მსოფლიო ომში განადგურდა.

მნიშვნელოვან მასალებს შეიცავს ავსტრიის სახელმწიფო არქივიც.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე, მაქსიმალურად გამომეყენებინა გერმანული და ავსტრიული არქივების დოკუმენტები, მაგრამ, რასაკვირველია, ამ არქივებშიც ჯერ კიდევ ბევრი დოკუმენტია გამოსამზეურებელი და კიდევ უფრო ფართო სამუშაოება ჩასატარებელი. ასევე ცხადია, რომ თურქული საარქივო მასალის გამოყენების გარეშე შეუძლებელია ქართული კომიტეტის მოღვაწეობისა და განსაკუთრებით ქართული ლეგიონის სრული სურათის ასახვა. უთუოდ გასათვალისწინებელია რუსეთისა და პირველი მსოფლიო ომის დროს მისი მოკავშირე სახელმწიფოების საარქივო დოკუმენტებიც.

სწორედ ზემოთქმულის გამო დავარქვი ჩემს ნაშრომს „ქართულ-გერმანული ურთიერთობები პირველ მსოფლიო ომში“ და არა მხოლოდ „ქართული კომიტეტის ისტორია“. ამ ნაშრომში ქართულ-გერმანული ურთიერთობები განხილულია ძირითადად მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც წინა პლანზე ქართული კომიტეტი იდგა. შემდეგში იწყება საქართველო-გერმანიის ურთიერთობები – ურთიერთობები ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის, სულ სხვა პოლიტიკური აქტიორებით (პირველ რიგში საქართველოს მხრიდან) და განსხვავებულ დონეზე. ეს კი სრულიად სხვა თემაა და ახალი კვლევის საგანს წარმოადგენს. 1918 წ. მოვლენები და საქართველო/კავკასია-გერმანიის ურთიერთობა უცხოელ ავტორთა მიერ შედარებით უკეთაა შესწავლილი. ქართული კომიტეტის ისტორიას კი, ფაქტიურად, მხოლოდ ორიოდვე ავტორი ეხება – უპირველეს ყოვლისა, სოლოფდიტერ

ბილი¹⁴ და ვერნერ ციურერი.¹⁵ რუსეთის არარუს ერთა ლიგის ისტორია დეტალურად გამოკვლეული აქვს ფინელ ისტორიკოსს სეპო ცეტერბერგს.¹⁶ ამ ბოლო დროს რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა გერმანიის აღმოსავლეთისა და ისლამურ პოლიტიკას, მაჰმადიან ტყვეებს გერმანიაში, ტყვეთა გაზეთებს და ა.შ., სადაც, სამწუხაროდ, ქართველთა მოღვაწეობას ნაკლები ყურადღება ექცევა.¹⁷ გარდა ამისა, ქართველ ემიგრანტებს და მათ შორის კომიტეტის წევრებს პირადად იცნობდა და ქართულ-კავკასიური პრობლემატიკით დაინტერესებული იყო ცნობილი თურქოლოგი გოტჰარდ იეშკე.¹⁸

უნდა ითქვას, რომ არც გამოქვეყნებული გერმანულენოვანი მემუარული ლიტერატურა აქცევს დიდ ყურადღებას ჩვენთვის საინტერესო პერიოდს და ჩვენთვის საინტერესო ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას. ასე, მაგალითად, ქართველებთან პირდაპირ კონტაქტში მყოფი შაბინგერ ფონ შოვინგენის,¹⁹ ნა-

14 Bihl, Wolfdieter, Die Kaukasus-Politik der Mittelmächte. T.1.: Ihre Basis in der Orient-Politik und ihre Aktionen 1914-1917. (=Veröffentlichungen der Kommission für neuere Geschichte Österreichs 61) Wien-Köln-Graz 1975. მეორე ტომი ამ წიგნისა ჩვენში, სამწუხაროდ, უცნობია: T.2.: Zeit der versuchten kaukasischen Staatlichkeit (1917-1918). (=Veröffentlichungen der Kommission für neuere Geschichte Österreichs 84) Wien-Köln-Weimar 1992.

15 Zürrer, Werner, Zur Geschichte der Georgischen Legion im Ersten Weltkrieg. In: Militärgeschichte Mitteilungen 23(1978) 85-104, da Zürrer, Werner, Kaukasien 1918-1921. Der Kampf der Großmächte um die Landbrücke zwischen Schwarzem und Kaspischen Meer. Düsseldorf 1978.

16 Zetterberg, Seppo, Die Liga der Fremdvölker Russlands 1916-1918. Ein Beitrag zu Deutschlands antirussischem Propagandakrieg unter den Fremdvölkern Russlands im Ersten Weltkrieg. (=Studia Historica / Finnische Historische Gesellschaft. vol.8), Helsinki 1978. საერთოდ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს ისტორიის შესახებ აღწერილ ფინურ, სკანდინავიურ, ბალტიკურ წყაროებსა და გამოკვლევებს.

17 შაგ.: Müller, Herbert Landolin: Islam, Jihad („Heiliger Krieg“) und Deutsches Reich. Ein Nachspiel zur wilhelminischen Weltpolitik im Magreb 1914-1918, Frankfurt a. M. 1991; Höpp, Gerhard: Arabische und islamische Periodika in Berlin und Brandenburg 1915-1945. Berlin 1994 da Höpp, Gerhard: Muslime in der Mark: als Kriegsgefangene und Internierte in Wünsdorf und Zossen, 1914-1924, Berlin 1997.

18 Jäschke, Gotthard, Der Turanismus der Jungtürken. In: Die Welt des Islams 23 (1941) და სხვ.

19 Karl Emil Schabinger Freiherr von Schowingen, Weltgeschichtliche Mosaiksplitter. Erlebnisse und Erinnerungen eines Kaiserlichen Dragomans. (Manuskript). Baden-Baden 1967.



დოლნის²⁰ და სხვათა მოგონებები არ შეიცავს ჩვენთვის რაიმე დენადმე გამოსადეგ ინფორმაციას. არსებობს მოსაზრება, რომ გერმანელები (იქნებ ქართველებიც?) ამ გერმანულ ქართულ-ალმოსავლურ პოლიტიკას უნაყოფოდ და ჩაშლილად მიიჩნევდნენ და ამის გამო თავიანთ მოგონებებში მას გვერდს უვლიდნენ. ჩვენთვის განსაკუთრებულად საინტერესო იქნებოდა შულენბურგისა და ვეზენდონკის პირადი არქივების გაცნობა. სამწუხაროდ, სახელმწიფო არქივებში ისინი დაცული არ ჩანს და ეტყობა, არც ოფიციალური მოხსენებები გაუკეთებიათ ქართულ საკითხთან დაკავშირებით კრესს ფონ კრესსენშტაინის მსგავსად, რომლის მოხსენებაც 1918 წლის საქართველოსა და კავკასიის შესახებ საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთ საუკეთესო წყაროს წარმოადგენს.²¹

K 234.3657

ქართული და გერმანულენოვანი წყაროების, პერიოდიკის, მეცნიერული კვლევის შედეგების შეჯერებით წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, მართალია, არა ამომწურავ ისტორიას ქართული კომიტეტის მოღვაწეობისა, მაგრამ ფუნდამენტურ საფუძველს შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. ნაშრომში შევეცადე მეტი ყურადღება მიმექცია დღემდე უცნობი ფაქტებისა და დოკუმენტებისთვის, საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებზე კი, რომელთა შესახებაც საკმარისი ლიტერატურა არსებობს, ყურადღება ნაკლებად გავამახვილე.

ქართული კომიტეტის ისტორია დანახულია არა ცალკე აღებული, არამედ იმდროინდელი საერთაშორისო პოლიტიკის და კერძოდ, გერმანული ალმოსავლური პოლიტიკის ჩარჩოებში. ნაშრომი საშუალებას იძლევა, პარალელები გავავლოთ სხვა მსგავსი მოძრაობების ისტორიებთან და გაუზვიადებლად შევაფასოთ ქართული კომიტეტის ადგილი როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. შეძლე-

20 Nadolny, Rudolf, Mein Beitrag. Wiesbaden 1955.

21 დამოუკიდებელ საქართველოში გერმანიის წარმომადგენლის მიერ 1919 წელს გერმანიაში დაბრუნებისთანავე დაწერილი ეს მოხსენება გამოაქვეყნეს და შესავალიც დავერთე. მაგრამ ქართული პერიოდიკისათვის დამახასიათებელი უღარდებლობის გამო, ჩემი სტატიის სხენების გარეშე დაიბეჭდა თბილისურ გერმანულენოვან გაზეთ „Kaukasische Zeitung“-ში: Friedrich Kress von Kressenstein, Bericht über die Tätigkeit der Deutschen Delegation im Kaukasus 1918, in: „Kaukasische Zeitung“, Nr. 3, 4, 5 (Mai-Juni). 1998





ბისდაგვარად მოცემულია ორგანიზაციის, მისი მიზნები, დამფუძნებლების, მისი მონაწილეების ობიექტური სურათი. ეს ლექსიკური თავშეკავებულობიდანაც ჩანს. არაა გამოყენებული, ჩემის აზრით, მეცნიერული შრომისთვის მიუღებელი სიტყვები, როგორც მაგალითად, „მამულიშვილი“, რომელიც უკვე პოზიტიურადაა დატვირთული.

გეოგრაფიული და პირთა სახელები გამოყენებულია წყაროების მიხედვით. მაგ.: თუ გერმანულენოვანი წყაროებია გამოყენებული, ან მოქმედება გერმანულ მხარეს ეხება, ნახსენებია ხოლმე კონსტანტინოპოლი, სხვა შემთხვევებში კი ხშირად – სტამბული, ზოგჯერ – სტამბოლიც. იმ დროს კონსტანტინოპოლი და სტამბოლი, ორივე იყო ხმარებაში. ასევე ნახმარია „თათარი“ და არა ეთნონიმი „აზერბაიჯანელი“, რომელიც 1918 წლამდე არ იხმარებოდა.

ძველი ან ახალი, ან ორივე სტილით, დრო მითითებულია მხოლოდ მაშინ, როცა მიუთითებლობამ შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს.

ციტირებული ლიტერატურა მოყვანილია ისე, როგორც დასავლეთშია მიღებული, შემოკლებით – ავტორის გვარი და წელი. ამ ორი მონაცემის მიხედვით ლიტერატურის სიაში უპრობლემოდ მოიძებნება საჭირო ლიტერატურა. იქ, სადაც ერთ ავტორს მრავალი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ერთსა და იმავე წელს, მითითებულია ამ ნაშრომის სათაურიდან მთავარი სიტყვა. ჩვენს შემთხვევაში ეს ეხება მხოლოდ ვერნერ ციურერს, რომლის სამივე, ჩვენთან ხშირად ციტირებული გამოკვლევა ერთ წელსაა გამოქვეყნებული. გამოყენებული ლიტერატურის სიაში არ მოხვდა მრავალი მონოგრაფია თუ სტატია, რომელიც შენიშვნებშია მითითებული. ეს ლიტერატურა კონკრეტულ პირებთან ან გარკვეულ მოვლენებთანაა დაკავშირებული და არა ნაშრომის საერთო თემასთან.

სერიოზულ შეცდომად მიმაჩნია ჩვენში მიღებული პერიოდიკის ციტირება მხოლოდ ნომრით. ნომერი ვერ შეცვლის თარიღს, რაც მეცნიერული ტექსტისთვის აუცილებელია, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მოვლენების თანადროულ პერიოდიკას. ნაშრომში თარიღი და ხშირად ავტორიც (და დოკუმენტებზე ზოგჯერ ადრესაციც) მითითებულია არა მარტო პერიოდიკაზე, არამედ საარქივო დოკუმენტებზეც, რომელიც ასევე არაა ხოლმე მითითებული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატ-



ურაში. დასავლეთში საარქივო დოკუმენტები ხშირად დანობრილიც არაა და ციტირებისას მხოლოდ თარიღი (ავტორი, ადრესატი) ითვლება საკმარისად. რასაკვირველია, ციტირებისას დაცულია ორიგინალის სტილი და იშვიათი გამონაკლისების გარდა, როცა აშკარა შეცდომასა აქვს ადგილი და ერთი-ორი ასოა გასწორებული, შეცვლილი არაფერია.

რაც შეეხება ჩვენი კვლევის ობიექტის სახელს: ქართველ ემიგრანტთა ორგანიზაციას სხვადასხვა სახელით იცნობენ და თვითონ კომიტეტიც სხვადასხვა სახელს იყენებდა – დამოუკიდებლობის კომიტეტი, საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის კომიტეტი, გათავისუფლების კომიტეტი და სხვ. თანამედროვე ქართულ გამოკვლევებში „დამკომსაც“ კი ხმარობენ, რაც სრულიად მიუღებლად მიმაჩნია. ჯერ ერთი, ამ აბრევიატურას საბჭოთა პერიოდის სუნი უდის და მეორე, ამ სახელით ჩვენს ისტორიაში ცნობილია 1924 წლის აჯანყების მომამზადებელი კომიტეტი. კომიტეტის ქართულ დოკუმენტებსა და გერმანულ წყაროებში ეს ორგანიზაცია ქართულ ეროვნულ კომიტეტად ან უბრალოდ, შემოკლებით, ქართულ კომიტეტად მოიხსენება. თავს ნებას მივცემ, შემდეგში ეს ორი სახელი გამოვიყენო.

V. Chiavari

Wiener Bilder

Illustriertes Familienblatt

Abonnements-Verlag: ...
 Herausgeber: ...
 Druckort: ...



Die Ermordung des Thronfolgers und seiner Gemahlin in Sarajevo; Die Festnahme des Mörders Vrsinjić.

Die Ermordung des Thronfolgers

2 Bilder vom Aufenthalte des Thronfolgerpaares in Bosnien und der Ermordung desselben in Sarajevo

გავრილო პრინციპის დაჭერა.

1914 წლის 28 ივლისს ბოსნიელმა სერბმა გავრილო პრინციპმა საიდუმლო ორგანიზაციის "შავი ხელის" დავალებით სარაევოში მოკლა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერცოგი ფრანც ფერდინანდი და მისი ცოლი. ეს მკვლელობა პირველი მსოფლიო ომის გაჩაღების საბაზი გახდა.

2. 1914-1916

„Deutschland hat Rußland den Krieg erklärt. Nachmittags Schwimmschule“
Eintrag am 2. August im Tagebuch von Franz Kafka

„გერმანიამ რუსეთს ომი გამოუცხადა. ნაშუადღევს ცურვის გაკვეთილი“
ფრანც კაფკას ჩანანერი დღიურში 1914 წლის 2 აგვისტოს.²²

2.1.1. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი და კავკასია

1914 წლის პირველ აგვისტოს, ავსტრია-უნგრეთის მიერ სერბეთისადმი ომის გამოცხადებიდან მესამე დღეს, გერმანიამ სერბეთის მოკავშირე რუსეთს ომი გამოუცხადა. 22 ივლისს (ძ.ს.) ქართული გაზეთები იტყობინებოდნენ: „პეტერბურგი. 19 ივლისს გერმანიის ელჩმა უცხო საქმეთა მინისტრს შეატყობინა, რომ გერმანია რუსეთს ომს უცხადებს.“²³

პირველი მსოფლიო ომი, დიდი ან საერთაშორისო ომი, როგორც ამ ომს მაშინ უწოდებდნენ, დაიწყო. ომს ყველგან დიდი ენთუზიაზმითა და სიხარულით შეეგებნენ. არავინ ფიქრობდა, რომ ის დიდხანს გასტანდა. გერმანიის იმპერატორმა აგვისტოს დასაწყისში ფრონტზე მიმავალ ჯარს გზა დაულოცა: „თქვენ შინ იქნებით, სანამ ხეს ფოთოლი გასცვივა.“²⁴

ნოე ჟორდანიას თქმით, რუსეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი და დიდი რეფორმატორი ვიტე საზოგადოებას არწმუნებდა, „სამ თვეში ბერლინში ვიქნებით!“²⁵

გენერლებს სწამდათ მომავალი დიდი გამარჯვებების, ინტელექტუალები კი ამ ომში ახალი დიდი ცვლილებებისა და ძირმომპალ სისტემათა განახლების შანსს ხედავდნენ.

22 Kafka, Tagebücher, F.a.M 1990, S.543.

23 მაგ. „სახალხო ფურცელი“ ამ დეკემბს აქვეყნებს რუბრიკით „ავსტრიისა და სერბიის ომი“. ამავე ნომერშია დაბეჭდილი „უმაღლესი მანისუესი“. ინფორმაციის დაგვიანება აიხსნება იმით, რომ 21 ორშაბათი იყო და ამ დღეს გაზეთები არ გამოდიოდა. საკვირაოდ კი, როგორც ჩანს, ვერ მოახწრეს.

24 „Ihr werdet wieder zu Hause, ehe noch Laub von den Bäumen fällt“- Afflerbach 1994, გვ. 171. Tuchmann 1993, გვ. 131; Никитинский, Сафинов, 1942, გვ.33-34 – აქ ეს სიტყვები ასეა თარგმნილი: „ჯერ კიდევ შემოდგომის ფოთოლგუნამდე თქვენ გამარჯვებულნი დაბრუნდებით.“

25 ჟორდანია, 1990, გვ. 68.



„ბიძია ვილი“
 (ვილჰელმ II) რუსი
 პუსარების ფორ-
 მაში და „კუზენი
 ნიკი“ (ნიკოლოზ II) –
 პრუსიულ სამხედრო
 უნიფორმაში. 1910 წ.

ომი საქართველოდან შორს, რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვარზე მიმდინარეობდა. ომის დასაწყისში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაში ჯერ კიდევ მარჩიელობდნენ ოსმალეთის შესაძლო პოზიციის თაობაზე²⁶. მობილიზაცია ორგანიზებულად და ექსცესების გარეშე ტარდებოდა. „პატრიოტული აღფრთოვანება“ კავკასიის მრავალეროვან მოსახლეობაშიც შეინიშნებოდა, კმაყოფილებით აღნიშნავდა ჟანდარმერია თავის მოხსენებებში²⁷. „პატრიოტულად აღფრთოვანებული“ რჩებოდა რუსეთის იმპერიის ორივე დედაქალაქი შემდეგი წლის ოქტომბრამდე.²⁸ არარუსულ განაპირა მხარეებში კი „აღფრთოვანება“ ბევრად უფრო ადრე ჩაქრა.

26 საქ. ისტ. ნარკვევები, გვ. 356.

27 სსსხა, ფ.13, ა. 27, ს.3160-ს.3165.

28 სსსხა, ფ.13, ა. 27, ს.4333.



კაზიმირ მალევიჩსა და ვლადიმირ მაიაკოვსკის პროპაგანდისტული „ჩასტუშკიანი“ ნახატების მთელი სერია აქვთ შექმნილი. რუსული ავანგარდი ომის დასაწყისში პატრიოტულ პროპაგანდაში დიდი ენთუზიაზმით ჩაება.

კავკასიის ფანდარმერია მაინც ექვით ადევნებდა თვალს სხვადასხვა პარტიებს და, ჩვეულებისამებრ, რეგულარულად ადგენდა მოხსენებებს ამა თუ იმ პარტიაზე.³² არც ამ მოხსენებებიდან ჩანს, ყოველ შემთხვევაში კავკასიის ფრონტის გახსნამდე და ქართველ ემიგრანტთა გააქტიურებამდე მაინც, რომ არსებული პოლიტიკური ნესრიგისათვის რომელიმე პარტია რაიმე საშიშროებას წარმოადგენდა.

1914 წლის 28 ივლისიდან/10 აგვისტოდან გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის ყველა ქვეშევრდომი, ვინც მანამდე რუსეთის იმპერიის ჯარში მსახურობდა, სამხედრო ტყვედ გამოცხადდა. რეზერვისტები იმპერიის ევროპული ნაწილიდან და კავკასიიდან ვიატკის, ვოლოგდის და ორენბურგის გუბერნიებში იქნენ დეპორტირებულნი. მიუხედავად ამისა, რუსეთის არმიაში უამრავი გერმანული წარმომავლობის პირი განაგრძობდა სამსახურს. გერმანელი კოლონისტების განწვევა ისეთივე ტემპით მი-

³² სხსსა, ფ.13, ა. 27, ს.3165, ს.3357; ეროვნული ან ავტონომიის საკითხის შესახებ ს.4336,ს.4425,ს.4651 და სხვ.

Humoristische Karte von Europa im Jahre 1914.



ევროპის სახუმარო რუკა 1914 წელს.

სახუმარო რუკები მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცის დასაწყისში ძალიან გავრცელებული იყო.

დიოდა, როგორც რუსეთის სხვა მოქალაქეებისა. 1915 წ. მათი დიდი ნაწილი დასავლეთის ფრონტიდან კავკასიის ფრონტზე გადმოისროლეს.³³

სამოქალაქო პირებს, ისევე როგორც საკონსულო სამსახურში მყოფთ, უფლება ჰქონდათ, დაეტოვებინათ ქვეყანა, თუკი, რასაკვირველია, შპიონაჟში ეჭვმიტანილი არ იყვნენ.³⁴

რეალურად კი ყველა მეტ-ნაკლებად ცნობილი გერმანელი ეჭვმიტანილი იყო. დაიწყო შპიონომანია და საფუძველმოკლებული დაჭერები.³⁵ ბევრი ციხეში დარჩა რევოლუციურ 1917-მდე. ასე მაგალითად, გერმანიის ვიცე-კონსული ერზურუმში ანდერსი, რომელიც საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ თბილისში დაიჭირეს და ყოველგვარი ბრალდების გარეშე ჯერ კიდევ 1917 წლის ზაფხულში ციხეში იჯდა.³⁶ ასევე დაიჭირეს

33 Fleischhauer, 1986, გვ. 473, ამ წიგნში კარგადაა ახსული გერმანელთა ბედი რუსეთში, გვ. 440-479 ეხება პირველი მსოფლიო ომის ამბებს.

34 სსსსა, ფ.13, ა. 27, ს.3165, კანდარჭერიის განსაკუთრებული განყოფილების შტაბის უფროსის დეკრეტის ახლის ახლი. 28. 07. 1914. ხელმ. ნიკოლსკი.

35 თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების მცდელობის დროს, ამ დაჭერებს ეწოდა „Огульные аресты немцев“, სსსსა, ფ. 1854, ს. 164, ფ. 206-208.

36 სსსსა, ფ. 1854, ს.164, ფ.32-37. ანდერსს, რომელიც 1915 წლის იანვარში გომისკმა ჯენა გადაეყვანათ, გერმანიის გვეუობაში მყოფ რუსებზე გაცეკვას



Sieb Vaterland magt ruhig fein!

Ein Kriegsblinder
mit Krüschlorin
Arpad Schönbammer



ომის დროს ძალზე გავრცელებული იყო ბავშვების პროპაგანდის მიზნით „გამოყენება“. ზემოთ, გერმანული წიგნაკის ყდა. მარცხნივ, ანტიგერმანული პლაკატი – ბელგიელი ბავშვი: დედიკოო, არ მინდა გავხდე ბოში! (გერმანელის აღმნიშვნელი შურააცხმყოფელი სიტყვა ფრანგულში, რომელიც ლორსაც ნიშნავს და ბოზსაც)

შვეიცარიის კონსული კურლანდიელი არისტოკრატი ფონ დრა-ხენფელზი, რომელიც წინათ გერმანიის საკონსულოში მუშაობდა და თურმე, გერმანიის კონსულ ფონ შულენბურგთან³⁷ და სხვა უცხოელებთან (!) ახლო ურთიერთობა ჰქონია.³⁸

უპირებდნენ, მაგრამ კაეკასიის ფრონგის მთავარსარდლის მოთხოვნით თბილისში დააბრუნეს. იხ. შველითას საელჩოს პროცესი ამასთან დაკავშირებით 1917 წ. 13 (26) ივლისს. ანდერსის ბუდის შესახებ 1914 წ. ოქტომბერში გერმანელებმა ჯერ არაფერი იცოდნენ. PA AA, R 21008, Bl. 174.

37 შულენბურგი ომის დაწყების დროს ბერლინში იყო. Friedrich Werner Graf von der Schulenburg (1875-1944). 1903 წ.-დან საგარეო უწყებაში მუშაობდა. 1911-1914 – კონსული თბილისში, 1917 წ. მაისამდე – რუმუნების კაპიტანი, იენიხიდან 1918 წ. აპრილამდე – კონსული დამასკოში, 1918 წ. 21 მაისიდან – კონსული თბილისში, 1923-1931 წწ. – ელჩი თეირანში, 1931-1934 – ბუქარესტში, 1934-1941 – მოსკოვში. 1944 წ. 20 ივლისის შეთქმულებაში მონაწილეობის გამო სიკვდილით დასაჯეს. Sommer 1987 შულენბურგის ერთადერთი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ისე კარგად დაწერილი ბიოგრაფიაა.

38 სსსსა. ფ. 153, ა. 1. ს. 2850, ფ. 183 პოლკოვნიკი პასტრიულინი გუბერნატორს, 05. 02. 1915.

ივან იოხილოვიჩი პასტრიულინი თბილისის გუბერნიის ვინდარმერიას ხელმძღვანელობდა. 1917 წელს იგი მრავალჯერ დაკითხა თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სამხებრო კომისიამ, უპირველეს ყოვლისა, პროვოკატორებთან დაკავშირებით. იხ. სსსსა. ფ. 1854, ს. 95.

იხ. ასევე სსსსა. ფ. 1854, ს. 164, ფ. 77. ამონაწერი თბილისში მცხოვრები ესგონელი კარლ კამბუკის მოხსენებიდან, სადაც ფონ დრახენფელში გერმანიის აგენტობაშია დადანიშნული. ამავე საქმეშია დრახენფელის დაკითხვის და საერთოდ გერმანელების საქმიანობისთან დაკავშირებული ოქმები.



მეგობრებისა და მტრების უნიფორმები

რუსული პრესა გაივსო ქსენო- და გერმანოფობიული სტატიებით. ქართული პრესა ამ ისტერიას არ აპყოლია. იმპერიის დედაქალაქის, ცოტა არ იყოს, გერმანული ჟღერადობის სახელი — სანკტ-პეტერსბურგი აგვისტოშივე ვითომ უფრო რუსული პეტროგრადით შეცვალეს. გერმანელებს აეკრძალათ თავშეყრის ადგილებში ორზე მეტკაციან ჯგუფებად შეკრება და გერმანულად საუბარი. გერმანული სკოლებიც რუსულზე უნდა გადასულიყო.³⁹ რუსეთის იმპერიაში გამეფებული ანტიგერმანული ისტერიის წინააღმდეგ თავრიდისა და სიმფეროპოლის ეპისკოპოსი დიმიტრი (ერისკაცობაში დავით აბაშიძე) მოუწოდებდა „გამოეჩინათ განსაკუთრებულად ნაზი, ძმური სიყვარული თანამემამულეთა მიმართ, რომელნიც ჩვენგან განსხვავდებიან წარმომავლობითა და ენით.“ უმაღლესმა მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ამ მოწოდებას „სრულიად არათანადროული“ უწოდა.⁴⁰

29 ივლისს/1 აგვისტოს თბილისში, პასკევიჩის ქ. 14-ში გერმანიის საკონსულო და 12/25 სექტემბერს სერგის ქ. 16-ში

39 Fleischhauer 1986, გვ. 451.

40 ციტირებულია: Нелипович 1997, стр. 44 მხედვეთი; ეს პაგარა გამოკვლევთ ანტიგერმანული ისტერიის შესახებ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს. ქრისტოპოს დიმიტრის სტატია — „Речь“, 1914, № 315.



გერმანული ღია ბარათი: „ღმრთისა და ისტორიის წინაშე ჩემი სინდისი სუფთაა – მე ომი არ მინდოდა“

ფრანგული კარიკატურა: ვილჰელმ II – დედამიწის მჭამელი

ავსტრო-უნგრეთის საკონსულო⁴¹ გაიჩხრიკა და მოხდა დოკუმენტების კონფისკაცია. 4 აგვისტოს პეტერბურგში ბრბოს მიერ გერმანიის საელჩოს დარბევასთან შედარებით (რასაც პოლიცია გულხელდაკრეფილი შესცქეროდა) თბილისის ამბები შეიძლება ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს. ბათუმში ამერიკის შეერთებული შტატების კონსულის (რომელსაც ომის დანყების შემდეგ ამ საკონსულოების ზედამხედველობა ევალებოდა) პროტესტს 1915 წ. მაისში რუსმა მოხელეებმა უპასუხეს, რომ ეს ყველაფერი გაუგებრობა იყო.⁴²

გერმანიის საკონსულოსთან ერთად კავკასიის მუზეუმიც, სადაც ბევრი გერმანელი მუშაობდა, კავკასიაში გერმანიის გრანდიოზული მშობნაჟის ბუდედ ითვლებოდა.⁴³

41 პასკევიჩის ქუჩას ამჟამად გერონგი ქიქოძის ქუჩა ჰქვია, ხერცის ქუჩას – ივანე მახაბდისა. შეაღ: თ.ქიქავა, ძველი თბილისის საკონსულოები. ბიზნეს-კურსერი, 24.9.1993.

42 სსსკა. ფ. 13, ა. 27, ს.3929. ამერიკის კონსულის პროტესტი თბილისის გუბერნატორის მიმართ 4 (17). 12. 1914. პახუხი 21. 05. 1915.

43 იმ აზრს, რომ კავკასიაში გერმანული მშობნაჟის უმარშაბარი ქუ-



კავკასიის ერთადერთი გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკასუსის ორიენტის“⁴⁴ ზიშე პოსტ“ ომის პირველივე დღეებში დახურეს. რედაქციაში არსებული ყველა ნაბეჭდი თუ ნაწერი ფურცელი გაანადგურეს. გაზეთის „უმთავრესი ქონება“ – პირველი გამომცემლის მიერ გაჭირვებით ნაშოვნი გერმანული შრიფტი გაქრა“⁴⁵.



„აღმოსავლეთის გამოღვიძება“. გერმანული ღია ბარათი

თურქები ომის დაწყებაზე ფეხს ითრევდნენ. მაგრამ გერმანიის ზენოლამ შედეგი მაინც გამოიღო. თურქეთის დროშის ქვეშ მოქმედმა გერმანულმა გემებმა „გოებენმა“ (თურქული სახელი – „იავუზ სულთან სელიმ“) და „ბრესლაუმ“ („მიდილი“) 13/27 ოქტომბერს რუსულ კრეისერს ცეცხლი გაუხსნეს. 15/29 ოქტომბერს თურქულმა გამანადგურებლებმა ოდესის ნავსადგურში რუსული ზარბაზნიანი ნავი ჩაძირეს. 15/29 და 16/30 ოქტომბერს სევასტოპოლი, ფეოდოსია და ნოვორასიისკი დაიბომბა. საქართველოში პირველად ფოთი დაიბომბა. 25 ოქტომბერს/7 ნოემბერს დილის 7 სთ. 20 წუთიდან 8 საათამდე

ღი არსებობდა, იზიარებს უკლებლივ ყველა საბჭოთა მკვლევარი, განსაკუთრებით, რახაკვირელია, მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ მაგ: **Никитинский, Сафинюв**, 1942, **Габричидзе** 1942, **Балалаян** 1980, **Пиния** 1978, მანჯგალაძე, 1974, სონულაშვილი, 1995 და სხვ.

44 სესხა. ფ.1854.ხ.164.ფ. 209-210. და Fischer 1944, გვ. 27.

45 16.8.1914-ში მოხდა ისტორიული „დროშების გამოცემა“ ამ კრეისერებზე და ახალი თურქული სახელებით მონათულა. 1918 წ. იანვარში დარღვეულიდან გამოსვლისას გემები ძლიერ დაზიანდნენ ნაღმზე აფეთქებით. ვეფოსის შლესის კანტელ იმროსთან 20 იანვარს „მიდილი“ ჩაიძირა. „იავუზით“ 1938 წ. ათაბურჯის ნემსი პაილარფაშადან იმბიგში გადაახვეწეს.



შეიხ ულ ისლამი იურგიუპლიუ მუსტაფა პაირი ეფენდი კითხულობს ფეთვას, რომელიც საფუძვლად დაედო სულთან-ხალიფას მიერ ჯიჰადის გამოცხადებას. სტამბოლი, ფატიმის მეჩეთის წინ, 14 ნოემბერი, 1914 წ.

81 გასროლა მოხდა ფოთის მიმართულებით⁴⁶. „ამ ამბავმა მცხოვრებლებს თავზარი დასცა“⁴⁷, მაგრამ ზარალი სერიოზული არ ყოფილა.

რუსეთის შავიზღვისპირა პორტების დაბომბვის შემდეგ, 2 ნოემბერს რუსეთმა ოსმალეთის იმპერიას ომი გამოუცხადა. კავკასიის „ნამესტნიკის“ (მეფისნაცვლის) 21 ოქტომბრის (ძ.ს.) ბრძანება: „16 ოქტომბერს ოსმალები მუხთლად თავს დაესხნენ შავი ზღვის განაპირა ქალაქებს და შავი ზღვის ფლოტის გემებს.


უმალლესად ნაბრძანებია, რომ რუსეთი ოსმალეთთან ომს ანარმობს. ჩემ ხელქვეით მყოფ კავკასიის არმიის ჯარებმა გადალახონ საზღვარი და თავს დაესხან ოსმალებს. გენერალ-ადიუტანტი, გენერალი კავალერიისა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.“⁴⁸

საომარი მოქმედებები ხმელეთზე რუსეთის შეტევით მეორე დღესვე დაიწყო. კავკასია ფრონტისპირა მხარედ იქცა.

46 Lorey 1928, გვ.61.

47 „სახალხო გაზეთი“, 29 ოქტომბერი, 1914.

48 „ახალი ამრი“, 21.10.1914 (სტილი დაყულია).



ჯემალ ფაშა (დურბინდით) „გოებენის“ გემბანზე

2.1.2. გერმანული „რევოლუციონირების“ გეგმები

გერმანიას დანყებულ ომში მონაწილეობის დასამარცხებელ ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად ამ იმპერიათა განაპირა მხარეებისა თუ კოლონიების მეტროპოლიების წინააღმდეგ აჯანყება – გერმანული ოფიციალური დოკუმენტების ენაზე „რევოლუციონირება“ – მიაჩნდა.

უკვე 3 აგვისტოს სახელმწიფო მდივანი (Staatssekretär, გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელი) გოტლიბ ფონ იაგო⁴⁹ უდებუშებდა კონსტანტინოპოლს, რომ კავკასიის რევოლუციონირება „ძალზე სასურველი“ იქნება⁵⁰.

49 Gottlieb v. Jagow (1863-1935) საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი 1913-დან 1916 წლის ნოემბრამდე. მის შემდეგ საგარეო უწყებას ხელმძღვანელობდნენ: ეიმერმანი (1864-1948), პირველი არაარისტოკრატი ამ პოსტზე, 6.08.1917წ.-მდე; 1918 წ. იელისამდე ფონ კულმანი (1873-1948); თქვენი შემდეგ ყოფილი კონგრად-მარალი ფონ პინე (1864-1941); 7.10-13.12.1918 ვილჰელმ შოლცი (1862-1936).

სახელმწიფო მდივნის ინსტიტუტის და მდივნების შესახებ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იხ. Johannes Hüstner, Die Staatssekretäre des AA im Ersten Weltkrieg. მრავალმხრივ საინტერესო გომში Michalka, 1994. აქ ვკითხულობთ, რომ საგარეო საქმეთა უწყების შტაბში ძალიან ცოტა მოხელე იყო და პირველ მსოფლიო ომში მთელ საგარეო პოლიტიკას ბერლინიდან ათიოდე მოხელე უძღვებოდა.

50 PA AA, Wk 11, All, Bd.1, AA an Pera, 3.8.1914.



6 აგვისტოს კი გერმანიის ელჩი კონსტანტინოპოლში ფრაიჰერ ფონ ვანგენჰაიმი⁵¹ ოსმალეთის დიდგვზირთან საუბრის შემდეგ საგარეო უწყებას უპატაკებდა, რომ „კავკასიაში მაჰმადიანთა რევოლუციონირება უკვე დაწყებულია“⁵².

2 აგვისტოს გენერალ-პოლკოვნიკი ფონ მოლტკე, გენერალური შტაბის სახელით, წარსდგა საგარეო უწყების წინაშე მემორანდუმით, რომელიც „ინდოეთში, ეგვიპტესა და ასევე კავკასიაში ინსურექციას“ უჭერდა მხარს⁵³. ორივენი იმავეს გულისხმობდნენ და იზიარებდნენ იმპერატორ ვილჰელმის აზრს, რომელიც ისლამურ სამყაროში „ველურ აჯანყებებზე“

გერმანიის აღმოსავლეთისა და კავკასიური პოლიტიკის შესახებ იხ. Bihl 1975, 2 თავი, გერმანიის იმპერიალისტური გეგმების შესახებ სტანდარტულ ნაშრომებად რჩება ფრიც ფიშერის „Griff nach der Weltmacht“ (1964) და „Krieg der Illusionen“ (1969).

51 ბარონი ვანგენჰაიმი 1911 წ.-დან იყო გერმანიის ელჩი ოსმალეთში. იხ 54 წ. ახაკში ვარდაიყვალა ამ პოსტზე, 1915 წ. ოქტომბერში. მას შემდეგ გერმანიის ელჩებს (გრაფი ვოლფ-მეტერნიხი 1916 წ. ოქტომბრამდე, ფონ კიულმანი 1917 წ. აგვისტომდე და გრაფი ბერნსტორფი ომის ბოლომდე) როგორც ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება აღარ გამოუწვინიათ ქართული საქმისადმი. გერმანიის ელჩების დახასიათება იხ. ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგამუს პომიანკოვსკის მემუარებში – Pomiankowski 1928, შ. 174-177.

52 PA AA, , Wk 11, All, Bd.1.

53 Fischer 1964, გვ. 146.



საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნები: გოტლიბ ფონ იაგო, არტურ ციმერმან, რიხარდ ფონ კიულმან, ვილჰელმ ჰაინრიხ ზოლფ

და მაჰმადიანთა რევოლუციონირებაზე ოცნებობდა.⁵⁴ ოქტომბრის ბოლოს, თავის განელილ მემორანდუმში – „ჩვენი მტრების ისლამურ რეგიონთა რევოლუციონირება“ – მაქს ფრაიჰერ ფონ ოპენჰაიმი კავკასიაში მთელ იმედებს ჯერ კიდევ „ძალიან ომისმოყვარე“ მაჰმადიანებზე ამყარებდა⁵⁵.

რუსი-ებრაელი რევოლუციონერი პარვეუსი (ჰელფანდი), რომელიც ვანგენჰაიმთან თანამშრომლობდა, აფრთხილებდა გერმანელებს, რომ მათ ზედმეტი იმედები არ უნდა ჰქონოდათ კავკასიელი მაჰმადიანებისა. მაჰმადიანები „არ არიან საკმარის კულტურულ დონეზე“ „თანამედროვე რევოლუციური მოძრაობისათვის“. მთიელთა ტომობრივი ორგანიზაცია სრულიად განადგურებულია, კავკასია „უკვე კარგა ხანია პაციფიციზებულია“, ზედმეტია ფიქრი „კავკასიაში მაჰმადიანების ფართო პარტიზანული ომის“ შესახებ“ – ნერდა იგი 1915 წ. თებერვალ-მარტში⁵⁶.

რეალურად კი გერმანიის საგარეო უწყება ომის დასაწყისში შესაძლებელ მოკავშირეთა მოსაძებნად არაფერს აკეთებდა.

⁵⁴ Gehrke 1960, გვ. 1.

⁵⁵ PA AA, Wk 11, All, Bd.2. შუად: Fischer 1964, გვ.143.

⁵⁶ PA AA, Wk 11 d. secr, Bd. 3, Beilage zu Nadolny 6.2.1915, ციტირებულია ბილის 1975, გვ.58 მახედით, შუად: იქვე, გვ. 65.



გერმანიის საელჩოს (დღეს საკონსულოს) შენობა კონსტანტინოპოლში

ის არ იყო ომისათვის მზად, არ ჰქონია რაიმე ზუსტი გეგმა, არც მონაცემები „გასარეგოლუციონირებელი“ მოსახლეობის ქეშმარიტი განწყობილების შესახებ და არც კონტაქტები გააჩნდა კავკასიელთა ემიგრანტულ წრეებთან. თითქოს პასიური საგარეო უწყება თვით ემიგრანტების ინიციატივას ელოდა⁵⁷.

2.1.3. ქართული კომიტეტი

ავვისტოს შუა რიცხვებში ჟენევის უნივერსიტეტის დოცენტი ლეო კერესელიძე, „შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტის ლაშენალის გულითადი რეკომენდაციით“ ჟენევაში გერმანიის კონსულს შეხვდა და საქართველოსა და სრულიად კავკასიის რევოლუციონირებაში დახმარება ითხოვა. გერმანიის ელჩმა ბერნში ფონ რომბერგმა 11 ავვისტოს ამის შესახებ თავის უწყებას აცნობა.⁵⁸

57 შეად.: Zürner, Kaukasien (1978), გვ.12.

58 PA AA, R 21008, Bl. 7-9. აქვეა ცნობა, რომ კერესელიძე, როგორც რევოლუციონერი, 1905-1907 წწ. რევოლუციის დროს თავს დაესხა ბანკს ღუშეთში და იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო. 1905 წ. დეკანოზოვთან (დეკანოზიშვილი) ერთად მას 6 მილიონი ფრანკი მიუღია რევოლუციური



ლეო და გიორგი კერესელიძეები
 ჟენევაში

აგვისტოს ბოლოს ორმა ქართველმა კათოლიკე სამღვდელ-
 ლო პირმა კონსტანტინოპოლში ავსტრიელებისგან და შემ-
 დეგ გერმანელებისგან აჯანყებისათვის იარაღი და მომავალი
 საქართველოს ავტონომიის გარანტიები ითხოვა⁵⁹. გერმანიის
 საგარეო უწყების უფროსი – სახელმწიფო მდივანი ფონ იაგო
 4 სექტემბერს დასტურს აძლევს კონსტანტინოპოლს ქართვე-

მიზნებისათვის (Bl. 11). A AA, R 21008 (Wk 11d secr), განს. 19. და 24. 08.
 1914 Geißler; შუად.: *Тайная война против России, из документов русской
 контрразведки 1904 - 1905 г.г.* „Исторический архив“, №3 1994, стр. 13-58,
 сб. ასევე: ჩერქეშიშვილი 1918, გვ. 93. ლაშენალი (Adrien Lachenal (1849-1918),
 1892-1899 შეიქცარიის ბუნდესრატის / ფედერალური საბჭოს წევრი, 1896 წ.
 ფედერალური პრეზიდენტი) ეკო კერესელიძეებისა და ნესტორ მაღალაშ-
 ვილის ექილი, როცა რუსეთმა მათი ექსტრადიცია მოსთხოვა შეიქცარიას,
 რამეს შეიქცარიამ უარი განაცხადა. შეიქცარიის ფედერალური სასამართ-
 ლოს გადაწყვეტილება ამ საქმის თაობაზე 1907 წ. 12 თებერვალს: *Entschei-
 dungen des Schweizerischen Bundesgerichtes. Amtliche Sammlung. 33.Band. I.
 Teil, 1907, S. 169-195.*

⁵⁹ PA AA, R 21008 (Wk 11d secr), 3. და 14. 09. 1914 Wangenheim, შუად.: Zürrer,
Kaukasien (1978), გვ.12.



შალვა ვარდიძე
(თამარის ორდენით)


ლებთან დაკავშირებაზე.⁶⁰ კონსტანტინოპოლი უნდა გამხდარიყო ქართველთა თავმოყრის ადგილი. აქ, კონსტანტინოპოლში, ელჩ ვანგენჰაიმის ხელში უნდა ყოფილიყო გერმანიის კავკასიური პოლიტიკის ძაფები⁶¹. მან შეახვედრა სექტემბრის დასაწყისში ჟენევიდან ჩამოსული ლეო კერესელიძე თალაათ და ენვერ ფაშებს⁶².

ბარონი ვანგენჰაიმი გერმანიის მთავრობის სახელით 1914 წ. 14 სექტემბერს ქართველ ემიგრანტებს წერილობით დაჰპირდა, „რომ გერმანიის მთავრობა, იმ შემთხვევაში, თუ ამჟამინდელი ომის დამთავრებისას საშუალება ექნება, ომის მწარ-

60 PA AA, R 21008, 4.09.1914 Jagow.

61 შეად.: Bihl 1975, გვ.41 და PA AA, R 21008, მოხსენება კონსტანტინოპოლში სამხრეთ რუსეთის ოლქების გასარევოლუციონირებლად თავმოყრილი ძირითადი ძაფების შესახებ..., 21. 10.1914, ასევე R 21008, საგარეო უწყების დეპეშა კონსტანტინოპოლის საელჩოს 6.09.1914 - „რუსული კავკასიის რუკები გამოგზავნილია“. რუკების უკმარისობა კარგად გვიჩვენებს, რამდენად მოუმზადებელი იყო ომი. იხ. იქვე დეპეშა საზღვაო უწყებას, 19. 10.1914: „კავკასიის რუკების გამრავლება ენვერის დიდი სურვილია, რადგან აქაური მხალა უაღრესად მწირია.“

62 PA AA, Türkei 142, Militär. Bd.40, Wangenheim 8.09.1914.



ჟანდარმერიის მიერ შედგენილი პეტრე სურგულაძის აღრიცხვის ბარათი

მოებელ მხარეებს თავისი ნება უკარნახოს, ვალდებულებას იღებს მისი შესაძლებლობების ფარგლებში ქართველი ხალხის სურვილები ... შეასრულოს". ქართველებს გერმანელები ისეთ გულუხვ ტერიტორიულ დაპირებებს აძლევდნენ, რომლებიც უთუოდ ენინაღმდეგებოდა მათი მოკავშირე ოსმალეთის მიზნებს. ასე მაგალითად, ქართველი მაჰმადიანებით დასახლებული ბათუმის ოლქი და ყარსის ჩრდილოეთ ნაწილი მომავალი საქართველოს საზღვრებში უნდა შესულიყო⁶³. ქართველები კავკასიაში პირველობას იგდებდნენ ხელთ და ეს არ შეიძლება პორტას ინტერესებში ყოფილიყო.

ოთხი უენეველი რევოლუციონერი სექტემბრის დასაწყისში კონსტანტინოპოლში გასამგზავრებლად მზად იყო. მაგალოვი (მაღალაშვილი) და განსაკუთრებით სურგულაძე მოითხოვდნენ მიხეილ წერეთლისათვის ჰაიდელბერგიდან და სხვა თანამ-

63 Zürrer, Kaukasien, გვ.12-13, გეჰსტი Bihl 1975, გვ.65 მიხედვით.



ენვერ ფაშა და ჯემალ
 ფაშა იერუსალიმში,
 ტაძრის მთაზე

ემამუღეთათვის ხელი შეეწყობთ კონსტანტინოპოლში ჩასასვლელად⁶⁴. განსაკუთრებით ზრუნავდნენ და ყურადღებას აქცევდნენ იმ ქართველებს, რომლებიც, როგორც რუსეთის მოქალაქენი, ინტერნირებულნი იყვნენ, ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ. თუმცა, ყველა არ ყოფილა მათი თანამებრძოლი, მაგ., მაგდებურგში ინტერნირებული ჰალელი სტუდენტი ალექსანდრე სვანიძე, რომელმაც უარი განაცხადა კონსტანტინოპოლში წასვლაზე, მაგრამ ქართველების ჩარევით მაინც გაათავისუფლეს⁶⁵. შემდეგში კომიტეტმა შეიფარა კონსტანტინე გამ-

64 PA AA, R 21008, Romberg an AA 16.09.1914.

65 PA AA, R 21008, Telegramme v. 28.09 und 10.10.1914.

სვანიძე (1886-სგალინის ბრძანებით მოკლეს „გულაგში“ 1942 წ.) იყო სგალინის პირველი ცილის მმ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როცა საქართველოს საგ. საქ. მინისტრი გახდა, გერმანელებს ეხმარებოდა ხოლმე სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში. იხ. Blücher 1951, გვ.123 და 129. 1937 წელს მის წინააღმდეგ ბრალდების ერთ-ერთი მთავარი მუხლი იყო 1917 წლიდან გერმანიის დაშვრეხითან თანამშრომლობა.

კონსტანტინოპოლში ქართულ კომიტეტთან თანამშრომლობაზე უარი უთქვამს და სხვა ბოლშევიკებთან ერთად რეზოლუციაც კი მიუღია სამუელ (ნოე) ბუაჩიძეს. იხ.: Дубинский-Мухадзе Илья, Кавказский дружба

თბილისის გუბერნიის ჯანდარმის უფროსის განყოფილება.

2) Во весь рост, сзади, в 1/2, в 3/4, сзади, сзади, сзади, сзади, сзади.

1. Пол: 2. Возраст: 3. Место рождения: 4. Образование: 5. Семейное положение: 6. Место жительства: 7. Место работы: 8. Место службы: 9. Место жительства: 10. Место службы:	11. Татуировки: 12. Раны, шрамы, ожоги: 13. Другие примечания: 14. Примечания:	1) В 1/2, в 3/4, сзади, сзади, сзади, сзади, сзади.
--	---	---

მიხეილ წერეთლის აღრიცხვის ბარათი

 სახურდია, რაფიელ ნიჟარაძე, ალექსი ანჯაფვარიძე და სხვები⁶⁶.


 19 სექტემბერს გერმანელების მიერ ყალბი პასპორტებით შვიარალეული ქართველები, როგორც ელზას-ლოტარინგიელები, ნესტორ მურბან (ნესტორ მაღალაშვილი), პიერ სურატ (პეტრე სურგულაძე), პაულ კელლინგ (?) და გეორგ კერელე (გიორგი კერესელიძე) ნეიტრალური იტალიის გავლით თურქეთში გაემგზავრნენ. კიდევ ექვსი ქართველი საფრანგეთიდან პირდაპირ კონსტანტინოპოლში უნდა ჩასულიყო. სხვები მოგვიანებით შენევიდან შეუერთდებოდნენ.⁶⁷

კონსტანტინოპოლში ქართველების გამოჩენის ამბავმა საქართველომდეც ჩამოაღწია. 12 ოქტომბერს (ძ.ს.) გაზეთი

ილიჩა, Тбилиси 1982, стр. 195.

66 ხალაი 1962, გვ. 21.

67 РА АА, № 21008, Romberg 19.09.1914.



ბარონი ვანგენაიმი

„სახალხო ფურცელი“ იუნყებოდა: „მგოსანი იროდიონ ევდომ-ვილი გუშინ ნაშუადღევს სამ საათზე ტრამვაის ვაგონში „კავკა-ზსკოე სლოვოს“ ჰკითხულობდა. იგი ისე ააღელვა ამ გაზეთში მო-თავსებულმა „ჰორიზონის“ პროვოკაციამ, რომ პირიდან სისხლი ნასქდა. იგი მაშინვე შეიყვანეს კავკასიის სააფთიაქო სანყობში, სადაც გამოიწვიეს სწრაფდამხმარე ეტლი და შინ წაიყვანეს.“

იქვე სათაურით „გაზ. „ჰორიზონის“ პროვოკაცია“ ახსნილია, თუ რაში ყოფილა საქმე. სომხურ გაზეთ „ჰორიციონიდან“ რუსულ გაზეთებს გადმოუბეჭდავთ ცნობა, რომ „სტამბოლის ქუჩებზე გაჩნდნენ ვიღაც საეჭვო პირები ჩოხებში და ფაფახებში გამოწყობილნი, ხანჯლებით შეიარაღებულნი. ესენი ან უმეცარნი უნდა იყვნენ, ან კიდევ შანტაჟისტები. ამოტივტივდა რამდენიმე „ხაჩაგოლი“, რომელთაც დუშეთის ხაზინა გაძარცვეს. ამათ საიდუმლო თათბირი ჰქონდათ ქართველი ერის სახელით, რომელმაც არც კი იცის ამ გაიძვერების არსებობა“. „სახალხო ფურცელი“ აღშფოთებულია ამ „ნიანგის ცრემლებით“ და კატეგორიულად მოითხოვს თვითონ „ხაჩაგოლებმა (ე.ი. ქრისტეს გამყიდველებმა) ხელები ცოტა მოშორებით დაიჭირონ“. „გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა ოდნავადაც არ შეესაბამება სინამდვილეს“ და ალბათ, ყველაფერი მოელანდათო.⁶⁸

68 „სახალხო ფურცელი“, 12.10.1914. კიდევ ერთი აღშფოთების გამოხატაველი სტატია 14.10.1914.



გიორგი კერესელიძე და მისი ცოლი თამარი

მოგვიანებით, იხსენებს რა ამ საგაზეთო პოლემიკას, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა დანაშაულის შემდეგ ეს ჭორები დადასტურდა.“⁶⁹

დასავლეთში კი პატრიოტულმა გრძნობებმა, კომიტეტთან თანამშრომლობისა თუ გერმანელების ხარჯით თუნდაც თურქეთამდე ჩაღწევის სურვილმა, მთელი ევროპის ქართველობა მოიცვა. ქართველების აქტიურობით აღფრთოვანებამ გერმანელებს მალე გაუარა. მას შემდეგ, რაც მაჩაბლის თხოვნით 400 ფრანკით დაფინანსებული პერაკლიუს ტატი (ერეკლე ტატიშვილი), დიმიტრი მდივანი და პავლე ყიფიანი ბრიუსელიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდნენ,⁷⁰ აქ უფრო ადრე ჩასულებმა ყიფიანს უნდობლობა გამოუცხადეს და ზურგი აქციეს, ვან-გენჰაიმმა საგარეო უწყებას მისწერა: „გთხოვთ შემდეგში რევოლუციური მიზნებისათვის დღემდე უცნობი პირი აღარ

69 სხვა, თ. 13, ა. 27, წ. 3167. 6.10.1914. გვ. 1ა.

70 PA AA, № 21008, Matschabelli 29.09.1914.



ზია ბეი აბაშიძე და ნესტორ
 მაღალაშვილი.
 სტამბოლი, 13 სექტემბერი 1914 წ.

გამოგზავნოთ და არც მანდ მოუპყრათ ნდობით, სანამ მე შესაძლებლობა არ მომეცემა ზედმინვენით გამოვიკვლიო მათი გამოსადეგობა.⁷¹

14 დეკემბერს რომბერგი კითხულობდა: „გენერალური კონსული გაისლერი, ჟენევა, იტყობინება: ქალბატონი კერესელიძე მოგვახსენებს, რომ დეკემბრის ბოლოსათვის სამი ქართველი, მათ შორის ლამბაშიძე, ლონდონიდან ჟენევაში ჩამოდის და ითხოვს, ეს მათ თანამემამულე სურგულაძეს მოხსენდეს. გამოვუშვათ ეს სამი კაცი კონსტანტინოპოლში?“⁷² პერადან მკაცრად უპასუხეს: „სურგულაძის ასავალ-დასავალი ამჟამად უცნობია. აქ კიდევ უფრო მეტ ქართველს ვერანაირად ველარ გამოვიყენებთ.“⁷³

სექტემბერში გერმანიის მიერ ოკუპირებულ ბრიუსელში გიორგი მაჩაბელმა გერმანელებს თანამშრომლობა შესთავაზა. მას ბერლინის სამთო აკადემიაში ჰქონდა ინჟინრის დიპლომი მიღებული და ბერლინის გარკვეულ წრეებში კარგად იც-

71 PA AA, R 21008, Wangenheim 15.10.1914.

72 PA AA, R 21009, Romberg 14.12.1914.

73 PA AA, R 21009, Wangenheim 22.12.1914.



გიორგი მაჩაბელი, 1913 წ.

ნობდენ⁷⁴. როგორც ჩანს, მან თავიდანვე კარგი ურთიერთობა დაამყარა გერმანელ მოხელეებთან, რადგან მიხეილ წერეთლის ცნობით, მაჩაბელმა ამ დროისათვის გერმანელებისათვის უკვე კარგად ცნობილ წერეთელს შაიდელბერგში ბელგიის გენერალ-გუბერნატორ ფონ დერ გოლცის ავტომობილით გაუარა და ბერლინში წაიყვანა⁷⁵. წერეთელი 22 სექტემბრისათვის ჯერ ფენევაში და მერე კონსტანტინოპოლში გამგზავრებას გეგმავდა. როგორც ომის შედეგად უსახსროდ დარჩენილს, კარლსრუეში პრუსიის სამეფოს წარმომადგენლობაში მოგზაურობისათვის საჭირო 500 მარკაც მიუღია და სპეციალური საბუთიც, რის

74 PA AA, R 21008, გერმანელები, რასაკვირველია, მომავალ თანამშრომლებზე ცნობებს აგროვებდნენ. მაჩაბელს რეკომენდაციას აძლევდნენ სამეფო გეოლოგიური მუშის სამმართველოს დირექტორი, ბერლინის უნივერსიტეტის სახელმწიფო მეცნიერებათა პროფესორი დოქტორი ვაგნერი, რომელსაც მაჩაბელი ბატონი სარაჯევისგან გაუცნია, და სხვები.

75 წერეთელი 1955, ციტირებულია მარაძე 1993-დან, გვ.120; ავტომობილის ამბავი დოკუმენტურად ჯერჯერობით არ დასტურდება. Feldmarschall, Freiherr (Baron) Wilhelm Leopold Colmar von der Goltz (1843-1916) გერმანელების მიერ ოკუპირებული ბელგიის პირველი გენერალ-გუბერნატორი 1914 წ. ნოემბერში ისევ თურქეთში გაიწვიეს, სადაც ის 1883 წლიდან თურქეთის არმიის მოღვრნიშავიანზე მუშაობდა. გარდაიცვალა ბალდაში გოფით.



ფელდმარშალი ფონ დერ გოლც

საფუძველზეც მას საიმპერიო საკონსულოები საქმით თუ სიტყვით ყველგან უნდა დახმარებოდნენ.⁷⁶

უენევის ნაცვლად წერეთელი მაჩაბელთან ერთად ბერლინში აღმოჩნდა. საგარეო უწყებისათვის მათ მემორანდუმი დაწერეს. პირველი 24 სექტემბერს მიმართვით – „თქვენო აღმატებულებავ“ და მეორე – პირველის წერილის დამატების სახით, სათაურით: „კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი“.⁷⁷ პირველ წერილში მოკლედაა მოთხრობილი ქართველი ხალხისა და მისი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორია. „ქართველი ხალხი არც შეთქმულთაგან და არც მოღალატეთაგან არ შედგება, არც არაორგანიზებული მასაა, არამედ ერთიანი ერი, რომელსაც 23-საუკუნოვანი ისტორია აქვს და, მიუხედავად ბედის უკუღმართობისა, არსებობა არ შეუწყვეტია.“ ამავე წერილში მაჩაბელი და წერეთელი ქართველი ხალხისა და კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გერმანიას დახმარებას სთხოვენ და მიუთითებენ იმ დადებით შედეგებზე, რაც გერმანიისა და მისი მოკავშირეებისთვის ჯერ აჯანყებას და შემდეგ კავკასიის ნეიტრალიზაციას მოჰყვება. წერილს ბეჭედი ასვია ურჩხულის დამლახვრავი წმინდა გიორგის გამოსახულებითა და წარწერით „Ligue Nationale Georgienne“ (საქართველოს ეროვნული ლიგა). მეორე წერილში უფრო დანვრილებითაა ახსნილი, ვინ

76 PA AA, R 21008, 19.09.1914.

77 PA AA, R 21008, 24.09.1914 (Bl.65-70) u. 27.09.1914 (Bl.78-85).

Frut Jeng Matschabeli

M. Tsereteli



Berlin den 24 September 1914.

„კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტზე“ გიორგი მაჩაბლისა და მიხეილ წერეთლის ხელმოწერები და ბეჭედი

და რატომ უნდა იყოს დაინტერესებული კავკასიის ნეიტრალიზაციით, რა ტერიტორიებს მოიცავს საქართველო და კავკასია და როგორ ნარმოუდგენიათ ავტორებს მომავალში კავკასიის ფედერაციის შესაძლებელი შემადგენლობა:

- „ 1) საქართველოს სამეფო
- 2) სომხურ-თათრული კანტონები
- 3) მთიელთა ფედერაცია“

სომხურ-თათრული კანტონები იმიტომ უნდა შექმნილიყო, რომ სომხები და თათრები, რომელთაც უთუოდ უნდა ჰქონდეთ სრული კულტურული და რელიგიური ავტონომია, ისე შერეულად ცხოვრობენ, რომ მათი ტერიტორიული გამიჯვნა შეუძლებელი იქნებაო. ამ ქვეყნის მეთაური შესაძლებელია მაჰმადიანი პრინცი გახდეს, ისევე, როგორც აღდგენილი საქართველოს სამეფოს მეთაური – კონსტიტუციური მონარქი, მაგრამ არა ადგილობრივი, არა ბაგრატიონი (რათა ამ დინასტიის მრავალ შთამომავალთა შორის ინტრიგები თავიდან ავიცილოთ), არამედ დასავლეთევროპელი პრინცი, ევროპის გავლენის გასაზრდელად.⁷⁸

მაჩაბელი და წერეთელი ბერლინიდან 3 ოქტომბერს გაემგზავრნენ ვენის, ბუდაპეშტისა და სოფიის გავლით, გაუჩერებლად, დრო რომ არ დაეკარგათ.⁷⁹ კონსტანტინოპოლში შეკრებილმა ქართველებმა ოფიციალურად ჩამოაყალიბეს (გაფართოებული) დამოუკიდებლობის კომიტეტი⁸⁰. თავმჯდომარედ მათ შორის უხუცესი პეტრე სურგულაძე აირჩიეს⁸¹. გიორგი კერესელიძე და მიხ-

78 ეს გეგმა დღეს შეიძლება შიდაპრულად მოგვეჩვენოს, მაგრამ იმ დროს ყველა მსგავს ავანტიურულ გეგმებს აწყობდა.

79 PA AA, R 21008, Bussche 2.10.1914. შეიძლება ხაინგერეხო იყოს, რომ მაჩაბელს საუკეთესო სასტუმროებში უკვარდა განერება, ბერლინში – სასტუმრო „ადლონ-ში“, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ახლოს და კონსტანტინოპოლში – „გო-კატლიანში“.

80 საღია 1962, შვადა: ანგ 1962, გვ. 182ფ.

81 „უხუცესი“ პეტრე სურგულაძე სულ რაღაც 41 წლის იყო. ის 1873 წლის



ზია აბაშიძე, ახმედ გოგიტიძე, ოსმანა ზოიძე, მუსტაფა აბაშიძე

აკო ნერეთელი, საქართველოდან დაბრუნების შემდეგ კი გიორგი მაჩაბელი, კომიტეტის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ ბერლინში. ლეო კერესელიძეს დაევალა სამხედრო საქმე და ოსმალეთ-რუსეთის საზღვრის ახლოს, შავიზღვისპირა ვინეში გაგზავნეს⁸². კომიტეტის ძირითად ბირთვში ასევე შედიოდნენ: კათოლიკე მამა შალვა ვარდიძე, ქართველი მაჰმადიანები – მელიტონ ქარცივაძე, იგივე ოსმან ან მელიტონ ბეი, ზია ბეი აბაშიძე და ომის დროს გამაჰმადიანებული ნესტორ მაღალაშვილი, იგივე მურად ბეი.⁸³

ოქტომბერშია დაბადებული (გვილისის გუბერნიის ჯანდარმერის სამხარეთელის 1910 წლის ბარათი ფოტოთი. სსკა.).

82 შეიშლისპირა პაგარა ქალაქი ლაშეთში, დღეს ფინიკი (50 კილომეტრი დღევანდელი სამღერვიდან)

83 მაღალაშვილი ხიკარულის გამო გამაჰმადიანდა. ომის დროს გამკაცრებული ოსმალური კანონების მიხედვით სომხის შერთვის უფლება მხოლოდ მაჰმადიანს ჰქონდა. ასე ვახდა ძეულებული მაღალაშვილი გამაჰმადიანებულიყო.

Die ZürcherlatEnde 1914 in den Kriegsgefangenenlagern, Anfang Nov. 1914 begann der Kampf gegen England und Frankreich.



Der Oberste, Gen. Zoltan, 1914
Gen. Zoltan



Zoltan, Oberst, 1914
Gen. Zoltan



Der Oberste, Gen. Zoltan
Gen. Zoltan



Zoltan, Oberst, 1914
Gen. Zoltan



Zoltan, Oberst, 1914
Gen. Zoltan

დიდი ვეზირი პრინცი საიდ პალიმ ფაშა, ჯემალ ფაშა, სულთანი ღაზი მეჰმედ რეშად V, სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, ჯევეთ ფაშა.

მაჩაბელი და წერეთელი ამ კომიტეტის წამყვანი ინტელექტუალური ძალები იყვნენ.

ქართველებისადმი გერმანელების განსაკუთრებული კეთილგანწყობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არა მარტო ქართველების, ერთი შეხედვით, კარგი ორგანიზებულობა იყო, არამედ სწორედ მაჩაბლისა და წერეთლის მიერ ბერლინში დატოვებული კარგი შთაბეჭდილებაც. კავკასიის საქმეებში ქართველებმა პირველობა ჩაიგდეს ხელთ, თორემ კონსტანტინოპოლში ჩრდილოეთ კავკასიელებიც აქტიურობდნენ და, როგორც ვნახეთ, გერმანელებს კავკასიელი თათრების დიდი იმედიც ჰქონდათ.

თურქეთში მცხოვრები ჩერქეზი ფუად ფაშა და შამილის ნათესავი ლეკი ფაზილ ფაშა გერმანელებს კონსტანტინოპოლში დაუკავშირდნენ. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან, ისევე, როგორც ჩეჩენ უზდენ არზამაკოვს, რომელიც თავს გაზავატს უწოდებდა და 1915 წ. ნოემბერში ბერლინში გერმანელებს თანამშრომლობა შესთავაზა.⁸⁴

რათა სიმეხი ქალი შეერთო.

84 გერმანელებსა და ჩრდილოეთ კავკასიელთა ურთიერთობის შესახებ. Zürcher, Nordkaukasien, 1978.



ჰეიტ ნაქრა, Commander of Caucasus Front arriving in Jer.

იხუტ ფაშა, კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი და ჯემალ ფაშა იერუსალიმში

კონსტანტინოპოლში მუშაობდნენ სხვა ერების წარმომადგენლებიც, მაგ.: უკრაინის განთავისუფლების კომიტეტი.

რუსეთის აგენტურა თვალყურს ადევნებდა „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის“ ჩამოყალიბებას და მის საქმიანობას. აგენტურული ცნობები არაზუსტი იყო. ფიქრობდნენ, რომ „ქართული ლეგიონის ორგანიზატორი“ დადიანი იყო,⁸⁵ ან კომიტეტს, რომელიც აგენტურული მონაცემებით 1911 წ. ჩამოყალიბებულა კონსტანტინოპოლში, „დადიანისას“ უწოდებენო.⁸⁶ ამის გამო კომიტეტსაც ხშირად „დადიანის კომიტეტის“ სახელით მოიხსენიებენ დოკუმენტებშიც. საბჭოთა ისტორიკოსებიც კრიტიკისა და ახსნის გარეშე იმავე სახელს იმეორებენ.

კომიტეტის წევრებად თვლიდნენ ვარლამ ჩერქეზოვს და თედო სახოკიას, რომელიც რუსულ დოკუმენტებში რუსოფობადაა მონათლული, თან ისეთად, სიტყვას რომ არ ამბობდა თურმე რუსულად!⁸⁷

85 სქსსა, ფ.13, ა.27, ს. 5413, ფ.10, კავკასიის არმიის შტაბი განსაკუთრებული განყოფილების უფროსს, 25.12.1916

86 სქსსა, ფ.13, ა.27, ს. 5413, ფ.18, ცნობები ქართული ლეგიონ-გაბურის შესახებ.

87 სქსსა, ფ.13, ა.27, ს. 5412, ფ.24, ქუთაისის გუბერნიის ქანდარმერის უფრო-



Иллюстрация Е.о. Императорскаго Вѣдѣнства на Кавказѣ и
 Главнокомандующій войсками Кавказскаго военнаго округа
 генералъ-адъютантъ графъ П. П. БОРЗОВЪ-ЛАШКОВЪ.

ილარიონ ივანეს ძე
 ვორონცოვ-დაშკოვ (1837-1916),
 კავკასიის მეფისნაცვალი და 1915
 წლიდან კავკასიის არმიის
 მთავარსარდალი

1915 წლის 5 თებერვალს რუსებს ჭოროხის პირას უპოვნი-
 ათ მონოდება მიმართვით – „ქართველნო! ქართველო მამუ-
 ლიშვილნო!“, ანტირუსული შინაარსითა და იმის მტკიცებით,
 რომ „ოსმალეთის ინტერესებშია ივერიის დამოუკიდებლობა“⁸⁸.
 უფრო ადრე კი ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა სხვა პროკლა-
 მაცია „ქართველი ერის უფლებანი“, რომელშიც ნათქვამია, რომ
 „ჩვენ, სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პარტიე-
 ბის ქართველებმა შევადგინეთ „საქართველოს ხელშეკრულე-
 ბის უფლებათა დამცველი კავშირი“.⁸⁹ პირველი პროკლამაცია
 გერმანიისა და მისი მოკავშირე ოსმალეთის მხარეზე მებრძოლი
 ქართველების მიერაა გავრცელებული. მეორე კი, როგორც ჩანს,
 ჯერ კიდევ ომამდე უნდა იყოს შედგენილი არაპროგერმანულად
 განწყობილი ძალების მიერ. მის უკან, შესაძლებელია, მართლაც
 დგას ჯგუფი, რომელშიც სახოკია და ჩერქეზიშვილი შედიოდნენ
 და რომელიც ომის დაწყების შემდეგაც ცდილობდა ინგლის-სა-
 ფრანგეთისგან მიეღო დახმარება საქართველოსათვის.⁹⁰ რუ-

სი, 6.01.1916, თედო სახოკია ომამდე რუსულენოვანი გამეთუბისთვისაც წერ-
 და სტატიებს და უცხად რუსული ისე შესძულდა, რომ სიგყვასაც აღარ ამ-
 ბობდა რუსულად?! სახოკია 1916 წ. საქართველოში დაბრუნდა.

88 სესხა, ფ.153 ს, ა.1, ს.2859/4, გვ.24.

89 სესხა, ფ.13, ა.27, ს. 5412, გვ.6.

90 1914 წ. ვარლამ ჩერქეზიშვილმა ლონდონში დააარსა „საქართველოს



A. Poincaré ტიფლის თედო სახოკია

სეთის მოკავშირეები, რასაკვირველია, მათ საქმიანობას ხელს არ უწყობდნენ. როგორც ჩანს, რუს მოხელეებს ერთმანეთში ერეოდათ ანტირუსულად განწყობილი სხვადასხვა დაჯგუფებები და უჭირდათ რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ ძალებს შორის დიფერენციაცია.

1915 წ. 8 დეკემბერს რუსი სამხედრო აგენტი რუმინეთში ატყობინებს უმაღლესი მთავარსარდლის გენერალკვარტირმაისტერს: „ჩემ ბოლო რაპორტში მოგახსენებდით ავსტრო-უნგრეთის მიზნებზე ჩვენს საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე.“ ვენაში ნოემბერში ჩასულან და საგარეო საქმეთა სამინისტროში მრავალგზის მიუღიათ: მაჩაბელი, სელიმ ბეი, მერკერ აზიზ ბეი, მეჰმედ საიდ ბეი, დოქტორი ისა ბეი, აბუ ბექირ ხოსმ ბეი, ფუად ფაშა და მეჰმედ ალი ბეი. ამ მოხსენების ასლზე გაოცებულ მოხელეს ნითელი ფანქრით წაუნერია – „**какие это грузины?**“⁹¹

1783 წლის ხელშეკრულების უფლებათა დამცველი კავშირი“ – კ. ხალია „ქართველი ერის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის (1801-1918)“, „ბედი ქართლისა“ №24-25, ივლისი, 1957, გვ. 20. გერმანელებმა იცოდნენ 1914 წ. რომ საფრანგეთში არსებობდა „მეორე ქართული კომიტეტი“ სახოკიას ხელმძღვანელობით - PA AA, Gesandtschaft Bern, Geheim Varia I, Krieg 1914/1915. Bd.2 (Bern 1247), მაგრამ რუსეთის მოკავშირე საფრანგეთში ასეთ კომიტეტს, რასაკვირველია, დიდი ვასაქანი ვერ ექნებოდა და ალბათ, არც დიდი ხანი უარსებია. ფაქტიურად, ჩვენ არაფერი ვიცით სახოკიას კომიტეტის შესახებ. 91 ეს მართლაც კავკასიურ-თათრული ჯგუფი იყო და არა მხოლოდ



Die ersten Botschafter von Bulgarien in Wien 1878 mit Hofkapelle, nach dem Überfall auf Serbien am Hauptbahnhof.
Kunstmuseum, Wien.

თურქეთის სამხედრო მინისტრი და ვიცეგენერალისიმუსი ენვერ ფაშა და ერცპერცოგი მაქსი მზღებლებითურთ ვენაში, აუგარტენის სასახლის წინ

2.1.4. ქართული გეგმები

გარდა უკვე თქმულისა, მაჩაბლისა და წერეთლის მემორანდუმი ითხოვდა საქართველოს კანონიერი უფლებების აღდგენას, იმ უფლებებისა, რომელიც მას რუსეთის მთავრობამ ჩამოართვა. საქართველო უნდა აღდგენილიყო თავის ისტორიულ საზღვრებში, ანუ მასში უნდა შესულიყო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგებით, ბათუმის ოლქი და ყარსის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილი. თურქეთს შეიძლებოდა მიეღო ტერიტორიის ნაწილი ერევნის გუბერნიასა და ყარსის ოლქში, რომელიც მან 1878 წელს დაკარგა და სადაც მოსახლეობის უმრავლესობას თურქები შეადგენდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართველებით დასახლებული მიწები.⁹²

ქართველებსა. ხცხსა, ფ.13, ა.27, ს. 5412, გვ.21, 8. 12.1915, ვენიდან, სადაც მაჩაბელს ფულადი ხაზსრები მიუღია სააფიგაციოდ. დელეგაცია ბერლინს გამგზავრებულა, საიდანაც შეეცარიაში აპირებდა წახელას. დელეგაციაში საქართველოს წარმომადგენლები, მაჩაბლის გარდა, უნდა ყოფილიყვნენ კათოლიკე არქიმანდრიგი ნიკოლოზი და თურქი ლეიტენანტი ქიამილ ბეი. ამ დელეგაციას წევრები იყვნენ თათარი – ხელმ ბეი (ბუბუთოვი), თურქები – ფუად ფაშა და აზიმ ბეი, დაღესტნელი – ექიმი ისა ბეი. კვკახიური დელეგაციის გაგზავნა ენვერ ფაშას იხივიაგივით მოხდა. PAA, R 21015, Mittwoch an Reichskanzler Bethmann Hollweg, 17.11.1915 92 PA AA, R 21008, 24.09.1914 (Bl.65-70) u. 27.09.1914 (Bl.78-85)



ნიკოლოზ II და მისი ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1856-1929), რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი (1914-აგვისტო 1915), შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალ უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკში („სტავკა“)

როგორც თურქების მომადლიერების მცდელობა იმ ტერიტორიის ხარჯზე, რომელიც სომხებს უთუოდ თავისად მიაჩნდათ, ისევე მთელი მემორანდუმი შეიძლება სრულიად ფანტასტიკური გვეჩვენოს, მაგრამ იმ დროს მსგავს გეგმებს არა მარტო ქართველები, არამედ გერმანელებიც სერიოზულად უყურებდნენ. გერმანიის მთავრობის სახელით ბარონ ვანგენჰაიმის მიერ 1914 წ. 14 სექტემბერს დადებული პირობა ამის ერთ-ერთი დადასტურებაა.

1914 წ. 17 სექტემბერს საგარეო უწყებისადმი გაგზავნილ მემორანდუმში ქართული კომიტეტი ირწმუნებოდა, რომ „კავკასიაში აჯანყება განაღდებულად უნდა ჩაითვალოს“. ორ მილიონ-ნახევარ ქართველს, მათ შორის 300000 მაჰმადიანსა და 50000 კათოლიკეს, სასწრაფოდ სჭირდება იარაღი, ტყვია-ნამალი და ფული. კავკასიის ნეიტრალიზაცია „ფართო ველს შექმნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისთვის ევროპისა და განსაკუთრებით გერმანიისათვის, რომლის გავლენაც შეუფერხებლად გავრცელდება კავკასიისა და მცირე აზიაზე.“⁹³

93 HHSStA, Pa I 947, Memorandum (Absch.) an das AA (17.9.1914) = Beilage zu Palavicini Nr. 90 / P G an Burian (26.10.1915).



ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდონკ

გიორგი მაჩაბელმა 1914 წ. სექტემბრის ბოლოს საგარეო უწყების ახლო აღმოსავლეთის საკითხების რეფერენტს, ფონ ვეზენდონკს⁹⁴ განუცხადა, რომ ქართველებს 50000 კაცის გამოყვანა შეუძლიათ და ამისათვის 40000-50000 თოფი, 5 მილიონი ვაზნა, 10 ტყვიამფრქვევი, 10000 ხმალი, 20000 ხიშტი, 5000 რევოლვერი და 100000 რევოლვერის ვაზნა სჭირდებათ.⁹⁵

ასეთი დახმარების შემთხვევაში, მაჩაბლისა და წერეთლის აზრით, შესაძლებელი იქნებოდა აჯანყების მოწყობა, რომელიც ხელს შეუშლიდა რუსული ჯარის დასავლეთის

94 Otto Günther von Wesendonk (1885-1933) „ფ. ვეზენდონკი რიპარდ ვაგნერის მეგობარი-მფარველი ცნობილი მაგიღა ვეზენდონკის შვილის-შვილი და გამოჩენილი პედაგოგის ნათლულია“ - ავლისიშვილი 1929, გვ.37; 1908 წლიდან საგარეო საქმეთა უწყებაში მუშაობდა, ომის დაწყებიდანვე პოლიტიკურ განყოფილებაში, ახლო აღმოსავლეთის რეფერენტად. ჯერ Legationssekretär (ლეგაციის მდივანი), მერე Legationsrat. 1923 წ. გენერალური კონსული თბილისში. ლექციებს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში, იყო ბერლინში პოლიტიკის უმაღლესი სკოლის დოცენტი, ავტორი წიგნებისა „ქართული წარმართობის შესახებ“ (Über georgisches Heidentum, Leipzig 1924) და „კავკასიური სამყაროდან“ (Aus der kaukasischen Welt, Berlin 1925), 1933 წ. გამოსცემდა ყოველთვიურს „Völkische Kultur“, რომლის იდეის რეველში მისი ნეკროლოგია. შეად.: Alexander Nikuradse, Otto Günther von Wesendonk als Karthvelologe, in: Bedi Kartlisa, N.S. VI-VII. No. 32-33, Paris 1959, S.48-52.

95 PA AA, R 21008 (Wk 11d secr, Bd.1), Wesendonk 27.09.1914.

Beaumont 11

No. 96.
„Beaumont“-Gewehr
in holländischen Marine und Infanterie.
No. 101.
Fusil „Beaumont“
de la marine y infanterie de Hollande.



Original-Gewehr, wie welches aus dem Arsenal kam:	Fusil original come quel de les armées:
Länge 1,20 m	Länge 1,22 m
Gewicht 4,200 kg	Peser 4,224 kg
Cal. 11 mm	Calibre 11 mm



Bayonette
No. 101a.

Sable-bayonets
No. 101a.

Lehrung: Als Anhängen des Gewehrs von Infanterie, 1891-1893.
Peser per Gewehr mit Bajonett-Mark:
Calibre: Die Waffen sind in beiden Kalibern zu den Gewehren und zu Beaumonts gewehrt.

Peser per Kalib. Mark
 Zeichnungsblätter: Zwei Color.

Mode de attacher: par le dessous par un système de 1891-1893 en bois noir.
Peser per arma con la Bayoneta - France:
Calibre: Gewehr ohne per mit France.

Peser per Kalib. France
 Condition de papier: Deux Color.

ქართული ლეგიონისთვის
შესასყიდი შაშხანის
მონაცემები

ფრონტზე გაგზავნას და შეუძლებელს გახდიდა კავკასიაში მობილიზაციის გაგრძელებას, რაც გერმანიის აღმოსავლეთ ფრონტზე მშვიდობის დამყარებას დააჩქარებდა. გარდა ამისა, ეს აჯანყება მაგალითი იქნებოდა რუსეთის სხვა ჩაგრულ ხალხთათვის.⁹⁶ ქართული გეგმები შეესაბამებოდა გერმანელების მიზნებს, ერთი მხრივ, რუსეთთან ცალმხრივი მშვიდობის მიღწევაზე და მეორე მხრივ, რუსეთის ეთნიკურად რუსულ ტერიტორიამდე დაყვანის შესახებ, არარუსი ხალხის რევოლუციონირების გზით.

1915 წ. დასაწყისში მაჩაბელი ამტკიცებდა კავკასიელთა (რასაკვირველია, სომხების გარეშე) 500000-იანი ჯარის 2-3 თვეში შექმნის შესაძლებლობას.⁹⁷ გერმანელები კი ასაბუთებდნენ, რომ ასეთი დიდი რიცხვი აიხსნება კავკასიაში დარჩენილ მაჰმადიანთა რაოდენობით, რადგანაც მათ რუსები ჯარში არ იწვევენო.⁹⁸

გადაჭარბება თათრებს ქართველებზე არანაკლებ უყვარდათ. ერზურუმში გერმანიის კონსულად მივლინებული დოქტორ-

96 PA AA, R 21008 (Wk 11d secr, Bd.1), Denkschrift von 24.09.1914 und Ergänzung von 27.09.1914 .

97 PA AA, R 21010 (Wk 11d secr, Bd.3), Wesendonk 19.01.1915.

98 PA AA, R 21010 (Wk 11d secr, Bd. 3), Jagow an AA 22.01.1915.



გერმანული „სახუმარო“ ღია ბარათი:
 „ყოველი გასროლა – ერთი რუსი,
 ყოველი დარტყმა – ერთი ფრანგი,
 ყოველი ჭიტლაყი – ერთი ბრიტანელი,
 ყოველი ჩარტყმა – ერთი იაპონელი“.

რი შვარცი, რომელსაც ბაქოს ნავთის სარეზერვუარზე დივერსიებისა და საბოტაჟის მონყობა ევალებოდა, დაუკავშირდა ელიზავეტ-პოლელ ემირ ასლან ხან ხოისკის, რომელიც აზერბაიჯანული ორგანიზაცია „დიფაის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. ხან ხოისკის უთქვამს, 500000 შეიარაღებულს გამოვიყვანო. მისი მოძრაობის მიზანიც კავკასიის კონფედერაცია ყოფილა შვეიცარული თარგის მიხედვით, აუცილებლად ოსმალეთის გავლენისაგან თავისუფალი, და რადგანაც ეს მოძრაობა ქართველებს არ ეხებოდა, მათ ინტერესებს შორის არ იქნებოდა კონფლიქტი.⁹⁹

თბილისელი ინჟინერი კიშკე ფიქრობდა, რომ ქართულ აჯანყებას კარგი პერსპექტივები ჰქონდა და რომ ქართველებს 30000 კაცის გამოყვანა შეეძლოთ¹⁰⁰. ბაქოელ კარლ შანცს კი 300000-იანი ლეკურ-თათრული არმია რეალურად ესაზებოდა¹⁰¹.


მოხელეთა და რევოლუციონერთა მოლოდინსა და შესაძლებლობებს შორის დიდი სხვაობა იყო. პატარა გამარჯვებებს არ შეეძლო დიდი იმედების გამართლება. იმედგაცრუება აქ თავიდანვე იყო მოსალოდნელი.

⁹⁹ Bihl 1975, გვ. 66. აქვე შვარცის უშედეგო საქმიანობის შესახებ.

¹⁰⁰ PA AA, Wk 11d secr, Bd. 3, Goltz an Zimmermann, 30.01.1915.

¹⁰¹ PA AA, Wk 11d secr, Bd. 6, Wesendonk 23.5.1915.

Положение фронта Кавказской армии в различные периоды войны.



კავკასიის ფრონტის ხაზის ცვლადობა ომის დროს

2.1.5. ქართულ-გერმანული ფრონტისპირა საქმიანობა

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი ისე არ განვითარდა, როგორც ქართველებსა და გერმანელებს ჰქონდათ ჩაფიქრებული. ვანგენჰაიმს ჯერ კიდევ 1914 წ. 24 ნოემბერს ჩაუნიშნავს: «კონსული ტრაპიზონიდან იუნყება, ქართველი კერესელიძის საქმიანობას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.»¹⁰² 6 დეკემბერს კი იმედგაცრუებული დრ. ვებერი, კონსტანტინოპოლის საელჩოს

102 PA AA, Wk 11d secr, Bd. 2, Wangenheim 24.11.1914.



Map 26. Lazistan, spring 1916

ლაზისტანი, 1916 წ.

მოზელის ადრინდელ მოხსენებებში ქართველებისადმი სიმპათია იგრძნობა, მაგრამ მასსა და ქართველებს შორის ურთიერთობა თანდათან დაიძაბა და ბოლოს კონფლიქტში გადაიზარდა, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით. უკვე 1915 წ. დასაწყისში გენერალფელდმარშალი გოლციც ადასტურებს ქართველებსა და მოზელს შორის არათბილ დამოკიდებულებას.¹⁰⁷

ქართველებისგან სამხედრო დაჯგუფების შექმნას მოზელის გარდა პოდპოლკოვნიკი შტანგეც ცდილობდა. მან 2000-3000 ლაზთან და აჭარელთან ერთად 25 დეკემბერს არდაჰანი აიღო.

1915 წ. იანვარში რუსების წარმატებულმა იერიშმა ქართველ და ლაზ მოხალისეთა შემართება გატეხა და ისინი მიმოიფანტნენ.

მოზელი გერმანიის ელჩს კონსტანტინოპოლში 1915 წ. 3 მარტს მოახსენებდა, რომ საზღვრისპირა მაჰმადიანურმა მოსახლეობამ ომის დასაწყისში თურქების მხარე დაიჭირა, მაგრამ თურქები ისე ცუდად იქცეოდნენ, რომ მოსახლეობა მათ განუდგა. ლაზებიც უკმაყოფილონი იყვნენ და მხოლოდ გერმანელების ხელმძღვანელობით აპირებდნენ ბრძოლის გაგრძელებას. ყველას გერმანელთა იმედი აქვს, მაგრამ იარაღის ნაკლებობას განიცდიანო. „ახალგაზრდა თურქები“ მტრულად უყურებენ კავ-

107 PA AA, Wk 11d secr, Bd.3, Goltz an Zimmermann, 30.01.1915.

კასიელთა მათგან დამოუკიდებელ საქმიანობას და უნდათ, კავკასია ოსმალეთის ქვეშევრდომად აქციონ. კავკასიელ სამხედრო ტყვეთა წვრთნა და მათი სამხედრო საქმეში გამოყენება აუცილებელიაო, ასკვნიდა მოზელი.¹⁰⁸

ამ მოხსენების შემდეგ ვანგენჰაიმი ეთათბირა გოლცს. ისინი შეთანხმდნენ, რომ „ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის“ საქმიანობა შეეზღუდათ. ტრაპიზონის ქართულ კომიტეტს გერმანელების ხელმძღვანელობით უნდა ემუშავა. იარაღი უნდა ეშოვათ. ქართველ ტყვეთაგან უნდა შექმნილიყო აჯანყების ბირთვი.



ლაზი მოხალისეები



მეჩეთი ცოსენის ტყვეთა ბანაკში

2.2. ქართველი ტყვეები

პროპაგანდა სამხედრო ტყვეებს შორის, მიუხედავად იმისა, გამოყენებულნი იქნებოდნენ თუ არა ისინი საომარ ოპერაციებში, გერმანულ უწყებათათვის ომის პირველივე დღეებიდანვე იქცა მნიშვნელოვან ამოცანად. რადგანაც თავიდანვე კოლონიზებული ერების რევოლუციონირების გეგმები იქნა დასახული, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ამ ერების ნარმომადგენლებს და ხდებოდა მათი ზუსტი აღრიცხვა. ტყვეებით დაინტერესების მიზეზს კარგად ხსნის საგარეო უწყების პოლიტიკური არქივის იმ საქმეთა საერთო სათაური, სადაც მოთავსებულია ცნობები ტყვეთა შესახებ: „ლონისძიებანი და აჯანყებისკენ ნაქეზებანი ჩვენი მტრების წინააღმდეგ“. ომის პირველივე თვეებში დაწერილი ოპენჰაიმის მოხსენება – „დატყვევებულ მაჰმადიანთა გამოყენება“ – ითვალისწინებდა მაჰმადიანთა და ინდოელთა ცალკე ბანაკებში მოწყობას, მათი რწმენისა და ადათ-წესებისადმი ყურადღების გამოჩენას, სასულიერო პირებით მათ მომსახურებას და თუნდაც, მეჩეთის აშენებას.¹⁰⁹ მართლაც, ცოსენის ნახევარმთვარის ტყვეთა ბანაკში 1915 წ. 13 ივლისს გერმანიაში პირველი მეჩეთი გაიხსნა. ტყვეებისადმი დამოკიდებულებას რუდოლფ ნადოლნი¹¹⁰

109 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 1, Openheim an AA, 2.10.1914.

110 Rudolf Nadolny (1873-1953), 1903-1907 წწ. ვიეიკონსული პეტერბურგში.



გერმანული სქემა: ჩვენი ტყვეები (1915 წლის 1 იანვარი)

ასე აყალიბებდა: მაჰმადიანებმა, ინდოელებმა და ქართველებმა ჩვენთვის უნდა იომონ. მაჰმადიანებმა – ჯიხადის ფარგლებში, ინდოელებმა და ქართველებმა – თავიანთი დამოუკიდებლობისათვის.¹¹¹ პროპაგანდის ერთ-ერთი მიზანი იყო ომის შემდეგ ამ ხალხების გერმანიისადმი კეთილგანწყობაც. „პროპაგანდისტული ბანაკის ინსტრუქციის“ ესკიზში ეწერა, რომ ტყვეების გამოყენება უნდა მომხდარიყო აღმოსავლეთში: „ა) მაჰმადიანებისა თურქეთში, ბ) ინდოელებისა ინდურ ლეგიონში, გ) ქართველებისა კავკასიაში, როგორც კი იქ ქართული აჯანყება დაიწყება.“

პირობა ასეთი გამოყენებისა არის ამ ადამიანების ნებაყოფლობითი თანხმობა.

საგარეო საქმეთა უწყების საეაჭრო-პოლიტიკურ განყოფილებაში, რეფერენტი აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში. 1914-1916 წწ. დიდი გენერალური შტაბის პოლიტიკის III სექციის შუფი, კაპიტანს ჩინოთ. 1916წ. ივლისიდან 1917წ. მაისამდე გერმანიის წარმომადგენელი სპარსეთში. 1917-1919 წწ. საგარეო უწყების პოლიტიკური რეფერენტი აღმოსავლეთისათვის. 1924-1932 წწ. ელჩი ანკარაში, 1933-1934 წწ. ელჩი მოსკოვში. შეად.: ავტობიოგრაფია - Mein Beitrag. Wiesbaden 1955.

III PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 1, Nadolny an Kriegsministerium, 18.01.1915.



კავკასიელი ტყვეები ბუხჰაიმის ბანაკში (მოუნხენტან) დოქტორ დირთან ერთად

პროპაგანდის შემდეგი მიზანია ამ ხალხის სიმპათია და ინტერესი იმდენად გავალვიძოთ გერმანიისადმი, რომ ისინი სამშობლოში გერმანიის მომხრეებად დაბრუნდნენ. შედგეს უცხოეთში გერმანული გავლენის გასავრცელებლად განსაკუთრებით გამოსადეგი და გადმობირებული პირების სია, მათი ზუსტი მონაცემებითა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით.¹¹² მოგვიანებით შედგენილ მსგავს ინსტრუქციებში გამოყენებაზე მეტად საუბარია გერმანიისადმი სიმპათიების გაღვიძებასა და ასეთი სიმპათიებით სამშობლოში დაბრუნებაზე. თუმცა, იმავდროულად ყურადღება ექცეოდა მაჰმადიანთა დარწმუნებასაც, რომ მშვიდობის დამყარების შემდეგ მათი გადაცემა რუსეთის ან საფრანგეთისთვის მათივე სურვილის გარეშე არ მოხდებოდა.¹¹³

პრუსიის ომის სამინისტროს მიერ საგარეო უწყებისათვის გაკეთებული ცნობის მიხედვით, 1914წ. 10 ოქტომბერს 19 გერმანულ ტყვეთა ბანაკში 888 რუსი (ანუ რუსეთის მოქალაქე), ეროვნებით ქართველი იყო, მათ შორის – 7 ოფიცერი, 1 ექიმი, 1 მოხელე და 877 ჯარისკაცი.¹¹⁴

ყველაზე მეტი ქართველი მოხვდა ვაინბერგეს (ცოსენის) ბანაკში. „ფოსიშე ცაიტუნგის“ (24.06.1915) მიხედვით აქ ყო-

112 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 7, an Nadolny, 10.10.1915.

113 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 11, „ცოსენის პროპაგანდისტული ბანაკის ინსტრუქციის“ ესკიზი, 24.4.1916.

114 PA AA, Wk 11d secr, Bd. 1; დაწერილებით ცნობები ტყვეთა შესახებ ბილთან 1975, გვ. 83-101.



ქართველი ტყვეები. შტილის წიგნიდან „ჩვენი მტრები/Unsere Feinde“, 86 და-
 მახასიათებელი თავი სამხედრო ტყვეთა ბანაკებიდან. შტუტგარტი, 1916 წ.

ფილა 4851 მაჰმადიანი „რუსი“, 801 ქართველი, 46 სომეხი, 58
 ოსი და 3 ჩერქეზი.¹¹⁵ ცოსენის ორ ტყვეთა ბანაკში ქართველები
 და თათრები (იგულისხმებიან: ვოლგისპირელი, ყირიმელი და
 კავკასიელი თათრები, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით აზ-
 ერბაიჯანელები) ერთმანეთისგან განცალკევებულნი იყვნენ.
 აგვისტოში აქ უკვე 1617 ქართველი და 10500 თათარი იყო.¹¹⁶
 ქართველებსა და თათრებს ერთმანეთისადმი დიდი სიმპათიე-
 ბი არ ჰქონდათ, მაგრამ ერთნარად ეზიზღებოდათ სომეხები.¹¹⁷
 ქართველებს თავი კულტურულ ერად მოჰქონდათ, თათრებზე
 უკეთესებად და ამას მათ აგრძნობინებდნენ კიდეც.¹¹⁸

1915 წ. დეკემბერში ცოსენის ბანაკიდან ყველა აქ დარ-
 ჩენილი არამაჰმადიანი 1413 ქართველი გრიუნტალ-საგანის
 ბანაკში გადაიყვანეს, სადაც გადანყდა ქართველთა თავ-
 მოყრა.¹¹⁹

ქართველების საბოლოო გაერთიანება ერთ ბანაკში ვერ
 მოხერხდა. აღნუსხვაცკი მხოლოდ არამაჰმადიანი ქართვე-

115 „Die gefangenen Franzosen. Ein Besuch in Zossen“ in: „Vossische Zeitung“,
 24.06.1915.

116 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 6, an Nadolny 10.08.1915.

117 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 6, Weinberge Lgkdo an Nadolny 10.09.1915.

118 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, Böhlau an Nadolny, 26.10.1915.

119 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, an Nadolny 14.12.1915.



დაღუპული ქართველი ტყვეების ძეგლის კურთხევა ეგერის ტყვეთა ბანაკში, 1917 წ.

ლებისა ხდებოდა. რადგანაც ქართველი მაჰმადიანები, მოხალისეთა გარდა, ჯარში არ გაჰყავდათ, მათი რიცხვი, ალბათ, ძალიან მცირე იყო. იმას, რომ ქართული კომიტეტი მათზეც ზრუნავდა, ცხადჰყოფს ბანაკებში მომუშავეთა შორის მაჰმადიანი თავდგირიძის ყოფნა. არ ჩანს, რომ აჭარელი ჰასან ფეჰმი ბეი, ოსმალეთის პარლამენტის წევრი, რომელიც ბაირამის დღესასწაულის გამო ნახევარმთვარის ბანაკ ცოსენში რელიგიაზე მოხსენებებს კითხულობდა, განსაკუთრებულად ქართველი მაჰმადიანებით დაინტერესებულყო.¹²⁰ ასევე უცნობია ქართველ კათოლიკეთა და ქართველ ებრაელთა რიცხვი ტყვეთა შორის, ისევე, როგორც ქართველ მართლმადიდებელთა რელიგიური უზრუნველყოფა (გარდა იმ ფაქტისა, რომ რუსი მღვდელი ცოსენის ბანაკში ქართველებს შორის რუსულ პროპაგანდას ეწეოდა¹²¹), ეს მაშინ, როცა მაჰმადიანთა სულიერ მომსახურებას მართლაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის, რომ გერმანიაში

120 Bihl 1975, მ.91, ფეჰმის ოჯახი 1880 წ. თურქეთში გადასახლებულა. ის ხონის მუთი იყო. 1913 წ. მისი ფუნქცია იყო ხიურე-ი პიუმაიუნ ემინი (სამეფო ძღვენის მექსა და მედინაში ჩამტანი). მისი მშობლიური ენა ქართული იყო. იქვე, მე-3.თავის შენიშვნა 211.


121 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, „Bericht über die georgische Propaganda in den Gefangenenlagern“ von Matschabeli u.A., 30.12.1915



ეგერის ტყვეთა ბანაკის ტყვე ქართველებისა და ყაზანის თათრების კორპორატიული საზოგადოების გამგეობა, 1917 წ. 1. შვეიცარელი გ. მორგენტალერი (თავმჯდომარე), 2. იბრაგიმოვი, 3. შ. ვალიევი, 4. პ. კალანდაძე, 5. ს. კვარაცხელია, 6. ლ. ჯვარშიშვილი, 7. მ. ბატალოვი.

ქართველი სასულიერო პირები არ იყვნენ. მსგავსი მიზეზის გამო გრიუნტალის ბანაკში არ იყო ქართულ ენაზე სწავლა. ბანაკებში სკოლები არსებობდა, გრიუნტალში 1916 წ. იანვრიდან ასწავლიდნენ გერმანულსა და რუსულს.¹²² ბანაკებში იყო ბიბლიოთეკები ნიგნებით, ომის თეატრის კედლის რუკებით და ჯერ რუსულ და თათრულ ენაზე გამომავალი ომის ახალი ამბებით და შემდეგ – სპეციალური გაზეთით ტყვეთათვის. გაზეთი 6 ენაზე იბეჭდებოდა – შინდუზე, ურდუზე, არაბულზე, (თურქ-) თათრულზე, რუსულსა და ქართულზე, მაგრამ ამის შესახებ შემდეგში.

ბანაკებში იყო სახელოსნოებიც, სადაც დურგლობას, მენაღვობას, თერძობას და სხვ. ასწავლიდნენ. სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის შესასწავლად არსებობდა სპეციალური ფერმა – გერლახსჰოფი. რა საქმიანობას მისდევდნენ კერძოდ ქართველები, სამწუხაროდ, დოკუმენტებიდან არ ჩანს. ყურადღება ექცეოდა სპორტსა და მხატვრულ თვითშემოქმედებას. ასევე,



კარლ ბერგმიულერ.
თივის ზვინის დადგმა სამხედრო
ტყვეების მიერ. 1915 წ.

გერმანიის პროპაგანდის მიზნით გამორჩეული ჯგუფებისათვის ენცობოდა ბერლინისა და სხვა ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.¹²³

ქართველების დიდი ნაწილი, ისევე, როგორც თათრები, ბანაკს გარეთ სამუშაოებზე დაჰყავდათ. ძირითადად, ეს იყო სასოფლო და სატყეო სამუშაოები. საინტერესოა, რომ მაღალი კასტების წარმომადგენელ ინდოელებსა და მდიდარ არაბებს, რომლებსაც მოსამსახურე პერსონალი თან ახლდა, ასეთი სამუშაოებით არ ანუხებდნენ. 1916 წ. სექტემბერში გრიუნტალის ბანაკი დროებით დაიკეტა, რადგან ყველა ქართველი გარესამუშაოზე იყო.¹²⁴

სხვადასხვა ეროვნების ტყვეები საინტერესო სამეცნიერო მასალას წარმოადგენდნენ გერმანელ და ავსტრო-უნგრელ მეცნიერთათვის, განსაკუთრებით ეთნოლოგებისა და ენათმეცნიერებისათვის. ტყვეებთან მრავალნაირი ნაყოფიერი მუშაობის ყველა შედეგი დღემდე არაა საბოლოოდ დამუშავებული და ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი. მაგალითად, კავკასიელ ტყვეთა სიმღერები, რომელიც პრუსიის სამეფო ფონოგრაფიულმა კომისიამ 1915-1919 წწ. კარლ შტუმპფისა და გეორგ შიუნემანის ხელმძღვანელობით ჩაინერა. ომის დროს ჩანერილი და კარგად დოკუმენტირებული 119 კავკასიური მუსიკალური შესრულება, რომელიც ბერლინის

123 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 4 - 15

124 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 5, 6, 11, 12, 13, 14.



ფონოგრამის ჩანერა გერმანულ ტყვეთა ბანაკში

ფონოგრამების ყოფილ არქივშია დაცული და რომელთა შორის ნახევარზე მეტი ქართულია, დღესაც ელოდება გამოქვეყნებას.¹²⁵ ავსტრიაში მსგავსი ჩანანერები (ფონოგრამები თითქმის არ გაკეთებულა) ნიგნების სახით რობერტ ლახმა გამოაქვეყნა.¹²⁶ ტყვეებთან მუშაობდა შემდეგში ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგი რობერტ ბლაიხშტაინერი.¹²⁷

1918 წ. ივლისში, როცა ქართველ ტყვეთა შინ დაბრუნება უკვე სერიოზულად იგეგმებოდა, გერმანულ ბანაკებში დაახლოებით 3000 ჯარისკაცი და 70 ოფიცერი იმყოფებოდა.¹²⁸

ავსტრო-უნგრეთში ქართველ ტყვეთა უმრავლესობა, 900 კაცი (1916 წელს), თავმოყრილი იყო ეგერში.¹²⁹

125 Dr. Susanne Ziegler: Frühe Aufnahmen traditioneller Musik aus dem Kaukasus im ehemaligen Berliner Phonogramm-Archiv. in: MBGG, 7-9/1995, S. 24-30.

126 Robert Lach, Gesänge russischer Kriegsgefangener. III Band: Kaukasusvölker. I Abt. Georgische Gesänge. Transkription und Übersetzung der georgischen Texte von A.Dirr. Wien 1928 u. II Abt. Mingrelische, abchasische, svanische und ossetische Gesänge. Wien 1931.

127 Kaukasische Forschungen in Kriegsgefangenenlager Eger. In: Berichte d. Forschungsinstituts f. Osten u. Orient 1(1917), S.86-103 და სხვ.

128 PA AA, Ghq Georgien Nr.13. Ludendorff an Lersner, 21.7.1918.

129 R 11041, Cosack an Wesendonk, 20.April 1916.



2.2.1. პროპაგანდა ქართველ ტყვეთა შორის

ქართველების არც სრული აღნუსხვა და არც მათ შორის პროპაგანდა ადვილი არ აღმოჩნდა. ჰარალდ კოზაკს, გერმანელ პროპაგანდისტს, 1914 წ. 10 ნოემბერს სამხედრო სამინისტრომ ნება დართო ქართველ ტყვეებთან ემუშავა.¹³⁰ 18 ნოემბერს კიუსტრინიდან კოზაკი ვანგენჰაიმს წერდა – „სრული ფიასკო, აბსოლუტურად რუსოფილები“.¹³¹ 25 ნოემბერს გახარებული კოზაკი იმავე ვანგენჰაიმს ატყობინებდა კოტბუსიდან, რომ 26 ქართველის მაგივრად 70 და კიდევ 20-იც (!) აღმოუჩენია. „შეცდომების წყარო ორმაგია; პირველი – რუსი ფელდფებელები უცხოტომელთა არსებობას თავიანთ ასეულებში მალავენ, და მერე თარჯიმნებმა „ქართველები“ არასწორად თარგმნეს. მათ რუსულად ჰქვიათ „გრუზინები“. როცა ეკითხებოდნენ „გეორგიანცებიო“, არ ესმოდათ, იგებდნენ, როგორც „გრეგორიანცებს“ და გრეგორიანული კონფესიის ხალხი, ანუ სომხები მოდიოდნენ.“ აქ წარმატებასაც ჰქონია ადგილი: „სულიერი ხელმძღვანელი ნაპოვნია: ვლადიმირ რობიტოვი ..., ქ. სილნალში დაბადებული. ამ კაცმა 7 ისეთი ქართველი მომიყვანა, რომლებიც ქართული საქმისთვის არაფერს ზოგავენ. ყველა კარგ

130 PA AA, R 21009, 10.11.1914, Harald Hugo Cosack (1880-1960), ბალტიელი გერმანელი, ომამდე (1904-1909) მახწავლებელი იყო გამკენგში და ამიტომ თუ ამოირჩიეს ქართველებთან საკონტაქტოდ. ომის დროს „ნახრისხენშტელს“ რუსულ განყოფილებაში მუშაობდა. ომის შემდეგ ბრესლაუში აღმოსავლეთის ინსტიტუტის და უნივერსიტეტის თანამშრომელი. 1947-1951 წწ. როსტოკის უნივერსიტეტის პროფესორი.

131 PA AA, R 21009, 18.11.1914.



ბრიტანული, ამერიკული, კანადური, რუსული პლაკატები. თითგაშვრილი ჯონ ბული (1914 წ.) მისაბაძი გახდა სხვა ქვეყნების პროპაგანდისტების, მათ შორის ჯეიმს მონტგომერი ფლეგის ცნობილი ბიძია სემის (1917 წ.) და დიმიტრი მოორის (ორლოვის) ცნობილი საბჭოთა პლაკატისტის

შთაბეჭდილებას ახდენს. აქამდე თქვენთვის 10 კაცი ვიპოვე თქვენი მიზნებისთვის.¹³² ამ ათს დიდი ხანი კიდევ არავინ შემატებია, მიუხედავად იმისა, რომ კოზაკმა მოიარა კიუსტრინის, კიონიგსტაინის, ოდერის ფრანკფურტის, გუბენის, გროსენის, კოტბუსის, ჰალეს, ბაუტცენის, კიონიგსბრიუკის ციხეები და ბანაკები და 207 ქართველიც იპოვა.¹³³ „ათმა გლეხმა არც „შო“ თქვა, არც „არა“. რუსეთის შიში მათ სიმპათიებს ქართული საქმისადმი აძაბუნებს.“¹³⁴ კიონიგსბრიუკის ბანაკში სტუმრობის შემდეგ კოზაკი ერთ გამოსავალს მაინც ხედავს: „შედეგი იგივეა, როგორც ყველგან, ხალხი ყოყმანობს. ამათი ერთ-ერთი თავადი თვითონვე რომ მოსულიყო, მაშინ მას გაჰყვებოდნენ. დამოუკიდებლობის პარტიის მიზნების შესახებ მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი არიან.“¹³⁵

მაღე ქართული კომიტეტიც დაუშვეს ბანაკებში, მათ შორის წერეთელი, მაჩაბელი, ახალკაცი, გიორგი კერესელიძე და ქიამილ თავდგირიძე. არც მათ პროპაგანდას მოჰყოლია დიდი შედეგი. ქართველი ტყვეების მოზიდვა და მობილიზება ჭირდა. რუსეთის შიში და რუსების პროპაგანდის გავლენა დიდი იყო. მაჩაბლის მოთხოვნით, გერმანულ ბანაკებში ქართველებისა და რუსების

132 PA AA, R 21009, Cosack an Wesendonk, 25.11.1914.

133 PA AA, R 21009, Cosack: „Bericht über Gefangene Grusinier (Georgier), 6.12.1914.

134 PA AA, R 21009, Cosack an Wesendonk, 28.11.1914.

135 PA AA, R 21009, Cosack an Wesendonk, 5.12.1914.



გერმანული პროპაგანდისტული პლაკატები

დაშორიშორება მოხდა „დაახლოებით მაისის თვეში“, როგორც ავსტრო-უნგრეთის წარმომადგენელი ოსმალეთში იტყობინებოდა და კითხულობდა, დაპირებისამებრ ავსტრიაშიც უკვე ასეაო?¹³⁶

მიუხედავად ამ ზომებისა, თურქეთში შექმნილი ქართული ლეგიონი გერმანული ბანაკებიდან პირველად 1916 წ. თებერვალში შეივსო.¹³⁷ ამის მიზეზი, რასაკვირველია, იყო თვით ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული პრობლემებიც და ტყვეების დაუინტერესებლობაც. უკვე მაისიდან ქართულ ლეგიონში არც ერთი ახალი მოხალისე აღარ ჩანერილა და მეტიც, „პირწმინდად გარუსებული“¹³⁸ ოფიცრების პრორუსული პროპაგანდის გავლენით ბევრმა თავისი ხელმოწერა უკან წაიღო.¹³⁹ რუსეთის ერთგული ქართველობა გულხელდაკრეფილი არ იყო – ისინიც წერდნენ ანტიგერმანულ და პრორუსულ წერილებს, ხელიდან ხელში რომ გადადიოდა.¹⁴⁰

ისინი, ვინც ანტიგერმანულ პროპაგანდას ეწეოდა ან პროპაგანდას უშლიდა ხელს, ისჯებოდა, ან სხვა, უფრო გაძლიერებული რეჟიმის ბანაკებში გადაჰყავდათ. ასე იქნენ ვაინბერგეს ბანაკიდან გადაყვანილნი პოლიტიკურად არასაიმედოდ ჩათვ-


136 PA AA, R 21251, Graf Trautmansdorf an Baron Burian, 17.09.1915.

137 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 9, Matschabeli an Wesendonk, 12.2.1916.

138 კომაკის სიკვება. თბ. Bihl 1975, გვ.98, ოფიცრების 14 ბანაკში ვაინბერგის 28 ქართველი ოფიცრისგან 6 ქართულად აღარ ლაპარაკობდა.

139 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 12, Notiz von Nadolny 1.6.1916, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ 38 ქართველმა უკან წაიღო თანხმობა ქართულ ლეგიონში თანამშრომლობაზე.

140 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 11, Lgkdo. Grünthal an Nadolny, 30.3.1916.



ლილი სომხები და რუსი ებრაელი თარჯიმნები,¹⁴¹ სამაგალითოდ 100 საეჭვო თათარი,¹⁴² ზოგიერთი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერიც იქნა თავის თანამოქმედებს ჩამოშორებული,¹⁴³ მაგალითად, თავადი შერშენლიძე, რომელიც ტყვეებს ქართული კომიტეტის წინააღმდეგ განაწყობდა და ნერეთელსა და კერესელიძეს „საშიშ ავანტიურისტებს“ უწოდებდა.¹⁴⁴ 1916 წ. მაისში გრიუნტალის ბანაკიდან პროპაგანდის წინააღმდეგ განწყობილი შვიდი ქართველი შპროტაუს ბანაკში გადაიყვანეს.¹⁴⁵ მანამდე ბანაკიდან გაქცევისას დაჭერილმა ორმა ქართველმა განაცხადა, რომ „მათ თავიანთ ხელმწიფეს შეჰფიცეს, რომ გასაქცევად ყოველ ღონეს იხმარდნენ“.¹⁴⁶

განწყობილება ტყვეთა შორის ძალიან ცვალებადი იყო. 1915 წ. ზაფხულში გერმანელები თვლიდნენ, რომ ქართველი ტყვეები საბოლოოდ ქართული საქმისთვის და რუსეთის წინააღმდეგ განწყვენენ.¹⁴⁷ რამდენიმე თვის შემდეგ მიხაკო ნერეთელმა გამომაფხიზლებელი სურათი დახატა – ქართველები ფიქრობენ, გერმანიას საკმარისი რაოდენობის ჯარისკაცები არ ჰყავს და სხვა ხალხების გადაბირებას ამიტომ ცდილობსო. გერმანელები საკუთარი მიზნების მისაღწევად და არა საქართველოს ინ-

141 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 4, 6, 7, 8.
 142 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 4.
 143 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 7-8.
 144 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 7, Lager Gütersloh, Meldung Nr. 21 (5.11.1915); d.8 Cosack Notiz, 25.11.1915.
 145 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 13, 13.6.1916.
 146 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 9, Lgkdo. Grünthal an Nadolny, 30.1.1916.
 147 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 6, Lgkdo. Weinberge an Nadolny, 10.8.1915 u. 20.8.1915.



რუსული პროპაგანდა

ტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენო. „სარწმუნოების გამო ქართველებს საომარი არაფერი აქვთ, რადგანაც ისინი ქრისტიანები და (სამწუხაროდ) რუსების ერთმორწმუნენი არიან... მხოლოდ ეროვნული იდეა და რწმენა, რომ მთელი ჩვენი საქმიანობა ავანტიურა არაა და მიზანს მიაღწევს, შესაძლებელს გახდის ამ ხალხის ჩვენი საქმისაკენ შემობრუნებას.“¹⁴⁸ 10 ნოემბერს წერეთელი უკვე გერმანელ უფროს ლეიტენანტ კლაინოს სიტყვებით იმეორებდა წინათ თქმულს, რომ ქართველების გადმობრუნება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, „როცა საქართველოში მართლაც რაღაც იქნება გაკეთებული“.¹⁴⁹ ომის შემდეგ კი წერეთელი თვლიდა, რომ ტყვეებთან მუშაობა უშედეგო იყო.¹⁵⁰

ლექ ნაზიმ რამაზანოვს კი, რუსეთის არმიის ლეიტენანტს, რომელიც 1916 წელს თურქეთის არმიის კაპიტანი გახდა, სჯეროდა, რომ „როგორც კავკასიელი, მე ქართველებს კარგად ვიცნობ. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი და სიმპათიური ხალხი კავკასიაში. როგორც ვაჟაკური და სამართლისა და თავისუფლებისათვის ენერგიული მებრძოლები, ისინი ყველაზე მეტად იტანჯებიან რუსეთის დამონებულ ხალხთა შორის“, მაგრამ ისინი თავს თვლიან ქრისტიან-რუს ჯარისკაცებად და ანტირუსულ პროპაგანდას უარყოფენ.¹⁵¹ გერმანელი კოზაკი კი თავის ხელმძღვანელობას წერდა: „ამ ჯარისკაცებისგან არაფერი გამოვა“.¹⁵²


148 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 7, Tseretheli an Wesendonk, 1.11.1915.

149 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 7, Tseretheli an Wesendonk, 10.11.1915.

150 *** (=Tseretheli) 1924, S.141.

151 PA AA, R 21251, Ramasanoff, 2.11.1915.

152 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, Cosack 14.11.1915.



„ბერლინში ტურიზმი ისევ
მატულობს“ – გერმანული
იუმორისტული ჟურნალი
კლადერადაჩი. 1914 წლის 27
სექტემბერი.

ტყვეებს მთელი მსოფლიოდან
ბერლინს ათვალიერებინებენ

ცოსენის ვაინბერგე-ბანაკის კომენდანტის მოადგილე ბიოლაუ
იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართველთა შორის რუსული „პარ-
ტია“ „ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია“, თანაც ისე ძლიერი, რომ
ქართული გაზეთის კითხვასაც კი კრძალავს.¹⁵³

მაჩაბელი, თავდგირიძე, წერეთელი და გ. კერესელიძე
„მოხსენებაში - ქართული პროპაგანდის შესახებ ტყვეთა ბანა-
კებში“, ტყვეთა შორის ჩატარებულ პროპაგანდას სრულიად ნა-
რუმატებლად მიიჩნევდნენ და გერმანული მხარის შეცდომებ-
ზე მიუთითებდნენ.¹⁵⁴ 1916 წ. იანვრის დასაწყისში მაჩაბელი
პატარა ჯგუფებზე გავლენის მოხდენას ნაბიჯ-ნაბიჯ, ფრთხი-
ლი პროპაგანდის მეშვეობით ფიქრობდა. დადებითი შედეგის
შემთხვევაში მათთვის უნდა განეცხადებინათ, რომ შექმნილია
ქართული დროებითი მთავრობა და მოეწოდებინათ ქართული
დროშების ქვეშ გაერთიანება.¹⁵⁵

153 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, Böhlau an Nadolny, 29.11.1915.

154 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 8, 30.12.1915.

155 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 9, Matschabeli an Wesendonk, 6.1.1916, ციტირებულია
Bihl 1975, გვ. 100 მახლეთ. ბილი სწორად აღნიშნავს, ეს ნიშნავდა, რომ
ქართული კომიტეტი თავს დროებით მთავრობად მიიჩნევდა. იქნებ მოყალ-
თაბანდო პერბერტ ფულკის მოგონება, რომ მაჩაბელი თავს საქართველოს



ეგონ შილე. რუსი სამხედრო ტყვე

ქართველ ტყვეებთან მუშაობის მაგალითს იძლევა მაჩაბლის 1916 წ. 27 თებერვლის მოხსენება. 7 თებერვალს ის და ლეიტენანტი ახალკაცი ტორგაუში, ოფიცერთა ბანაკში ესაუბრნენ იქ მყოფ ქართველ ოფიცრებს კალატოზოვს, ლალიძეს, თვარაძეს, მიქაბერიძეს – ჯერ ლეიტენანტი თვარაძეს და კაპიტან მიქაბერიძეს ცალ-ცალკე და მერე ორივე კაპიტანს, კალატოზოვს და ლალიძეს ერთად. საუბრები ქართულ ენაზე, რომელსაც ოთხივე ოფიცერი კარგად ფლობდა, სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ქართული ეროვნული მიზნების მისაღწევად ჩატარებულ მუშაობას და იმასაც, რომ მისი რამდენიმე მეგობარი უკვე ნავიდა ტრაპიზონში ქართულ ლეგიონთან შესაერთებლად, თვარაძეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მიუხედავად იმისა, რომ მას ოჯახი (ცოლი და ბავშვი) ჰყავს საქართველოში, აცხადებს, რომ სურს მოძრაობას მიემხროს. მაგრამ თუ მის სამსახურზე უარს არ ვიტყვით, ის ითხოვს, რომ რაც შეიძლება შეუმჩნევლად იქნას გადაყვანილი ტორგაუდან, რათა ბანაკში მყოფ რუს ოფიცრებში ეჭვი არ გაჩნდეს. ოფიცრები ყურადღებით ადევნებენ თვალს ერთმანეთს და შესაძლებელია, ინფორმაციამ რუსეთამდეც მიაღწიოს.

მიქაბერიძის აზრით, საქართველო სასურველ მიზანს რუსეთის დამარცხების შედეგად (რაც მას არ სჯერა) კი არ მიაღწევს, არამედ ომის შემდეგ რუსეთის სათავეში მოსული ლიბერალური მთავრობისგან ავტონომიას უნდა ელოდოს. მაგრამ თუ ჩვენ ჩვენი გზით მივალნიეთ მიზანს, კითხვაზე,

Gefangene:

Belgien: Frankreich:

England:

Russland: *რუსეთი*

Dass ich diese Bande
 noch noch füttern muss!

„გერმანია“: ეს ბანდა უნდა გამოვკვებო კიდევ!
 გერმანული ღია ბარათი

თუ ვის მხარეზე იქნება ის – რუსეთისა თუ საქართველოსი, უყოყმანოდ საქართველოს მხარეზეა.

ლალიძესა და კალატოზოს დიდი ოჯახები აქვთ კავკასიაში და დღევანდელ პირობებში რეპრესიების ეშინიათ. არც ერთს არ სჯერა თურქეთის არმიის მომავალი გამარჯვებებისა, მაგრამ თუ ფრონტი საქართველოს მიაღწევს, ისინი თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან. ოფიცრები კმაყოფილნი არიან ჩვენი მუშაობით, გვთხოვენ, ინფორმაციის გარეშე არ დავტოვოთ ისინი და როგორც კი ქართული გაზეთი გამოვა, ეგზემპლარები მათაც გავუგზავნოთ.

როგორც ვხედავთ, ქართველ ოფიცერთა შორის ქართული მიზნების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა არაა. მხოლოდ ის აფიქრებთ, რომ რუსეთის ძალაუფლება მთლად არ დაემხო. განსაკუთრებით ეეჭვებათ თურქების გამარჯვება კავკასიაში.

„თუ რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველ ოფიცრებსაც კი ასეთი აზრები აქვთ, ადვილი წარმოსადგენია, ქართველ ხალხში როგორი განწყობა უნდა იყოს“.¹⁵⁶

1916 წ. იენის-ივლისში ტყვეთა შორის საერთო განწყობილება რუსეთისკენ შემოტრიალდა.¹⁵⁷

¹⁵⁶ PA AA, R 21018, Matschabeli, 27.2.1916.

¹⁵⁷ PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 13.



ეგერის ტყვეთა ბანაკის ტყვე ქართველები

ქართული საზოგადოებისთვის უცნობი არ დარჩენილა ტყვეთა ბანაკებში მიმდინარე პროცესები. 1916 წ. 30 ივლისს ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთი „თანამედროვე აზრი“ სტატიაში „ბოროტი ავანტიურისში“ სასტიკად აკრიტიკებს გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთში ქართველ ტყვეთა შორის პროპაგანდის მცდელობას. სტატია ეყრდნობა ყოფილი სამხედრო ტყვის, დ. ტოპელ-ბერგის წერილს, რომელიც, გარდა პროპაგანდის მცდელობებისა, ბანაკებში ქართველ ტყვეთა საშინელ მდგომარეობასაც ხატავს და საზოგადოებას მოუწოდებს, სურსათით დაეხმარონ მათ.¹⁵⁸ ტყვეთათვის დახმარების განევის შესახებ მაშინდელი ქართული პრესა ბევრს წერდა და მოუწოდებდა. „თანამედროვე აზრის“ სტატიაში ნახსენები ორი ქართველი პროპაგანდისტი კი წერეთელი და ახალკაცი უნდა იყვნენ, რადგანაც ავსტრო-უნგრეთის ბანაკ ეგერში ამ დროს ისინი მუშაობდნენ.¹⁵⁹ ამ სტატიას რუსული „ცენტრალური“ პრესაც ეხმაურება. ქართველ ემიგრანტ ავანტიურისტებს გმობს პეტროგრადული „ნოვოე ვრემიაც“.¹⁶⁰

158 „თანამედროვე აზრი“, 30.07.1916.

159 PA AA, R 11041, Cosack an Wesendonk, 20.4.1916, ამავე საქმეშია მოთხოვნა სტაგიაზე „Russland. Zum Freiheitskampf der Völker des Kaukasus“, in: Aachener politisches Tageblatt, 28.5.1916.

160 Новое время 7.09.1916.



ვაინბერგის ბანაკის
კომენდატურა

1916 წ. შემოდგომაზე, როცა, როგორც უკვე ითქვა, ბანაკებიდან თითქმის ყველა ქართველი სამუშაოდ იყო გაყვანილი, მათთან პროპაგანდისტული მუშაობა შეწყდა.

1916 წ. ბოლოს, როდესაც გერმანიის სამხედრო სამინისტრო ბანაკებში პროპაგანდისტული მუშაობის სრულ შეწყვეტას ფიქრობდა, ჩრდილო აფრიკელების სოფლის მეურნეობაში ჩაბმის და შუაგულ გერმანიაში თათრების (ტყვეთა რიგებიდან) სოფლის დაარსების ფანტასტიკურ გეგმებს აწყობდა,¹⁶¹ გადანყდა ქართველების გრიუნტალის ბანაკის შენარჩუნება „ქართული მოძრაობისადმი ჩვენი ინტერესის გამოსახატავად.“¹⁶²

1917 წლის ნოემბერში გიორგი მაჩაბელს ისევ გაუჩნდა ქართველების ანტირუსულ გზაზე დაყენების იმედი და 77 ოფიცერს მოუწოდა, ერთ ბანაკში გადაყვანა მოეთხოვათ. საგარეო უწყებას ის კიდევ ერთხელ უმტიკიცებდა ასეთი გზით მათი გერმანული გავლენის ქვეშ მოქცევის შესაძლებლობას.¹⁶³

1918 წ. აგვისტოსათვის „გერმანიის ტყვეობიდან, გარდა 7 კაცისა, თითქმის ყველა აფიცერი დაბრუნდა; ჯარისკაცებიდან კი იქ დარჩენილა ორი ათას კაცამდე.“¹⁶⁴

161 Bihl 1975, გვ.96. განთავისუფლებულ ტყვეებს ცოლ-შვილიც უნდა ჩამოეყვანათ რუსეთიდან, მაგრამ როგორ მოეხდინათ მრავალცილიანიობისთვის, რომელიც პრუსიული კანონებით აკრძალული იყო?

162 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 15, Wesendonk+Hoffmann, 7.12.1916.

163 PA AA, Wk Nr. 11s, Bd. 19, Matschabeli an AA 7.1.1918.

164 „სამხედრო მინისტრთან“ – „საქართველოს რესპუბლიკა“, 21 აგვისტო 1918, № 21, Basilius, Kurzer Bericht über die georgischen Altettaler-Studenten. In: Ettaler Mandl. Jg. 12, Nr.3 (April 1925), 93-99; Jg. 13, Nr.1, 19-22.

მათი უმრავლესობის სამშობლოში დაბრუნება 1919 წელს მოდგომამდე არ მოხერხდა. თუ რა სიძნელეები შეხვდათ გერმანიაში ჩარჩენილ ტყვეებს საქართველოს მთავრობის მიერ დაქირავებულ შვედურ გემ „ქრისტიან ნებე“-თი ჰამბურგიდან ფოთში მგზავრობის დროს, მოგვითხრობს ამ თავგადასავლის მონაწილე ბასილ სადათიერაშვილი.¹⁶⁵ შინ დაბრუნებას, როგორც „გემის კომისიის“ თავმჯდომარე, კონსტანტინე გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

გასაბჭოების შემდეგაც, 1921 წელს, გემის ექიმი დოქტორი ლიუბერტი საქართველოს საელჩოსგან ბერლინში დაგეგმილზე უფრო გრძელვადიანი სამსახურისთვის კუთვნილი ფულის მოთხოვნას განაგრძობდა.¹⁶⁶



კონსტანტინე გამსახურდია

165 Sadathieraschwili 1925. თვითონ სადათიერაშვილი ეგალის ცნობილი კათოლიკური სამონასტრო სკოლის სტუდენტი იყო და სხვა 6 ქართველ კათოლიკე სტუდენტთან ერთად ბრუნდებოდა შინ. მისი ანგარიშით გეშე 1600 ყოფილი ტყვე იყო. გერმანიაში საქართველოს ელჩის, ახმეტელის, წერილის მიხედვით, ექიმ ლიუბერტს, რომელიც გემის ექიმის სამსახურში 1919 წ. 24 ივლისს ჩამდგარა, მოსაუღლები ჰყოლია 2200 სამხედრო ტყვე - BA, AA Nr. 27680 (Intercessionnen), Bl.4.

166 BA, AA Nr. 27680 (Intercessionnen), Bl.4.



2.3. Nachrichtenstelle für den Orient (საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის)

ომის დასაწყისში, 2 აგვისტოს, გერმანიის საგარეო უწყებაში მუშაობას ისევ იწყებს მაქს ფონ ოპენჰაიმი. კიოლნის ბანკირების ოჯახში დაბადებული ოპენჰაიმი არქეოლოგი იყო, დიდი ხანი მუშაობდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის ქაიროში გენერალური საკონსულოს ატაშედ 1896-1910წწ., და აღმოსავლეთის კარგ მცოდნედ ითვლებოდა.¹⁶⁷



მაქს ფონ ოპენჰაიმი

18 აგვისტოს ის გერმანიის რაიხსკანცლერს ურჩევდა აღმოსავლეთში „ინგლისური სიცრუის პროპაგანდის“ საწინააღმდეგოდ შექმნილიყო ორგანიზაცია, რომელიც „ნამდვილ“ ინ-

167 მაქს ფონ ოპენჰაიმის და საინფორმაციო ბიუროს შესახებ: Martin Krüger: Revolution als Programm. Ziele und Realität deutscher Orientpolitik im Ersten Weltkrieg. In: Michalka 1994, S.366-389 და Bihl 1975, 101 და შემდეგ (დ.შ.) და იქ მოთხრობული ლიტერატურა. Max Freiherr von Oppenheim (1860-1946), არქეოლოგი და დიპლომატი (გარკვეული ანგისემიკური წინააღმდეგობის მიუხედავად, დიპლომატი გრაფ ფონ პერცჟელდის პროტექციით, როგორც აღმოსავლეთის კარგად მცოდნემ, საგარეო უწყებაში დაიწყო მუშაობა. დაამთავრა „მინისტერრეზიდენტის“ ჩინით). ოპამდე და ომის შემდეგ ხელმძღვანელობდა ხეიურ ქალაქ გელ პლაფის ვაიხრებს.



შენობა, სადაც მდებარეობდა „ნახრიხტენშტელე“, მაუერშტრასე 45/46. შემდეგში „ნახრიხტენშტელეს“ მისამართი იყო ტაუნციენშტრასე 19ა.

ფორმაციებს თარგმნიდა და გაავრცელებდა აღმოსავლეთის ენებზე.¹⁶⁸ სექტემბერში ოპენჰაიმმა დაიწყო „მთარგმნელობითი ბიუროს“ შექმნა. მან მთელი გერმანიიდან შეკრიბა ორიენტალისტები და აღმოსავლეთის მცოდნეები. ოქტომბერში, თავის გაფუყულ, 136-გვერდიან, საკმაოდ ზერელე, ანალიტიკურად სუსტ „მემორანდუმში ჩვენი მტრების ისლამური ტერიტორიების რევოლუციონირების შესახებ“ მაქს ფონ ოპენჰაიმმა ჩამოაყალიბა გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის სასურველი მიზნები.¹⁶⁹ მართალია, ის მხოლოდ მაჰმადიან ხალხებზე ამახვილებდა ყურადღებას, მაგრამ გერმანიის ქართული პოლიტიკა ამ აღმოსავლური პოლიტიკის ერთი, არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც დეტალი იყო. აღმოსავლური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად ოპენჰაიმის ხელმძღვანელობით შექმნილი „ნახრიხტენშტელე“¹⁷⁰

168 PA AA, Wk Nr. 11, Bd.1, Oppenheim an Zimmermann, 18.8.1914.

169 PA AA, R 20938 (Wk Nr. 11, Bd.2) მარგინ კრიოგერის (ახ.შემოთ) მიერ მემორანდუმის შედგენად დადებით შეუახებებს, ჩემი აზრით, „პოლიტიკური კორექტულობის“ ცუდი სუნი უდის, ან იმაზე მივითითებს, რომ დღეს დასავლეთში აღმოსავლეთის ცოდნა დიდად არ განსხვავდება მაშინდელისგან.

170 Nachrichtenstelle-ს არ თარგმნიდნენ თვითონ ქართული კომიკების წევრები (მაგ.ხსენა,ფ.13,ა.27,წ.5429,გვ. 6). ამიგომ თავს ნებას მივცემ,ეს საკმაოდ ძნელად სათარგმნი სიტყვა შეუ ხშირად უთარგმნელად გამოვიყენო.



ოიგენ მიტკოვ

იქცა. „კანცელარიისა და საქმის წარმოების წესდების“ მიხედვით ეს ორგანიზაცია „არც დაწესებულება იყო და არც კერძო ფირმა,“ არამედ „ქონდა საიდუმლო ურთიერთობა უწყებებთან (საგარეო საქმეთა და გენერალურ შტაბთან) და იმპერიის ამჟამინდელი განსაკუთრებული პირობების შესაბამისად ნახევრადოფიციალური ხასიათი.“¹⁷¹

1918 წ. შედგენილ მოხსენებაში „საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის. 1914-1918 წწ.“ ნათქვამია: „საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის საგარეო უწყების პოლიტიკური განყოფილების ხელშეწყობით შეიქმნა და დღესაც მას ექვემდებარება.... ხელმძღვანელობა ჩაიბარა მაშინ თურქეთში მყოფი ბატონი ბარონ ფონ ოპპენჰაიმის ნაცვლად და შემდეგ საბოლოოდ ბატონმა დრაგომანმა შაბინგერმა,¹⁷² რომელსაც მის მიერ საქმის გაძღოლის პერიოდში „კონსულის“ ნოდება მიენიჭა. 1916 წ. 25 თებერვალს იგი შეცვალა პროფ. დრ. მიტკოვმა.“¹⁷³

171 PA AA, R 1510, Kanzlei- und Geschäfts-Ordnung 15.4.1915 საინტერესოა, რომ უფრო ადრე „ნახრისტენშტელეს“, როგორც ჩანს, არ ქონდა წესდება და ე.ი. სამართლებრივი ჩარჩოები.

172 Karl Emil Schabinger Freiherr von Schowingen (1877-1967). მისი ხელნაწერი 1967 წ. ავტობიოგრაფია არ იძლევა ბევრ ინფორმაციას.

173 PA AA, R 1535, Bericht (von Herbert Müller), August 1918

დრაგომანი აღმოსავლეთის ქვეყნებში, გერმანიისა და ევროპის მოგებით სხვა სახელმწიფოს საელჩოებში მომუშავე თარჯიმანი, მთარგმნელი იყო. სიგევეც არაბული „თარჯუმან“-იდან მოდის.



რუდოლფ ნადოლნი

P. Metternich

პაულ ვოლფ-მეტერნიხი ცურ გრაფტ

ოპუნენჰაიმი 1915 წ. გაზაფხულიდან აყალიბებს სპეციალურ „ნახრიხტენბიუროს“ („ნახრიხტენშტელეს“ ოფისს) თურქეთისათვის. აღმოსავლეთის პოლიტიკის კოორდინატორები საგარეო უწყებაში იყვნენ მისიის მდივანი (Legationssekretär) ოტო ფონ ვეზენდონკი და საგარეო უწყების უნტერშტატსსეკრეტარი (სახელმწიფო მდივნის, რაც დაახლოებით საგარეო საქმეთა მინისტრის ტოლფასია, მოადგილე) არტურ ციმმერმანი; გენერალურ შტაბში კი, პოლიტიკის სექციის შეფი, წინათ დიპლომატიურ სამსახურში მყოფი რუდოლფ ნადოლნი. რევოლუციონირების სტრატეგიას ცხოვრებაში ატარებდნენ გერმანიის წარმომადგენლები ნეიტრალურ უცხოეთში – კოპენჰაგენში (ბროკდორფ-რანცაუ), სტოქჰოლმში (ლუციუს ფონ შტოედტენ), და, რაც მთავარია, ბერნში (რომბერგ) და კონსტანტინოპოლში (ბარონი ჰანს ფ. ვანგენჰაიმი და მისი გარდაცვალების შემდეგ 1915 წ., გრაფი პაულ ვოლფ-მეტერნიხი). 1916 წლიდან ბერნში „ნახრიხტენშტელეს“ მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს შვეიცარელი დრ. მაქს კაუფმანის სახით. ბერნის წარმომადგენლობისთვის მუშაობენ აგენტები – სომეხი ანდონ ვაჰან ბეი კოჩეიანი და თათარი ზია ბეი კუბანიანი. წარ-

ვევი-პელოლოგი პროფ. თიგენ მაგვიხიცი ებრაული წარმოშობის იყო. შეად.: Siegmund Kaznelson (Hrsg.): Juden im deutschen Kulturbereich, Berlin 1962.

მომადგენლობა „ზრუნავდა“ ეგვიპტელ ნაციონალისტებზე
 – მოჰამედ ფარიდ ბეისა და მოჰამედ ფაჰმიზე, რომელიც 400
 ფრანკს იღებდა თვეში.¹⁷⁴

ამისთვის პირდაპირ მითითებას ვილჰელმ II იძლევა: „ჩვენ-
 მა კონსულებმა თურქეთსა და ინდოეთში, აგენტებმა და სხვ.
 მთელს მაჰმადიანურ სამყაროს ველური აჯანყებების ცეცხ-
 ლი უნდა მოსდოს ამ მოძულეებული, მატყუარა, უსინდისო
 მენვერილმანე ხალხის წინააღმდეგ. თუ ჩვენ სისხლისგან უნდა
 დავიცვალოთ, ინგლისმა ინდოეთი მაინც უნდა დაკარგოს.“¹⁷⁵

ზემოხსენებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ „ნახრიხტენ-
 შტელეს“ თანაძალისხმევით შეიქმნა ინდოეთის დამოუკიდებ-
 ლობის კომიტეტი, სპარსული კომიტეტი, რუსეთის მაჰმა-
 დიან სტუდენტთა დახმარების კავშირი, ქართული ეროვნული
 კომიტეტი (ამასობაში, ე.ი. 1918 წ. აგვისტოსათვის დაშლილი)
 და ტუნისის გათავისუფლების კომიტეტი, რომლებთანაც მას
 დღესაც (ანუ მოხსენების დროისთვის) უწყვეტი კონტაქტი
 აქვს.¹⁷⁶ ქართულ კომიტეტთან მიმართებაში მოხსენება არას-
 ნორ ინფორმაციას იძლევა. მართალია, ქართულ კომიტეტს
 ძალიან ახლო და „უწყვეტი კონტაქტი“ ჰქონდა „ნახრიხტენ-
 შტელესთან“, მაგრამ მის მიერ დაარსებულად ვერაფრით
 ჩაითვლება.

ქართული კომიტეტი, მიუხედავად იმისა, რომ „ნახრიხტენ-
 შტელეზე“ მრავალმხრივ იყო დამოკიდებული, თვლიდა, რომ
 „ნახრიხტენშტელე“ „მტრული თვალით უყურებდა ქართულ
 საქმეს... მათი მისწრაფება იყო ჩვენ გავეხადეთ მოხელეები,
 როგორც თვითონ.“¹⁷⁷ არც ქართული კომიტეტის შეფასებაა
 მთლად სამართლიანი: „ნახრიხტენშტელეს“ თანამშრომელთა
 უმრავლესობა სულაც არ იყო მოხელე და არც თვით ორგანი-
 ზაციას ჰქონდა სამოხელეო ბიუროკრატიული სტრუქტურა.
 რეგულარულ სხდომებზე სპეციალისტები – ორიენტალისტები,
 არაბისტები, ინდოლოგები და სხვ., ასევე მისიონრები, ვაჭრები
 თუ საკონსულო მოხელეები და უცხოელი თანამშრომლები,

174 Bihl 1975, გვ. 106 დ.შ. შეიქავს ბევრ სხვ. საინტერესო ინფორმაციას შვილ-
 ნაის შესახებ.

175 Gehrke, გვ. 1, მეწერილმანე ხალხში ინგლისი იგულისხმება.

176 PA AA, R 1535, Bericht (von Herbert Müller), August 1918.

177 სესხა.ფ.13.ა.27,წ. 5429 „მოხსენება ქართული ბეჭდვითი საქმის თაობაზე“,
 გვ. 7 დ.შ. განსაკუთრებით არასახარბიელოდ იხსენებდნენ „ნახრიხტენშტელეს“
 თანამშრომელ კომაკს.



გერმანიის უმაღლესი სამხდრო ხელმძღვანელობა: პაულ ფონ პინდენბურგი, ვილჰელმ II, ერის ლუდენდორფი

უფრო უნივერსიტეტებში მიღებული კოლეგიალური პრინციპებიდან გამომდინარე, ფაქტიურად, თავად წყვეტდნენ, თუ რა ამოცანები იდგა თითოეულის წინაშე. „ნახრიხტენშტელეს“ საკმაოდ მცირე პერსონალს (სულ 59 თანამშრომელი 1918 წ. აგვისტოში)¹⁷⁸ უზარმაზარი ამოცანები ჰქონდა დასახული: 1. პროპაგანდა აღმოსავლეთში, ნეიტრალურ უცხოეთსა და გერმანიის იმპერიაში; 2. პერსონალური კონტაქტები იმპერიაში და ნეიტრალურ ქვეყნებში მყოფ აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებთან; მათი კონტროლი და მათი საქმიანობის გერმანიის ინტერესებისამებრ წარმართვა; 3. გაზეთებისა და პირთა არქივის შექმნა; სახელმწიფო უწყებათა მოთხოვნილი ინფორმაციით მომარაგება; 4. მსოფლიოს პრესაში აღმოსავლეთთან დაკავშირებულ მასალებზე თვალყურის დევნება; 5. აღმოსავლეთის პრესის დაიჯესტის გამოცემა საუწყებო მოხმარებისათვის; 6. რუსულიდან და აღმოსავლეთის ენებიდან დოკუმენტების თარგმნა; 7. აღმოსავლეთთან დაკავშირებული ნაწერებისა და ფირმების ცენზურაში ხელშეწყობა; 8. წერილების ცენზურა;¹⁷⁹ 9. მაჰმადიან, ქართველ და ინდოელ ტყვეთა

178 PAAA, R 1535, Bericht (von Herbert Müller), August 1918.

179 ქართულ კომიგებს თავიანთი კორესპონდენტის გახსნის გამო ხშირად



კაიზერი და მისი გენერლები

კორესპონდენტების კონტროლი; 10. ტყვეთა გონებრივ მოთხოვნებზე ზრუნვა, საკითხავი მასალით მომარაგება, მოხსენებები და სხვ.; 11. გაზეთების გამოცემა მაჰმადიან, ქართულ და ინდოელ ტყვეთათვის.¹⁸⁰

ამ საქმიანობის სანარმოებლად „ნახრიხტენშტელეს“ საგარეო საქმეთა უწყება პროპაგანდისათვის გამოყოფილი ფონდიდან აფინასებდა. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ 1916 და 1917 წწ. „ნახრიხტენშტელემ“ 300000 - 300000 მარკა მიიღო.¹⁸¹


ქართულ კომიტეტს, როგორც ჩანს, ამ ორგანიზაციის დაფინანსების წყაროებზე სწორი წარმოდგენა არ ჰქონდა, რადგანაც 1917 წ. 9 ოქტომბრის „მოხსენება ქართული ბეჭდვითი სიტყვის თაობაზე“ ასე იწყება: „თითქმის ომის დასაწყისშივე დაარსდა ქ. ბერლინში ეგრეთწოდებული „Nachrichtenstelle für den Orient“ კერძო პირის, ბარონ ოპენჰაიმის ფულით, მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს სრულ განკარგულებაში.“¹⁸²

უძლეოდა ხოლმე გაპროგნოზება. მაგ: „მოწყალები ხელმწიფე ბნ ბარონი, - ევლადფერი ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ ენევის საკონსულტაციო ბოლის საელჩო, პირადად თქვენ და აგრეთვე ბნი შაბინგერი დაგეპირდით ჩენი კომიტეტის კორესპონდენტის ხელმუხებლობას.“ - სხვა.ფ.13.ა.27.ს.5439, გვ.ეგენდონ.ს.29.1(?).1916.

180 PA AA, R 1535, Bericht (von Herbert Müller), August 1918.

181 Bihl 1975, S.102.

182 სხვა.ფ.13.ა.27.წ. 5429 „მოხსენება ქართული ბეჭდვითი საქმის თაობაზე“ გვ.



ავსტრო-უნგრეთის იმპერატორი
ფრანც იოზეფ I.
ლუდვიგ კოხის ნახატი. 1915 წ.

გერმანიაში „ნახრიხტენშტელეს“ გამოცემათა შორის უმნიშვნელოვანესია „კორესპონდენცბლატ“, რომელიც 1915-1917 წლებში მზარდი ტირაჟით გამოდიოდა და მისი გაგრძელება ჟურნალი „ნოიეორიენტი“¹⁸³. აქმონოდებულ მაღალკვალიფიციურ ინფორმაციას მთელი გერმანული და თანდათან ნეიტრალური ქვეყნების პრესაც ეყრდნობოდა და დღესაც კი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს პირველი მსოფლიო ომის დროინდელი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის შესასწავლად.

„ნახრიხტენშტელე“ ატარებდა საღამოებს ფართო პუბლიკისათვის. მესამე მოხსენებათა საღამოზე (16.12.1915), მაგალითად, ქართველები – მაჩაბელი და ნერეთელი საუბრობდნენ. ეს მოხსენებები პატარა რვეულის სახითაცაა გამოცემული, ყდაზე კავკასიის სქემატური რუკით.¹⁸⁴

1914 წ. ოქტომბრიდან 1918 წ. აგვისტომდე „ნახრიხტენ-

183 „Korrespondenzblatt der Nachrichtenstelle für den Orient“ (30.04.1915 - 31.03.1917) და „Der Neue Orient. Halbmonatsschrift für das politische, wirtschaftliche und geistige Leben im gesamten Osten“. ეს ჟურნალი 1943 წლამდე გამოდიოდა, მაგრამ 20-იანი წლების დასაწყისიდან მისი გაყენება და შეზღუდვა ხარისხივ დაეცა. ამ პერიოდში ჟურნალის ჯერ თანაგამომცემელი და რედაქტორი, ბოლოს კი ერთადერთი გამომცემელი იყო დაჟიი (დათიკო) ღამბაშიძე.

184 N.f.d.O, Dritter Vortragsabend, Fürst Georg Matschabeli: Einführung in das Kaukasische Problem, Michael von Tseretheli: Völker und Kultur des Kaukasus. (Berlin 1915), Als Manuskript gedruckt. Im Buchhandel nicht erhältlich.



ნიკოლოზ II.
 ბორის კუსტოდიევის
 ნახატი. 1915 წ.

შტელემ“ 1012 დასახელების პუბლიკაცია (ნიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები, პროკლამაციები, ფილმები და სხვ.) 9 ევროპულ და 15 აღმოსავლურ ენაზე 3 მილიონზე მეტი საერთო ტირაჟით გამოაქვეყნა და გაავრცელა.¹⁸⁵

„ნახრიხტენშტელეს“ დახმარებით გამოცემული ერთ-ერთი პირველი ნიგნი იყო „საქართველო და მსოფლიო ომი“ (მოგვიანებით, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე),¹⁸⁶ ეჭვების გასაქარწყლებლად 1915 წ. ნეიტრალურ ციურისში დასტამბული. ამ ნიგნის გერმანულ, ნეიტრალურ და მოკავშირე ქვეყნების პრესაში სათანადო გამოხმაურებისთვისაც „ნახრიხტენშტელე“ ზრუნავდა.¹⁸⁷ ავტორის სახელის ნაცვლად სამი ვარსკვლავია დასმული, რაც მიხეილ წერეთელზე მიუთითებს.¹⁸⁸ თურქულმა ცენზურამ,

185 PA AA, R 1535, Bericht (von Herbert Müller), August 1918.

186 „Georgie et la Guerre actuelle“, „Georgia and the War“ (1916) bzw. „Georgien und der Weltkrieg“ Orient-Verlag Zürich (o.J), თითოეულ ენაზე 10000 ეგზემპლარი, თანდართული რუკა 30000 ცალი – PA AA, 1514, Cosack 13.11.1915, გერმანიაში – ვაიმარსა და პოგლდამში, არსებობს ამ წიგნის სხვა გამოცემებიც, როგორც კერძო პირის დაბეჭდილი (Privatdruck).

187 PA AA, R 1511, 14.10.1915.

188 ბილის (1975, გვ. 295) ეჭვი, რომ შეიძლება ავტორი წერეთელი კი არა, ღვეის გრინი იყოს, უსაფუძვლოა, რადგან სამკუთხად დაწყობილი სამი ვარსკვლავით წერეთელი სხვაგანაც აღნიშნავს თავის ავტორობას. ვარდა ამისა, ტექსტიდან ჩანს, რომ ავტორი ქართველია. კუმბოლდტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება ამ წიგნის ეგზემპლარი წერეთლის მიძღვნილ.

რომელიც გერმანულ პროპაგანდას ეჭვის თვალით უყურებდა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხებოდა არაბთა, თათართა, სპარსთა და ქართველთა ინტერესებს, ამ ბროშურის გავრცელება ოსმალეთში 1916 წ. ივლისში აკრძალა.¹⁸⁹

მისივე „პოლონეთის გათავისუფლება“ იმდენად პროპოლონური და, საერთოდ, ერთა თვითგამორკვევის იდეით გაუღენთილი აღმოჩნდა, რომ გერმანულმა უწყებებმა წიგნი დაინუნეს, „პროპაგანდისტული მიზნებისათვის ვერ გამოდგება“-ო.¹⁹⁰ უარესი ბედი ეწია „კავკასიელის“ (კონსტანტინე გამსახურდიას ფსევდონიმი) ბროშურას „კავკასია მსოფლიო ომში“, რომელსაც „ნახრიხტენშტელეს“ თანამშრომელმა კოზაკმა „ნახევარცოდნა, უცოდინრობა და ამპარტავნება“¹⁹¹ დასწამა და მიმოქცევიდან ამოიღო.¹⁹² ნახრიხტენშტელეს ხელშეწყობით 1917 წ. აგვისტოში ბერლინში გერმანულ ენაზე გამოიცა ნერეთლის „საქართველოს უფლებები“, სოლომონ ვადაკურის „ქართული ენის თვითმასწავლებელი“, რომელიც ქართველ ტყვეთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა და 1917 წ. და 1918 წ. აპრილსა და ივნისში პეტრე სურგულაძის სამი ბროშურა, სტამბოლში, კათოლიკე ქართველთა სავანის „საბეჭდავში“, ქართულ ენაზე დაბეჭდილი – „საქართველო თავისუფლების გზაზე“, „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო“ და „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა“.¹⁹³

მიუხედავად იმისა, რომ „ნახრიხტენშტელე“ ხელს უწყობდა თავისი დაფინანსებული პუბლიკაციების პრესაში გახმაურე-

189 PA AA, R 1524, Legationssekretär von Scharfenberg an N.f.d.O, 28.7.1916.

190 BA, 09.01 AA, Zenrallstelle für Auslandsdienst 265, Bl.2, 26.07.1917, ამ ბროშურის შესახებ: დავით ჯიჭაძე, მხაკო წერეთლის „პოლონეთის განთავისუფლება და ეროვნულობის პრინციპი ოთხთა კემპრსა და ანტანგასთან“, მნათობი, № 7/8, 2000, გვ. 77 – 92.

191 PA AA, R 1524, Cosack, 10.8.1916 როგორც ჩანს, ეს ბროშურა არ იყო „ნახრიხტენშტელეს“ დაკვეთილი, თორემ სგამბამდეც ვერ მიაღწევდა. K.Kaukasielli. Der Kaukasus im Weltkrieg. Weimar 1916 წ. გამოიცა ცნობილ კოპენჰაგენის გამომცემლობაში, Deutsche Orient-Bücherei-ს სერისით, რომლის გამომცემელი იყო ვილჰელმ II დაახლოებული გამოცემილი ორიენტალისტი ერნსტ იეკი (Jäckh).

192 PA AA, R 1524, Wesendonk, 30.11.1916.

193 PA AA, R 1532 u. R 1535, პ. სურგულაძის ბროშურებს აქვს წარწერა „ქართველთა ეროვნულ-კომიგვების გამოცემა“. ბოლო ორი ნაწარმოები ხელახლა გამოქვეყნდა თბილისში 1989 წ. გამოცემულ წიგნში – ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი: ისტორიული რარიტეტები.

ბასა და რეკლამირებას, თვითონ ემიგრანტებისათვის, ყოველ შემთხვევაში, ქართველებისთვის, ადვილი არ იყო გერმანულ პრესასთან თანამშრომლობა. ამიტომაც აღნიშნავდა ეიფორიულად „ქართული გაზეთი“ 1918 წ. 30 მაისს, რომ ბერლინის ერთ-ერთმა დიდმა გაზეთმა პირველად დაბეჭდა ჩვენი თანამემამულის – მაჩაბლის სტატიას.¹⁹⁴

1918 წ. 27 მაისს მისიის მდივანმა ფონ გრუნდპერმა ჩაინიშნა: „ქართული საპროპაგანდო ლიტერატურისათვის და პუბლიკაციებისთვის თვიურად ს. ბ. ა.-ს მიერ გამოყოფილია ფონდი 3000 მარკის ოდენობით, რომელიც მისიის სალაროდან გაიცემა.“¹⁹⁵

1918 წ. ივნისში კავკასიაში (თბილისში) გერმანიის დელეგაციასთან შეიქმნა „ნახრიბტენშტელე“.¹⁹⁶

ნოემბრის რევოლუციის შემდეგ „ნახრიბტენშტელე“ „გერმანულ აღმოსავლეთის ინსტიტუტად“ გადაკეთდა და დღემდე არსებობს.



ოსმალეთის სულთნები. 1914წ.

194 იგულისხმებოდა სტატია „Transkaukasische Republik“, in: Berliner Tageblatt, 15.05.1918. რახაკვირველია, ქართველებს მანამდეც კქონდათ გამოქვეყნებული ერთი-ორი სტატია, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გამოქვეყნებებში, თუნდაც მანამდე „Die Zukunft Georgiens“, in: „Neue Zeit“, Nr.27/20.05.1917.

195 PA AA, R 1535, Notiz v. Grundherr 27.5.1918.

196 PA AA, R 1535, Bericht v. H. Müller, August 1918; მისი მუშაობის შესახებ სხვა არანაირი ცნობა არ მოგვეპოვება.

2.4. ქართული ბეჭდვითი სიგევა გერმანიაში

2.4.1. „ელ ჯიხად“ – „კავკასია“

„ნახრიხტენშტელე“ მოწოდებებს, პროკლამაციებს და სხვა პროპაგანდისტულ ტექსტებს უამრავ ენაზე ბეჭდავდა, მათ შორის ისეთ, ერთი შეხედვით ომის მიზნებისათვის არასაჭირო ენაზე, როგორცაა ამჰარული (ეთიოპიელთათვის), ან იშვიათ ენებზეც, როგორც გურმუქი (გურქალი, ნეპალური – გურქებისათვის, რომლებიც ბრიტანეთის არმიაში მსახურობდნენ). სპეციალურად ტყვეთა ბანაკებისთვის იბეჭდებოდა ომის ამბები, ომის ქრონიკა და ბროშურები ომის შესახებ.¹⁹⁷

1915 წ. 5 მარტს „ნახრიხტენშტელემ“ ერთდროულად დაიწყო ტყვეთა გაზეთის გამოცემა ჰინდის, ურდუს, არაბულ, „თურქთათურულ“, რუსულ და ქართულ ენებზე.¹⁹⁸ მას შემდეგ, რაც გაზეთების საერთო ტირაჟი შეკვეცეს 1915 წ. ოქტომბერში, გამოდიოდა 1000 არაბული, 700 ურდუ, 700 ჰინდი, 3500 თათრული, 1000 რუსული და 1300 ქართული ეგზემპლარი (აქედან 800 ცოსენ-ვაინბერგეში იგზავნებოდა),¹⁹⁹ რაც ქართველ ტყვეთა რაოდენობასთან და სხვა ენებთან შედარებით საკმაოდ მაღალი ციფრია.

გაზეთი ინფორმაციას იძლეოდა გერმანიის ძლიერების, ომში მისი წარმატებების შესახებ. ეს სტატიები გერმანულიდან ითარგმნებოდა. ყველა ნომერში იყო კიდევ ერთი ორიგინალური, მხოლოდ ამ ენაზე გამოცემისთვის დაწერილი სტატია. არც ერთი სტატია ხელმოწერილი არ იყო. უკვე 1920 წ. ნუხდნენ იმაზე, რომ „არანაირ მითითებას, თუ ვის ხელში იყო რედაქციის ხელმძღვანელობა და ვინ იყვნენ თანამშრომლები, გაზეთი არ შეიცავს.“²⁰⁰ გაზეთს მაჰმადიანთათვის „ელ ჯიხად“ ერქვა, ქართველთათვის „კავკასია“. გაზეთი ხელნაწერი იყო, „ფოტოლითოგრაფიულად ბერლინში მზადდებოდა და ტყვეთა შორის უფასოდ რიგდებოდა.“²⁰¹ გაზეთი სამ სვეტად გაყოფილ

197 PA AA, R 1510 - R 1515.

198 ბაქრაძე, 29.03.1991; Bakradse, Exilperiodika (1996).

199 PA AA, R 1512, An die Reichsdruckerei, 3.10.1915.

200 Stefan Wangert, Die Zeitungen der orientalischen und kaukasischen Kriegsgefangenen in Deutschland. In: Der neue Orient, Bd. 7, Nr.5/6 (6.09.1920), S. 220-221.

201 აქვე-გვ. 221.



ელ ჯიზადი – რუსულენოვანი გამოცემა რუსეთის მუსულმანთათვის
 ჰინდოსტანი – ურდუზე და ჰინდუზე

ფოლიოს ზომის 2 ან 4 გვერდს მოიცავდა. ზოგიერთ ნომერში ილუსტრაციებიცაა, მაგ.: „ცეპელინის ჰაერის ხომალდი“ (№25), „წყალქვეშა ნავი“ (№27), „42-სანტიმეტრიანი ზარბაზნები“ (№ 48).

ქართულენოვან გაზეთს შოთა რუსთაველის სიტყვები ამშვენებდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. პირველ ნომერში, პირველ გვერდზე ახსნილი იყო „მიზანი გაზეთისა: სალამს გიძღვნით ჩვენს ხელში ჩავარდნილ ტყვეთა. ჩვენ ვიცით რომ ჩვენი მონინაალმდეგენი არა ხართ. თქვენ ძალით აგაღებინესთ ხელში იარაღი ჩვენ წინააღმდეგ თქვენმა და ჩვენმა მტრებმა – რუსებმა, ინგლისელებმა და ფრანგებმა. ამიტომ არა გვსურს მტრებივით მოგეპყრათ. სტუმრებადა გთვლით და დავამტკიცებთ კიდეც საქმით ჩვენს სტუმართ მოყვარეობას...

მართლაც, რუსეთსა და მის მოკავშირეებს, საფრანგეთსა და ინგლისს – ეშინიათ სიმართლისა. სიცრუის ბადეში გახვიეს მთელი ქვეყანა, შეურაცხვეს დიდებული სახელი გერმანიის ერისა, რომელსაც სურს გაანთავისუფლოს ყველა ერები აღმოსავლეთისა....

გაზეთის რედაქცია კიდეც იმეორებს, რომ იგი ემსახურება ომის მიზეზთა და მისი დღევანდელი მიმდინარეობის შესახებ ნამდვილ ცნობათა გავრცელების საქმეს²⁰² და ა.შ. და ა.შ.

გაზეთში რეგულარულად იბეჭდებოდა ანტირუსული სტატიები, მაგ.: „რა არის რუსეთი?“ (№3, 4, 5); „რუსის ხალხი ის

202 kavkasia (Kaukasien - Zeitung für die grusinischen Kriegsgefangenen). ბერლინი, 5 მარტი 1915 (№ 1).



მისანი ვაჭეთისა.

საქონს ვაჭეთისა ზეჲს ზეჲთ
მართო ყვეთი. ზეჲ ვაჭეთი ზაჲ
ს ზეჲთ პირინციპალური ანაზის
ქ ბოლითი ვაჭეთის ზეჲთი ანაზის
ს წინადაჭვე იქნეს და ზეჲთა

მანათილეს ვაჭეთი თაჲს მან
ზისაჲჲ, ზეჲთი რ ზაჲ ვაჭეთ
ზეჲს, სივრცელის და ანაზის - ეზო
- ისი სანაზისა. სივრცელს მართო
ვაჭეთს ზეჲს ზეჲთი. ვაჭეთისა
მზა სივრცელს ვაჭეთისა ეზოს, მანათი
სივრცელს ვაჭეთისა ზეჲს ვაჭეთისა
სივრცელს ვაჭეთისა ზეჲს ვაჭეთისა

და სხვა პირთა ვაჭეთისა ზეჲთი
ვაჭეთისა, სხვა ვაჭეთისა ზეჲთი
კი ზაჲ ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა
ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა ზეჲთისა
ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა ზეჲთისა
ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა ზეჲთისა
ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა ზეჲთისა
ვაჭეთისა ზეჲთისა ზეჲთისა ზეჲთისა

ვაჭეთი ქართველ ტყვეთათვის - კავკასია

ხალხია, რომელსაც მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არა-
ვითარი დიდი შემოქმედებითი ნიჭი არ გამოუჩენია (№3). ან
მთელი ციკლი სტატიებისა „რუსეთის ბატონობა საქართველო-
ში“ (№6, 7, 10, 12, 13, 14).

სპეციალურად მხოლოდ ქართულენოვანი ვაჭეთისათ-
ვის დანერგილი სტატიების გამჭოლი იდეაა, რომ საქართვე-
ლო კარგს არაფერს უნდა ელოდეს რუსეთისაგან (მაგ.: №13)
და რომ გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობითა და
ნეიტრალიტეტით დაინტერესებულია (№22). პროპაგანდისათ-
ვის იყენებდნენ ქართველთა შორის გავრცელებულ აზრებს და
ცდილობდნენ არსებულ ცრურწმენათა კიდევ უფრო გამყარებას,
რომ რუსი ლოთია, სასტიკი, თავისუფლების მოძულე და მსგავსი.

მოგვიანებით, ერთ-ერთ წერილში გიორგი კერესელიძე უხს-
ნის პეტრე სურგულაძეს ამ პოლიტიკას: „შენ ინერები ეცადეთ
მეტი პრინციპიალური წერილები იბეჭდებოდესო. მე არ გე-
თანხმები, და აი რატომ. აქ ჩვენი ტყვეები სხვა და სხვა ფეროვან-
ია. მოისურვებ თუ არა ამკარად გაიყვანო რაიმე განსაზღვრული
პროგრამა, იმსაადში მონინაალმდეგენი ამხედრდებიან, დასცხე-
ბენ აგიტაციას და წაგიხდენენ საქმეს. მე ვგონებ რომ უკეთესია
ისევ ჩვენი ვაჭეთი ემსახურებოდეს იმას რომ ეროვნული შეგნება



სოლომონ ვადაკური
 (ვადაჭკორია)

რაც შეიძლება მეტი შეიტანოს, რომ რაც შეიძლება მეტად შევაძლოთ რუსი ჩვენს ხალხს. ეს უმთავრესია. და ეს ცოტად მაინც თუ შეასრულა ჩვენმა გაზეთმა, საკმარისია. და სწორედ ამ გზაზე მიმყავს ჩვენი გაზეთი.²⁰³

სხვათა შორის, გიორგი კერესელიძის ამ ანტირუსულ ხაზს აკრიტიკებდნენ კომიტეტის სხვა წევრები ან კომიტეტთან დაახლოებული პირები. მაგ.: ასოთამწყობი სოლომონ ვადაკური კომიტეტის კრებაზე 1918 წ. 13 თებერვალს ამბობდა: „ჩაუფიქრდით ტყვეების წერილებს. რას ვხედავთ? შოვინ. რუსების ლანძღვას, იმას რასაც გოგია სწერს თუთიყუშით ვიმეორებთ. არ არის მართალი, რომ ყოველი ჩვენი უბედურება რუსებისგან არის. ჩვენ ჩვენ ნაკლზე უნდა მივუთითოთ. უნდა დავინახოთ ჩვენი ნაკლი.“²⁰⁴

მაგრამ ქართველების ღრმა რწმენა რუსეთის სიძლიერისა და დაუმარცხებლობისა არც ისე ადვილი შესარყევი იყო. პროპაგანდას შედეგი არ მოჰქონდა. კონსული შაბინგერი 1915 წ. 30 ოქტომბერს ვეზენდონკს მოახსენებდა: „კერესელიძე შენევას მიემგზავრება, სჭირდება სამგზავრო ფული - 150 მარკა. ოჯახი შენევასში ჰყავს. ამავდროულად მან (ისევე როგორც ამ დღეებში ბატონმა წერეთელმა) გვამცნო, რომ ქართველი ტყვეები საჭი-

203 სსცხა, ფ.13, ა.27, ს. 5439, გვ.11; კერესელიძე სურგულაძეს, 11 ივლისი 1916 წ.
 204 სსცხა, ფ.13, ა.27, ს. 5432, გვ.19ა; საერთოდ კერესელიძეს ხშირად აკრიტიკებდნენ, მაგრამ სხვა არავინ იყო, ვინც ამხელა სამუშაოს იკვირებოდა. 1917 წ. ივლისში კერესელიძემ უარი თქვა გამეთოს რედაქტორობაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ხევწნა-მუღარით უკან დააბრუნეს.



გიორგი კერესელიძე

რო ყურადღებით არ ეკიდებიან ტყვეთა გაზეთს და ეს იმიტომ, რომ ის „ხელითა“ დაწერილიო. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, რომ გამოცემა ქართველთათვის დაიბეჭდოს. მათი კომიტეტი უნუ ვაში ფლობს ერთ პატარა სტამბას, რომლის გადმოტანაც უნდათ ბერლინში და რომელიმე სტამბაში მისი დადგმა. ესე იგი მხოლოდ ტრანსპორტისა და ადგილის ქირაზე იქნება საუბარი ასეთ შემთხვევაში. ერთ-ერთი ახლახან აქ ჩამოსული ქართველი აგიტატორი ასოთამწყობი ყოფილა.²⁰⁵

„დაახლოებით ივნისიდან 1915 წლისა გადასანერად გაზეთისა გიორგი კერესელიძე მიიწვიეს“ - ვიგებთ „მოხსენებიდან ქართველთა ბეჭდვითი საქმის თაობაზე“.²⁰⁶ მოხსენებას უნდა ვუმადლოდეთ ბევრ, სხვა წყაროში არდაცულ ცნობას: „ყველა ამ გაზეთებისათვის ადგენდა „Nachrichtenstelle für den Orient“ ერთსა და იმავე შინაარსის მასალას. მხოლოდ ერთი წერილის დაწერის უფლება ჰქონდა იმ პირს, რომელიც მოვალე იყო ეს გაზეთი ეთარგმნა ამ თუ იმ ენაზედ. ეს წერილიც იყო არა მარტო ცენზორის კონტროლის ქვეშ, არამედ ნახრიბტენშტელეს რედაქციას ემორჩილებოდა.

205 PA AA, R 1512, Schabinger an Wesendonk, 30.10.1915.

206 სსსბა, ფ.13, ა.27, წ. 5429, მოხსენება, 9.10.1917, გვ. 6-17.



მიხეილ წერეთელი

ამ გაზეთის ქართულ ენაზე თარგმნის საქმეს აწარმოებდა მიხეილ წერეთელი.²⁰⁷

წერეთელი ქართველ ტყვეთა მონახულების დროს როგორც „ზეპირი“ პროპაგანდისტის, ისე გაზეთისათვის საჭირო ხალხსაც ეძებდა. შანდაუსთან ახლოს ოსტრაუში ის რაფიელ ნიჟარაძესა და ალექსი ანჯაფარიძეს შეხვედრია. ისინი სრულიად ახალგაზრდა სტუდენტები ყოფილან და პროპაგანდისტებად ვერ გამოდგებიანო, მაგრამ რადგანაც სრულიად სანდონი არიან, იქნებ ნება დაერთოთ ბერლინის სავაჭრო უმაღლესში მსმენელებად დაუშვან. ისინი არდადეგებზე გერმანიის დასათვალიერებლად ჩამოსულან, ომი დანყებულა და ასე მოხვედრილან ტყვეობაში. დრეზდენის პოლიტექნიკუმში ბოლო გამოცდის ჩაბარების უფლებას ითხოვდა მათთან ერთად მცხოვრები იოანე ბეგოვეცი,

207 იქვე, გვ. მაგრამ ვინ იყო პირველი ნომრის მთარგმნელი (საკმაოდ შდარე და მოძველებული ქართულით) და ვადაშწერი – უცნობია. ამ დროს წერეთელი ბერლინში არ იმყოფებოდა (შეად.: PA AA, R 21012, Tseretheli, 3.04.1915). ის შესაძლო ნომრიდან იწყებს, როგორც ჩანს, თანამშრომლობას.



ალექსანდრე სვანიძე

რომელიც სომეხი კი არა, ქართველი კათოლიკეა. ომის დასაწყისში სომეხ მეგობარს მისთვის ურჩევია, თავი სომხად გაესაღებინა და ბერლინის გერმანულ-სომხური საზოგადოებისთვის მიემართა დახმარებისთვის, რომლისგანაც მას პასუხი არასდროს მიუღია. წერეთლის აზრით, მათი საქმისათვის ყველაზე გამოსადეგი იქნებოდა მისი ძველი მეგობარი, შალეში მცხოვრები ალექსანდრე სვანიძე, თუ კი ის თანხმობას განაცხადებდა. წერეთლის მოხსენებაზე ხელით მიწერილია (შეიძლება ვეზენდონკის მიერ): „თავის დროზე თანამშრომლობაზე უარი თქვა...“²⁰⁸

მართლაც, მეგობრობის მიუხედავად, სვანიძეს ქართულ კომიტეტთან არ უთანამშრომლია. მეორე სოციალ-დემოკრატი, რომელიც მრწამსის მიუხედავად დიდი ხანი ერთგულად მუშაობდა გერმანიაში ქართული საქმისთვის, იყო სოლომონ ვადაკური (ვადაჭკორია), ზემოთ ნახსენები ასოთამწყობი.²⁰⁹

208 PA AA, R 21011, Tseretheli, 31.03.1915.

209 სოციალ-დემოკრატებს შორისაც იყვნენ ქართული საქმისა და ქართული კომიტეტის გულშემატკივრები. ქართული კომიტეტის ხელშეწყობით, 31.12.1917 წ. ვადაკურმა თქვა: „სტამბოლში ორი – ეული მოელენა იყო ქართველთა შორის: ჩვენი სოციალისტები და კათოლიკობა, რომელნიც ვადაკურებს გვი-



1916 წ. თებერვალში შეწყდა „კავკასიის“ გამოცემა²¹⁰, რომლის სახელიც კი არ მოსწონდა ქართულ კომიტეტს.²¹¹ ტყვეებისათვის განკუთვნილი საერთო გაზეთი („ელ ჯიხადი“) ხუთენაზე გამოსვლას განაგრძობდა. 1916 წ. დეკემბრში რუსულენოვანი გაზეთის გამოცემა შეწყდა²¹².

ახალი გაზეთი, რომელსაც დღევანდელი გაგებით უფრო ყურნალის ფორმა ჰქონდა, თავს არ თვლიდა „კავკასიის“ მემკვიდრედ და უბრალოდ „ქართული გაზეთი“ ერქვა.

ქართული გაზეთი

№ 1.

სამუშაოთი, 20 მაისი 1916 წ.



№ 1.

ადრეაქციონისადაც.

სამატიონო სანაწი.

(სახ. ფურს. № 356).

წელი წამოსდგენია, რომ ეს შრომა იმი, რომელსაც ვეუბრებო მშვენილი შეწონა, ვათქვამ ამ სკოლების გადარწმუნებულად, რომლებსაც ამ იმის წინააღმდეგ ვაძლავთ კიდევ ერთი ამ სკოლების წამოღება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს თუ ამ კომისიის ვეუბრებო სხვა დანამატებს. ამიტომ, როგორც სწავლა, იმი კიდევ კარგი ხარა ვაძლავთ.

1914 წლის 15 მაისს შესულა ქ. შ. წიკ. გ. საზოგადოების არსებობის 25 წლის თავი. ამ მიზეზით იმართა ამ საზოგადოების.

1878 წელს, 20 იანვარს, დიმიტრი კვიციანი, მესამედი ლოლბუხი და ილია ქუციანი ამ საზოგადოების წევრები იყვნენ მთავარმართებლის წინააღმდეგ იმართებო.

მწელი სამუშაოს მოწყობილი და ესეი კვეთაში მიმ.

2.4.2. „ქართული გაზეთი“

„ქართული გაზეთი“ თავისი არსებობის წლისთავზე წერდა: „ეს პირველი ქართული გაზეთია ევროპაში, რომელსაც ევროპაშივე ჰყავს ათასობით ქართველი მკითხველი.“

ქადა. კათოლიკური და სოციალისტური უარყოფა ეროვნებისა... როდესაც შევიტყვეთ ეროვნული კომიტეტის არსებობა, ვაგვიხარდა. მე და ვახო გორდელაძე ვამბობდით, რომ საჭიროა მათი მუშაობა ... ბნ მანამდღეს მონაპარაკებაც ვეჭონდა და დავეთანხმება გვევებში მუშაობას.“ - სსესა, ფ.13, ა.27, წ. 5430, გვ.13.

210 ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ბოლო ნომერია № 28/14.02.1916.

211 სსესა.ფ.13,ა.27,წ. 5429, მოხსენება, გვ. 7.

212 ლაპარაკია რუსეთის მაჰმადიანთათვის „ნახობტენშტელეს“ მიერ გამოცემულ გაზეთზე, თორემ თვით რუსი გვევებისათვის გაზეთი მანამდღეც და ამის შემდეგაც იბეჭდებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ სხვათა შორის, რომ პირველ გაზეთშიც ქართულ ენაზე სახელად ჰქონდა „ქართული გაზეთი“. როდესაც ჩვენს გაზეთს ვურჩევდით სახელს, ეს არც კი გვახსოვდა...

ჩვენი გაზეთის მიზანი კი სხვანაირია. „ქართულ გაზეთს“ კითხულობენ ათასობით ქართველნი, დაშორებულნი თავიანთ საყვარელ სამშობლოს, მონყვეტილნი მის ცხოვრებას. ამიტომ „ქართული გაზეთი“ ცდილობდა მიეწოდებინა მკითხველისათვის ცნობები ჩვენი ეროვნული ცხოვრებიდან, გაეცნო ჩვენი პრესის მიმართულება და ჩვენი ერის მისწრაფებანი.

სულ სხვა პირობებში უხდება „ქართულ გაზეთს“ მუშაობა. გამოცხადდა საკაცობრიო ომი და მან შესცვალა თითქმის ყველა ჯგუფის, ყველა პარტიის ტაქტიკა მოქმედებისა, შესცვალა მათი შეხედულება, წარმოშვა ახალი იმედები, გადაშალა ახალი პერსპექტივები.

ყოველი ერის წიაღში კლასიურმა ბრძოლამ დაუთმო, დროებით მაინც, ადგილი ეროვნების დაცვისთვის ბრძოლას. კიდევ მეტი. ერების გათავისუფლება, პატარა ერების ბედნიერებისათვის ბრძოლა შეიქმნა მებრძოლ დიდ სახელმწიფოებისათვის აუცილებელ დეკორაციად.²¹³

1915 წ. შემოდგომაზე გერმანელებისთვისაც ცხადი გახდა „კავკასიის“ უძღურება, გარდა ამისა, ფინანსურ მხარესაც ექცეოდა ყურადღება. 6 ნოემბერს შაბინგერი წერდა ვეზენდონკს: „იმ შემთხვევაში, თუ ქართული გაზეთი დაიბეჭდება, მისი დამზადება ბევრად უფრო იაფი იქნება და თანაც ერთიორად. ახლა თუ 2-3000 ეგზემპლარი დაახლოებით 80 მარკა გვიჯდება, ბეჭდვით გამრავლების შემთხვევაში ფასი სულ 44 მარკალა იქნება. ... სტამბის ჩამოტანას რეკომენდაციას ვუწევ.“²¹⁴


მეორე დღესვე ეცნობა ბერნის წარმომადგენლობას: „ჟენევის გენერალური საკონსულოსთვის. გთხოვთ, მანდეთ გამომგზავრებულ კერესელიძეს აცნობოთ, რომ ქართული სტამბის ჩამოტანაზე ბერლინი დასტურს იძლევა.“²¹⁵

გიორგი კერესელიძემ, რომელიც გაზეთის რედაქტორი გახდა (მისი სახელი, როგორც რედაქტორისა, გაზეთზე მხოლოდ 1917 წ. 23 დეკემბრიდან ჩნდება), წინანდელი „თავისუფალი საქართველოს“ სტამბა და ასოები ჟენევიდან ჩამოიტანა. გერმანელებმა გაზეთის რედაქცია ქართველებს სრულად გადასცეს, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ ნომერს არ აკონტროლებდნენ. „ზოგჯერ

213 ქართული გაზეთი, №25 / კვირა, 1.04.1917.

214 PA AA, R 1513, Schabinger an Wesendonk, 6.10.1915.

215 PA AA, R 1513, an Gesandtschaft Bern, 7.10.1915.



Eine internationale Ausstellung der Tageszeitungen.

ყოველდღიური
გაზეთების
საერთაშორისო
სტატისტიკა

მარტო რედაქტორი წერდა გაზეთს და ცენზურისათვის თვითონვე სთარგმნიდა რუსულად", რადგან წერეთელს სხვა საქმეები ჰქონდა და მაჩაბელი ხშირად არ იყო ბერლინში.²¹⁶

გერმანელები სხვა მხრივაც ცდილობდნენ ქართველებზე გავლენის მოხდენას. ჯერ კიდევ გაზეთის პირველ საცენზურო გამზადებულ ნომერზე ვეზენდონკს ჩაუნიშნავს: „ტყვეთა გაზეთში ... არ შეიძლება სომხების წინააღმდეგ აგიტაცია. ... მტრობა სომხების მიმართ სწორედ რომ ძლიერი ჩანს და არაა საჭირო კიდევ უფრო ხელის შეწყობა.“²¹⁷

გაზეთის პირველ ნომერს, 1916 წ. 28 მარტს, ხსნის წერილი „რედაქციისაგან“: „ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს მსოფლიო ომი, რომელსაც უკვე აუარებელი მსხვერპლი შეეწირა, გათავდეს იმ საკითხების გადაუწყვეტელად, რომლებიც ამ ომმა წამოაყენა. გადაჭრითი გადაწყვეტა კი ამ საკითხებისა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამა თუ იმ კავშირთა ჯგუფი საბოლოოდ დამარცხდება. ამიტომ, როგორც სჩანს, ომი კიდევ კარგა ხანს გასტანს.

ძნელია სამშობლოს მოწყვეტილ და უცხო ქვეყანაში მომხდარ ტყვეთა ცხოვრება, ნამეტნავად მაშინ, თუ მას რაიმე საფიქრებელი მასალა არ მიეცა და თვალყური არ ადევნა იმ დიდ მოვლენათა მსვლელობას, რომელიც ჩვენს თვალ წინ ხდება. ...

216 სსსსა, ფ.13, ა.27, წ. 5429, მოხვენება, გვ. 9.

217 PA AA, Deutschland Nr. 126 g adh.1 ... Bd.11, Wesendonk Vermerk (18.3.1916)
ციტირებულია ბილის 1975, გვ. 111 მხედვით.

ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ გამოცვით ქართულ მხარეში რიოდული გაზეთი და შეძლების დაგვარად ვემსახუროთ ქართულ ტყვეთა ინტერესებს. ...²¹⁸

გაზეთის ტირაჟი 1916 წ. 1000 ეგზემპლარი იყო.²¹⁹

შინაარსობრივად, გარეგნულადაც და ენის თვალსაზრისითაც გაზეთი ბევრად უკეთესი და მრავალმხრივი იყო, ვიდრე მისი პრიმიტიული წინამორბედი. ის მალე მკითხველთა შორისაც პოპულარული გახდა. ამაზე მეტყველებს მათი წერილები და, რა გასაკვირია – ტყვეთა უამრავი ლექსიც. წერილებისა და ტყვეთა მიერ შექმნილი „დემენტის ფონდში“²²⁰ თანხის გადამრიცხველთა სიების მიხედვით, რომელიც თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა, შეიძლება მრავალი ასეული ქართველი ტყვის სახელის დადგენა. მართალია, გაზეთმა ქართველები რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩასაბმელად ვერ აღაგზნო, მაგრამ ერთგულ მკითხველებად მაინც აქცია. რვაგვერდიანი ორკვირეული გაზეთი 1917 წ. ნოემბერში ყოველკვირეულად იქცა და მალე თორმეტგვერდიანი გახდა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ „1917 წლის იანვრამდე რედაქციას არ ეძლეოდა არცერთი ფენინგი სუბსიდია. 1917 (ში) მოგვეცა 350 მარკა სუბსიდია. ახლაც აქვს 500 მარკამდის დეფიციტი.“²²¹ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ „ნახრიხტენშტელეს“ გაზეთის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების ანგარიში შეუდგენია: „კერესელიძე 4800 მ(=მარკა), გოზალიშვილი 4800 მ, ნიკოლაშვილი 3600 მ, ხელაძე (ასოთამწყობი) 3600 მ, დრ. მეკელაინი 4200 მ, 1. მომსახურე პირი 1100 მ.“²²²

არსებობს უფრო ადრინდელი მონაცემებიც გაზეთის თანამშრომელთა ხელფასის გაზრდის თაობაზე. 1916 წ. 27 აგვისტოს მ.წერეთელი, ს.ვადაკური, გ.კერესელიძე თხოვნით მიმართავენ ვეზენდონკს, ცხოვრების გაძვირებასთან დაკავშირებით წერეთელსა და კერესელიძესთვის 100 მ და ვადაკურისთვის 50 მ „გაძვირების გამო წანამატის“ თაობაზე. „აქ ჩვენი სამშობლოდან დახმარების მიღება, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან ძნე-

218 ქართული გაზეთი, № 1, სამშაბათი, 28.03.1916.

219 PA AA; R 1520.

220 ამ ალბათ ურთიერთდახმარებისთვის შექმნილ ფონდს, რომლის მიზანსაც არახდროს ყოფილა დაკონკრეტებული, სახელი ერთ-ერთი გვეს სახელის მიხედვით ეწოდა.

221 სსცხა, ფ.13,ა.,27,წ. 5429, მოხსენება, 9.10.1917, გვ.16.

222 PA AA, R 1535, 14.06.1918.



ლია, თორემ ასეთი თხოვნით თქვენ არ შეგანუხებდით.²²³ უკრძნული
ოქტომბრით დათარიღებული საბუთიდან ვიგებთ, რომ მისიის
სალარო გადაურიცხავს „ნახრიხტენშტელეს“ ქართველები-
სთვის საჭირო თანხებს.²²⁴

„ქართული გაზეთი“ „ნახრიხტენშტელესთვისაც“ სამაგალი-
თო წარმატებას წარმოადგენდა. 1918 წ. მოხსენებაში „ნახრიხ-
ტენშტელეს“ საქმიანობის შესახებ ნათქვამია: „ერთი ხანია გამ-
ოიკვეთა აუცილებლობა, თავის დროზე სამხედრო ტყვეთათვის
დაარსებული გაზეთების სხვა ფუნდამენტზე გადაყვანისა.
პირველი ნაბიჯი ქართული გაზეთით გადაიდგა, რომელიც ერთ
წელზე მეტია რაც ახალი სახელით „Qarthuli gasethi“ და ქართუ-
ლი რედაქციის მიერ დაინტერესებულთა გაფართოებული წრი-
სათვის გამოიცემა.“ საშემოდგომოდ თათრული, ინდური და
არაბული გაზეთებისათვის მსგავსი განახლება იგეგმებოდა.²²⁵

გაზეთის თემები ისევ ანტირუსული, პროგერმანული და
პროევროპულია. საქართველოს დამოუკიდებლობის პროპაგან-
დასთან ერთად დიდი ყურადღება ექცევა სხვა ხალხების ბრძო-
ლას დამოუკიდებლობისათვის – ირლანდიის (№4), ინდოეთის
(№6), პოლონეთის (№7), ფინეთის (№8) და, განსაკუთრებით,
უკრაინის (მაგ.: №5). არასდროს დაბეჭდილა რაიმე მონოდე-
ბა გერმანიისა და მის მოკავშირეთა მხარეზე შეიარაღებული
ბრძოლისკენ, არც ერთხელ არაა ნახსენები ქართული ლეგიონი.
რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, საქართველოსთვის
საჭირობოროტო საკითხებს ექცეოდა ყურადღება – საქართვე-
ლოს ისტორიას, მის დამოკიდებულებას რუსეთთან, კავკასიის
მომავალ აღმშენებლობას (№15), „ცენტრალიზმი თუ ფედერ-
ალიზმი“ (№29), ავტონომიისა და დამოუკიდებლობის პრობლე-
მებს (№37). ხაზგასმული იყო ქართველი ხალხის ერთიანობა,
რომელიც ქრისტიანებისგან, მაჰმადიანებისა და „ქართველი
ისრაელებისგან“ შედგება (№6, №13-ში მოყოლილი იყო რუსი
ებრაელი რაბინის მცდელობის შესახებ, ქართველებისგან

223 PA AA, R 21020, Tseretheli, Wadakur, Keresselidze an Wesendonk 27.8.1916
mit P.S. von Tseretheli.

224 PA AA, R 21020, 7.10.1916.

225 PA AA, R 1535, Bericht „Nachrichtenstelle für den Orient. 1914-1918“ (August)
1918.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის გ. მაჩაბლის მემორანდუმი სტოკჰოლმის სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენციას (№31) და ა.შ.

ინფორმაცია საქართველოს შესახებ ძირითადად ამოღებულია ქართული „პატრიოტული“ გაზეთებიდან - „სამშობლო“, „საქართველო“, „სახალხო გაზეთი“ და „სახალხო საქმე“.

სტატიების ავტორები ძირითადად არიან გიორგი კერესელიძე, მიხეილ წერეთელი (ნ-ი, მ.წ-ლი) და ალექსანდრე გოზალიშვილი (ალ. გ-ლი, გ-ლი).

1917 წ. ოქტობერში, ვადაჭკორიას სახლში გამგზავრების სურვილთან დაკავშირებით პ. სურგულაძემ და გ. მაჩაბელმა ითხოვეს მეორე ასოთამწყობის, ხელაძის ზაგენის (ამჟამად ნოი-კოტბუსის) ტყვეთა ბანაკიდან განთავისუფლება და მისთვის ხელფასი 250 მარკის ოდენობით. ეს უკანასკნელი ძალიან კარგი ასოთამწყობია და, გარდა ამისა, ჩვენი სოლომონ ვადაკურის თბილისელი მეგობარია.²²⁸

2.4.3. თურქეთში გაზეთის გამოცემის მცდელობა

მიხეილ წერეთელი, ქართული კომიტეტის სახელით, საგარეო საქმეთა უწყებას ამცნობდა, რომ კონსტანტინოპოლიდან ბატონი თარხანოვისგან წერილი მიუღია: „თავადი გიორგი მაჩაბელი კონსტანტინოპოლიდან გამგზავრების წინ ესაუბრა გერმანიის სამხედრო ატაშეს თურქეთში ქართული პროპაგანდის მიზნით თურქული გაზეთის დაარსების შესახებ. ამ აზრს იზიარებენ როგორც გერმანული პრესის წარმომადგენლები თურქეთში, ასევე თურქეთის მთავრობაც. ერთ-ერთი თანამშრომელი თვით თარხანოვი უნდა ყოფილიყო. ბატონი სამხედრო ატაშე დაპირდა თავად მაჩაბელს ამ გაზეთისათვის ყოველთვიურ დახმარებას 35 თურქული ფუნტის ოდენობით. თანხა ან შულენბურგის ფონდიდან ან გერმანიის საელჩოს უნდა გადაეხადა. ამ თანხიდან ბატონი თარხანოვს მისი გაზეთში თანამშრომლობისათვის ეკუთვნოდა თვეში 8 ფუნტი.“ თარხანოვმა გაზეთის ერთი ნომერი მოამზადა და თურქულად ათარგმნინა. მან იქაური ქართული კომიტეტის წევრი გოზალიშვილი მიავლინა საელჩოში ფულის ასაღებად. საელჩოს კი უარი უთქვამს თანხის გადახდაზე. დრ. ვებერმა გოზალიშვილს ურჩია, ამის თაობაზე საგარეო უწყებისათვის მიემართა. წინათ



გენერალი ოტო ფონ ლოსო

General v. Lashin.

გოზალოვი საელჩოსგან ყოველთვიურად 15 ფუნტ ჰონორარს იღებდა, გასული წლის გაზაფხულიდან კი მხოლოდ რვას. ახლა ამასაც ველარ იღებს და ისეთ მდგომარეობაშია, რომ ითხოვს, თუ გაზეთი არ გამოიცემა, შვეიცარიაში წასასვლელი ფული, და სანამ საქართველოდან ნათესავები დაეხმარებიან, იქ საცხოვრებლად საჭირო თანხა მისცენ. ამის თხოვნას ის ბედავს, რადგან ომის დასაწყისში უნტერ-სტატს-სეკრეტარ ციმერმანის დეპუტის გამო ჩამოვიდა 1 ოქტომბერს ბრიუსელიდან ბერლინში და მას შემდეგ საქმეს ერთგულად ემსახურება.²²⁹

გერმანიის საელჩო თურქეთში აცხადებდა, რომ სამხედრო ატაშე გენერალი ფონ ლოსო მართლაც ესაუბრა მაჩაბელს გაზეთის თაობაზე, მაგრამ არანაირი თანხმობა თანხებთან დაკავშირებით არ მიუცია. ელჩი ვოლფ-მეტერნიხი განაგრძობდა: „ჩემი აზრით არანაირი საჩქარო აუცილებლობა არ არსებობს კავკასიელთა ინტერესების გამტარებელი გაზეთისათვის თურქულ ენაზე. შიგადაშიგ სტატიები თურქულ პრესაში საჭიროა პროპაგანდისტული მიზნებისათვის. მაგრამ ენახოთ, დაუთმობენ თუ არა ქართველებს ადგილს თავიან ფურცლებზე წამყვანი გაზეთები.“

თარხანოვი სამწერლო საქმისთვის ვარგისია; მას შეუძლია ზემოთ ნახსენები მიმართულებით ცადოს მუშაობა. მისი სხვა მხრივ დაკავება ბატონი სამხედრო ატაშეს აზრითაც, აქ ყოველ შემთხვევაში, არაა შესაძლებელი.“ გოზალოვმა, თარხანოვი იქნებ სპეციალობით, როგორც მედიკოსი, დავაკავოთო. გრაფ შულენბურგს შევეკითხებო, აქვს თუ არა რაიმე ადგილი



თარხანოვისათვის ქართულ ლეგიონში. ამასობაში შეჭირვე-
ბულ თარხანოვს ივლისისა და აგვისტოს თვეებისათვის მივეცე-
16 ფუნტი დახმარებაო.²³⁰

თურქულენოვანი ქართული გაზეთის გამოცემის საქმე ჩაიშალა. უაღრესად აქტიურ და ქართული საქმით დაინტერესებულ ბარონ ვანგენჰაიმისგან განსხვავებით (გარდაიცვალა 1915 წ. 23 ოქტომბერს 54 წ. ასაკში ინფარქტით), სამოცდაათს მიტანებული გრაფი მეტერნიხი, პომიანკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „წლების განმავლობაში ელჩი ლონდონში, რომელიც ინგლისის სრულ გავლენას განიცდიდა და კონტინენტალური სახელმწიფო გერმანიის ბრიტანულ მსოფლიო იმპერიაზე გამარჯვების შესაძლებლობა არ სწამდა“,²³¹ თავიდანვე კრიტიკულად უყურებდა თურქებსაც და აქედან გამომდინარე, არც კავკასიის აჯანყების გერმანული და თურქული მცდელობებისადმი იყო კეთილგანწყობილი.

ქართველების საქმიანობას კრიტიკული თვალთ უყურებდნენ თურქეთში გერმანიის საელჩოს სხვა თანამშრომლებიც (მაგ.: დრ. ვებერი და გენერალი ლოსოც, რომელმაც დიდი როლი ითამაშა 1918 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საქმეში).

ივანელო სპენჯი, სოციალ-დემოკრატიული
გაზეთი

„ევროპის მოამბე“

გამომცემლობა „ახალი აღმოსავლეთი“
ბუჩაჩი W. 50, ტელეფონი 3. 19-ს



Ewropis Moambe

Halbmonatsschrift für Wissenschaft, Kultur u. Politik

Verlag „Der neue Orient“ G. m. b. H.

Berlin W. 50, Tauentzienstrasse 19a.

2.4.4. „ევროპის მოამბე“

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და კომიტეტის დაშლის შემდეგ „ქართულმა გაზეთმაც“ ამონურა თავისი შესაძლებლობები. ბოლო ნომრებში გაზეთის მესვეურე-

230 PA AA, R 21020, Metternich an Bethmann Holweg, 13.8.1916.

231 Pomiankowski, S.176; ისმალეთში ავსტრო-უნგრეთის სამხედრო აგამეს (1909-1918 წწ) იმავე პომიანკოვსკის მოვლენები უაღრესად საინტერესო წყაროა.

შავთული შუახალი

„ვერობის მოამბის“

რედაქცია და გამოცემლობა

უბიბლიოთეკადა გოხოუ ოქენ ბ

 დანწილი ჩაიხე, რომელიც გამოხდელი ოქენა სე-
 ტემბრის 30 1918 წ. ნაშედეგის 5 საათზე „ვერობის
 მოამბის“ რედაქციის ბინაზე:

ტაუნციონის ქენა 195

ბეჩლინი W. 50.

ბი ტყვეებს შინ დაბრუნებისათვის ამზადებდნენ. მართალია, „ნოიე ორიენტის“ ცნობით, „ქართული გაზეთის“ ბოლო ნომერი ოქტომბერში გამოსულა,²³² მაგრამ ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ბოლო ნომერი – 18 (58), 1918 წ. 12 სექტემბრისაა. გერმანულ საარქივო მასალებშიც უკანასკნელად №58-ია მოხსენებული. ამ ნომრის (შესაძლებელია, წინა ნომრებისაც) 250 ეგზემპლარი თბილისში გაიგზავნა.²³³

1918 წ. ოქტომბრისათვის უკვე ახალი ქართულ-გერმანული ჟურნალის გამოცემა იყო დაგეგმილი. ჯერ კიდევ აგვისტოში „ნახრიხტენშტელე“ თბილისში არტურ ლაისტს სთხოვდა დახმარებას: „ჩვენ აქ ვაარსებთ 1) ქართულ ორკვირეულს, რომელიც ერთმა გერმანელმა და ერთმა ქართველმა რედაქტორმა უნდა გამოსცეს და 2) გერმანულ ყოველკვირეულ მიმოხილვას კავკასიური პრესის. ამისთვის გვჭირდება ორი ქართველი ბატონი – ერთი რედაქტორი და ერთი თანამშემუნე და კიდევ ერთი გერმანელი ბატონი, ქართულს რომ ფლობდეს, როგორც თანამშემუნე უკვე არსებული გერმანელი მთავარი რედაქტორისა. ყოველდღიური სამუშაო დრო ექვსი საათია. ამისთვის ვიხდით

232 Stefan Wangert, Die Zeitungen der orientalischen und kaukasischen Kriegsgefangenen in Deutschland. In: Der neue Orient, Bd. 7, Nr. 5/6 (6.09.1920), S. 221.
 233 PA AA, R 1536, 5.11.1918.



პროფესორი რიხარდ მეკელაინი
 30-იანი წლები

მთავარ რედაქტორის თანამდებობაზე 500-600 მარკას თვეში, თითოეული თანამშემნისათვის 400 მარკას.²³⁴ რედაქტორს თბილისიდან ელოდნენ, მაგრამ რადგანაც „ჯერჯერობით რედაქტორი საქართველოდან მოსალოდნელი არაა, გთხოვთ, გვიბრძანოთ, შესაძლებელია თუ არა ოქტომბერში ორკვირეული გამოცვლათ კერესელიძითა და მეკელაინით მთავარ რედაქტორებად და გამსახურდით, როგორც დამხმარე რედაქტორი. წერეთელი პირველ ნომერში ითანამშრომლებს. კერესელიძე შეიძლება გაზეთში არ ვახსენოთ.“²³⁵ ახალი ჟურნალის სახელი იყო „ევროპის მოამბე“.

ოქტომბრის დასაწყისში „ბერლინერ ტაგებლატი“ იუწყებოდა, რომ „ევროპის მოამბის“ დაარსების აღსანიშნავად მიღებაც მოუწყვიათ ჟურნალის რედაქციაში, ტაუნციენერშტრასე 19ა-ში (ანუ „ნახრიბტენშტელეს“ შენობაში), რომელსაც საგარეო უწყების და სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ჩხენკელი მეუღლითურთ და საქართველოს სამეურნეო დელეგაციის წევრი თავადი სუმბათოვი ესწრებოდნენ. ზეიმი დრ. მეკელაინს ქართულ ენაზე წარმოთქმული სიტყვით გაუხსნია.²³⁶

234 PA AA, R 7312, N.f.d.O an Leist, 6.8.1918.

235 PA AA, R 1535, Müller an Gesandtschaft Bern für Wesendonk, 5.9.1918.

236 Berliner Tageblatt, 3.10.1918. ეს და „ევროპის მოამბისთან“ დაკავშირებული რამდენიმე სხვა დოკუმენტი მეკელაინის ოჯახმა მომაწოდა, რისთვისაც



სიმონ ფაშალიშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას წინადადებით, ფიქრობდნენ, „სახალხო საქმის“ რედაქტორი სიმონ ფაშალიშვილი ჩამოეყვანათ ბერლინში სამუშაოდ. გამსახურდიას 1500-2000 ეგზემპლარი მიაჩნდა საჭიროდ.²³⁷ 1918 წ. დანერილ ავტობიოგრაფიაში გამსახურდია წერს, რომ „ნახრიხტენშტელეს“ მიერ გამოცემულ (და არა გამოსაცემ!) „ევროპის მოამბეში“ თანამშრომლობს.²³⁸ მაგრამ, როგორც ჩანს, ჟურნალის გამოცემა ველარ მოესწრო, გერმანიაში ნოემბრის რევოლუცია მოხდა. მაგრამ ისევ მალე, 1918 წ. 7 დეკემბერს კოზაკს ჩაუნიშნავეს: „ჩვენ არც ქართული და არც თათრული ჟურნალის გამოცემაზე ხელი არ აგვიღია, მხოლოდ სამომავლოდ გადავდეთ.“²³⁹

რიხარდ მეკელაინი 1920 წ. წერილს სწერს ოიგენ მიტგოხს „ევროპის მოამბის“ ბლანკზე და ახლა უკვე „აღმოსავლეთის ინსტიტუტის მიერ დაგეგმილ ორკვირიულ „ევროპის მოამბეზე“ საუბრობს.²⁴⁰

მათ კიდევ ერთხელ მოეახსენებ მადლობას.

237 PA AA, R1535, Gamsachurdia, 18.9.1918.

238 Archiv der Humboldt-Universität Berlin, Phil.Fak. Nr.588. Gamsachurdia. 5.11.1918. შეად.: ცნობები კ. გამსახურდიაზე ბერლინის პუბლიკის (მაშინდელი ფრიდრიხ-ვილჰელმის) უნივერსიტეტის დოკუმენტების საუბუქველზე - Steffi Chotiwari-Jünger, Konstantine Gamsachurdia. Ein bekannter georgischer Schriftsteller - einst Student der Berliner Universität. In: Beiträge zur Geschichte der Humboldt-Universität zu Berlin 6. Berlin 1982, S. 57-88.

239 PA AA, R 1535, Notiz von Cosack 7.12.1918.

240 PA AA, R 84098, Meckelein an Mittwoch, 25.3.1920 შეად.: Sira Tschitschinadse, Unser guter Freund (=Richard Meckelein), Tbilissi 1969.

2.5. ურთიერთობები „უცხო“ ერებთან

2.5.1 გერმანულ-ქართული საზოგადოება

ასოებით „G.M.“ და სამეფო გვირგვინით შემკულ ფურცელზე გიორგი მაჩაბელი 1915 წ. 29 დეკემბერს წერს: „თქვენო აღმატებულებაზე, თავს ნებას ვაძლევ გთხოვოთ გასაუბრება გერმანულ-ქართული საზოგადოების დაარსებასთან დაკავშირებით, რაზეც დიდი დაინტერესება არსებობს და კონსტანტინოპოლში საინფორმაციო ცენტრის (Nachrichten-Zentrale) შექმნის თაობაზე.“²⁴¹ წერილს, რომლის ადრესატიც ალბათ ვეზენდონკია, თან ერთვოდა გერმანულ-ქართული საზოგადოების მიზნებისა და მომავალ გამოცემათა სია.

„გერმანულ-ქართული საზოგადოების მიზანია, გერმანიასა და საქართველოს და ასევე კავკასიის რეგიონს შორის უფრო ახლო კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება.“ შემდეგ მოკლედ აღწერილია კულტურული და ეკონომიკური პროგრამები და მათი განხორციელების გზები, რომლის ბოლო პუნქტად შეტანილია კავკასიის ქვეყნებისადმი ტურისტული ინტერესის გაღვივება.

გამოცემათა სიაში შესულია: მ.წერეთლის და რაიხსტაგის დეპუტატის დრ. ოიგენ ლევიკის (შავი ზღვის შესახებ) ნიგნები, კავკასიის რუკა, კავკასიის ქვეყნების ისტორია, კავკასია თქმულებებსა და ლიტერატურაში და სხვ.

ოთხ იანვარს წერილზე პასუხიც გაუციათ. 1916 წ. დასაწყისშივე ჩამოყალიბდა გერმანულ-ქართული საზოგადოება.

ომის დროს კავკასიის სხვა ხალხებს, გარდა სომხებისა, მსგავსი ორგანიზაცია არ ჰქონიათ. საკმაოდ აქტიური გერმანულ-სომხური საზოგადოება კი ომამდე ცოტა ხნით ადრე შეიქმნა. მისი თავმჯდომარე იყო სომხების დიდი დამცველი იოჰანეს ლეჰსიუსი და ერთ-ერთი მოადგილე – ცნობილი მემარჯვენე პუბლიცისტი პაულ რორბახი.²⁴²

241 PA AA, R 21026, Matschabeli, 29.12.1915, შუალ.: L. Bakradse, Deutsch-Georgische Gesellschaft, 1996.

242 Hamo Petrosian, Gründung der Deutsch-Armenischen Gesellschaft, in: 70 Jahre Armenische Gemeinde in Berlin. Berlin 1993, S.44-49; Paul Rohrbach (1869-1956) - ბალტიელი გერმანელი, ათიან და ოციან წლებში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პუბლიცისტი გერმანიაში. 1914 წლიდან გამოსცემდა „Das größere Deutschland“ (შემდეგში „Deutsche Politik“). რორბახს თავის



დავის ტრიჩი უბრაული გამომცემლობის სხვა დამაარსებლებთან ერთად, 1902 წ. სხედან: ბერთოლდ ფაიველ, მარტინ ბუბერ, დგანან მარცხნიდან მარჯვნივ: ე. მ. ლილიენ, ხაიმ ვაიცმან და დავის ტრიჩი.

გერმანულ-ქართული საზოგადოების თავმჯდომარე იყო რაიხსტაგის წევრი, საიდუმლო მრჩეველი (Geheimrat) პროფ. დრ. ფრანც ფონ ლისტი,²⁴³ მდივანი – გერმანულ-ებრაელი პუბლიცისტი დავის ტრიჩი,²⁴⁴ თავმჯდომარის მოადგილე – გიორგი მაჩაბელი.

პირველი მოზრდილი სტატია გერმანულ-ქართული საზოგადოების შესახებ დაიბეჭდა „ნახრისტენშტელეს“ „კორესპონდენცბლატში“.²⁴⁵ ამ სტატიიდან ვიგებთ საზოგადოე-

ჟურნალში აქვს გამოქვეყნებული: Der Kaukasus in der Weltpolitik, in: Deutsche Politik, Heft 28, 12.07.1918, S. 867-871.

243 Franz von Liszt (1851-1919), აღიარებული სამართალმცოდნე, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, პროფესორი, 1912 წლიდან რაიხსტაგის წევრი. როდესაც საქართველოს სახელმწიფოებრივი აღიარების დრო დადგა, 1918 წ. მან დაწერა დასკვნა საქართველოს შესახებ, საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით - „Die völkerrechtliche Stellung der Republick Georgien.“

244 Davis (David) Trietsch (1870-1935), ეკონომისტი, მწერალი, აქტიური სოცისტი, პერიოდის გამოცემული („Ost und West“, „Palestina“, „Volk und Land“). სოცისტია პირველი კონგრესის მონაწილე. 1932 წელს საბოლოოდ წაეიდა პალესტინაში. 1918 წ. ავტორი ბროშურისა „Georgien und der Kaukasus.“

245 Korrespondenzblatt, 31.6.1916. ეს სტატია მთლიანად გადმობეჭდილია –



ფრანც ფონ ლისტ




ბის სამომავლო გეგმებისა და უკვე ჩატარებული მუშაობის შესახებ. დაგეგმილი ყოფილა ბიბლიოთეკის შექმნა და უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობით შეუგროვებიათ იშვიათი და ძვირფასი ნიგნები და სურათები, დიაპოზიტივებიც კი. სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული ყოფილა გერმანელი ავტორების სტატიები, გამოუცხიათ მ.წერეთლის „რასობრივი და კულტურული პრობლემები კავკასიაში“. საზოგადოება თავის წევრებზე უფასოდ გასცემს სხვადასხვა ლიტერატურას, მათ შორის „საქართველოს და მსოფლიო ომს“ და „ნორდ უნდ ზიუდიდან“ სპეციალურ ამონაბეჭდს „ერთი ქართველი თავადის“ „საქართველოს იმედს“.²⁴⁶

როგორც ჩანს, საზოგადოების უკანასკნელი პუბლიკაცია იყო დავის ტრიჩის „საქართველო და კავკასია“, 1918 წელს.

ომის დროს საგარეო უწყების ხელშეწყობით, ასე ვთქვათ, აქტუალურ მიზეზთა გამო, მსგავსი საზოგადოებები მრავლად შეიქმნა, მაგ.: ქართულზე ადრე – გერმანულ-უკრაინული საზოგადოება. ასეთ ორგანიზაციათა ოფიციალ-

Bakradse, Deutsch-Georgische Gesellschaft, 1996.

246 „Die Hoffnung Georgiens“- Sonderdruck aus „Nord und Süd“ 1916. „von einem georgischen Fürsten“ – იგულისხმება თავადი მანაბელი.



პაულ რორბას

ური საქმიანობის შესახებ ინფორმაციას იძლევა მათი გაერთიანებული ორგანო „ოსტოიროპეიშე ცუკუნფტ (აღმოსავლეთ ევროპული მომავალი), ჟურნალი გერმანიის ამოცანათა შესახებ აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში.“²⁴⁷

1916 წ. ზაფხულიდან, ბერლინის სასტუმრო „პრინც ალბრეხტში“, ოთხშაბათობით, ეწყობოდა „აღმოსავლეთ ევროპული მიღების საღამოები“, რომელშიც გერმანულ-ქართული საზოგადოება აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ასე მაგალითად, 20 დეკემბერს 25-ე აღმოსავლეთ ევროპული საღამო ქართულ პრობლემას მიეძღვნა და „ოსმალეთის ჯართან ერთად მებრძოლ „ქართული ლეგიონის“ საპატივსაცემოდ“-აც მოეწყო.²⁴⁸ 57-ე საღამოზე მოსმენილ იქნა „გერმანიაში ძალიან ცნობილი ქართველის ბატონი მიხეაელ ფონ წერეთელის მოხსენება რუსეთის რევოლუციის შესახებ. მისი უგანათლებულესობა თავადი მაჩაბელი იმ საღამოს თავჯდომარეობდა.“²⁴⁹

247 Osteuropäische Zukunft. Zeitschrift für Deutschlands Aufgaben im Osten und Südosten. Amtliches Organ des Donau-, Balkan- und Schwarzmeerländerverbandes „Dubvid“ Berlin und München, des Wirtschaftsausschusses „Ukraine“ Berlin, der „Deutsch-Finnländischen Vereinigung“ Berlin, der „Deutsch-Georgischen Gesellschaft“ Berlin und des „Deutsch-Nordischen Verbandes e.V. Berlin“ (დუნაის, ბალკანეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების გაერთიანება „დეზვიდ“ ბერლინი და მიუნხენი, ეკონომიკური კომიტეტი „უკრაინა“, ბერლინი, „გერმანულ-ფინური კავშირი“, ბერლინი, „გერმანულ-ქართული საზოგადოება“ ბერლინი და „გერმანულ-ჩრდილოური გაერთიანება“ ბერლინი.) München 1.1916 - 3.1918.

248 Korrespondenzblatt, 1.1.1917.

249 Korrespondenzblatt, 15.8.1917.



ფრიდრიხ ვეტერჰოფ

გერმანულ-ქართული საზოგადოების არსებობას უფრო ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი კერესელიძე კარგად ახასიათებს მას პეტრე სურგულაძისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში: „დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება. მართალია ამ საზოგადოებას დიდი სიცოცხლის ელფერი არ ადევს, მარა მაინც არსებობს და ეს უკვე კარგია (ამ საქმეში, როგორც ბევრ სხვაში გიორგიმ ბევრი გააკეთა). აქ ბერლინში არსებობს კიდევ სხვა ბევრი საზოგადოებები, როგორც: გერმანულ - ბულგარული, გერმანულ - ოსმალური, გერმანულ აღმოსავლეთის და სხვა. ყველა ამ საზოგადოებებმა და ჩვენმა, ამ ბოლო დროს შევექმენით საერთო კლუბი, სადაც წევრები იკრიბებიან კვირაში ერთხელ. აქ შეიძლება ლაპარაკი, იცნობენ ერთი მეორეს, რიგდება წიგნები და სხვ.

ასე მიჩანჩალებს ეს საქმე.“²⁵⁰

2.5.2. რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგა

Liga der Fremdvölker Russlands / Ligue de nationalités allogènes de Russie

1916 წ. მარტში სხვადასხვა ერისა და რელიგიის – ებრაელების (დრ. პაულ ნათანი²⁵¹), მაჰმადიანების (აბდურ

250 უ.13, ა.27, ს.5439, გვ.12 გიორგი კერესელიძე პეტრე სურგულაძეს, 11 ივლისი 1916 (გიორგი – ივლისისხმება გიორგი მანაბელი).

251 Paul Nathan (1857-1927) - ფილანტროპი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი. 1901 წელს დააარსა და ხელმძღვანელობდა „გერმანული ებრაელების დახმარების კავშირს (Hilfsverein der deutschen Juden)“.



კურტ შანი

რაშიდი²⁵²), ფინელების (ფრიდრიხ ვეტერჰოფი²⁵³), ბალტიელე-ბის (ბარონები ფრიდრიხ როპპი და კურტ შანი), პოლონელების (დრ. ვილჰელმ ფელდმანი) და ქართველების (წერეთელი და მანაბელი) წარმომადგენლებმა – გადანყვიტეს „ცივილიზირებულ“ მსოფლიოსათვის შეეჩვილათ რუსეთის არარუსი ხალხების ჩაგვრა. საჭირო იყო უკრაინელების, ბელორუსების, ლატვიელების, ესტონელებისა და ლიტველების მოზიდვა.²⁵⁴

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა გერმანო-ბალტიელი ბარონი ფრიდრიხ ფონ დერ როპპი, რომელიც თავის საქმიანობას საგარეო უწყებას უთანხმებდა და ამავე უწყების დაფინანსებაზე იყო.²⁵⁵

252 აბ-ურ-რაშიდ ეუენდი იბრაჰიმოვ – ციმბირში მაცხოვრებელი ბუხარული ოჯახიდან იყო. 4 წელი მედინაში გაატარა, 1893 წლამდე ორენბურგში ყადა (თურქ. კაზი), პანისლამისტი და პანთურქისტი, 1902-1903 წწ. და 1906 პეტერბურგში ისლამისგურ ჟურნალებს გამოსცემდა. 1906 წელს იყო რუსეთის მაჰმადიანთა III კონგრესის პრეზიდიუმისა და იკ-ს წევრი; შუად: Mende 1936; 1909 წ. წავიდა ემიგრაციაში – შუად: „ნოვოე ვრეშია“, 12.6.1915; გერმანიის ელჩი ბერნში რომბერგი მახ, როკორე ფულზე დახარბებულს ახასიათებს, PA AA, WK Nr. 11t secr...Bd. 13 Romberg an Reichskanzler, 27.7.1917.

253 Wetterhoff, Adolf Fredrik (Fritz) (1878-1922) მოსამართლე და ომის წინ აღდგოკატი ბერლინში. 1914 წ. ბოლოს იოჰანეს შუნდელთან ერთად დააარსა დამოუკიდებელი ფინური კომიტეტი, რომელიც შემდეგში ფინურ კანცელარიად იქცა. გერმანიაში ფინელი იევერების სამხედრო მომზადებაში მონაწილეობდა. 1915-1916 წწ. იევერთა მოძრაობის პოლიტიკური ბიუროს თავმჯდომარე. ავტორი ბროშურის „Finnland im Lichte des Weltkrieges“, Berlin 1916.

254 PA AA, Der Weltkrieg 11c Bd.11, Cosack an Wesendonk 10.3.1916.

255 Baron von der Ropp (1879-1964) უფრო მუსკად რომ ვთქვათ, ლიგველ-გერმანელია. ბალტიელ გერმანელებს ძირითადად მაინც ლაგვიელ და ესტონელ



عبدالرشيد ابراهيم

აბდურ რაშიდ იბრაჰიმ (იბრაგიმოვ)

მისი და მეორე ბალტიელი ბარონის ბერნჰარდ ფონ უექს-კულის ინიციატივით 1916 წ. აპრილში რუსეთის უმცირესობათა საქმიანობის კოორდინაციის და საერთო აქციების ჩატარების მიზნით დაარსდა „რუსეთის (და)ჩაგრულ ერთა ლიგა“.²⁵⁶

ლიგის შექმნის იდეა დამოუკიდებლად გაუჩნდა შვეიცარიაში მყოფ ლიტველ იუზას გაბრისის (გარლავა), ერთა კავშირის გენერალურ მდივანს და მისი ორგანოს „Les Annales des Nationalités“-ს და ჟურნალის „Pro Lithuania“-ს გამომცემელს.²⁵⁷ გაბრისის

(კერლანდიელ, ლივლანდიელ, ესტლანდიელ) გერმანელებს უწოდებენ. მისი მოვლენები ლიგის ისტორიისთვის საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებით ხანმოკლე არ წარმოადგენს – Ropp 1961. განსაკუთრებით გვ. 101 - 110. ლიგის ისტორიაში ყველაზე ჩახედილი მკვლევარი ცეცებერგი ბარონესა ფონ დერ როპის წერილის საფუძველზე წერს, რომ „ლიგის და მისი დამაარსებლის ბარონი ფონ დერ როპის საარქივო მასალა დროთა განმავლობაში დაიკარგა.“ Zetteberg 1970, S.211; Zetteberg 1978, S.11.

256 გერმანულიდან პირდაპირი თარგმანია „რუსეთის უცხო ერთა ლიგა“ ანუ არარუსი ერების ლიგა. „დაჩაგრულ“ ან „ჩაგრულ“ ერთა ლიგას ხშირობდა „ქართული გაზეთი“. ლიგის ისტორია ძალიან კარგად არის Zetteberg 1978-ში აღწერილი, მაგრამ ქართველებს, ჩემის აზრით, სათანადო ყურადღება არ ექცევათ.

257 Juozas Gabrys-Paršaitis – იუზას პერშიაიტის-გაბრისი (დაიბადა ვარლდი(ა)ვაში 1880 წ.), განათლებით იურისტი (ოდესა, სორბონა), ახალგაზრდობაშივე ჩაერთო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. 1905 წ. მდივანი იყო



ალექსანდერ კესკიულა

შემოთავაზებული იდეის შესახებ რომბერგის მოხსენებაზე საგარეო საქმეთა უწყების რუსეთის განყოფილების უფროსმა გრაფმა ფრიდრიხ პურტალესმა წაანერა: „იგივე გეგმა შეიმუშავა ბარონმა ფონ დერ როპპმა. სასურველია, ორივე ბატონი შეეხვედროთ.“²⁵⁸

ლიგის ჩამოსაყალიბებლად მოიმხრეს, ასევე, შვეიცარიაში მოღვაწე უკრაინელი ვოლოდიმირ სტეპანკიესკი, რომელიც ანტირუსულად იყო განწყობილი, მაგრამ ამავე დროს ფრანგებთან და ინგლისელებთან საუკეთესო კონტაქტები ჰქონდა და ლოზანაში „უკრაინულ ბიუროს შვეიცარიაში“ განაგებდა.²⁵⁹

სერიოზულ როლს ლიგის საქმიანობაში, ისევე როგორც გერმანელების საიდუმლო აღმოსავლეთევროპულ პოლიტიკაში, ყოფილი სოციალისტი, ესტონელი აევანტიურისტი ალექსანდერ კესკიულა თამაშობდა.²⁶⁰

ევრეთ წოდებული ვილნას კონგრესის, რომელმაც ლიგის ავტონომია მოითხოვა. რეაქციის პერიოდში პარიზში წაეიდა ემიგრაციაში, სადაც 1911 წ. ლიგის საინფორმაციო ბიურო დააარსა და 1912 წ. Union des Nationalités ჩაუყარა საფუძველი. 1915 წ. ლოზანაში გადავიდა და მიუხედავად მჭიდრო კავშირისა ფრანგებთან, გერმანელებთანაც დაიწყო თანამშრომლობა. განთავისუფლებულმა ლიგებთან სათანადოდ ვერ დააუხსა მისი მოღვაწეობა. გაბრისმა ოფიციალურ ლიგებს შურგი აქცია და საბოლოოდ დასახლდა შვეიცარიაში, ენევის გბის პირას, სადაც 1951 წ. გარდაიცვალა.

258 PA AA, Wk 20g Bd. I, Romberg, 15.4.1916 mit Vermerk von Pourtalès - Zetterberg 1978, S. 75 - მიხედვით.

259 მითითებებს პირველი მსოფლიო ომის დროინდელი უკრაინის ეროვნული მოძრაობის საკითხებთან დაკავშირებით არსებული ლიგერაგურის შესახებ შეიკავს Frank Golzewski (Hrsg.), Geschichte der Ukraine. Göttingen 1993, S. 168-170 u. Anm. S. 324f.

260 Aleksander Kesküla (1882 -1963) – ომამდე ბოლშევიკი, თან ესტონე-



კონრად (კონი) ცილიაკუს

ლიგის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ფინელი კონი (კონრად) ცილიაკუსი, „რომელთან გიორგი დეკანოზიშვილს ჰქონდა საქმე იაპონიის ომის დროს,“²⁶¹ ლიტვის მომავალი პრეზიდენტი სმეტონა, რუსეთის დუმის პოლონელი დეპუტატი მიხალ ლემპიციკი და სხვ.²⁶²

მაისის დასაწყისში, როგორც იქნა, მიაღწიეს შეთანხმებას მიმართვის ტექსტის თაობაზე. საერთო დეპეშა 1916 წ. 9 მაისს

ლი შოეინსკი. ემიგრაციაში იყო ჯერ გერმანიაში, 1911 წლიდან – შვეიცარიაში. ომის დროს მან მიაპყრო გერმანელების ყურადღება ლენინზე. სტოქჰოლმში ესტონურ ბიუროს ხელმძღვანელობდა. განთავისუფლებულ ესტონეთში არ დაბრუნებულა. ცხოვრობდა შვეიცარიაში და 1932 წ.-დან ესპანეთში. გარდაიცვალა შადრიდში. ეს უაღრესად საინტერესო, წინააღმდეგობებით აღსავსე ფიგურა ნაკლებადაა შესწავლილი, შეად. მაგ.: Futrell 1963 და Gasser, Adolf: Der schlafende Tiger aus Dorpat, in: Christ und Welt, Nr.2. Stuttgart 14.1.1966.

261 ხალაია 1995, გვ. 63; ცილიაკუსის (1855-1924), რომელსაც ქართველებთან (გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო წერეთელი და სხვ.) ურთიერთობა ჰქონდა ჯერ კიდევ პირველი რუსული რევოლუციის დროს, შეად. Akashi Motojirō, Rakka ryusui: Colonel Akashi's Report on His Secret Cooperation with the Russian Revolutionary Parties during the Russo-Japanese War, O. Fält and A. Kujala (eds), Studia Historica 31 (Helsinki, 1988), და ფინეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი „აქტივისტების“ შესახებ იხ. Hermann Gummerus: Jägere och aktivister. Helsingfors 1927 და მისივე Konni Zilliacus. Helsingfors 1933, ასევე Konni Zilliacus: Stämplingar och äventyr. Helsingfors 1922, მისივე, Fran ofärdstid och oroliga år. Politiska minnen, I-II, Åbo 1919-1920 და W. R. Copeland, The Uneasy Alliance. Collaboration between the Finnish Opposition and the Russian Underground, 1899-1904. Kuopio 1973.

262 Ropp, S.106 f.



სახელმწიფო დუმის წევრები
ალექსანდრე პროტოპოპოვი
(ცილინდრით, რუსეთის შინაგან
საქმეთა მინისტრი 1916-17 წწ.) და
მარტინას იჩასი (ქვაბურა ქუდით)

გაეგზავნა პრეზიდენტ ვილსონს²⁶³ და 10 მაისს გამოქვეყნდა ნეიტრალური ქვეყნების პრესაში. მიუხედავად იმისა, რომ ანტანტის სახელმწიფოები ცდილობდნენ ამ დეპეშისათვის ნაკლები ყურადღება დაეთმოთ, ის მაინც იქცა ლიგის ხმაურიან გამოსვლად ასპარეზზე. პათეტიკურ დეპეშაში თითოეული „ჩაგრული ერი“ ამერიკის პრეზიდენტს შესჩიოდა თავის გასაჭირს. ჯერ „ჩვენ, ფინლანდიელები“, მერე „ჩვენ, ბალტიის მცხოვრებნი“, „ჩვენ, ლატიშები“, ლიტველები, პოლონელები, ებრაელები, უკრაინელები, „ჩვენ, 25 მილიონი მუსულმანი“ და სულ ბოლოს ყველაზე გრძელი ტექსტით: „ჩვენ, ქართველები, უძველესი და უკულტუროსნესი ქრისტიანი ერი კავკასიისა, საერთაშორისო ტრაქტატებით ნებაყოფლობით შევეურთდით რუსეთს, და ამ უკანასკნელმა კი ეს ხელმონერილი კანტრაქტები დაარღვია ...“ შემდეგ გახსენებულია 1905-06 წლების რევოლუცია და იმჟამინდელი ომი. „მშვიერი, ტიტველი და სასონარკვეთილი 50000-მდე აჭარელი იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებია და შავი ბედის ამა-

263 გეჰსტი გამოქვეყნებულია „ქართულ გაზეთში“, №6, 15 ივნისი 1916. „ტელეგრაფის“ ხელმოწერის ადგილად მითითებულია სტოქჰოლმი, რაც სწორია. როგორც კი შეეცდომით იფიქრებს, რომ დეპეშა შეიქცა იგივეგზავნილი, Ropp, S.107.

რა გადახვენილიყო უცხოეთში.“ დეპეშა მთავრდებოდა ცრემ-
 ლისმომგვრელი „ასე მძვინვარებს რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ,
 საკუთარ ქვეშევრდომთა წინააღმდეგ. - გვიშველეთ! დაგვი-
 ცავით სრულის მოსპობისგან!“

როგორც ჩანს, დეპეშის შემდგენელნი ამერიკის პრეზიდენ-
 ტისგან სერიოზულად მოელოდნენ პასუხს. პასუხის დაგვიან-
 ების მიუხედავად ლიგამ კიდევ შეახსენა თავი ვუდრო ვილ-
 სონს - „მოგმართავთ უდიდეს ნეიტრალური ქვეყნის, სადაც
 თავისუფლება არის მიღებული კონსტიტუციის უკეთილშო-
 ბილეს საძირკველად, პირველ ადამიანს: შეერთებული შტატე-
 ბის პრეზიდენტს.“ აქვე მწუხარებითაა აღნიშნული, რომ „მას
 ჩვენთვის აქამდის არ უპასუხია.“²⁶⁴ პრეზიდენტს ლიგისათვის,
 რასაკვირველია, არც შემდეგში „არ უპასუხია“.

რუსეთის ზედა ფენებში დეპეშამ დიდი უკმაყოფილება
 გამოიწვია. დუმის უხუცესთა საბჭომ დეპეშას ყურადღება
 9 ივნისს მიაქცია. აღშფოთებული ნაციონალისტებისაგან
 განსხვავებით, კერენსკიმ და ჩხენკელმა თქვეს, რომ მონო-
 დება სიმპტომურია და რეალურად არსებულ სიტუაციას გა-
 მოხატავს. რუსეთის დუმის დელეგაცია ამ დროს ევროპაში
 მოგზაურობდა. კადეტების თავმჯდომარემ მილიუკოვმა და
 ლიტველმა დუმის წევრმა კადეტების პარტიიდან მარტინას
 იჩასმა²⁶⁵ სპეციალურად შვეიცარიაშიც იმოგზაურეს იქაურ
 პოლიტიკურ ემიგრაციასთან შესახვედრად და დიდი დაინ-
 ტერესება გამოიჩინეს ლიგასთან დაკავშირებით.²⁶⁶

მიმართვაზე ახალ ხელისმომწერთა გადაბირება მისი გა-
 მოქვეყნების შემდეგაც გაგრძელდა. ასე, მაგალითად, ბელო-
 რუსებმა ხელი 23 მაისს მოაწერეს.²⁶⁷

²⁶⁴ „ქართული გაზეთი“, № 12, 16.09.1916

²⁶⁵ Martynas Ycas (1885-1941) ანგანას სმეგონას გარშემო შექმნილი ნაციო-
 ნალისტური ჯგუფის წევრი იყო. 1917 წელს - დროებით მთავრობაში მინი-
 სტრის მოადგილე, 1918 წ. - ლიგის გარიბას წევრი, ფინანსთა მინისტრი,
 1919 წ. - ლიგის დელეგაციის წევრი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე.
 შემდეგ ინდუსტრიითა და საბანკო საქმით იყო დაკავებული. 1940 წ. გერმა-
 ნიის გავლით პორტუგალიაში გაიქცა. 1941 წ. ბრაზილიაში გარდაიცვალა.

²⁶⁶ Zetterberg 1978, S. 91f u. 98ff.

²⁶⁷ Bihl 1975, S. 45-ის მიხედვით ლაგვიელებმა, ქართულ ტექსტში, რომე-
 ლიყ 9 მაისითაა დათარიღებული, ლაგვიელები ჩანან, ბელორუსები კი არა,
 რაც ხელმოწერებთან დაკავშირებული დიდი ორომტრიალის მახევენელია.
 შიჯიერთებმა მიმართვის გაგზავნის შემდეგ ხელმოწერები უკან წაიღეს და
 ა.მ. იხ. Zetterberg 1970, S.221.

ამ ჯგუფების წარმომადგენლებმა 1916 წ. 25 ნოემბრის
 ლოზანაში ლიგის წესდება შეიმუშავეს. ლიგის პრეზიდენტად
 ლემპიცი²⁶⁸ აირჩიეს და გენერალურ მდივნად – ფონ დერ
 როპპი. თითოეული ერი პრეზიდენტში ერთი წევრით იყო
 წარმოდგენილი. „გადანყვეტილ იქნა, უთანხმოებათა, განსა-
 კუთრებით საზღვრების საკითხების, გამორკვევისგან თავის
 შეკავება, რათა საერთო გამოსვლა შესაძლებელი ყოფილი-
 ყო. სხვა მიზნებს, კონსტიტუციის საკითხებს და მსგავსს არ
 ვეხებოდით. დასაწყისისთვის ლიგას უნდოდა ყოფილიყო
 მხოლოდ მეზობელი ჯგუფი გათავისუფლებისა და დამოუკი-
 დებლობის მისაღწევად.“²⁶⁹

ლიგას ჰქონდა ბიუროები ბერნსა და სტოქჰოლმში. ბერნის
 ბიუროს უძღვებოდა უკრაინელი სტეპანკივსკი, სტოქჰოლ-
 მისას – „ფინლანდიელი“ ჰერმან გუმერუსი (ბერნის ბიურო
 დაიხურა 1917 წ. მარტში უკრაინელებს – დონცოვსა და სტე-
 პანკივსკის – შორის განხეთქილების შემდეგ და მის ფუნქ-
 ციას, ფაქტიურად, სტეპანკივსკის ლოზანის ბიურო ასრუ-
 ლებდა²⁷⁰). მათ ზურგს უკან იყო ამოფარებული ბერლინის ბი-
 ურო – ე.წ. „ნეიტრალური კორესპონდენცია“, სადაც როპპის
 ხელში ლიგის საქმიანობის ძაფები იკრიბებოდა. დაგეგმილი
 იყო ბიურო ნიუ-იორკშიც, რომლის დაარსებაც ველარ მო-
 ხერხდა.²⁷¹ 1917 წ. სექტემბერში ლიგის მიერ ამერიკაში გაგ-
 ზავნილმა ფინელმა ქალმა მალმბერგმა იქ „Committee of op-
 pressed nationalities“ დააარსა, მაგრამ მის საქმიანობას დიდი
 გამოხმაურება არ ჰქონია.²⁷²

ლიგა თავის წარმოჩენას ნეიტრალურ ორგანიზაციად
 ცდილობდა, თუმცა, არარუსი ხალხის განთავისუფლების

268 Lempicki, Michal (1856-1930), მთის ინჟინერი და გეოლოგი, 1912 წლიდან
 რუსეთის მეოთხე ღუმის წევრი. ომის დასაწყისში შვედეთში იყო. 1915 წ.
 ვარშავაში გადავიდა, ანტირუსულ მოღვაწეობას ეწეოდა. 1916 წ. პოლო-
 ნეთის ახლადშექმნილი სახელმწიფო საბჭოს წევრი გახდა. ომის შემდეგ
 1921 წ.-მდე ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტროს მრჩეველი, ცდილობ-
 და პოლიტიკური მოღვაწეობის ვაგრძელებს. 1916 წ. დეკემბერში რუსეთის
 ღუმეში დიდი კამათი გაიმართა ლემპიციის ღუმედან ვარიცხვის შესახებ.
 ჩხენკელმა და კერენსკიმ ლემპიცი დაიყვეს, მაგრამ ღუმემ 158 ხმით 7
 წინააღმდეგ გადაწყვიტა მისი ვარიცხვა. იხ.: „რეჩ“ 7.12.1916 და 16.12.1916 და
 Zetterberg 1978, S.187.

269 Ropp, S.181

270 PA AA, WK 20g...Bd. 6, Romberg an Bethman Hollweg, 31.3.1917

271 Zetterberg 1970, 223ff. u. 232ff.

272 იქვე, Bihl 1975, S.74



დმიტრო დონცოვ

საქმეში გერმანიის დახმარებას მოელოდა (სხვათა შორის, წინააღმდეგი იყო ყოველგვარი გერმანული ანექსიისა აღმოსავლეთ ევროპაში) და ფულსაც გერმანიის საგარეო უწყებისგან იღებდა.²⁷³ საგარეო უწყებამ მაქს მ. ვარბურგის ბანკის ანგარიშზე ლიგას 50000 მარკა გადაურიცხა 15 აგვისტოს, ამდენივე 10 სექტემბერს და 11 ოქტომბერს, შემდეგ 12000 მარკა თვეში 1916 წ. დეკემბრამდე და 2000 – 1917 წ. იანვრიდან, რამდენადაც დაუჯერებელი არ უნდა იყოს, 1918 წლის თითქმის ბოლომდე. ბერლინის ბიუროს თვიური ბიუჯეტი იყო 2600, ბერნის და სტოქჰოლმის ბიუროების – 3000-3000 მარკა.²⁷⁴

ასევე, გერმანული სუბსიდიებით გამოდიოდა ბერნში 1916 წ. სექტემბრიდან „Bulletin des Nationalités de Russie“, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე, დმიტრო დონცოვის რედაქციით.²⁷⁵

273 Fischer 1964, S.172, Bihl 1975, S. 45-47

274 PA AA, Der Weltkrieg 20 g geh., Bd. 1-11; Bihl 1975, S. 45-47-ის მიხედვით

275 გერმანული სახელი Korrespondenz der Nationalitäten Rußlands, გამოდიოდა 23.09.1916-დან 13.03.1917-მდე, ანუ რუსეთის რევოლუციამდე.

დმიტრო დონცოვი (1883-1973) 1908 წლიდან ემიგრაციაშია, ომის დროს უკრაინის განთავისუფლების კავშირის ერთ-ერთი მეთაური, 1914-1916 წწ. ბერლინში უკრაინის პრეს-ბიუროს ხელმძღვანელობდა, 1916 წ. შევიცარიაშია, 1917-1919 წწ. უკრაინაში მოღვაწეობს, 1919-1921 წწ. ბერლინში უკრაინის საელჩოს პრესის ბიუროს შეუა. შემდეგ ჯერ ლეოვში და მერე ემიგრაციაში გამოსცემდა ნაციონალისტური შინაარსის ჟურნალებსა და წიგნებს. ითვლება უკრაინული ნაციონალიზმის ერთ-ერთი იდეოლოგად. გარდაიცვალა მონრეალის ახლოს მის მიერ იმპროვიზირებულ „ხეტორში“.



პერბერტ პენრი
ესქვიტ



დევიდ
ლოიდ ჯორჯ

1916 წ. ბოლოს ასევე სამ ენაზე დიდი ტირაჟით გამოიცა ნიგნი „იცნობთ თქვენ რუსეთს?“, რომელშიც მოთავსებული იყო მიმართვა ვილსონისადმი, ხელმოწერების საბოლოო ვარიანტით და აღწერილი უფრო ვრცლად და „დანვრილებით“, ვიდრე მონოდებაში - „რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა მდგომარეობა, მათი ტრალედია.“²⁷⁶ ეს ნიგნი შეედურად (ვითომ ორიგინალი), გერმანულად, ინგლისურად და ფრანგულად გამოიცა.²⁷⁷

1916 წ. ნოემბერში როპპმა და ლემპიციკიმ ლიგის სახელით მიმართეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ესქვიტს, რომელიც ცოტა ხნით ადრე თავის ერთ-ერთ სიტყვაში სომხების ტანჯვას შეეხო. შობის წინა დღეებში მსგავსი დეპეშა გაუგზავნეს ბრიტანეთის ახალ პრემიერს, ლოიდ ჯორჯსაც.²⁷⁸ ეს დეპეშები ისევე უპასუხოდ დარჩა, როგორც ევროპაში „თავისუფალ საქართველოს“ წარმომადგენლების - მწერეთლისა და გ. კერესელიძის 1917 წ. 25 იანვრის დეპეშა „ბატონ პრეზიდენტ“ ვილსონს²⁷⁹ და აღარც ისეთი ყურადღება მიუპყრია, როგორც პირველ მონოდებას ვილსონისადმი.

ლიგაში გაერთიანებულ მოძრაობებს შორის ხდებოდა ცალკე გარიგებებიც. ასე, მაგალითად - 1915 წლის ივნისში

276 ხალია 1995, გვ. 63

277 შევლური გამოცემის Russland sadant det är? რედაქტორი დრ. გუმერუსი იყო. გერმანულ გამოცემას - Kennen Sie Russland? Verfasst von zwölf russischen Untertanen ასეთი გამოცემული არ ჰქავდა. 1917 წ. დახაწვისში გამოხულ ფრანგულ ბროშურას აუგორად - ისინოდუქ ეწერა. წემის ამრით, ერთგვარი „კოლექტიური“ უხვედონიმი და არა როგორც ცეკერებერვა წერს - გაბრისის უხვედონიმი, ან როპპის.

278 PA AA, Der Weltkrieg 20 g geh., Bd. 4 u. 5.

279 გაქსტი - „ქართული გამოეი“, № 22,16 თებერვალი, 1917



ქართველებსა და ფინელებს შორის (ვეტერპოფი) ანტირუსულ-ქართველურ საქმიანობის ეფექტურობის გასაზრდელად,²⁸⁰ რომლითაც შემდეგში სტეპანკივსკის გარშემო შეკრებილი უკრაინელებიც დაინტერესდნენ.²⁸¹

1917 წლისათვის ლიგა დიდ კონფერენციას გეგმავდა, რომელიც, მოვლენათა ჩქარი განვითარების გამო, მრავალჯერ გადაიდო და ველარ შედგა. აპრილში როპკის, წერეთლისა და გუმერუსის მიერ შედგენილი მონოდება რუსეთის დროებითი მთავრობისადმი ვერ გაგზავნეს, რადგან ლემპიცკის ეს მიმართვა რუსეთისადმი ზედმეტად კეთილგანწყობილი ეჩვენა და უარი განაცხადა ხელმონერაზე.²⁸² მაისის შუა რიცხვებში სტოქჰოლმში ფინელები, ბალტიელები, პოლონელები, მაჰმადიანები და ქართველები – წერეთელი და მაჩაბელი, შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ, ერთად გამოსულიყო თუ არა ლიგა სტოქჰოლმში დაგეგმილ სოციალისტების საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე.²⁸³ ეს მოსაზრება, როგორც არამომგებიანი, უარყოფილ იქნა. ყველა ერს თვითონ უნდა გაეკეთებინა განცხადება. საბოლოოდ „სოციალისტების“, წერეთლისა და მაჩაბლის, შემორანდუმიც გამოქვეყნდა კონფერენციის ანგარიშში.²⁸⁴

4 ივნისს გუმერუსთან ქართველების, (რუსეთის) მაჰმადიანების და ფინელების გარდა ეგვიპტელები, სპარსელები და ინდოელები შეიკრიბნენ. წერეთელმა ამ შეხვედრაზე ნაიკითხა მის მიერ დანერგილი საერთო განცხადება. განცხადების დასამუშავებლად შეიქმნა კომიტეტი წერეთლის, გუმერუსის და ჩატოპადიასის შემადგენლობით. ზედმეტად სოციალისტური შინაარსის გამო მათი საბოლოო ტექსტიც დაწუნებულ იქნა ბერლინში, რადგან აუცილებლად გაჩნდებოდა კითხვა, თუ რატომ არ იდგნენ ხელმონერის – „დაჩაგრულ ხალხთა

280 ვეტერპოფი, 28.6.1915. თავის დღიურში ჩაუწერია: „შინაგანად ჩემად მიკვირდა, რანაირად უნდა გვეთანამშრომლა.“- Zetterberg 1978, S.46, Anm.17.

281 Bihl 1975, S.61, u. Anm. 249 u. 250; გერმანელებთან ვოლოდიმირ სტეპანკივსკის (რუსული ფორმა: სტეპანკოვსკი, 1885-1957) ურთიერთობის შესახებ, იხ.: Jerry H. Hoffman, V.Stepankovsky, Ukrainian Nationalist and German Agent. - The Slavonic and East European Review. Vol.1, 1972, Nr.121, pp. 594-602.

282 Zetterberg 1978, S.210-211.

283 Zetterberg 1970, S.249.

284 Stockholm. Comité organisateur de la conférence socialiste internationale de Stockholm. Stockholm 1918.



ვირენდრანატ ჩატოპადიაია (1880-1937) მოფერებით ჩატო, ინდოელი (ბენ-გალიელი) თავისუფლებისთვის მებრძოლი, ბერლინის ინდური დამოუკიდებლობის კომიტეტის დამაარსებელია ჩამპაკარამან პილას, აზინაშ ბპატარიასა და სხვებთან ერთად. ომის შემდეგ „მოხეტიალე რევოლუციონერი“ გერმანიის კომუნისტურ პარტიაში შევიდა და კომინტერნში აქტიურობდა. 1936/37 წწ. ინდოეთისა და ევროპის მრავალ უნივერსიტეტში ნასწავლი, პოლიგლოტი ლენინგრადში მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა. 1937 წელს შპიონაჟის ბრალდებით დაიჭირეს და დახვრიტეს.

კომიტეტის "უკან, მაგ., ელზას-ლოტრინგელები ან ჩეხები.²⁸⁵ ამ დროს იგეგმებოდა რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგის მსოფლიო ლიგად გადაკეთება და ამ იდეის ერთ-ერთი მთავარი პროპაგანდისტი მიხეილ წერეთელი იყო. წერეთლის სხვა მოწოდებებიცა და განცხადებებიც გამოუყენებელი დარჩა.²⁸⁶

არეულ 1917 წელს ლიგა საქმიანობის ველს დაეძებდა.

"1918 წელმა, რომელიც რუსეთის დასავლეთ განაპირა ტერიტორიების თვითგამორკვევის პროცესებს ხელს უწყობდა, როგორც ჩანს, ლიგის ტიპის ორგანიზაცია ზედმეტი გახადა."²⁸⁷ აღარც გერმანიას შეეძლო ისეთი დახმარების განევა, ლიგას რომ გადაარჩენდა. 1918 წ. ოქტომბრის შუა რიცხვებში, ბერლინში როპპი უკანასკნელად შეეცადა ლიგის გადაკეთებას

285 Bihl 1975, S.46 -ის მიხედვით, ლიგის წევრებს, მაგრამ არა ლიგის სახელით, წერეთელს და გუმერუსს, სოციალისტების კონფერენციისთვის მიმართვა გაუგზავნათ 4 თელისს. უკანურია, მაგრამ ცეკერბერგი, რომელიც თავის გამოკვლევაში გუმერუსის არქივსაც იყენებს, ამ მიმართვის ისტორიას სრულიად სხვანაირად გადმოგვიქვს - Zetterberg 1978, S.219 და ჩემის აზრით, უფრო ხანდა.

286 Zetterberg 1978, S.223-224, კოზაკის აზრით, „ყოველივეს ერთი და იგივე წერეთელი, ჩატოპადიაია და გუმერუსი იქნებიან, ვინც გვირთი უნდა მიდოს.“ მსოფლიო ლიგისათვის მქუხარე სახელები ვეაკლიათ - PA AA, Wk 20g, Bd.6, Cosack an Wesendonk, 24.6.1917

Virendranath Chattopadhyaya, ბერლინში არსებული „Indian Independence Committee“-ს გენერალური მდივანი. 1915 წ. მან გერმანელებს შესთავაზა მოელორივი გერონისტული აქტების ჩაგარება, რაზედაც სასტიკი უარი მიიღო. ის, რომ ჩატოპადიაია წმინდა წელის გერონისტი იყო, საუქრებელია, ლიგის წევრებმა არ იცოდნენ.

287 Zetterberg 1970, S.257



პაულ შიმან

და ამით მისი სიცოცხლის გახანგრძლივებას. 10 ოქტომბერს, ვინრო ნრეში – როპკი, გუმერუსი, მაჩაბელი, ნერეთელი – დაიგეგმა ეროვნებათა ანტიბოლშევიკური კომიტეტის შექმნა. გაფართოებულ კრებაზე, 15 ოქტომბერს, რომელსაც როპკის გარდა მისი სიძე ფონ ვილდემანი, დოქტორი პაულ შიმანი,²⁸⁸ პოლონელი თავადი რაძვილი, გიორგი კერესელიძე და სხვები ესწრებოდნენ, გადაწყდა, ჩამოყალიბებულიყო „აღმოსავლეთ ევროპის კავშირი ერთა ლიგის დასაარსებლად“.²⁸⁹

1918 წ. ნოემბრამდე გერმანიის საგარეო უწყება, როგორც წინათ, 20.000 მარკას ურიცხავდა ლიგას. 18.11.1918 ფულის გადარიცხვა შეწყდა.²⁹⁰ გერმანიის იმპერიის დაცემამ ლიგის საქმიანობის საბოლოო შეწყვეტაც გამოიწვია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ლიგის გერმანიაზე დამოკიდებულებას.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „რუსეთის ჩაგრულ ერთა ლიგამ“, იყო ერთა მესამე კონფერენცია ლოზანაში 1916 წ. 27-29 ივნისს.²⁹¹

288 Dr. Paul Schiemann გერმანიის იმპერატორთან დაახლოებული პროფ. თეოდორ შიმანის ძმისშვილი იყო და რადგანაც როპკი სხვა საქმეებით იყო დაკავებული 1918 წ. შემოდგომაზე, ის უძღვებოდა „ნეიტრალური კორესპონდენციის“, ანუ ლიგის შტაბ-ბინის საქმიანობას ბერლინში. პაულ შიმანთან დაკავშირებით საინტერესოა: Hans v. Rimscha, Die Politik Paul Schiemanns während der Begründung der Baltischen Staaten im Herbst 1918, in: Zeitschrift für Ostforschung 1956, S.75-76.

289 Zetterberg 1978, S.253.

290 Zetterberg 1978, S.256.

291 Ropp, S. 108, არასწორად მიუთითებს თარიღს – 26-29 ივლისი. სხვაგანაც



ლოზანა, კაზინო მონტბენონი დღეს


2.5.3. ერთა კავშირის მესამე კონფერენცია 1916 წელს

ლოზანაში, კაზინო დე მონტბენონში,²⁹² 27-29 ივნისს ერთა კავშირის კონფერენციამ უამრავი ერის წარმომადგენელი შეკრიბა. ასეთი კონფერენცია თუ კონგრესი მესამედ ტარდებოდა. პირველი 1912 წელს ჩატარდა, მეორე – 1915 წელს, ორივე პარიზში, რაც ერთა კავშირის პროანტანტურ ტენდენციას ააშკარავებს. „ერთა კავშირის“ დაარსებაში დოქტორ გაბრისისა და ფრანგ ჟურნალისტ ჟან პელისიეს გარდა ფრანგი ისტორიკოსი პროფ. შარლ ზეინობოს და საფრანგეთის მომავალი პრემიერ-მინისტრი პოლ პაინლევე მონაწილეობდნენ.²⁹³ მესამე კონფერენციის პრე-

გველდება ამ ღონისძიების არასწორი დათარიღება.

292 ამჟამად კაზინო მონტბენონში შვეიცარიის სინემათეკაა, თავისი კინოლარბაზებით.

293 Colliander 1965, S.12-13 თვლას, რომ I კონფერენცია საერთოდ არ ჩატარებულა და სინამდვილეში მესამე კონფერენცია მეორე იყოთ. Zetterberg 1978, S.110-111 კი მიიჩნევს, რომ პირველი კონფერენცია 1912 წ. გაბრისის მეცობრების უაღრესად ეჭვრი წრეში ჩატარდა. იხ.: ასევე Ropp, S.108; გაბრისი (Gabrys) და პელისიე (Pélissier) (13.1918-დან შარლ რივე (Rivet)) 1912 წლიდან გამოსეკმდნენ



პოლ პაინლევე

ზიდენტი იყო ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტივისტი, ბელგიელი პროფესორი პოლ ოტლე²⁹⁴; გენერალური მდივანი, როგორც ყოველთვის, გაბრისი.

რუსეთის „ჩაგრულ ერთა“ აქტიურმა გამოსვლებმა კონფერენციას ახალი ელფერი მისცა.²⁹⁵ „შემობრუნება, რომელიც სხდომებზე მოხდა, კონგრესის მომწყობთათვის და განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის ბელგიელი ოტლესათვის, საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის დირექტორისთვის, სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი ხომ ცენტრალურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გამოსვლას მოელოდნენ. მაგრამ კონფერენციის ბიუროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უთუო და მრავალგზის ხაზგასმული ანტიანტისადმი სიმპათიების მიუხედავად, სხდომები იმათი ინტერესების შესაბამისად წარიმართა, ვისთვისაც ეს ყრი-

Les Annales des Nationalités. Bulletin de l'Union des Nationalités.

ერთა კავშირს გაზეთი „შვირთი“ მოხდენილად უწოდებს „ეროვნულ ინტერნაციონალს“, სოციალ-დემოკრატების „პარტიული ინტერნაციონალის“ საპირისპიროდ – სეგეაკო (*=თელი ლიონის*) „ეროვნულ ინტერნაციონალი“, „შვირთი“, № 42, ორშაბათი, 1.08.1916.

294 Paul Otlet-ის (1868-1944) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ W. Boyd Rayward. The Universe of Information, რუსული თარგმანი: მოსკოვი 1976, პირველი მხოვლით ომის პერიოდი IX თავში. ოტლე და მისი თანამოაზრეები ჯერ კიდევ ომამდე ერთა თანამეგობრობის – ერთა ლიგის პროექტზე მუშაობდნენ. ერთა კონფერენციები გარკვეულწილად წინა საუფხური იყო მომავალი ერთა ლიგისა.

295 Zetterberg 1970, S.230 vgl. Colliander, Börje, Lausannemötet 1916. Ett ideologiskt varsel under första världskriget (auf deutsch: Die Lausanner Versammlung 1916. Ein ideologisches Vorzeichen während des Ersten Weltkriegs) In: Acta Academiae Aboensis, Ser. A. Vol.29, Nr.2, Abo/Turku 1964, S.16-18.



პოლ ოტხლე

ლობა მოენყო“ – აღფრთოვანებული წერდა „ნახრიბტენშტელეს“ „კორესპონდენცბლატი“. ²⁹⁶ ბოლო მესამე დღეს განსაკუთრებით ბევრი იყო რუსეთის ჩაგრულ ერთა წარმომადგენლების გამოსვლა. ამ დღეს ლემბიციკიმ წარმოთქვა შემაჯამებელი წინადადება: „რუსეთი იმსახურებს იმას, რომ მის საზღვრის კარიბჭეზე ეწეროს „Lasciate ogni speranza!“²⁹⁷

მაინც საკმაოდ წყნარად მიმდინარე კონფერენციაზე, პირველივე დღეს, შესვენების შემდეგ, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მიხეილ წერეთლის სიტყვამ და დისკუსიამ მის გარშემო, რომელმაც მთელი კონფერენცია განსაზღვრა. ²⁹⁸

„კიევსკაია მისლსა“ (№200) და „რეჩში“ დაბეჭდილი კორესპონდენციების მიხედვით გაზეთი „ზვირთი“ მოგვითხრობს: „სხვათაშორის ილაპარაკა [აქ რამდენიმე სიტყვა ამოღებულია ცენზურის მიერ] მიხაკო წერეთელმა. მან აღნიშნა საქართველოს საჭიროება რუსეთისგან ჩამოშორების და დამოუკიდებლობის

296 „Von der dritten Nationalitätenkonferenz“ In: Korrespondenzblatt der N.O., Nr.13, 13 Juli 1916.

297 იეშქე 1937, გვ. 21. Lasciate ogni speranza voi ch'entrate – წარწერა ჯოჯოხეთის ბჭეზე დანტეს „ღვთაებრივ კომედიამი“ - „თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დახტოვეთ ვეღლა!“ (კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანი).

298 ერთა მესამე კონგრესზე მიხეილ წერეთლის მოხსენება „ქართველი ერის უფლებანი“ დაბეჭდილია „ქართულ გაზეთში“ 1916 წ. № 16, 17, 18, ოდნავ შემოკლებული – „ბედი ქართლისა“ № 15, შეად. Colliander 1964, S.28-29, Zetterberg 1978, S.124-125. კონფერენციის მასალები - Revendications des Nationalité opprimées. Recueil de mémoires, rapports et documents présentés à la III^{me} Conférence des nationalités. Lausanne 1917. (ქართველები /Georgiens 79-89) და კონფერენციის შესახებ - Compte Rendu Sommaire de la III^{me} Conférence des nationalités. Lausanne 1916 (Les Georgiens, S.55).



შარლ ზუინობოს

მოპოვებისა. ამან გამოიწვია მეორე ქართველის, სოციალ-დემოკრატის თევზაიას²⁹⁹ პროტესტი, რომელმაც განაცხადა: საქართველოს ჩამოშორება კი არ უნდა, არამედ რუსის ხალხთან ერთად რუსეთის დემოკრატიზაცია ჰსურსო. მიხ. წერეთლისა და თევზაიას ლაპარაკმა მეტად ცხარე ხასიათი მიიღო. ...

ამავე საგნის შესახებ „რეჩის“ კორესპონდენტი წერს: მთელი ყრილობა რუსეთის სანიხაალმდეგო იერიში იყო. აქ შეერთდა ქართველების ვნებიანობა და სხვათა სიფიცხე. რუსეთის სანიხაალმდეგო სულის განწყობილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როცა ლაპარაკი საქართველოზე ჩამოვარდა. მიხაკო წერეთელს ნება დართეს ელაპარაკნა იმდენი, რამდენიც მან თვითონ დაინახა საჭიროდ. იგი არ გაუჩერებიათ თვით საპოლემიკო ადგილებშიაც. ალტაცებით და ტაშის კვრით ხვდებოდნენ ყოველ მის ნათქვამს, სადაც მ. წერეთელი უკანასკნელ ანგარიშს უსწორებდა რუსეთსა. ...

299 ვიქტორ (ბექტორ) თევზაია, ე.წ. „ფოთის რესპუბლიკის პრემიენტი“ 1905 წ. რევოლუციის დროს, 1906 წ. ემიგრაციაშია, ფხველონიში ძეაძველოვ: გამეთ „აზრში“ წერდა ფხველონიში თუკლათელი, რადგანაც სოფელ თუკლათიდან იყო. ენუვის უნივერსიტეტის პრეფაგლოცენტი. სსცსა, ფ.13, ა.27, ს.5019, გვ.1, 3, 4. შევდური გაზეთი „Nya Dagligt Allehanda“, 10.7.1916 ადგვიწერს თევზაიას, როგორც „არასიმპათიურ, გულისამრღი“ კაცს. მას ე. ლენინიე ახსენებს ფხველონიში მაშინაც - ე.ი.ლენინი. თხზულებანი. პირველი სრული გამოცემა, ტ.XVIII (1914-1915), გფილისი 1931, გვ. 211 და შენიშვ. გვ. 602. მისმა გამოსვლამ „დიდი სამხაზური გზევიწია საქართველოში, - მთავრობამ დაინახა რომ პასუხისმგებელი პარტია სეპარატიზმის წინააღმდეგია“ - ახსენებს თავის მოვინებებში ნოე კორდანი. ის კორდანი 1990, გვ. 70. შეად. სრულიად განსხვ. აზრი ამ თხილენებზე - გაბამეილი 1992, გვ. 147; ვუმერუხი, რომელსაც 1918 წელს კიევში საქართველოს წარმომადგენელ თევზაიას შეხედა, თვლის, რომ ეს ის თევზაია არ იყო - Zetterberg 1978, S.125, Anm.27. (ხინამდეილემი ეს იგივე თევზაია).



საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია უკრაინაში. სხედან: მათე სკობელევი, სოსიპეტრე ასათიანი, ბიქტორ თევზაია, მიხეილ ბიბინეიშვილი, ალექსი სვანიძე, დგანან: ანტონ კარპოვიჩი, ნიკოლოზ ბრეგვაძე, ვალერიან მაქაცარია.

„მიუხედავად ამისა, – წერს „რეის“ კორესპონდენტი ვლადიმირ ვიქტოროვი, – ყრილობის წევრთა და დამსწრეთა უმრავლესობამ ტაში დაუკრა და თანაგრძნობა განუცხადა ბ-ნ წერეთლის საბოლოო სიტყვას, როდესაც მან პირდაპირ განაცხადა, რომ თევზაია სტყუისო, რადგან ქართველი ერის და რუსეთის დემოკრატიას შორის არავითარი ხელშეკრულება არ არსებობს და საქართველო არაფერს მოელის რუსეთისაგანო. ეგვიპტელები, ალბანელები და სხვანი ისე მხურვალეთ უკრავდენ ტაშს, ისეთი ყოყინით შეხვდნენ მოლაპარაკეს, რომ მე ვედარ გავძელი და გადავწყვიტე აღარ ნავსულიყავი კონგრესის სხდომებზეო“, დასძენს კორესპონდენტი.³⁰⁰

„კორესპონდენცბლავი“ კი წერს: „მომჩივან აღმოსავლეთის ერებს შორის უთუოდ ქართველ წერეთელს ჰქონდა ყველაზე დიდი წარმატება, რადგანაც მან შეძლო თავისი კარგად დასაბუთებული ახსნა-განმარტებით არა მარტო ქართველების განთავისუფლების უდავო უფლებაში დაერწმუნებინა სხდომა, არამედ იმაშიც,

300 ერებს წარმომაღვეხელთა ყრილობა ლომანაში – „მეორთი“, 8.08.1916. კონფერენციას თითქმის ყველა კავკასიური გაზეთი გამოეხმაურა.



თუ როგორი გაუგონარი სისასტიკით ეპყრობა რუსეთი თავის უმცირესობებს. თითქმის თვალთ დასანახი იყო ის ნაპერწკლები, რომლებიც მისმა სიტყვამ აანთო, როგორ ედებოდა კონგრესის მონაწილეებს (წერეთელმა სიტყვა წარმოთქვა, რადგან ანბანის რიგი დაცული იყო, ერთ-ერთმა პირველმა)...³⁰¹ საერთოდ, გერმანულ პრესაში ლოზანის კონფერენციის გარშემო დიდი აჟიოტაჟი არ ატეხილა. ოფიციალურ გერმანიას არ უნდოდა გაჩენილიყო ეჭვი, რომ კონფერენცია გერმანიის გავლენას განიცდიდა.³⁰² ამავე დროს გერმანიამ 5000 მარკა გასცა ლოზანის კონფერენციაზე მომუშავე ანტანტის ჟურნალისტების მოსაქრთამად.³⁰³ ამკარად გალიზიანებული ანტანტის ქვეყნების დიდი გაზეთები ყოველმხრივ ცდილობდნენ, კონფერენციის მნიშვნელობა დაეკნინებინათ. გაზეთი „Temps“ 1916 წ. 2 ივლისს სტატიაში „არაფრის მომტანი საუბრები“ წერდა: „ფრანგმა ჯარისკაცებმა ვერდენში და რუსებმა ბუკოვინაში გააკეთეს ხალხთა თავისუფლებისათვის მეტი, ვიდრე კონგრესმა.“

პარიზული გაზეთი „L'Eclair“, 11.07.1916, ზუსტ დასკვნას იძლეოდა: „ყველა ითხოვს იმ ხალხების განთავისუფლებას, რომლებიც მტერი სახელმწიფოების ძალაუფლების ქვეშ იმყოფებიან, მაგრამ ვერავის წარმოუდგენია იმ ხალხთა გამოყოფა, რომლებიც საკუთარი ხალხის ძალაუფლების ქვეშაა.“³⁰⁴

კონგრესზე წარმომადგენლები ჰყავდათ ალბანელებს, ბასკებს, ეგვიპტელებს, კატალონიელებს, ლუქსემბურგელებსაც კი, და, რასაკვირველია, რუსეთის ჩაგრულ ერებსაც, მათ შორის აზერბაიჯანელ, ყირიმის, ყაზანის, ასტრახანის, ორენბურგის და ციმბირის თათრებს, შუაზიელ თურქებს (კონფერენციაზე „ჩალათაის“ სახელით გამოდიოდნენ), ყირგიზებს, ჩერქეზებს, ყუმუხებს და სხვა დაღესტნელებს. ქართული დელეგაცია საკმაოდ დიდი იყო და ქართველ ქრისტიანებსაც და მაჰმადიანებსაც მოიცავდა – მიხეილ წერეთელი, კონსტანტინე გამსახურდია, რიზა ბეი, ქიამილ ბეი თავდგირიძე, ჰასან ფეჰმი ირემაძე, ქიამილ ბეი დარბაიძე.³⁰⁵

301 „Von der dritten Nationalitätenkonferenz“ In: Korrespondenzblatt der N.O., Nr.13, 13 Juli 1916.

302 Ropp, S.109

303 PA AA, Der Weltkrieg 20 g geh., Bd. 3, Uexküll an Wesendonk, 29.8.1916.

304 ვაღშიბეჭდილია Comptes-Rendus Sommaire de la III-me Conférence des Nationalités réunie à Lausanne 27-29 juin 1916. Lausanne (1916), p. 63, 71-75.

305 Bihl 1975, S. 46 vgl. Gotthard Jäschke, Les peuples opprimés de Russie et la Conférence de Lausanne en 1916, „Prométhée“, vol. XII, Nr. 132, Paris 1937.



თომას ვუდრო ვილსონ.
 1916 წ. ბეისბოლის
 სეზონის გახსნაზე

გასაგები მიზეზების გამო, სომხები მონაწილეობას არ იღებდნენ ლიგის მუშაობაში და შეიძლება, არც არავის დაუპატიჟია პროანტიანტული გამო. მაგრამ უცნაურია, რომ ისინი, მიუხედავად იმისა, რომ „ლოზანაში საკმაოდ ძლიერი სომხური კომიტეტი“ არსებობდა³⁰⁶, არც ერთ კონფერენციაში მონაწილეობდნენ და თავსაც იმართლებდნენ, „ვერ დავესწრებით კონგრესს, რადგან მანდატები არ მიგვიღია, თუმცა ყრილობას სრულს ნდობას ვუცხადებთ.“³⁰⁷

კონფერენციაზე შეიქმნა ეროვნებათა მუდმივი კომისია (Commission permanente), რომელმაც, ასევე, ამერიკის პრეზიდენტ ვილსონს გაუგზავნა მიმართვა.³⁰⁸

შესაძლებელია, კონფერენციასთან კავშირში იყოს 1916 წ. ზაფხულში „ქართულ გაზეთში“ გამოქვეყნებული „შვეიცარიაში „თავისუფალი საქართველოს“ კომიტეტის“ „მიმართვა განათლებულ კაცობრიობას“.³⁰⁹

1917 წელს იგეგმებოდა ახალი, „მეოთხე“ კონფერენცია. ოთხთა კავშირიც და ანტანტის სახელმწიფოებიც ცდილობდნენ ეპოვათ ხელსაყრელი მომენტი, რათა კონფერენცია თავიანთი მიზნების შესაბამისად გამოეყენებინათ. კონფერენცია მრავალგზის გადაიდო და საბოლოოდ ველარც შედგა.³¹⁰

306 „Von der dritten Nationalitätenkonferenz“, in: Korrespondenzblatt der N.O., Nr.13, 13 Juli 1916

307 ერების წარმომადგენელთა ყრილობა ლოზანაში – „მეორთა“, 8.08.1916.
 308 Bihl 1975, S.46 u. Anm. 71, S. 258; ერთა კავშირი დიდ საგამომკველო საქმიანობასაც ეწეოდა. გარდა კონფერენციის მახალებსა და ჟურნალისა – Les Annales, ბროშურებიც გამოსცა სხვადასხვა ერის პრობლემების შესახებ.

309 „ქართული გაზეთი“, № 10, 15.08.1916.

310 Zetterberg 1978, S.238-242.

2.5.4. ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან

ქართულ კომიტეტს არა მარტო შორეული ქვეყნების წარმომადგენლებთან ჰქონდა ურთიერთობა, არამედ ცდილობდა შეძლებისდაგვარად ეთანამშრომლა საქართველოს მეზობელი ერების წარმომადგენლებთანაც. ეს ურთიერთობები უფრო რთულ პირობებთან და წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას კავკასიელებისადმი ოსმალები იჩენდნენ. ოსმალეთში, გარდა ახალი ემიგრაციისა, ძლიერი, ინტეგრირებული და გავლენიანი კავკასიური დიასპორა არსებობდა. 1915 წელს ენვერის მითითებით ჩერქეზული წარმოშობის სენატორმა მარშალმა ფუად ფაშამ, რომელიც ომის დაწყებიდანვე ჩერქეზების აჯანყებაზე ოცნებობდა, ჩამოაყალიბა „თურქული სანიტარული მისიის“ სახელით შენიღბული კავკასიური კომიტეტი. კომიტეტში შედიოდნენ: კომიტეტის თავმჯდომარე – ფუად ფაშა, სტამბოლის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პროფესორი აზიზ მეკერი (ჩერქეზი), ოსმალეთის არმიის სანიტარული ინსპექტორი, ბრიგადის გენერალი დოქტორი ისა კოცეკი ფაშა (დაღესტნელი), აზერბაიჯანელი თათრებისა და ლეკების წარმომადგენელი სელიმ ბეი



ფუად ფაშა



იოსებ აქურა ოდლუ
 იოსებ აქურა ოდლუ

იოსებ აქურა ოდლუ (აკურავე)

ბებუთოვი, ქიამილ თავდგირიძე და გიორგი მაჩაბელი.³¹¹

1915 წლის 15 ოქტომბერს შედგენილი მემორანდუმის მიხედვით კომიტეტის მიზანი იყო: 1) შეიარაღებული აჯანყების მომზადება, 2) კავკასიის კონფედერაცია ცალკეულ სახელმწიფოთა ავტონომიით, 3) სამხედრო კონვენცია თურქეთთან, 4-5) გერმანიისა და ავსტრო-უნგრეთის დახმარების მოპოვება – იმ გავლენაზე მითითებით, რომელიც ექნება კავკასიის ჯანყს თურქესტანზე, სპარსეთზე, ავღანეთსა და ინდოეთზე.

კომიტეტმა ეს მემორანდუმი 17 დეკემბერს, ბერლინში გერმანელებს და 1916 წ. 9 იანვარს ვენაში ავსტრო-უნგრელებს გადასცა. ეს კონსტანტინოპოლიდან ვენასა და ბერლინში გამგზავრებული დელეგაცია ისინი არიან, ვისზეც გაკვირვებული მოხელე კითხულობდა „*какые это грузины*“-ო?

17 დეკემბერს „ბაქოელი თათარი“ ბებუთოვი ბაქოში შეკრებილი „თათართა და დაღესტნელთა ყველა გუბერნიის“³¹² სახელით ითხოვდა თოფ-იარაღით დახმარებას ბაქოს გუბერნიაში, მთელს ამიერკავკა-

311 Jäschke 1941, S.17; უფად უაშა გერმანული „რკინის ჯვრის“ (II კლასის) კავალერი ვახდა 1915 წ. იხ. Bihl 1975, Anm. 136/Kap.VII, S.357.

312 Jäschke 1941, S.17 თარგმანი ფრანგულიდან „ყველა მთავრობათა“ წარმომადგენელი ამკარად არასწორია. ფრანგული Gouvernement ნიშნავს მთავრობასაც და გუბერნიასაც. ბილს, გვ.239, ფრანგულადაა აქვს დატოვებული ეს აღივლი. მაგრამ რა შეკრებას ვულისხმობს ბებუთოვი, მაინც გაურკვეველი რჩება. ბებუთოვის მოხსენება-მემორანდუმი - PA AA, WK Nr.11 d secr...Bd.9.

მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის იმპერიის თურქ-თათრებში მოდური პან-მოძრაობების მაგალითზე წარმოიშვა თურქულენოვან ხალხთა კულტურული და პოლიტიკური ერთობის იდეა. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა, თურქ-თათრების მოდერნიზაციისა და ევროპეიზაციის მედროშემ, ყირიმელმა თათარმა ისმაილ ბეი გასპირალიმ პან-თურქიზმის დევიზი ასე ჩამოაყალიბა „Teldü, fikerdü, eşä berlek“ – „ენის, აზრის, საქმის ერთიანობა“. მის მიერ 1883 წელს დაარსებული გაზეთი *თურჯიმან* თითქმის 20 წლის განმავლობაში ერთადერთი თათრულენოვანი გაზეთი იყო რუსეთის იმპერიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს პანთურქიზმისა და თურანიზმის იდეები ოსმალეთის იმპერიაში უაღრესად პოპულარული გახდა.

ისმაილ ბეი გასპირალი (გასპირინსკი)



Isma'il b. Gaspirali
Исмаилъ Бей Газпирскій

სიასა და სპარსეთში აჯანყების მოსაწყობად. 1915 წ. ბოლოს ბუდაპეშტში მეორე კავკასიელმა თათარმა, ალი ჰოუსეინზადემ და ვოლგისპირელმა თათარმა იუსუფ აქურა ოღლუმ, შემდეგში ლოზანის კონფერენციის მონაწილეებმა, წარადგინეს „რუსეთის მაჰმადიან თურქ-თათარი ხალხების უფლებათა დამცველი კომიტეტის“ შემორანდუმები, რომელშიც ისინი მოითხოვდნენ ბუხარისა და ხივის სახანოების, ყირიმის სახანოს (თურქეთის მფარველობის ქვეშ) და ყაზანის სახანოს აღდგენასა და გაფართოებას.³¹³ ჩაგრულ ხალხთა ლიგის მიერ ვილსონისადმი გაგზავნილ მეორე წერილს (პირველზე დაგვიანებით ჩავიდა ხელმოწერები) „თურქების, თათრების და ყირგიზების“ სახელით აქურა ოღლუ, აზერბაიჯანელები ჰოუსეინზადე და ალაოღლუ აწერენ ხელს.³¹⁴

313 Denkschrift des Komitees zum Schutze der Rechte der mohamedanischen türkisch-tatarischen Völker Rußlands. (Pest 1915); შუად.: Jäschke 1941, S.17, Rusya müslüman Türk-Tatarların hukukunu müdafaa Komitesi-ს. გარდა პანთურქიზმის ძველი მედროშეების აქურა ოღლუ (აკურაევ) იუსუფისა, რომელმაც ჯერ კიდევ 1904 წ. გამოაქვეყნა პროგრამული სტაგია „პოლიტიკის სამი ვაზი“ და თანადამაარსებელი იყო თურახისტული კავშირის Türk Ocagi (თურქული კრა) და ქერნალის Türk Yurdu (თურქის სამშობლო), ხელმძღვანელობდნენ ამერბეიჯანელი ალი ჰიუსეინზადე, ყირიმელი თათარი; თეოლოგიის პროფესორი მეჰმედ ესად ხელიშბადე და „ბუხარელი თურქი“ მეჰიმ ელდინ ბეიჯან. შუად.: Edige Kirimal, Der Nationale Kampf der Krimtürken mit besonderer Berücksichtigung der Jahre 1917-1918, Emsdetten 1952, S.30f.

314 Jäschke 1941, S. 18, Anm. 100. ყველა ამ მიმართულება და შემორანდუმებში კავკასიელი თათრების არსებობა თვალში ხაყვია. „გიულსკი ლისტოკ“.

ჩერქეზი აზიზ მეკერი 1915 წლის 21 დეკემბერს კავკასიაში ვერა ციხეში ჩერქეზების დამოუკიდებლობას მოითხოვდა. ის ფიქრობდა, რომ ჩერქეზებს ტრაპიზონში 50000-იანი სამხედრო დაჯგუფების შედგენა შეეძლოთ.³¹⁵ თურქებს არც ჩერქეზული „ლეგიონი“ ეხატებოდათ გულზე, მით უმეტეს გერმანელების ხელმძღვანელობით და ჩერქეზული წარმოშობის ოსმალთა დეზერტირებისგან შემდგარი, როგორც ამას ჩერქეზი, ყოფილი ელჩი ბეჩირ სამიბეგი მოითხოვდა,³¹⁶ მაგრამ ხშირად მას იყენებდნენ ქართველებისა და გერმანელების დასაშინებლად – „ქართულ ლეგიონს“ დავშლით და „კავკასიურს“ შევქმნითო.

შინაგანი წინააღმდეგობების გამო, კომიტეტის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიელ წევრებს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. 1916 წ. კომიტეტი დაიშალა და მისი ჩრდილოკავკასიელი წევრები ახალი სახელით – „თურქეთში ჩრდილოკავკასიელ ლტოლვილთა კომიტეტი“ – გაერთიანდნენ.³¹⁷

არსებობდა სხვა, მსგავსი იდეების მატარებელი კომიტეტები და წრეები, რომლებიც თურქეთის მმართველ პარტიასთან მეტ-ნაკლებად იყვნენ დაკავშირებულნი და ოსმალეთიდან ცდილობდნენ თავიანთი საქმიანობის წარმართვას. რამდენად იქონიეს მათ გავლენა რუსეთის იმპერიაში 1917 წლამდე მომხდარ ერთადერთ სერიოზულ გამოსვლაზე იმპერიის წინააღმდეგ – თურქესტანის 1916 წლის აჯანყებაზე, ძალიან ძნელი სათქმელია.

კავკასიელების სხვა თვალსაჩინო აქტიურობა დაკავშირებულია საქართველოს ნაპირებისაკენ მაჩაბლის წყალქვეშა ნავით მგზავრობებთან.

4.7.1915 იუწყება, რომ ორენბურგის ყოფილმა მუჟიკიმ იბრაჰიმოვა და გზით „კასპის“ (ყოფილმა) თანამშრომელმა აგაქემა ბერლინს მიაშურებ „გერმანოფილური პანისლამიზმის“ (sic!) პროპაგანდისთვის ინსტრუქციებისა და ფულის მისაღებადო. ეს შენიშვნა ემყარება „ნოვოე ვრეშია-ში“, 12.6.1915 გამოქვეყნებულ მოშრდილ სტატიას, რომელშიც, სხვათა შორის, ბარონი ოპენჰაიმი და მისი „კომისიაცაა“ მოხსენიებული. ახმედ აგაევ აგაზადე (იგივე ალაოლუქ), რომელიც 1910 წ.-დან თურქეთშია, მიიგობის მიუხედავად, პანისლამისგია. რუსული სტატიის ავტორი მას „მაკორენელი კლდეების“ უწოდებს.

315 PA AA, WK Nr.11 d secr...Bd. 9, Aziz Meker an Wesendonk, 21.12.1915.

316 PA AA, WK Nr.11 d secr...Bd. 14, Metternich an Bethmann Hollweg, 15.9.1916; nach Bihl 1975, S. 62.

317 Jäschke 1941, S.17

2.6. ქართული ლეგიონი

ქართული ლეგიონის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მკვლევარის, ვერნერ ციურერის აზრით, გერმანული რევოლუციონირების პოლიტიკა კავკასიაში ცუდადაა შესწავლილი. „განსაკუთრებით ქართულ ლეგიონთან დაკავშირებით, რომელიც უთუოდ ყველაზე სენსაციურ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს ამ ჩარჩოებში, ჯერ კიდევ გაბატონებულია მრავალმხრივი მერყეობა, უცოდინრობაც კი.“³¹⁸ ვოლფდიტერ ბილი კი წერს, რომ „ამ ლეგიონის ისტორიის მონახაზის გაკეთებაც კი ძალიან ძნელია, რადგანაც ხელმისაწვდომი წყაროები უაღრესად წინააღმდეგობრივია და ჩახლართული.“³¹⁹

ქართული ლეგიონის, ისევე როგორც თურქეთში ქართული კომიტეტის, აქტივობის სრული ისტორიის აღდგენა შეუძლებელია თურქული საარქივო მასალის შესწავლის გარეშე. ჯერ-ჯერობით ეს ვერ მოხერხდა და იძულებული ვარ, ძირითადად ისევე გერმანულ წყაროებს და ციურერისა და ბილის გამოკვლევებს დავყრდნო.

2.6.1. სარიყამიშის შემდეგ

კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიის შეტევის მარცხისა და სარიყამიშთან კატასტროფის შემდეგ, გერმანელებმა ყურადღება კვლავ მიაქციეს ქართული კომიტეტის მიერ ადრევე მოთხოვნილ ქართული ლეგიონის შექმნის საქმეს.

ქართულ კომიტეტს, რომელიც უკვე ტრაპიზონში იყო გადასული, ლეგიონის ჩამოყალიბების მიზნით ფრონტისპირას მივლენილი ჰყავდა ლეო კერესელიძე, რომლის მოღვაწეობასაც გარკვეული წარმატება ჰქონდა აჭარელ ლტოლვილთა და ლაზთა შორის.

გერმანელები 1915 წ. დასაწყისისთვის მიხვდნენ, რომ მართო თურქები ვერაფერს გახდებოდნენ კავკასიაში და საჭირო იყო კავკასიური პოლიტიკა თურქების გვერდის ავლითაც ეწარმოებინათ. მეტიც, გერმანელები თვლიდნენ, რომ კავკასიის აჯანყების საქმეში თურქები მხოლოდ ხელის შემშლელნი

318 Zürer, Georgischer Legion, გვ. 86

319 Bihl 1975, S.74



რუსი სამხედროები
ნადავლი თურქუ-
ლი დროშებით
ერზერუმში

იყვნენ. ლუის მოზელის თქმით, „კავკასიის ხალხები მხოლოდ გერმანიას ენდობიან“.³²⁰

მოზელის მოსმენის შემდეგ გერმანულმა უწყებებმა კონსტანტინოპოლში ფელდმარშალ ფონ დერ გოლცის თანდასწრებით გადაწყვიტეს, „იმ მომენტისათვის, როცა პირობები კავკასიაში აქტიური ჩარევის ნებას დაგვრთავს, მომზადებული გვყავდეს ქვეგანაყოფი, შესაფერისი, ტყვეობაში მყოფ ქართველთა შორის ამორჩეული ელემენტებისაგან შესადგენი, რომელიც ქართულ ტერიტორიაზე შეიჭრება და მომავალი აჯანყების ბირთვის შექმნის.“³²¹

კავკასიური მოძრაობის ორგანიზაციისათვის საჭიროა, „როგორც უკვე თვეების განმავლობაში კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოსადმი გაგზავნილ დეპეშებსა და მოხსენებებში ვიტყობინებოდი,“ – წერდა მოზელი, – „I. სრული და აბსოლუტური ჩამოშორება თურქული კომიტეტისა. II. ... III. იარაღის დარიგება. IV. ქართული კომიტეტის ... წევრთა ახლად ჩამოსაყალიბებელი კავკასიური ლეგიონის თანაუფროსებად მწყობრში ჩაყენება. V. საქართველოსთან, კავკასიასთან მუდმივი კავშირის სასწრაფოდ დამყარება....“

... ქართული კომიტეტის, ერთი ნაწილის მაინც, ლეგიონების უფროსებად დაყენება მოსახლეობაზე კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს და, სულ ცოტა, ენის გამოც საჭიროა. კავშირის დამყარება აქამდე შეუძლებელი იყო, მიუხედავად იმისა, რომ

320 ციგაგა Zürer, Georgischer Legion, გვ. 87 მახედვით. ეს ამრი ხინამდევლეს არ შეესაბამება, მაგრამ გამოხატავს გერმანელების გარკვეული ნაწილის ხედვას.

321 PA AA, R 21011, Wangenheim, 5.03.1915.

საიმპერიო საელჩომ მთელი რიგი ადამიანები შედარებით დიდ თანხებით რუსეთის ტერიტორიებისკენ გაგზავნა.

ლეგიონისტვის კავკასიელი ტყვეები ტრაპიზონში ან გიუმისხანეში უნდა იქნენ ჩამოყვანილნი. შეტევის შემდეგ აჭარაში იქაური მაჰმადიანური მოსახლეობა, ასე 10000 კაცი, რომელიც „ბრწყინვალე მასალას“ წარმოადგენს, უნდა შეიარაღდეს. სვლა გაგრძელდება ქრისტიანული საქართველოს – გურიის მიმართულებით და აქაც ხალხში იარაღი დარიგდება. მერე კი აჯანყება თავისით გავრცელდება.

შემდეგში საუბარია საქართველოში მოქმედ ძალებზე, ბაქო-ბათუმის ნავთსადენზე ტერორისტული აქტების მოწყობაზე ადგილობრივი ტერორისტის საშუალებით, რომელიც მაღალ ანაზღაურებას ითხოვს და რომ მუდმივი კავშირის დამყარება კავკასიასთან ყველაზე ადვილია რომელიმე ნეიტრალური ქვეყნის წითელი ჯვრის მისიაში მომუშავე ქალების (ამერიკელების) საშუალებით, რაც ასევე ძვირი დაჯდება.³²²

მოზელი, წერეთელთან ერთად, ვანგენჰაიმისა და „გოლცფაშას“ რჩევით საქმის წინ წასანევად ბერლინშიც ჩავიდა და მაღალ მოხელეებს შეხვდა.

მიუხედავად იმისა, რომ „...ბორჩხაში თბილისისა და ქუთაისის კომიტეტების წარმოგზავნილებმა ცნობა ჩამოიტანეს, რომ ორგანიზირება დამთავრებულია, მთელი კავკასია ერთ მუჭადაა შეკრული და მხოლოდ იარაღილა აკლიათ..“, მათ იარაღის მიწოდებაზე აქაც უარი მიიღეს. აღმფოთებული წერეთელი წერდა: „სამწუხაროდ, ახლა აქ გავიგე, რომ უახლოეს ხანაში იარაღის მიწოდება გამორიცხებულია და ჩემი საქმიანობა დღეს გამოიხატება ტყვეთა გაზეთის გამოცემაში თანამშრომლობაში.“ მაშინ ის ითხოვდა ევროპიდან თურქეთში წასული ქართული კომიტეტის წევრების უკან გამოწვევას და აქაურ ტყვეთა ბანაკებში პროპაგანდის საშუალებით ქართველების „ჩვენი საერთო მტრის – რუსების წინააღმდეგ“ განწყობას და „შემდეგ პოლონური ლეგიონის მსგავსად აღმოსავლეთის საზღვარზე გერმანიის ჯარებთან ერთად ბრძოლასა და ფრონტიდან პროკლამაციებით რუს ჯარისკაცებზე ზემოქმედებას...“

...პირადად მე და ქართული კომიტეტის წევრები დღეს სასონარკვეთილებაში ვართ. ჩვენი საქმიანობის შესახებ ბოლო თვეების განმავლობაში რუსეთის მთავრობამ ყველაფერი დაწვრილებით იცის. ჩვენ ქონება გვაქვს და ოჯახი გვყავს



ლიმან ფონ ზანდერსი (3) და ვეპიზ ფაშა (4) თურქ ოფიცრებთან ერთად

საქართველოში და ამ მოძრაობაში ჩაევებით მტკიცე რწმენით, რომ გერმანია ჩვენ იარაღით დაგვიჭერდა მხარს და წარმატების იმედი გვქონდა. მაგრამ თუ ჩვენი მისია კარგად არ ჩაივლის, დავკარგავთ ოჯახსაც და ქონებასაც.³²³

ვეზენდონკის აზრით, „არანაირი აზრი არა აქვს კავკასიის რევოლუციონირების საკითხში შემდგომი ნაბიჯების გადადგმას, სანამ თურქეთისაკენ უსაფრთხო სატრანსპორტო გზა არ იქნება გამოძებნილი.“³²⁴

მართლაც, ჯარისკაცებისა და იარაღის გადასატყორცნად რუმინეთის გზა დახშული იყო. სერბეთში ჯერ კიდევ სასტიკი ომი მიმდინარეობდა (1915 წ. ბოლომდე). თვით თურქეთიც განიცდიდა ამუნიციის ნაკლებობას.

საქმე წინ არ მიდიოდა.

ელჩი ვანგენჰაიმი კანცლერ ბეთმან-ჰოლვეგს მოახსენებდა: „ჩემის აზრით, საქართველოს შიგნით რევოლუციური მოძრაობის ხელშეწყობის შესაძლებლობა დღესდღეობით გამოირიცხება იმიტომ, რომ ქართველების სერიოზული აჯანყების იმედი მხოლოდ თურქეთის წარმატებული შეტევის და, უპირველეს ყოვლისა, საჭირო თოფ-იარაღით აღჭურვის შემთხვევაში

323 PA AA, R 21012, Tseretheli, 3.04.1915.

324 PA AA, R 21011, Wesendonk, 25.3.1915.



იმპერატორი ვილჰელმ II დარდანელზე ციხე-სიმაგრეების დათვალიერებისას, ესა და ფაშასთან ერთად. 1917 წლის ოქტომბერი.

უნდა ვიქონიოთ. ...

აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, მხოლოდ ქართველების გერმანული საქმისადმი სიმპათიის შენარჩუნებაზე ვიზრუნოთ ამჟამინდელი არასახარბიელო მდგომარეობის მოუხედავად და ყოველშრივ მოვემზადოთ სასწრაფოდ ჩასარევად იმ შემთხვევისათვის, თუ მდგომარეობა შეიცვლება.“

ამისათვის კარგი იქნებოდა თურქეთის მთავრობის განცხადება, რომ საქართველოს მომავალ დამოუკიდებლობას აუცილებლად სცნობს. კაბინეტის შეფ თალაათ ბეისა და ლეო კერესელიძის თავის დროზე ხელმოწერილ ქალაქში საქართველოს მომავალი აღმშენებლობის საკითხი ღიადაა დატოვებული.

ვანგენჰაიმი განსაკუთრებით ეხება მოზელის საკითხს. მისი ტრაპიზონში მივლინების მიზანი იყო ქართველებსა და ახალგაზრდა თურქებს შორის შემრიგებლურ-შემაკავშირებელი მოღვაწეობა. მან ეს ვერ შეასრულა და შემდეგში თუ ფართომასშტაბიანი აქცია შედგება, მოზელს ხელმძღვანელობა არ უნდა დაეკისროს. ასევე ფინანსურ საკითხებში მისდამი მეტი სიფრთხილის გამოჩენა საჭირო.³²⁵

325 PA AA, R 21012, Wangenheim an Bethmann Hollweg, 7.4.1915.



ლეგიონერი ახმედ დევიძე

10 აპრილს მაჩაბლის, წერეთლისა და ლუის მოზელის შეხვედრამ საგარეო საქმეთა სამინისტროში ვეზენდონკთან, ნადოლნისა და ვოლპმანთან (ოსმალეთში გერმანიის სამხედრო რწმუნებულის მოადგილე) ნაყოფი მაინც გამოიღო და განისაზღვრა შემდეგი ნაბიჯები: 1) გერმანელების ხელმძღვანელობით ცენტრის შექმნა და გერმანელი ემისრების გაგზავნა რუსეთ-თურქეთის საზღვარზე. 2) იარაღის, ტყვია-ნამლის, სატრანსპორტო საშუალებების და სხვ. შოვნა და გამზადება.

მოთხოვნილი იარაღის ნაწილი უკვე რკინიგზის ვაგონებში იყო ჩატვირთული და უგზოობის გამო ბუდაპეშტში შეჩერებული: 23000 თოფი დაახლოებით 200000 ვაზნით, 20 ტყვიამფრქვევი დაახლოებით 600000 ვაზნით.

თანხების გაღებას, ისევე როგორც თურქეთის მთავრობასთან პრობლემების მოგვარებას, საგარეო უწყება კისრულობდა.³²⁶

პარალელურად გერმანიის ტყვეთა ბანაკებში მომავა-

326 PA AA, R 21012, Nadolny an den Generalstab des Feldheeres, Sektion P., 13.04.1915; ამ შეიარაღებას არახდროს მიუღწევია ქართულ ლეგიონამდე.



ქართველი ლეგიონერი



მელიტონ ქარცივაძე

ლი ლეგიონისთვის კადრების შესარჩევად მოგზაურობა დაინყო ჰარალდ კოზაკმა.

2.6.2. შულენბურგის მისია

სუფთა გერმანული და არა აღმოსავლეთში უკვე წესად ქცეული გერმანულ-თურქული ხელმძღვანელობა ქართველების სურვილი იყო.³²⁷ თურქები რომ სრულიად არ გაენაწყენებინათ, მთელი ეს ნამოწყება ფორმალურად ენვერ ფაშას მთავარსარდლობას ექვემდებარებოდა. ენვერ ფაშა, ოსმალეთის მმართველი ტრიუმფირატის წევრი და სამხედრო მინისტრი, ფაქტიურად, ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ოსმალეთის იმპერიაში, კავკასიისა და თურანის იდეით იყო შეპყრობილი. 1914 წ. 6 დეკემბერს მან სტამბოლი დატოვა, მესამე არმიას თვითონ ჩაუდგა სათავეში

327 PA AA, R 21012, Wesendonk 10.4.1915



ფრიდრიხ-ვერნერ გრაფ ფონ დერ შულენბურგ
30-იანი წლების ფოტო

და ყარსის ციხე-სიმაგრის ასაღებად გაეშურა, რათა შემდეგ „ავღანეთის გავლით ინდოეთისკენ გაძლოლოდა ჯარს“.³²⁸ გერმანელები ცდილობდნენ პროგერმანულად განწყობილი ენვერის პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას. ენვერი კი, თავის მხრივ, გერმანიაში ძალზე პოპულარული იყო. ამბობენ, რომ გერმანიიდან თურქეთში გაგზავნილ იარაღის ყუთებზე ხშირად მისამართად „ენვერლანდ“-ს აწერდნენ.³²⁹

„ჯანყის მომწყობი“ ცენტრის სახელმძღვანელოდ, მეკავშირე ოფიცრის პოსტზე გამოსადეგ პირად, ნადოლნის წინადადებით,³³⁰ მიჩნეულ იქნა საფრანგეთში ბრძოლის ველზე მყოფი რეზერვის კაპიტანი გრაფი შულენბურგი, ყოფილი კონსული ტფილისში. მისი მოვალეობა იყო: ა) კავკასიის აჯანყების მომზადება და „აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის მოგვარება რევოლუციურ კომიტეტთან და თურქული არმიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით“, ბ) „აჯანყებულებსა და პასუხისმგებელ თურქულ და გერმანულ უწყებებთან კავშირის შენარჩუნება“...³³¹

328 Liman von Sanders, Fünf Jahre Türkei, Berlin 1919, S. 51ff.

329 Лядушвайт 1966, გვ. 149; შუად: Liman von Sanders S. 193; Mühlmann 253 f.

330 PA AA, wk 11d, bd.5 Nadolny an AA 2.5.1915, შულენბურგის შესახებ ამ დროს Sommer 1989, S.31.

331 იქვე, Beilage zu Nadolny. რევოლუციურ კომიტეტში, ისევე როგორც მემოთ მოშელის მიერ ნახსენებ „თურქულ კომიტეტში“, იგულისხმება „ერთიანობისა და პროგრესის კომიტეტი“ (Ittihat ve Terakki cemiyti; Comité Union et Progrès - CUP) ანუ ახალგაზრდა თურქები, რომელთა უფრო სწორი სახელია ახალგაზრდა ოსმალთა (Genç Osmanlılık). შუად: Jäschke 1941, S.4. შემდგომ



გენერალი კრესს ფონ კრესსენშტაინი პალესტინის ფრონტზე

შულენბურგის კანდიდატურა ვანგენჰაიმმა ენვერთან შეათანხმა.³³² გრაფი შულენბურგი საგარეო უწყებას დაუბრუნდა და ერზურუმში კონსულად დაინიშნა.³³³ 1915 წ. აგვისტოში ის ერზურუმში ჩავიდა.³³⁴

შულენბურგმა უკვე ბერლინში შეადგინა ექვსი თვის ბიუჯეტი, რომელმაც 6 მილიონი რაიხსმარკა შეადგინა. ამ თანხაში გათვალისწინებული იყო 50000 მარკაც „კავკასიელ აჯანყებულთა უფროსების და სხვა მნიშვნელოვან კავკასიელ პირთა საჩუქრებისთვის.“³³⁵ შულენბურგი არ გამორიცხავდა უფრო დიდი თანხის – 10 მილიონის – საჭიროებასაც. საგარეო უწყებას ეს პერსპექტივა დიდად არ გახარებია და ამ წამოწყებისთვის 4,82 მილიონი გამოყო. შულენბურგი უკვე კონსტანტინოპოლიდან შეეცადა დამატებითი 300 ათასის მოთხოვნას, რაზეც ცივი უარი მიიღო.³³⁶ რეალურად, 1916 წ. თებერვლამდე შულენბურგს 1,158.000 მარკა გადაეგზავნა.³³⁷

ხშირად მხოლოდ „კომიგეტი“.

332 PA AA, wk 11d, bd.5, Wangenheim an AA, 15.5.1915.

333 PA AA, wk 11d, bd.6, Kabinettsordre vom 20.5.1915.

334 Zürrer, Kaukasien 1978, S.89.

335 PA AA, wk 11d, bd.6, Schulenburg 18.5.1915, vgl.: Nadolny an AA 21.5.1915.

336 PA AA, wk 11d, bd.6, Rosenberg, 21.5.1915.

337PA AA, wk 11d, bd.10, Wesendonk 11.2.1916.



Enver Pascha
Divisioncommandant
der türkischen
Land- u. Seemacht.

ისმაილ ენვერ ფაშა

2.6.3. თურქულ - ქართული შეთანხმებები

ქართულ კომიტეტსა და თურქებს შორის გარანტიების შესახებ გაჭიანურებულ მოლაპარაკებებს ახალი ბიძგი მისცა 1915 წ. ივლისში გიორგი მაჩაბლის კონსტანტინოპოლში ჩასვლამ. თურქულ-ქართული ურთიერთობები უაღრესად რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც ფართომასშტაბიან კვლევას ითხოვს. ქართული კომიტეტისთვის ეს სირთულეები იმთავითვე ცხადი იყო. ამიტომაც შეეცადა ლეო კერესელიძე ჯერ კიდევ 1914 წ. სექტემბერში გერმანელების დახმარებით კონტაქტების დამყარებას ოსმალეთის უმაღლეს წრეებთან.³³⁸

რუსეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადების დღეს, 11 ნოემბერს, „ერთიანობისა და პროგრესის“ კომიტეტმა თავის განყოფილებებს დაუგზავნა ცირკულარი, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული იდეალი გვიბიძგებს, მოსკოველი მტერი გავანადგუროთ და ამით ბუნებრივი სახელმწიფო საზღვარი დავადგინოთ, რომელიც ჩვენს ყველა თანამოქმედს მოიცავს და გააერთიანებს.“³³⁹

338 შვად.: La Chesnais S.21.

339 Tekin Alp, S. 51f., Jäschke 1941, S.12.



1913 წლის პუტჩის შემდეგ ოსმალეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრი მეჰმედ თალაათ ბეი, შემდგომში ფაშა

ეს განუსაზღვრელი ბუნებრივი საზღვარი, თურქული ელიტის უმრავლესობისათვის, რასაკვირველია, სულ ცოტა, მთელ ამიერკავკასიას მოიცავდა. ერთი თვის შემდეგ კი თურქულ ნაციონალისტურ გაზეთ „თურქ იორდუ“-ში გამოჩნდა ჩელალ საჰირის კავკასიის სიმღერა, რომელსაც 4 წლის შემდეგ, 1918 წ. სექტემბერში, გათურქ-თათრებულ ბაქოშიც იმღერებენ: „მშვენიერო კავკასიაჲ! მწუხარე ძილი საკმარისია, გამოიღვიძე! ხელი ჩაავლე დროშას ბრწყინვალე ნახევარმთვარით, რომელიც შენთვის თურქს მოაქვს!“³⁴⁰

მიუხედავად ამისა, 1914 წ. დეკემბრის ბოლოს, ქართულმა კომიტეტმა მაინც შეძლო თურქებთან ერთგვარი შეთანხმების მიღწევა. ომის შემდეგ გასარკვევად დატოვებული იყო საკითხი საქართველოს სუვერენიტეტის თუ საქართველოზე ოსმალეთის სუვერენიტეტისა, რომელიც თურქული წარმოდგენით მხოლოდ საგარეო საქმეებზე ვრცელდებოდა და საქართველოს ოსმალეთის საზღვარი.³⁴¹ დოკუმენტს ხელს აწერდა მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს კაბინეტის შეფი ანუ მდივანი

340 Jäseke 1941, S.12, Anm. 64.

341 მთელი ხელშეკრულება (ფრანგულ ენაზე) – Bihl 1975, S. 235ყ. ნესტორ მაღალაშვილის მიერ გამოქვეყნებული გეჟსტი ფრანგულენოვან გეჟსტს შუსტად არ ემთხვევა. იხ. ოსმალეთთან შეთანხმება 1914 წელს. „კლდე“, № 7, 27.10.1918.

ამჟამად **ჯემალ ფაშა**, ოსმალეთის მმართველი ტრიუმვირატის წევრი და სამხედრო მინისტრი, 1922 წლის 25 ივნისს თბილისში მოკლეს. ენვერ ფაშა, რომელიც სათავეში ჩაუდგა შუა აზიაში მოქმედ ბასმაჩებს, 1922 წლის აგვისტოში ტაჯიკეთში მოკლეს წითელარმიელებმა, რომლებსაც მეთაურობდა იაკოვ მელქუმოვი (აკოფ მელქუმიანი). ტრიუმვირატის მესამე წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და შემდეგ პრემიერ-მინისტრი თალაათ ფაშა, ჯერ კიდევ 1921 წელს ბერლინში მოკლეს. სომეხი ტერორისტების თუ შურისმაძიებელთა მიერ მოკლულნი იქნენ სომეხთა გენოციდისთვის სხვა პასუხისმგებელი ოსმალთა ხელმძღვანელები. ე. წ. „შავ სიაში“ 200-ზე მეტი პირი იყო შეყვანილი. ამ ოპერაციას „ნემესისი“ ერქვა.



და არა თვით დიდგვზირი თალაათი.³⁴² ქართველები ამას ვერ შეეგუენ, განსაკუთრებით ბათუმის და სამაჰმადიანო საქართველოს საკითხის გაურკვეველობის გამოც, რომელსაც თურქები არ თმობდნენ და ცდილობდნენ მინისტრის დონეზე მიეღოთ წერილობითი გარანტიები. ქართველებს შუამდგომლობდა ადრინდელი საზღვაო ძალების მინისტრი, წარმოშობით ქართველი – თავდგირიძეების გვარიდან, მაჰმუდ ფაშა, რომელმაც თავიდანვე განაცხადა, რომ იგი მხოლოდ თურქული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებდა. მისი აზრით, სამუსლიმანო საქართველოს ბედი მომავალში რეფერენდუმს უნდა გადაეწყვიტა.³⁴³ ქართველებს თურქებისგან, გარდა მომავალი დამოუკიდებლობის ცნობის დაპირებისა, ქართული ლეგიონის შექმნაზე თანხმობა და მომავალში დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე ქართული სამოქალაქო ადმინისტრაციის დანიშვნა

342 Bihl 1975, S. 236.

343 Zürer 1978, Georgischer Legion, S.88; Bihl 1975, S. 236f. მაჰმუდ ფაშას (ნურუკსულუ მაჰმუთ ფაშა) და სხვა ქართული წარმომადგენლების თურქი მაღალჩინონების შესახებ PA AA, wk 11s, Bd.8, Cosack, Notiz für Wesendonk, 9.12.1915.



იზეტ ფაშა და ჯემალ ფაშა

უნდოდათ. ელჩი ვანგენჰაიმი ამ უკანასკნელ სურვილზე თურქებს თანხმობისკენ და ქართველებს ორი პირველი მოთხოვნის სამომავლოდ გადაწყვეტისკენ მოუწოდებდა, რაც ქართველებს არ ესიამოვნათ. შულენბურგს უფრო შემრიგებლური პოზიცია ჰქონდა, რადგანაც «ქალაქის ნაგლეჯის» არ სჯეროდა, სანამ ადგილობრივი ახალგაზრდა თურქები ერზურუმსა და ტრაბზონში თავიანთ განწყობილებას არ გამოიცვლიდნენ.³⁴⁴

1915 წ. 15 ივნისს ოსმალეთის მთავრობას ქართულმა კომიტეტმა შემორანდუმი გადასცა ოტომანთა საიმპერატორო მთავრობასთან შეთანხმების პროექტთან ერთად, სადაც «თურქეთისათვის დამოუკიდებელ და ნეიტრალურ საქართველოს მნიშვნელობა» იყო წარმოჩენილი. დამოუკიდებელი საქართველოს გარეთ რჩებოდა ელიზავეტოპოლის, ალექსანდროპოლის, ერევნის, ყარსისა და არდაჰანის (ქართ.: არტაანი) ტერიტორიები, თურქეთს საქართველოს დროებითი მთავრობა უნდა ეცნო და ხელი შეეწყო ქართული ლეგიონების ჩამოყალიბებაში. ამისთვის ქართველები თურქულ ჯარს დაეხმარებოდნენ და ანტირუსულ, პროთურქულ პროპაგანდას გასწევდნენ. 30 აგვისტოს ქართველებმა ეს მოთხოვნები კიდევ ერთხელ გაიმეორეს.³⁴⁵ მოლაპარაკებებს ახლა უკვე გიორგი მაჩაბელი აწარმოებდა. მისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით, თურქების

344 PA AA, Wk 11d, bd 6, Schulenburg 6.7.1915, Zürrer, Legion, S.88- მობეჯოთ.

345 Bihl 1975, S. 237.



ისმეთ ინონიუ და მუსტაფა
ქემალ ათათურქი. 1921 წ.

საზაფხულო ოპერაციის წარუმატებლობის ფონზე, თურქები საქართველოს დამოუკიდებლობას შეურიგდნენ. თალაათი და ენვერი თანახმანი არიან – სწერდა ის პირველ სექტემბერს გერმანიის საგარეო უწყებას.³⁴⁶

გარანტიების გაცემა რომ თურქებისათვის მოსახერხებელი გაეხადათ, გერმანელებმა მათ შესთავაზეს, ხელშეკრულება ქართული კომიტეტის „კერძო“ პირებთან კი არ დაედოთ, არამედ გერმანიის საელჩოსათვის გადაეცათ ისინი. ენვერი თითქოს დაეთანხმა ამ წინადადებას, მაგრამ მოითხოვდა, „ზოგიერთი პუნქტის და კერძოდ ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებისა და გამოყენების შესახებ განსაკუთრებული მინერმონერა შედგეს გენერალურ შტაბსა და მაჩაბელს შორის“. 16 სექტემბერს მან ქართველებსა და გერმანელებს თავს მოახვია დიდი გენერალური შტაბის | განყოფილების შეფის, ისმეთ ბეის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი.³⁴⁷ მართალია, ისმეთ ბეი, შემ-

346 PA AA, Wk 11d, bd 6, Matschabeli an AA, 1.9.1915.

347 Zürer, Legion, S.88.



დეგში თურქეთის გმირი, ათათურქის უახლოესი პირი და მისი მემკვიდრე, თურქეთის პრეზიდენტი გახდა³⁴⁸, მაგრამ 1915 წ. მისი ჩინი ქართველებისთვის იმედგამაცრუებელი იყო, ისევე, როგორც 1. პუნქტში, ერთი შეხედვით, ქართველებისთვის ხელსაყრელი საზღვრები დოკუმენტის ბოლოს ისევ უქმდებოდა წინადადებით, რომ თურქეთ-საქართველოს საზღვარი შერეული კომისიის მიერ იქნებოდა დადგენილი. არც მაჩაბლის მოთხოვნილი ისტორიული უფლება საქართველოს ტერიტორიაზე იყო ნახსენები ამ დოკუმენტში. თურქეთი პირობას იძლეოდა, ქართული კომიტეტის მიერ შექმნილი ლეგიონისთვის ხელი შეეწყოს და ელიარებინა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე შექმნილი დროებითი მთავრობა. ქართული ლეგიონი თურქეთის მესამე (კავკასიის) არმიას ერზურუმში უნდა დაქვემდებარებოდა. ლეგიონის ხელმძღვანელი – კომენდანტი, ისევე როგორც ოფიცრები, ქართული კომიტეტის მიერ უნდა ყოფილიყვნენ არჩეულნი, მაგრამ თურქების თანხმობით.³⁴⁹

მიუხედავად იმისა, რომ თურქებს გერმანული გეგმის წინააღმდეგ უნდოდათ, ლეგიონის ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ხელში ჩაეგდოთ, გერმანელები დათანხმდნენ ქართულ-თურქული მოლაპარაკების შედეგებზე. ქართველებმაც მიიღეს ნანატრი გარანტიები.

1915 წ. ოქტომბერში ენვერ ფაშა მაჩაბელს დაჰპირდა, „ქართული მოძრაობის ჩავარდნის შემთხვევაში, ყველა ამ საქმეში მონაწილე ყოფილი ქართველი ოფიცერი მისი რუსული რანგის შენარჩუნებით თურქეთის არმიაში იქნებოდა მიღებული“, ქართველ ჯარისკაცებს კი მიწა დაურიგდებოდათ.³⁵⁰

348 Ismet İnönü (1884-1973)- 1934 წლამდე მუსტაფა ისმეთ ფაშა. 1908 წ. ახალგაზრდა თურქების რევოლუციის იღებდა მონაწილეობას. 1920 წ. მისი მკვლობარი მუსტაფა ქემალის (ათათურქის) გენერალური შტაბის უფროსი. მცირე აზიიდან გააძევა ბერძნები (გამარჯვება ისინიუსთან). იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი, თურქეთის პრეზიდენტი (1938-1950), ისევ პრემიერ-მინისტრი (1961-1965).

349 ტექსტის ნაწილი – Bihl 1975, S. 238, Jäschke 1941, S.13f., შუალ.: Zürrer, Legion, S.88 und Anm. 21; ტექსტის გერმანული თარგმანი – PA AA, R 21015, Ismet an „Matchabelly“.

350 HHSta, PA I 937 Krieg 19b, Kaiserliche dt. Botschaft Wien Notiz, 21.10.1915, Bihl 1975, S.238f. – მიხედვით.



ქართველი ლეგიონერები გერმანია ოსმალეთში
 1. ნებორ მალაშვილი, ლეგ. შტაბს უფროსი და ქართ. კომიტეტის წევრი, წარმომადგენელი
 „ტაშკანტში“, 2. ზი-ბეი აბაშიძე, ქართველ კომიტეტის წევრი; 3. პირფორ გვიშანი, 4. ზერგი ლაბაძე,
 ტაშკანტის მუქაველთა რაზმის კომანდირი; 5. შალვა წაჩუკელი, ქართველ ლეგიონის ახალდს თვითკმა-
 რის ახმედ დეფრე, 7. დიმიტრი, 8. ალექსანდრე ცაგარეიშვილი, 9. კონტა ინასარიძე, 10. მემედ ბეი
 აზაბაშვილი, ლეგიონერები სედასსევა წაყ.; 11. ლავ მანჯავიძე, სპ.

2.6.4. ლეგიონის აღმშენებლობა

ლეგიონის უმაღლეს ხელმძღვანელად კავკასიაში მეკავშირე ოფიცერი გრაფი ფონ დერ შულენბურგი ითვლებოდა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ლეგიონი ემორჩილებოდა, ერთი მხრივ, ტრაპიზონის ვალის და სამხედრო კომენდანტ ავნი ფაშას და მეორე მხრივ, 1916 წ. აგვისტომდე თურქეთის მესამე არმიის მთავარსარდალს მაჰმუდ ქ(ი)ამილს (1916 წ. მარტიდან მთავარსარდალი იყო ვეჰიბი).³⁵¹

1915 წ. აგვისტოში ერზურუმში ჩასული გრაფი შულენბურგი ქართული კომიტეტის მოწვევით მალე ტრაპიზონს გაემგზავრა, სადაც სექტემბრის პირველ ნახევარში ლეგიონის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სიძნელებებს ეცნობოდა. ადგილობრივი ერთიანობისა და პროგრესის კომიტეტის წევრები, რომელთაც „კავკასიის დაპყრობა განსაკუთრებულ ამოცანად ექციათ“ და კავკასიონს, როგორც თურქეთის ბუნებრივ საზღვარს, ისე უყურებდნენ, ყოველმხრივ ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ ქართველებისთვის თავიანთი მიზნების განხორციელებაში. კომიტეტის წევრებს („ნახევრადგანათლებულებს“) არ აინტერესებოდა, რომ მათი შეხედულებები ისტორიულად და ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც საფუძველს მოკლებულია. სამწუხაროდ, ასეთი წინააღმდეგობები უფრო მაღალ დონეზეც არის. მაჰმუდ ქიამილ ფაშა ვერ ხედავს საქართველოს ბუფერული სახელმწიფოს შექმნის დადებით მხარეებს, იმ საშიშროებას, რაც მართლმადიდებელი ხალხის შემოერთებას მოჰყვება თურქეთისათვის და „გაურკ“

351 Guse, S.80.



ავნი ფაშა შვილებთან ერთად

ვეველი მიზეზების გამო პიროვნულად ქართველების წინააღმდეგ არის განწყობილი, რაც ხშირად მის ქმედებაზე ახდენს გავლენას. გარდა ამისა, ახლახან მან ჩემი თანდასწრებით აზრი გამოთქვა, რომ ქართველების მიზნებს უპერსპექტივოდ მიიჩნევს, რადგან მარტო ლეგიონი საქართველოს ვერ დაიპყრობს და მას რუსების წინააღმდეგ ახალი თურქული შეტევის აღარ სჯერა." ტრაპიზონის ვალი საქმიან და ენერგიულ მოხელედ ითვლება და ამბობს, რომ ქართულ საქმეს დაეხმარება, თუ ზემოდან შესაბამის ბრძანებებს მიიღებს. სამხედრო კომენდანტი ავნი ფაშა ქართველია ნარმოშობით, ინტერესიცა აქვს თანამემამულეთა ღონისძიებების მიმართ, მაგრამ სწორედ ამიტომ სულ იმას ცდილობს, რომ თავისი თურქული სულისკვეთება დაამტკიცოს, ასე რომ, საკუთარი ინიციატივით არაფერს მოიმოქმედებს და თანაც ის მმართველი კომიტეტის წევრი არ არის.³⁵²

შულენბურგისა და თურქების აზრით, ქართული კომიტეტის წევრებიც არ იყვნენ დასმული ამოცანების სიმალლეზე. „თავმჯდომარე სურგულაძე და წევრი ოსმან ბეი, ორივე გამორჩევით მუყაითი, კეთილმოსურნე და ღია პიროვნებაა, მაგრამ წესრიგის ყოველგვარი ნიჭი და ხასიათის სიმტკიცე აკლიათ.“ ამის გამო მათ საქმეებში უწესრიგობა სუფევს და როგორც საკუთარ ამხანაგებთან, ისე თურქ მოხელეებთანაც თავდაჯერებულობა აკლიათ. კომენდანტი ლეო კერესელიძე ვერ იდგა მონოდების სიმალლეზე, რაც გასაკვირი არც იყო, რადგანაც ეაცს, რომელიც არასდროს ყოფილა ჯარისკაცი, ევალებოდა ჯარის შექმნა ლტოლვილების-

352 PA AA, R 21017, Schulenburg 29.11.1915 u. R 21018, Schulenburg 15.1.1916; Zürer, Georgischer Legion (1978), S.89-მობეჯიოთ.



ზია ბეი აბაშიძე

გან, რომელთაც ასევე არაფერი გაეგებოდათ ომის საქმისა. მისგან განსხვავებით, მის თანაშემწეს, თავად მაღალოვს, სამხედრო ტალანტი ჰქონდა, მაგრამ უფროსისგან მასაც ინერტულობა, სიზარმაცე გადასდებოდა. მის გამაჰმადიანებას მაღალ თურქულ წრეებში მისთვის აღიარება არ მოუტანია, რადგან ასეთი საქციელის მიზეზი ცნობილი იყო – მან ცოლად შეირთო სომეხი ქალი და ამით დეპორტაციისგან იხსნა. მაჰმადიანი ზია ბეი – თავადი აბაშიძე, ძალიან ცნობილი კავკასიური ოჯახიდან, განსაკუთრებით აქტიური არ იყო და თავი არაფრით გამოუჩენია.³⁵³

1915 წ. შემოდგომაზე ბულგარეთის ომში ჩაბმით³⁵⁴ და „ბალკანური ურდულის“ გარღვევით შესაძლებელი გახდა გერმანიიდან და ავსტრო-უნგრეთიდან სამხედრო აღჭურვილობის ტრანსპორტირება თურქეთში და ქართული ლეგიონის აღჭურვა. საომარი მასალის მოლოდინში შულენბურგმა ავნი ფაშა დაითანხმა, 3000 კაცზე ჩაფიქრებული ლეგიონის შედგენის ნება დაერთო, მათ დასაბინავებლად ტრაპიზონის ახლოს სომხებისგან დაცარიელებული ერთი სოფელი გამოეყო, და გარდა ამისა, გერმანელების მიერ 1914 წ. ბოლოს ქართველებისთვის ტრაპიზონში გამოგზავნილი და თურქების მიერ ვითომც ადრესატის დაუზუსტებლობის გამო უკანონოდ მითვისებული რამდენიმე ასეული მაუზერის თოფი ლეგიონისთვის გადაეცა. 5000 თოფიდან ამ დროისთვის მხოლოდ 1400-ლა იყო შემორჩენილი.

353 PA AA, R 21018, Schulenburg 15.1.1916, მრავლისმეტყველია ის, რომ შულენბურგი მაღალაშვილის ხაქციელს, სომეხი ქალის გადარჩენას, სულელურ ნაბიჯს უწოდებს.

354 6.9.1915 მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება გერმანიასა და ბულგარეთს შორის. 14.10.1915 – ბულგარეთის ცენტრალურ ხელმწიფოთა მხარეზე ომში ჩაბმა.



შემდეგში ეს იარაღიც გაქრა და ქართველებმა საბოლოოდ მხოლოდ 200 თოფი მიიღეს.³⁵⁵ ავნი ფაშა სტამბოლიდან ბრძანების გარეშე ლეგიონის არც სურსათით და არც ტანსაცმლით მომარაგებას არ აპირებდა. ლოსოს ჩარევით მან ასეთი დავალება მიიღო სტამბოლიდან, მაგრამ მითითებები იმდენად არაზუსტად იყო ფორმულირებული, რომ შემდეგში ხშირი შეხლა-შემოხლის საგანი გახდა.³⁵⁶

ლეგიონში უამრავი ლტოლვილი მაჰმადიანი ქართველის მოზიდვა გახდა ლეგიონის თავკაცთა მთავარი ამოცანა. იმ დროს რუსების შურისძიების შიშით 50000-ზე მეტი ქართველი იყო თურქეთში გაქცეული. მათი მდგომარეობა სავალალო იყო. „ერთმორწმუნე თურქები მათ დასახლებულ პუნქტებში არ უშვებდნენ. ქალები და ბავშვები შარავზეზე ილუპებოდნენ; მათ აიძულებდნენ ოსმალეთის მოქალაქეობის მიღებას, რათა მერე კაცები ჯარში წაეყვანათ“. შულენბურგი მოითხოვდა, რომ ისინი იძულებითი სამხედრო სამსახურისგან გაეთავისუფლებინათ და სომხებისგან დაცლილ სოფლებში ჩაესახლებინათ.³⁵⁷ სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ლტოლვილები სოფლებში ჩაასახლეს, მათი სურვილი, ეთანამშრომლათ ქართულ ლეგიონში, კიდევ უფრო შესუსტდა, რადგან ყაჩაღების ბანდების შიშით, რომლებიც ძალიან მომრავლებული იყო ფრონტისპირა მხარეებში, ოჯახების მიტოვება არ უნდოდათ.³⁵⁸ რადგან ტრაპიზონის ახლოს მხოლოდ 300-მდე კაცი იქნა გადმოპირებული, სექტემბრის ბოლოს სურგულაძემ და მოზელმა სამსუნის მიმართულებით ლტოლვილთა ბანაკებში გადაწყვიტეს მოგზაურობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ მანამდე ლეგიონში მოხვედრის მსურველთა ბევრი დეპეშა თუ წერილი მიიღეს, ადგილზე აღმოჩნდა, რომ თურქ მოხელეებს ხალხი დაემინებინათ და ერთეულებილა ითხოვდნენ ლეგიონში მოხვედრას. მოხელეები ამას იმით ხსნიდნენ, რომ ვერ გაეგოთ, როგორ შეეძლოთ მაჰმადიანებს ქრისტიან ქართველთა საქმის მხარდაჭერა. ბოლოს, მათ პროპაგანდისტული საქმიანობაც აუკრძალეს სამსუნში და შულენბურგი იძულებული გახდა, ორივე უკან გამოეწვია. იმავე რეგიონში მარტო მოზელის საქმიანობას დეკემბერში უკეთესი

355 PA AA, PA AA, R 21017, Schulenburg 29.11.1915, R 21018, Schulenburg 15.1.1916.

356 Zürrer, Legion, S. 90.

357 PA AA, R 21018, Schulenburg 15.1.1916.

358 PA AA, R 21018, Schulenburg 3.2.1916.

შედგები გამოულია. მაჩაბლის ინიციატივით ზია ბენიანი განდას რიზეს ოლქში ეწეოდა, მაგრამ არც მას ჰქონია დიდი წარმატება. 1916 წ. იანვრის შუა რიცხვებში ლეგიონში 700-ოდე კაცი იყო.³⁵⁹

2.6.5. ლეგიონერთა რიცხვი

ლეგიონერთა რიცხვი ძლიერ მერყეობდა: სხვადასხვა წყაროებს თუ ვენდობით, 1915 წ. ნოემბრის დასაწყისში – 450, ნოემბრის ბოლოს – 600, დეკემბრის შუა რიცხვებში – 500, დეკემბრის ბოლოს – 800. 1916 წლის იანვრის ბოლოს 800 ქვეითი, 30 ცხენოსანი და 5 უანდარმი, თებერვალში – 1000, მარტში – 1200.

1916 წ. თებერვლიდან შეესება გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან მოდიოდა.

იენისის დასაწყისში ლეგიონი შედგებოდა 14 ოფიცრისგან, 672 მებრძოლისა და 244 არამებრძოლისგან (Nichtkombattanten). აგვისტოში ლეგიონში 14 ოფიცერი და 700 ჯარისკაცი, სექტემბრის ბოლოს 600 კაცი მსახურობდა.

გრაფი გალენის, ნოემბრიდან ლეგიონის მეთაურის, მონაცემებით 19 დეკემბერს ლეგიონში შედიოდა 3 ქვეითთა ასეული, თითოეული ორ-ორი ოცეულით (6 ოფიცერი და 317 ჯარისკაცი), ერთი ტყვიამფრქვევის ასეული ორი ოცეულით (2 ოფიცერი და 45 ჯარისკაცი), ერთი ხელოსანთა ასეული (1 ოფიცერი და 35 ჯარისკაცი), ერთი ზურგის ქვეგანაყოფი მომარაგებისათვის (1 ოფიცერი და 45 ჯარისკაცი), შტაბი (1 ვიცეფელდფებელი ადიუტანტის მოვალეობით, 1 ექიმი და 9 ჯარისკაცი), კერასუნტის ლაზარეთი (1 შტაბის ექიმი) და რეკრუტების შესაკრებელი კერასუნტში (1 ოფიცრის მოადგილით), სულ, ამ ორი უკანასკნელის გარდა, 11 ოფიცერი, 1 ადიუტანტი, 1 ექიმი და 452 ჯარისკაცი.

1916 წ. 23 დეკემბერს 500 ჯარისკაცი იყო ფრონტზე, 1917 წ. იანვარში კი კერასუნტში, ლეგიონში მხოლოდ 200 ჯარისკაცი იყო დარჩენილი.³⁶⁰

ასე რომ, ლეგიონერთა რიცხვს დაგეგმილ 3000 კაცამდე არასდროს მიულწევია, ქართველების და, კერძოდ, მაჩაბლის სასურველ 7500-8500-ზე (მათ შორის 3500-4500 ლტოლვილი და 4000 სამხედრო ტყვე) რომ არაფერი ვთქვათ.³⁶¹ მეტიც, ქართული კო-

359 PA AA, R 21018, Schulenburg 3.2.1916.


360 Bihl 1975, S.75 - მახედვით.იბ. ახევე შენიშვნები 15-28, გვ. 276.

361 PA AA, R 21016, Matschabelli an Lossow, 14.11.1915.

1915-1918

ნლებში სომხების
 გენოციდის ოსმა-
 ლეთის იმპერია-
 ში 300 ათასიდან
 (თურქული მონა-
 ცემებით) 1,500
 ათასამდე (სომხ-
 ური მონაცემე-
 ბით) ადამიანი
 ემსხვერპლა

ჩამოხრწო-
 ბილი სომხები და
 თურქი
 სამხედროები



მიტეტი მოელოდა, რომ ლეგიონს მხოლოდ ქუთაისის გუბერნიი-
 დან 50-60 ათასი კაცი შეუერთდებოდა. „როგორც ყოველთვის
 აღმოსავლეთში კომიტეტი სრულიად ფანტასტიური მასშტაბე-
 ბით ანგარიშობს. ... ასეთი რიცხვი, ბუნებრივია, მაშინაც კი მი-
 ულწვევლი იქნებოდა, რუსებს საქრისტიანო საქართველოდან
 17-დან 42 წლამდე ყველა სამხედრო სამსახურისთვის გამო-
 სადები კაცი ჯარში რომ არ წაეყვანათ,“ – წერდა შულენბურ-
 გი.³⁶² მაჩაბელი 1916 წ. მარტში ჯერ კიდევ დარწმუნებული იყო,
 რუსეთის მხარეზე მყოფი „ქართული ლეგიონი“ და, მათ შორის,
 ესტათე მაჩაბელი „მზად არის ნებისმიერ მომენტში ჩვენს მოძ-
 რაობას შემოუერთდეს.“³⁶³

ლეგიონერთა რიცხვის მერყეობაში გარკვეულ როლს თა-
 მაშობდა ავადმყოფობა და დეზერტირობაც. 1916 წ. აგვისტოში
 შულენბურგი იუწყებოდა, სამსუნსა და კერასუნტში მყოფი ლე-
 გიონის ნაწილები „მძიმედ არის დაავადებული“. „კერასუნტი-
 დან დასავლეთისკენ, სანაპიროზე, ქოლერა მძვინვარებს და არა
 მარტო ლტოლვილთა შორის, ყველგან მძიმე მალარიაა და თანაც
 ქინაქინა არ იშოვება.“³⁶⁴ მხოლოდ კერასუნტის გზაზე ლეგიონმა

362 PA AA, R 21018, Schulenburg 15.1.1916.

363 PA AA, R 21018, Matschabelli an AA, 2.3.1916; მიხეილ წერეთლის ამ-
 რით, მიხედვად იმისა, რომ ქართული თავადაზნაურობის მოხალისეთა
 რაზმები თანაუგრძობდნენ და საიდუმლოდ ხელბოდნენ კიდევ ურონგზე
 „სამღერისგამელ“ ქართველებს, ღიად მათი გადასვლა მტრის მხარეზე არ
 მოხდა, რადგან ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებული სომხების ბედის გაზი-
 არება არ უნდოდათ – *** (=Tseretheli) 1924, S.140, შეად.: ვაბაშვილი 1992, გვ-
 153-157 („მოხალისეთა რაზმი“).

364 PA AA, R 21020, Abschr. von Schulenburg, 30.8.1916 - Telegramm des Militär-
 bevollmächtigten Pera an Generallstab Sektion Politik, 1.9.1916.

100 კაცი დაკარგა ავადმყოფობის გამო. ოფიცერთა უმრავლესობას მალარია ჰქონდა. ერთი ქოლერის შემთხვევაც იყო.³⁶⁵ ოქტომბერში ლეგიონი მალარიამ და დიზენტერიამ დაასუსტა.³⁶⁶

ავსტრო-უნგრეთის კონსული ტრაპიზონში კვიატკოვსკი 1916 წ. მაისში „ხშირ“ და 1916 წ. მაისში „მრავალრიცხოვან დეზერტირობას“ აღნიშნავს.³⁶⁷ დეზერტირობის რიცხვმა „აქ, ოჯახის სიახლოვეში იმატა; მაგრამ თურქულ რიცხვს, მსგავს პირობებში, მაინც არ აღწევს,“³⁶⁸ – თითქოს ლეგიონერთა გამართლებას შეეცადა შულენბურგი. ლეინტენანტი შლიპაკი იუნყებოდა, რომ „ლეგიონიდან მრავალი კაცი, მათ შორის, პირველ რიგში გერმანიიდან გათავისუფლებული სამხედრო ტყვეები, რუსების მხარეზე გადავიდნენ. ... რუსებთან ბრძოლის შემთხვევაში 50-დან 60 პროცენტამდე დანაკარგია მოსალოდნელი დეზერტირობის და ა.შ. გამო.“³⁶⁹

2.6.6. ლეგიონის მიზანშეწონილობა

„ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილი ჩანს, ლეგიონის დაშლის აზრის სივედაუხალოვდეთ, თანაც როცა კომიტეტისა და ლეგიონისთვის დახარჯული დიდი თანხები მართლაც ამოოდუნდა იქნას მიჩნეული.“³⁷⁰

გასაკვირია, რომ ასეთი სიძნელების პირისპირ ლეგიონი უფრო ადრე არ დაიშალა. ლეგიონით ქართველების დაინტერესება გასაგებია, მაგრამ რატომ ინახავდნენ გერმანელები ლეგიონს და რატომ ხარჯავდნენ ამდენ ენერგიას შულენბურგი და სხვები, თანაც თურქი მოკავშირის განაწყენებას არ ერიდებოდნენ?

365 PA AA, R 21020, Abschr. Tel. des Militärbevollmächtigten Pera an Generalstab Sektion Politik, 29.8.1916.

366 PA AA, R 21021, Telegramm des Militärbevollmächtigten Pera an Generalstab Sektion Politik, 12.10.1916.

367 HHSStA, PA I 947 Krieg 21 k Türkei, Pallavicini an Min. d. Äußern, 14.5.1916 und Kwiatkowski an Burian 23.12.1916.

368 AAA, R 21019, Abschr. von Schulenburg, 3.7.1916 - Telegramm des Militärbevollmächtigten Pera an Generalstab Sektion Politik, 6.7.1916.

369 PA AA, R 21021, Tel. aus dem Felde an Generalstab Sektion Politik, 18.09.1918.

370 PA AA, R 21021, Tel. aus dem Felde an Generalstab Sektion Politik, 18.09.1918.

Взятие русскими войсками турецкаго города Баязета.



რუსული პლაკატი ბაიაზეთის აღებასთან დაკავშირებით

შეიძლება დღეს ირაციონალურად მოგვეჩვენოს გერმანელების რწმენა, რომ პატარა ლეგიონი მომავალი დიდი ქართული აჯანყების ბირთვი გახდებოდა, აჯანყება მთელ კავკასიას მოედებოდა და ეს რუსეთის იმპერიას სერიოზულ ზიანს მიაყენებდა. ლეგიონის საქმეში მონაწილე გერმანელები ერთი შეხედვით რაციონალური არგუმენტაციით ცდილობდნენ ლეგიონის პოზიციების დაცვას. „ჩემი აზრით, ჯერჯერობით 1200 კაცით უნდა დავკმაყოფილდე. ადრე პერსპექტივაში დასახული რიცხვი 3000 კაცის ოდენობით შეესაბამება გასაგებ სურვილს ქართული კომიტეტისა, რომელსაც რაც შეიძლება ძლიერი ქვეგანაყოფი უნდა. ამის მომხრე იყო ლეიტენანტი შტანგეც, რომელსაც სჯეროდა, რომ ასეთი რაოდენობით ლაზისტანში ისევ შეძლებდა შეტევაზე გადასვლას. ლეგიონის მთავარი დანიშნულებაა, იყოს ბირთვი, რომელსაც საქართველოში მოსალოდნელი შეღწევის შემთხვევაში სხვა აჯანყებულები შეუერთდებიან; გარდა ამისა, მისი არსებობით ამიერკავკასიის რევოლუციურ წრეებს უნდა დაუშტკიცოთ, რომ მათთვის მუშაობა წარმოებს და რომ მათ ჩვენი დახმარების იმედი უნდა ჰქონდეთ. ლეგიონი ამ თვალსაზრისით სარეკლამო ფაქტორს წარმოადგენს.“³⁷¹

371 PA AA, R 21018, Der Verbindungsoffizier für den Kaukasus (Schulenburg),



ქართული ლეგიონის ფულის ნიშანი.
5 პიასტრი. სამსუნი, 1916 წ. ყველა ნიშანზე არის ჰანს კიულცერის ხელმოწერა (სხვადასხვა ჩინით: უნტეროფიცერი, ვიცე-ფელდგებელი, ფელდგებელი).

ფულის ნიშნებს გერმანიის მიერ არაოკუპირებულ ტერიტორიებზე კიდევ მხოლოდ დოქტორ ნიდერმაიერის ექსპედიცია ბეჭდავდა სპარსეთში 1916-17 წწ.

სააგიტაციო მიზნების მისაღწევად საჭირო იყო ლეგიონი სანიმუშო გამხდარიყო. შულენბურგს უნდოდა, კერესელიძე პოსტიდან გადაეყენებინა, მაგრამ არც ბერლინის მიერ დანიშნული ლეიტენანტი შლიპაკი მოსწონდა. მას უნდოდა ან უფრო ასაკოვანი პოდპოლკოვნიკი, ან უფრო ახალგაზრდა კაპიტანი. მოხალისე ოსენკოვს, რომელიც ომამდე ხაზინადარი იყო, საბუღალტრო საქმე ჩააბარა, რადგან ქართული კომიტეტის ხელმძღვანელობით სალაროში დიდი უნესრიგობა სუფევდა და ფულიც იფლანგებოდა. იგი ასევე მეტი ნდობით ეკიდებოდა თურქების მიერ დათმობილ გერმანული წარმოშობის 40 „რუს“ სამხედრო ტყვეს, რომლებსაც საპასუხისმგებლო ადგილებზე ამუშავებდა. საგარნიზონო სოფელ ზეფანოსში, ლაზარეთს ექიმი დოქტორი ფრიკე ხელმძღვანელობდა.

ლეგიონის ეროვნული ხასიათის ხაზგასასამელად კი სპეციალური უნიფორმები შეიკერა, აჭარული კოსტიუმის (ჩაქურას) მსგავსი, რომელიც არაერთგვაროვნად ჩაცმული ასკერების შურის საგანი გახდა.³⁷² თურქებმა ლეგიონის უნიფორმებსა და დროშებზე 1916 წ. თებერვალში განაცხადეს თანხმობა.³⁷³

ქართულ ლეგიონს ჰქონდა თავისი ფულის ნიშნებიც კი, 5 და 10 თურქული პიასტრის ტოლფასი (ჯერ ხელნაწერი, მერე დაბეჭდილი).³⁷⁴

1916 წ. იანვრიდან შემოღებულ იქნა „თამარ მეფის ორდენი“.³⁷⁵

Trapezunt, 20.1.1916.

372 bd.

373 Bihl 1975, S. 77; PA AA, R 21016, ლეო კერესელიძის ფოტო „notre armée“ - ს უნიფორმაში კერძო წერილიდან ეროვის Cosack an Wesendonk, 21.12.1915 და HHStA, PA I 947 Krieg 21 k Türkei კერესელიძის ერთი და ლეგიონერთა ორი ფოტო თან დართული აქვს Kwiatkowski an Burián, 11.1.1916.

374 Albert Pick. Papiergeld Lexikon. Augsburg 1992, S.117 სურათით.

375 Lang, S.182.



თამარის ორდენის ერთ-ერთი ნიმუში

2.6.7. თამარ მეფის ორდენი / Der Orden der Königin Tamar(a)

1916 წლის დასაწყისში დაწესდა სამხედრო საპატიო და მოსაგონარი ნიშანი ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისათვის, რომელიც 1917 წ. გადაკეთდა ჯილდოდ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებისათვის მათი ღვაწლის აღსანიშნავად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.³⁷⁶ ვარსკვლავის ფორმის ნიშანი ოსმალური სამხედრო მედლის მიბაძვით იყო გაკეთებული. ამ მედალს, რომელიც სულთან მეჰმედ V-მ დააწესა 1915 წ., გერმანელები „რკინის ნახევარმთვარეს“, ბრიტანელები კი „გალიპოლის ვარსკვლავს“ უწოდებდნენ. ის, რომ ორდენის ესკიზის ავტორი შლიბაკი უნდა იყოს, როგორც ამას მისი ძმა ამტკიცებდა,³⁷⁷ სხვა წყაროებიდან არ დასტურდება. „ორდენს“ ვარსკვლავის ფორმა ჰქონდა, რადგან ჯვრის ფორმა მაჰმადიანთათვის მიუღებელი იქნებოდა. „ორდენი“ მიღებულ იქნა გერმანიის გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის თანხმობით და ქართული კომიტეტის მიერ გაიცემოდა. კომიტეტის თავმჯდომარემ, პეტრე სურგულაძემ

376 ორდენის შესახებ საქართველოში ამ ბოლო დროს ბევრი დაიწერა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯაფარიშვილი 1998, ჩემთან ძირითადად გამოყენებულია Klietmann 1964, რომელსაც შევლომები აქვს, მაგრამ მაინც ყველაზე სერიოზულ და თან აღრეულ გამოკვლევას წარმოადგენს.

377 Klietmann 1964, S.215.



Urkunde.

Durch Verfügung des Großherzoglichen Kriegsministeriums vom
13. 12. 1908 J.-No. 5192 ist dem *Gebr. Schwan*
vom *Regt. Kaiserlich. Kav. 16*
der Orden der heiligen Tamara verliehen worden.

Kommando der deutschen Truppen
im Kaukasus.

F. Schwan
Vizekommando der Soldaten

Stef. v. der Goltz
Oberkommando

თამარ მეფის ორდენის
მინიჭების მონაწილე.
1918 წლის დასასრული

პირველი ორდენი გადასცა გენერალფელდმარშალ ჰინდენბურგს. ორდენი მიიღეს ასევე ლუდენდორფმა, ლოსომ, შულენბურგმა, გალენმა და ლეგიონის დაშლის შემდეგ ლეგიონის ყველა წევრმა.

ორდენი შემდეგშიც დიდი პოპულარულობით სარგებლობდა, განსაკუთრებით 1918 წ. კავკასიაში მყოფ გერმანელთა შორის. რადგან სოციალისტები ორდენებს ცუდი თვალით უყურებდნენ და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ორდენი დაარსებული იყო „ნაციონალისტური“ ქართული კომიტეტის მიერ, საქართველოს სამხედრო სამინისტრო ძლივს დაითანხმეს, ორდენი, როგორც სამხსოვრო ნიშანი, მიენიჭებინა ყველა იმ გერმანელი სამხედროსათვის, ვინც საქართველოში იყო 1918 წ. დეკემბრისათვის. რადგანაც საქართველოს ორდენების დასამზადებელი ფული არ ჰქონდა, გერმანელებს მხოლოდ სიგელები დაურიგეს, მათ კი თვითონ უნდა შეეკვეთათ ოქრომჭედელთან და ეყიდათ გერმანიაში თავიანთი ჯილდო. ამის გამოც არსებობს ორდენის სხვადასხვანაირი გაფორმება, ღარიბულიდან ძალიან მდიდრულამდე.³⁷⁸

378 Klietmann 1964, S.216 ff. ასეც უნდა ითქვას, რომ 1918 წ. მთავრობა დიდი ხალხით ურიგებდა ცარისგულ ვიორგის ჯვრებს წარჩინებულ ქართველ სამხედროებს.

კლიგმანის ცნობა სამხედრო სამინისტროს 13 დეკემბრის ბრძანებულების შესახებ, რომელსაც ხელს აწერს გენერალი მდივანი (იგულისხმება ალბათ

თამარ მეფის ორდენი, რომელიც, ვიპერტ ფონ ბლიუხენის თქმით, „თავისი სიდიდითა და მდიდრულობით ყველა გერმანულ სამხედრო დეკორაციას ჩრდილავდა,“³⁷⁹ საქართველოს ისტორიაში პირველი ორდენი იყო.

2.6.8 რა იცოდნენ რუსებმა ლეგიონის შესახებ?

როდესაც შლიპაკი რუსეთის მხარეზე გადასულთა შესახებ მოახსენებს გენერალურ შტაბს, გამოთქვამს ეჭვს, რომ ისინი მაჩაბელსა და ამხანაგებს უღალატებენ. „ლეგიონში ყველამ იცოდა, ალბათ, ადგილობრივი კომიტეტის წევრების მიერ საიდუმლოს შენახვის უუნარობის გამო, რომ მაჩაბელი ... ნყალქვეშა ნავით საქართველოში გადაიყვანეს.“³⁸⁰ თურქები ისედაც ეჭვის თვალით უყურებდნენ ქართველებს და ქართველების შპიონაჟის შიში ჰქონდათ. ერთხელ, როდესაც ქართველების გემი ვინედან ზღვაში გავიდა, რუსების სამხედრო გემებმა ფრონტისპირა სანაპირო დაბომბეს და თან, შულენბურგის თქმით, „შემთხვევით“ ერთ საიდუმლოდ დაყენებულ ზარბაზანს მოარტყეს, რაც თურქებმა სასწრაფოდ ქართველების ღალატად მონათლეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები არასდროს გასაიდუმლოებული ზარბაზნის ახლოსაც არ ყოფილან.³⁸¹

ლეგიონის გასაიდუმლოება ძნელი იქნებოდა ამდენი მონაწილისა და „კრიტიკული დამკვირვებლის“ ხელში. გარდა ამისა, ლეგიონის არსებობა არამცთუ გასაიდუმლოებული იყო, არამედ, პირიქით, სარეკლამო და საპროპაგანდო ხასიათი ჰქონდა და ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ მისი არსებობის ამბავი კავკასიაში შეეტყვოთ. ამიტომ გამორიცხებული არაა, რომ

მინისტრის თანამშემვე გენერალ-მაიორი ზ.ამდღიანი, რომელიც ამ დროს ბრძანებებს მართლაც ხშირად აწერდა ხელს „საქ. სამხედრო მინისტრის მკაცრ“ და რომელსაც ქართველი მკვლევარებიც იმეორებენ, ჩვენს ხელთ არსებული მასალით არ დასტურდება. არც მთავრობის ოფიციალურ ორგანოში – „საქართველოს რესპუბლიკაში“, სადაც ასეთი ბრძანებულება აუცილებლად უნდა დაბეჭდილიყო და არც სამხედრო სამინისტროს კერძალ „რესპუბლიკის ჯარის“ ხელმისაწვდომ ნომრებში ასეთი დოკუმენტს ვერ მიპოველეთ.

379 Blücher 1951, S.123.

380 PA AA, R 21021, Tel. aus dem Felde an Generalstab Sek. P., 18.9.1916.

381 PA AA, R 21018, Schulenburg 1.2.1916.

(თურქეთის ქვეშევრდომი ქართველი მაჰმადიანები - სსსრ-ის ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი).³⁸⁴

რუსეთის დაზვერვა ლეგიონს, რომელიც რუსულ დოკუმენტებში „ლეჟიონ-ტაბურ“-ად მოიხსენიება, 1911 წ. (!) კონსტანტინოპოლში დაარსებულ „დადიანის კომიტეტს“ უკავშირებს - მას ამჟამად ვინმე სურგულაძე ხელმძღვანელობსო.³⁸⁵ ბატალიონი თავიდან 400 კაცისგან, თურქეთში ქართული კომიტეტის წევრებისგან, შედგებოდა. ჯერ თურქები ხელმძღვანელობდნენ და მერე გერმანელები. ბათუმის ოლქის ნანილის დაკავებისთანავე ლეგიონი აჭარელი ჩეტნიკებით³⁸⁶ შეივსო (800 კაცამდე). ლეგიონის ოფიცერთა სახელები და ფოტოსურათები ტრაპიზონში იქნა მოპოვებული. აღვირახსნილი ქცევის გამო ლეგიონს არ ჰქონდა კარგი სახელი ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობაში. ლეგიონი გასული წლის იანვარში [ე.ი 1915 წ.] რუსეთის საზღვარზე გაიგზავნა, მაგრამ მალე უკან იქნა განვეული. დაგეგმილი იყო დესანტი ქობულეთთან, რის გამოც დაუსრულებელი ქეიფები იმართებოდა, მაგრამ ოპერაცია არ შედგა. 1916 წ. იანვარში 10-12 კაცი გადასხეს ფოთთან, ვილაცებისთვის ფულის და დოკუმენტების გადასაცემად. ბატალიონის სამსუნში გადასვლამდე გერმანიიდან 5 ახალგაზრდა ოფიცერი ჩამოვიდა ტრაპიზონში. ამჟამად ბატალიონის უფროსად დროებით დანიშნულია გერმანელი მოზელი, რადგან ლეო კერესელიძე ორ ოფიცერთან - ალექსანდრესა და ოსმან ბეისთან ერთად, რომელთა გვარებიც უცნობია, სპარსეთში არიან გაგზავნილი, საიდანაც ისინი, ალბათ, კავკასიაში შემოიღწევას შეეცდებიანო.

1916 წ. 13 თებერვლის მოხსენება შედგენილია თურქეთიდან ჩამოსული, ქართულ ლეგიონთან დაახლოებული პირის

384 სსსხ.ფ.13,ა.27,ს. 3167,6.11.1914,გვ.1,ა.2,2,ა.

385 სსსხ.ა, ფ.13, ა.27, ს. 5413, „ენობები ქართული ლეჟიონ-ტაბურის შესახებ“ (ტაბურ თურქულად ბატალიონს ნიშნავს). გვ. 18, 18ა, 19, 19ა, „დადიანის კომიტეტი“ არსად მოიხსენება 1916 წ. შედგენილ ამ უთარილო დოკუმენტებში (იგივე ენობები მეორდება სსსხ.ა, ფ.13, ა.27, ს. 5172). სხვადასხვა გამოკვლევებში „დადიანის კომიტეტის“ შესახებ გამოთქმული ამრიგ მხოლოდ ავტორთა ფანტაზიის ნაყოფია.

386 ისტორიულად ჩეტნიკებს თავისუფლებისათვის მებრძოლ სერბებს უწოდებენ. ჩეტნიკები თავს პაილუკების გრადიცის გამგრძელებლებად თვლიდნენ. 1918 წლიდან უწოდება სერბეთის მოხალისეთა სახალხო მილიციას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გიგომ გაანადგურა.

ისმარება პარტიზანის ნაცვალადაც. შეჰაღ.: თურქ. ჩეთე - პარტიზანული რამბი (საიორიძე 1998, გვ.34)



თურქი ასკერები დროშით

ჩვენებათა მიხედვით. ლეგიონის ხელმძღვანელებად დასახელებული არიან: ლეო კერესელიძე, პეტრე სურგულაძე, მელიტონ თავართქილაძე (!), ნესტორ კერესელიძე, მელიტონის დეიდაშვილი, და ზია ბეკ სანჯაყ ბეკ ზადე აბაშიძე; სამსუნში გადასვლის შემდეგ – შულენბურგი, ვინმე მოზელი, რუსეთის ქვეშევრდომნი ძმები შლიბახები (!) ტფილისიდან. რუსების ხელში ჩავარდნილ ფოტოსურათებზე ამ პირმა ამოიცნო 8 ლეგიონერი. ცნობილი გახდა, ასევე, 16 ლეგიონერის სახელი ბათუმის ოლქიდან და 5 ტყვედყოფილი ოფიცრის გვარი.³⁸⁷

ასევე, მათ ხელში იყო „ქართველთა ლეგიონის აფიცერთათვის სავალდებულო კანონები შემუშავებული აფიცრების კომისიის მიერ 9 თიბათვეს 1917წ.“ (!) ხელმოწერებით.³⁸⁸

1916 წ. 28 ივნისს ბათუმის სამხედრო გუბერნატორი თავად ორლოვს, მეფისნაცვლის თანაშემწეს სამოქალაქო ნანილში,

387 სსცხა, ფ.13, ა.27, ს. 5413, ბათუმის ოლქის დროებით ვენერალ-გუბერნატორს ბათუმის ოლქში ქუთაისის გუბერნიის ეხლარმთა სამმართველოს უფროსის მოადგილის 1916 წ. 13 თებერვლის სრულიად საიდულო მოხსენების ახლი. გვ. 15, 15ა.

388 სსცხა, ფ.13, ა.27, ს. 5413, გვ. 20, 20ა, 21.



ლეგიონერთა ფოტოსურათებსა და ამოცნობილ პირთა ჩამონათვალს უგზავნის. სიაში პირველია ცნობილი ყაჩაღი სერგი ლობაძე, მეორე – სურამში თავდასხმის მონაწილე ალექსანდრე სურგულაძე. საყურადღებოა ამავე ჯგუფურ სურათზე აღბეჭდილი ლეკი სულეიმან ბეკი და ცალკე ფოტოზე – თავადი დადიანი (რომელიც სინამდვილეში ლეო კერესელიძეა), რომლებიც სხვაგან არ ფიგურირებენ.³⁸⁹

2.6.9. ლეგიონის დასაქმება

ერთ-ერთი პირველი დავალება, რომელიც შულენბურგმა მისცა ლეგიონს, იყო პატარა ჯგუფებად რუსეთის ხაზს იქით გადასვლა, იქ პატარა ბანდების ჩამოყალიბება და მლეღვარელების მოწყობა. ქართველებმა მას განუცხადეს, რომ ეს უკვე მრავალგზის სცადეს, მაგრამ თურქები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. შულენბურგმა წერილობითი ბრძანება გამოითხოვა, რათა ქართველები ფრონტის ხაზზე გაეტარებინათ. 1915 წ. ბოლოს, რამდენიმე კვირის შემდეგ, ჯგუფი უკან დაბრუნდა ტრაპიზონში და განაცხადა, „რომ მათ მთელ თურქულ ფრონტზე ხან აქეთ და ხან იქით აგზავნიდნენ, მაგრამ არსად არ მისცეს საშუალება ხაზზე გადასვლისა“. ავნი ფაშამ, რასაკვირველია, ყველაფერი უარყო და განაცხადა, რომ ქართველებს არც ერთი გადასასვლელი არ მოეწონათ და სინამდვილეში სულაც არ უნდათ რუსეთში გადასვლაო. შულენბურგი თურქებს არ ენდო და ფიქრობდა, რომ ეს თურქების ქართველებისადმი „უსაზღვრო უნდობლობის“ გამო მოხდა. მან ვალის დაწერილი ქალაქით აღჭურვილი გერმანელი გააყოლა ჯგუფს. მალე ისინი უკან დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ ის გზები, რამდენიმე თვის წინ ღია რომ იყო, ახლა დიდთოვლობის გამო ჩაკეტილა და სახმელეთო გზით ფრონტზე გადასვლის არანაირი საშუალება არ არსებობსო. ამის შემდეგ ქართველთა მცირე ჯგუფი გემით ვინედან ფოთის მიმართულებით გაამგზავრეს. გერმანელები-სათვის მათი ასავალ-დასავალი უცნობი იყო.³⁹⁰ ალბათ, ეს ის 12-კაციანი ჯგუფია, ფოთთან რომ გადმომსხდარა დიდძალი

389 სხცხა, ფ.13, ა.27, ბ. 5413, გვ. 7, 7ა, 8. სულეიმან ბეკი ხომ არ არის სულდი ბეი ბეხუთოვი?

390 Zürer, Legion, S. 92; PA AA, R 21018, Schulenburg 1.2.1916

ფულით და „რალაც დოკუმენტებით“, რაზეც ლაპარაკია რუსულ დოკუმენტებში.³⁹¹

„გააფთრებული შეტევები, რუსებმა უკანასკნელ კვირებში ერზურუმის აღმოსავლეთით რომ მიიტანეს, უშედეგო არ ყოფილა და ლეგიონისათვის კარგი ნაყოფი გამოიღო. ... ამას დაემატა ისიც, რომ რიზესთან რუსების გადმოსხმის შეეშინდათ. აქაური სამხედრო კომენდანტი იძულებული შეიქნა, ყველა აქ განლაგებული ქვეგანაყოფი - სამი სუსტი ბატალიონი და ერთი საველე ბატარეა - რიზესა და ჭოროხის ხეობაში გაეგზავნა, რის გამოც ტრაპიზონი დაუცველი დარჩა. ამის გამო ავნი ფაშამ ლეგიონს 300 მაუზერის 84 მოდელის თოფი და 50000 ვაზნა გადასცა, რათა ლეგიონმა რუსების ტრაპიზონზე მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, მის დაცვაში მონაწილეობა მიიღოს.“³⁹² თურქების მხრიდან ეს იძულებული ნდობის გამოძღვლება დიდ პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს. ქართული ლეგიონის ამარა დარჩენილ ტრაპიზონს კი საიმედო არაფერი უნდა ჰქონოდა, რადგანაც დანარჩენი 200 მაუზერისთვის (მოდელი 88), ლეგიონს ტყვია-ნამალი არ ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლეგიონერთა უმრავლესობა უსაქმოდ რჩებოდა.³⁹³

რადგანაც ლეგიონის მნიშვნელობა უეცრად გაიზარდა, ავნი ფაშამ გადაწყვიტა ლეგიონის „გათურქება“. მან მოინდომა ლეგიონში ქართულის თურქული ენით შეცვლა. ლეგიონს ინსტრუქტორებად თურქი უნტეროფიცრები დაენიშნათ, რომლებიც ქართულად არ ლაპარაკობდნენ. შულენბურგის ენერგიული ჩარევის შედეგად ეს გეგმა არ განხორციელებულა. როგორც ჩანს, ამით გაბრაზებული ავნი ფაშა შეეცადა, ახლა სხვანაირად ჩარეულიყო ლეგიონის საქმეებში. მან მოითხოვა ათი ყოფილი სამხედრო ტყვე, რომლებიც უნტეროფიცრებად და ფელდვეებლებად ერთგულად მსახურობდნენ ლეგიონში, მისთვის გასასამართლებლად გადაეცათ. მათ ბრალად ედებოდათ ლალატი, კერძოდ კი ის, რომ თურმე კარჭაპის პატრონის მოსყიდვა უცდიათ მისი ნავით რუსეთში გაპარვის მიზნით. შულენბურგის თქმით, კერესელიძეს წინააღმდეგობის განევის გარეშე გადაუცია ისინი თურქებისთვის. შულენბურგს პროტესტი გამოუხატავს, რადგანაც არ სჯეროდა, „რომ უნტეროფიცრებს, რომლებსაც აქ მაღალი სამხედრო რანგი ჰქონდათ

391 სკსსა, ფ. 13, ა.27, ს.5542, ფ.18-19; სურგულაძე 1994 - მობედათ.

392 PA AA, R 21018, Schulenburg, 20.1.1916.

393 ebd.



თურქი ასკერები
 თხილამურებით,
 კავკასიის ფრონტზე

და კარგ ხელფასსაც იღებდნენ, რუსეთში კი ისევე ჯარისკაცები უნდა გამხდარიყვნენ, განსაკუთრებული სურვილი ჰქონოდათ იქ დაბრუნებისა; გარდა ამისა, ისინი დარწმუნებულნი ვერ იქნებოდნენ, რომ მხოლოდ ნებაყოფლობითი დაბრუნების გამო მათ აპატიებდნენ ლეგიონში შესვლას". ის თვლიდა, რომ სამხედრო დამსჯელი ძალაუფლება ლეგიონის შინაგანი საქმე იყო და არა თურქებისა და მოითხოვდა ამ საკითხის საბოლოო გარკვევას. ვოლპმანი არ იზიარებდა ამ აზრს და თურქების უმაღლეს იურისდიქციას აღიარებდა. საბოლოოდ ავნიმ ქართველები გაათავისუფლა, მაგრამ ერთი დამსმენი ლეგიონერი სამსახურიდან დაითხოვა, ერთი უნტეროფიცერი კი, ვითომ საკუთარი სურვილით, დააბრუნა სივასის ტყვეთა ბანაკში.³⁹⁴

ტრაპიზონიდან გამგზავრებამდე შულენბურგი ავნი ფაშას მოელაპარაკა, რომ ლეგიონი სომხური ბანდებისგან დაიცავდა ქალაქს, მაგრამ რუსების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. „აქ ვხელმძღვანელობდით იმ აზრით, რომ არასრულფასოვნად შეიარაღებული, სრულიად არადის-

394 PA AA, R 21018, Schulenburg, 1.2.1916, Zürrier, georgischer Legion, 1978, S. 93 – მხედვით.



სომეხ მებრძოლთა (ფიდაების) ჯგუფი, რომელიც დაშნაკების (სომხური რევოლუციური ფედერაცია/თანამეგობრობა) დროშის ქვეშ იბრძოდა. დროშაზე წარწერა: „თავისუფლება ან სიკვდილი“. მე-19 საუკუნის ბოლო.

ციპლინირებული და ჯერ კიდევ მოუმზადებელი ლეგიონი რეგულარული ჯარის შეტევას ვერ გაუძლებდა. ... ყოველ შემთხვევაში, ქართული ლეგიონი ქართული საქმისათვის უშედეგოდ, სუფთა თურქულ მიზნებს შეენიერებოდა და გერმანიის მხრივ გაღებული თანხები წყალში გადაიყრებოდა.³⁹⁵ ამასობაში რუსებმა ვინე და რიზე დაიკავეს. შულენბურგის გამგზავრებისთანავე მის მოადგილეს, ლეიტენანტ შედეს აენი ფაშამ ლეგიონის ფრონტზე გაგზავნა მოსთხოვა და როდესაც უარი მიიღო, ლეგიონს მაუზერის თოფები ჩამოართვა. განიარაღებულ ლეგიონს სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა ფრონტთან საშიშად დაახლოებული ტრაპიზონის დატოვებისა და თებერვლის შუა რიცხვებიდან დასავლეთისკენ, სამსუნისკენ დაენყო გადაბარგება. სამსუნი, ტრაპიზონისგან განსხვავებით, მარცვლეულის მოყვანის ცენტრი იყო, რაც გააადვილებდა ლეგიონის დუხჭირ მომარაგებას. სამსუნის გარშემო ლტოლვილთა ბევრი ბანაკიც იყო, რაც ახალი ძალების მოზიდვას შეუწყობდა ხელს.³⁹⁶

1916 წ. ნ თებერვალს ლეგიონის ახალი კომენდანტი ლეიტენანტი შლიპაკი და გერმანიის ბანაკებიდან განთავისუფლებული

395 PA AA, R 21018, Schede, 20.2.1916 Schulenburg, 23.2.1916, Zürrer, Legion 1978, S. 94 – მხედვით.

396 Zürrer, Legion, 1978, S. 94.



რამდენიმე ქართველი ოფიცერი „გოებენით“ ტრაპიზონში ჩავიდა. კერესელიძის გადაყენებას, რასაკვირველია, უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. მარტის დასაწყისში, ლეო კერესელიძის ნასვლის შემდეგ, დაიწყო ახალ გერმანულ ხელმძღვანელობასა და ქართველებს შორის უთანხმოება, რომელიც ახალი მეთაურის ენერგიული გამოსვლითა და „ალკოჰოლის დახმარებით“ ნაწილობრივ მაინც ჩააცხრეს. ორივე მხარე მაჩაბლისგან ელოდა საქმის საბოლოო მოგვარებას. გერმანელებს უნდოდათ, რომ მაჩაბელს თავისი თანამემამულეებისთვის განემარტა, რომ ისინი გერმანელებზე იყვნენ სრულიად დამოკიდებულნი.³⁹⁷

მაჰმუდ ქიამილ ფაშამ დისლოკაციის ახალ ადგილზე გადასულ ლეგიონს დაპირებისამებრ მშვენიერი ყაზარმა გამოუყო და სახელმწიფო საწყობებიდან მომარაგება აღუთქვა. მაგრამ მალე მისი ადგილი ვეჰიბ ფაშამ დაიკავა, რომელიც შულენბურგს ლეგიონის საქმეებში გარკვევას დაჰპირდა. ამ დროს რეკრუტირება არ ხერხდებოდა ჩვეულებრივი ოსმალური ბიუროკრატიის ობსტრუქციის გამო. აპრილის დასაწყისში ვეჰიბმა ამის ნება მისცა ქართულ ლეგიონს და შულენბურგის გული იმითაც მოიგო, რომ უთხრა, ქართულ-თურქული შეთანხმება ნაკითხული მაქვსო. მისი წინამორბედისგან განსხვავებით, ის ქართველებისადმი წინასწარ მტრულად განწყობილი არ იყო, მაგრამ ისინი არც ისე დიდად აინტერესებდა. ავნი ფაშაც გადააყენეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლეგიონს უკან, ტრაპიზონში, დაბრუნების შემთხვევაში წინააღმდეგობები არ შეხვდებოდა.³⁹⁸

მალე ქართულ ლეგიონს თავის გამოჩენის საშუალება მიეცა. ოთხი დღის განმავლობაში თურქების მიერ მაუზერებით შეიარაღებული 120 ლეგიონერი, შლიპაკის მეთაურობით, სამსუნის მიდამოებში „სომხურ ბანდებს“ დასდევდა, რომლებიც ბოლოს ბერძენი დეზერტირები აღმოჩნდნენ. 100 დაჭერილი ბერძენიდან უმრავლესობა შეუიარაღებელი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ახალ კომენდანტს ეამაყებოდა თავისიანების სიმამაცე და განსაკუთრებით ის, რომ მათ თურქ ჟანდარმებზე უკეთესად ეჭირათ თავი.³⁹⁹

397 PA AA, R 21018, Schulenburg, 5.3.1916, Schede, 27.3.1916, Zürer, Legion, S. 93 – მოხედვით.

398 Zürer Legion, S. 94.

399 PA AA, R 21019, Schulenburg, 10.4.1916; Schulenburg, 14.4.1916 u. Bericht Schulenburgs vom 3.7.1916 in Mil.Bev. an Generalstab S. P., 6.7.1916.



თურქული „პატრიოტული“ შხატვრობა

ქართული ლეგიონისადმი დამოკიდებულება ამ წარმატებამაც ვერ გააუმჯობესა. ჯერ კიდევ 1916 წ. იანვარში შულენბურგმა 600000 ოქროს მარკა მოითხოვა. ბერლინი თანახმა იყო მხოლოდ 150000 მარკაზე, თანაც ქალაქისაზე. დიდი ვაჭრობის შემდეგ შულენბურგმა კონსტანტინოპოლის საელჩოს ოქროს რეზერვიდან 200000 ოქროს მარკა მიიღო, მაგრამ ამითაც შუქღებელი იყო აპრილის ხელფასების გადახდა. შულენბურგი იმუქრებოდა, რომ ხალხის გადასარჩენად ცხენებისა და მარაგის გაყიდვა მოუნევდა, თუ ნახევარ მილიონს არ მისცემდნენ. რადგანაც შულენბურგი სასურველ მომჭირნეობას არ იჩენდა, ბერლინმა მისი უკან განვევა გადანყვიტა. მას ვალების გასასტუმრებლად 200000 მარკა მისცა, მისი შემცვლელისათვის 100000 გამოყო და მოითხოვა, რომ ლეგიონი ივნისიდან 120000 მარკით დაკმაყოფილებულიყო.⁴⁰⁰ ამ დროს ლეგიონის ბიუჯეტი ასეთი იყო: 650 თურქული ფუნტი (ერთი ფუნტი დაახლოებით 20 მარკა) გერმანული შტაბისათვის, 265 - ქართული კომიტეტისთვის, 810 - ჯამაგირი სამხედროთათვის, 1435 - ლეგიონერთა ოჯახების დახმარება, 925 - კვებისთვის და სხვ., მათ შორის 54 ფუნტი - საველე მღვდლისათვის.⁴⁰¹

საერთო ჯამში ლეგიონისთვის 1916 წ. ივნისამდე დახარ-

400 Zürrer Legion, S. 95.

401 უფრო შესაბამისად Zürrer Legion, S. 103 - Anm. 42.

ჯული იყო 1,66 მილიონი მარკა. ლეგიონს კი არაფერი ჰქონდა ისეთი გაკეთებული, ეს თანხები რომ გაემართლებინა.

ინისის ბოლოს ვეჭიბმა გამოაცხადა, რომ ლეგიონი არანაირ სამხედრო ფასეულობას არ წარმოადგენს, უარს ვამბობ მის რაიმენაირ გამოყენებაზე, ლეგიონს სურსათით დახმარებას შევუწყვეტ, მოხალისეთა გადაბირება კი სტამბოლთან შეუთანხმებლად არ შეიძლებაო. გერმანელების თხოვნით ენვერმა მესამე არმიას უბრძანა, როგორც კი ლეგიონი მზად იქნებოდა, ფრონტზე გაეშვათ. ვეჭიბის გადაწყვეტილებით, ლეგიონი სივასის მიდამოებში უნდა გადაეყვანათ. ქართველებს სადღაც ანატოლიაში ბრძოლა არ უნდოდათ და მოითხოვდნენ სანაპიროზე განწესებას. ვოლპმანის მხარდაჭერაც უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ სივასში გადაყვანის სამხედრო მნიშვნელობა არ ესმოდა, შულენბურგმა, რომელმაც ამ დროისათვის ლეგიონის მეთაურობაც ითავა, წინააღმდეგობა აღარ გაუწია თურქებს. ის, რომ სივასის ვალი ძველი ნაცნობი ავნი ფაშა იყო, ლეგიონს კარგს არაფერს უქადდა. 13 ივლისს ლეგიონმა, როგორც იქნა, მიიღო რუსული ნადავლი თოფები, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებებისა და ფულის ნაკლებობის გამო მათი გადაყვანა სივასში გვიანდებოდა.⁴⁰²

რუსების ახალმა შემოტევებმა ისევ იხსნა ლეგიონი. ფაშამ ახლა მათ კერასუნტის (გირესუნი) დაცვა დაავალა. 100 კაცზე მეტი დაკარგა ლეგიონმა სამსუნიდან კერასუნტში გადასვლისას - შიმშილის, ჭაობიანი სანაპიროს გავლისას, მალარიის გამო. რამდენიმე კვირაში ლეგიონი ახალი ძალებით უნდა შევსებულიყო და ფრონტზე გასულიყო იქ, სადაც ჰამდი ბეი იდგა თავისი 1500 თურქი ასკერით. შლიპაკმა, რომელიც კლიმატს ვერ შეეგუა და შულენბურგმა, რომელმაც საბოლოოდ აიცრუა გული ამ ღონისძიებაზე, ავადმყოფობის ცნობები იშოვეს. ექიმი მათ ურჩევდა შვებულებაში გასვლას და მის სამშობლოში გატარებას.⁴⁰³

ავვისტოში ვეჭიბმა ჰაჯი ჰამდი ბეის დაავალა ლეგიონის ტირებოლუში თავმოყრა. 30 აგვისტოს ლეგიონის დიდი ნაწილი - 200 კაცი 100 ცხენით, ტირებოლუში ჩავიდა. „დანარჩენები სამსუნსა და კერასუნტში, ზოგიერთი მძიმედ ავად“ იყვნენ. აქ

402 PA AA, R 21019, Schulenburg, 3.7.1916, R 21020, Wolpmann, 14.7.1916, Schulenburg, 5.7 u. 12.7.1916.

403 PA AA, R 21020, Mil.Beiv. an Generalstab S. P., 6.7.1916, Schulenburg, 18.7 u. 27.7, 1.8, 11.8, 23.8, 26.8 u. 29.8.1916.



დაღლილი გერმანელი ჯარისკაცი

შულენბურგმა მეთაურობა ლეგიონის ყველაზე ძველ ოფიცერს, მურატ ბეი მალალოვს, გადაულოცა.⁴⁰⁴

სექტემბრის ბოლოს შულენბურგი შვებულებში გავიდა. მანამდე კი კიდევ ერთ უსიამოვნებას შეეხსნო. ამ ინციდენტს, რომელიც ააშკარავებს ლეგიონში ქართველებს შორის დამოკიდებულებას, კიკნაძის სიტყვების მიხედვით მიხილ წერეთელი აღწერს. ლეგიონის გადაადგილების დროს ოფიცერ კიკნაძეს ჩხუბი მოუვიდა ოფიცერ ინგურიძესთან, რომელსაც მიეშველა ვინმე ს. ლაბაძე („წინათ ცნობილი, როგორც ყაჩაღი და მკვლელი, რომელიც ამასობაში, რამდენადაც საოცარი არ უნდა იყოს, „ლეიტენანტი“ გახდა“). კიკნაძემ გადანიშნა სამსუნში დაბრუნება და იქ ამ ოფიცერთა უკადრისი საქციელის გამჟღავნება. ეს მას აუკრძალა მურად ბეიმ („ესეც არასდროს არ ყოფილა ოფიცერი, და არ ვიცით, ვინ დანიშნა ის „ლეგიონის შტაბის უფროსად“). კიკნაძემ მას განუცხადა, რომ არც მის და არც ყაჩაღი ლაბაძის უფროსობას არ აღიარებს და სამსუნს გაემგზავრა. მურად ბეიმ მას ლაბაძე დაადევნა, რომელ-

404 PA AA, R 21020, Schulenburg vom 30.8.1916 in Mil.Bev. an Generalstab S. P., 1.9.1916.



მაც ის შეიპყრო და კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფის
 ჯარისკაცების თვალწინ. მთელი ქალაქი იყო ამ ინციდენტის
 მონაწილე. კიკნაძეს „სურს ჰკითხოს თავის გერმანელ ამხანაგებს,
 რომელი საკუთარი ღირსების პატივისმცემელი ოფიცერი დარ-
 ჩებოდა ასეთ „არმიასში“, ყაჩაღები და ავანტიურისტები ოფიც-
 ერს ასე რომ ექცევიან.“ კიკნაძე სამსუნში მაინც ჩავიდა და
 ქართულ კომიტეტს ყველაფერი მოახსენა. სურგულაძემ შუ-
 ლენბურგს ორჯერ მისწერა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. შემდეგ
 კიკნაძე შლიპაკთან ერთად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა,
 საიდანაც (გერმანიის ტყვეთა ბანაკიდან 1915 წ. დეკემბერში
 განთავისუფლებული), მისთვის მოულოდნელად, გერმანიაში
 და საბოლოოდ ისევ ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდა.⁴⁰⁵

შლიპაკმა კონსტანტინოპოლში განაცხადა, რომ „რუსებთ-
 ან შეჯახების შემთხვევაში მოსალოდნელია 50-დან 60 %-მდე
 დანაკარგი დეზერტირობისა და სხვ. გამო. ასეთ პირობებში
 საჭიროა, ლეგიონის დაშლის იდეას ისევ დავუახლოვდეთ.“

2.6.10. ლეგიონის დაშლა

მას შემდეგ, რაც 25 ივლისს ერზინჯანი დაეცა და თურქებ-
 ის კონტრშეტევის იმედი საბოლოოდ დაიკარგა, შულენბურგმა
 ქართულ ლეგიონზე ხელი ჩაიქნია.⁴⁰⁶ თურქების უკანდახვევის
 გამო ლეგიონი საქართველოში ველარ შევა და ამის გამო ის
 აზრს კარგავსო, თვლიდა ლოსო.⁴⁰⁷ გენერალური შტაბი, საგარ-
 ეო საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ლეგიონის სას-
 ნრაფოდ ლიკვიდაციის წინააღმდეგი იყო. მათი მონაცემებით,
 ივლისში თბილისში არეულობა მოხდა, რასაც ისინი მაჩაბლის
 საქმიანობას უკავშირებდნენ. ყველა მიმდინარე ღონისძიება
 კავკასიაში შეჩერდებოდა, თუ ლეგიონს დაშლიდნენ, რადგან
 ქართველებისთვის ლეგიონი ბევრს ნიშნავდა. ქართველებ-
 ის ანტირუსული განწყობილება შეიძლება პრორუსულითაც

405 PA AA, R 21021, Tseretheli, 4.10.1916, კიკნაძის საკითხის შესახებ მ-
 შოწერა: PA AA, R 21021, Mil.Bev. an Generalstab S. P., 7.9, 18.9.1916; Hülsen
 (Generalstab S. P.) an Königliche Ministerium 23.9.1916.

406 Zürer, Legion, S.95.

407 PA AA, R 21020, Mil.Bev. an Generalstab S. P., 30.8.1916.



გენერალი ფონ ლოსო

შეიცვალოსო.⁴⁰⁸ 1916 წ. სექტემბერში ქართველებს შორისაც კი დაისვა კითხვა, საჭირო იყო თუ არა ლეგიონი.⁴⁰⁹ ბერლინის ქართულმა კომიტეტმა 1916 წ. 22 სექტემბერს სათანადო უწყებებს მიმართა გრძელი წერილით, სადაც შექმნილი სიტუაციის შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა. წერილში გაკრიტიკებულნი იყვნენ გერმანელი ოფიცრები, შულენბურგის გარდა, რომლებიც ცუდად ექცეოდნენ ქართველებს და ამით დიდ ზიანს აყენებდნენ ლეგიონის საქმეს. კომიტეტი მოითხოვდა გერმანელი ინტრიგნების დაუყოვნებლივ ჩამოშორებას.⁴¹⁰ ამ წერილის გამო ვეზენდონკთან შემდგარი საუბრის შემდეგ, სადაც ვეზენდონკმა მათ კიკნაძის საქმე და შლიპაკის აზრი გააცნო, კომიტეტმა ახალი წერილი დაწერა. ისინი იმეორებდნენ თხოვნას, შულენბურგის თანდასწრებით თურქეთში ლეგიონისთვის მომუშავე გერმანელებისა და ქართველების სხდომა შემდგარიყო საქმის საბოლოოდ გამოსარკვევად. ქართული კომიტეტის საკითხები მოზელისა და შლიპაკის გადასაწყვეტი არაა და თუ ამ პირთა რჩევას, ლეგიონს ჩამოაშორონ კომიტეტი, გაიზიარებენ, მაშინ ჩვენ ვითხოვთ ლეგიონი ან დაიშალოს, ან გამოყენებულ იქნას,

408 PA AA, R 21020, Generalstab S. P. an Deutscher Militärbevollmächtigter Pera, 31.8.1916.

409 PA AA, R 21021, Lossow an Generalstab, 21.9.1916; Bihl 1975, S. 79 – მოხვედით.

410 PA AA, R 21021, Mitglieder des Georgischen Komitees in Berlin, 22.9.1916.



ჯემალ ფაშა ერაყელ ტომის ბელადებთან ერთად

როგორც თურქული ჯარის ნაწილი, ოღონდ ქართული დროშებისა და ნიშნების გარეშე, თურქი მოხალისეების მსგავსადო.⁴¹¹

ოქტომბრის დასაწყისში საგარეო უწყებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ლეგიონის დაშლა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ „რადგანაც ჩვენ გარკვეული ინტერესი გვაქვს, რუსეთს მისი უცხო ერების (Fremdvölker, მაშინ ეროვნული უმცირესობების აღმნიშვნელი სიტყვა) მისწრაფებათა ხელშეწყობით სიძნელეები შეეუქმნათ, სასურველია, ლეგიონისადმი გარკვეული ინტერესი გამოვხატოთ, სულ ცოტა მანამდე მაინც, სანამ გრაფ შულენბურგსა და ქართული მოძრაობის ხელმძღვანელებს შორის დაგეგმილ საუბრებში საქმის მდგომარეობა სრულიად გაირკვეოდეს.“ გარდამავალ პერიოდში ქვეგანაყოფს გამოცდილი გერმანელი ოფიცერი უნდა ხელმძღვანელობდეს და მისი დაშლაც ნელ-ნელა დაიწყოს – ფიქრობდნენ საგარეო უწყებაში.⁴¹² ამ მიზნებისთვის სამხედრო მისიამ საგარეო უწყებას სამი თვით ათხოვა თურქეთში მყოფი პოდპოლკოვნიკი გრაფი ფონ გალენი.⁴¹³

411 PA AA, R 21021, M.v.Tseretheli, G.v.Keresselidse (gez. v. Tseretheli), 25.9.1916.

412 PA AA, R 21021, AA an Generalstab S. P., 2.10.1916.

413 PA AA, R 21021, Lossow, 14.10.1916.



თურქული ალაფის დათვა-
ლიერება თბილისის ალექსან-
დრე ნეველის სამხედრო
ტაძრის („სობოროს“) ეზოში
(დღევანდელი საქართველოს
პარლამენტის ადგილას)

ნოემბრის ბოლოს იგი ტირებოლუში ჩავიდა. ლეგიონი ისევ 1000 კაცამდე იყო გაზრდილი და მალალოვი მშვენივრად უძღვებოდა საქმეს. ოფიცრები კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ და, როგორც გაკვირვებული გალენი აღნიშნავდა, მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ქრისტიანი იყო, მაჰმადიან ჯარისკაცებში ავტორიტეტით სარგებლობდნენ. თურქი ფრონტის კომენდანტი ლეგიონით კმაყოფილი იყო და მის შინაგან საქმეებში არ ერეოდა. სურსათით მომარაგების საქმე კი უალრესად არასასურველ მდგომარეობაში იყო. საკვები თითქმის არ იშოვებოდა. მარაგი არაფრის იყო და თუ ცუდი ამინდის გამო იალქნიანი ნავეები არ მოდიოდნენ, ჯარისკაცები შიმშილობდნენ. დღეების განმავლობაში ხშირად პურიც არ ჰქონდათ. ცხვრის ქურდობით ირჩენდნენ თავს. განსაკუთრებით ჭირდა ცხენების გამოკვება. სანაპიროზე ფასები „საშიშად“ მატულობდა. გერმანული მარკის კურსი კი ეცემოდა.

გალენის პირველი შთაბეჭდილება და შულენბურგის პესიმისტური დასკვნები საოცრად ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს.⁴¹⁴

414 Zürer Legion, S.97; PA AA, R 21021, Schulenburg 30.9. u. 19.10.1916.

გალენის ჩამოსვლამდე ლეიტენანტი შედე ხელმძღვანელობას აუნწყებდა, რომ როგორც გამაგრებების შენებაში, ისე საგუშაგო სამსახურსა და დისციპლინაში ლეგიონმა ევროპულ დონეს მიაღწია. 6 ნოემბერს, პატრულირებისას, 25 ლეგიონერი რუსების განლაგებაში შეიჭრა, 30-40 რუსი მოკლა და 2 ტყვიამფრქვევი გაანადგურა.⁴¹⁵ ნოემბრის ბოლოს ჰამდი ბეიმ ექვსი ლეგიონერი პატრულირებისათვის „რკინის ნახევარმთვარით“ დააჯილდოვა.⁴¹⁶

ამ დროს ლეგიონი განლაგებული იყო 4-5 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე მდინარე ჰარშიტ-სუზე, ტირებოლუდან 10-15 კილომეტრის დაშორებით, სამხრეთით.⁴¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ქვეგანყოფი საუკეთესო იყო მოცემულ ტერიტორიაზე, თურქები მას მაინც მტრულად უყურებდნენ. სანოვაგით ლეგიონი თითქმის აღარ მარაგდებოდა. ფრონტისპირა ქალაქ ტირებოლუს ბაზარი მიტოვებული იყო. ლეიტენანტმა შედემ არ იცოდა, როგორ გამოეკვება ლეგიონი ზამთარში. ის ორ ვარიანტს ხედავდა – ან გერმანელებისადმი მტრულად განწყობილი ვეჰიბის გავლენის სფეროდან გაეყვანათ ლეგიონი, ან დაეშალათ.⁴¹⁸ ლოსო ამ უკანასკნელ ვარიანტს უჭერდა მხარს.⁴¹⁹ ქართველები კიდევ ერთხელ აღნიშნავდნენ ლეგიონის პოლიტიკურ და მორალურ მნიშვნელობას და ითხოვდნენ, ჯარისკაცთა ერთი ნაწილი შევებულებაში გაეშვათ, შემდეგში ისევე ქართულ არმიაში შესაყვანად, ნაწილი კი გერმანია-რუსეთის ფრონტზე გადაეყვანათ საბრძოლველად.⁴²⁰ გერმანელები თანახმა იყვნენ, თუ ლეგიონრები მოითხოვდნენ, ისინი ფრონტზე გაეშვათ, სადაც რუსების წინააღმდეგ ფინურ ლეგიონთან ერთად იბრძოლებდნენ.⁴²¹ სხვათა შორის, ლეგიონის დაშლის შემთხვევაში ლეგიონერთა მომავალზე ქართველებმა ადრევე დაიწყეს ფიქრი. 1916 წ. აპრილში მათ ვეზენდონკს განუცხადეს, რომ ქრისტიან ლეგიონერებს თურქეთში დარჩენა არ უნდოდათ. ჯარისკაცე-

415 PA AA, R 21021, Schede, 9.11.1916 in Lossow an Generalstab S.P., 10.11.1916.

416 PA AA, R 21022, Schede, 29.11.1916 in Lossow an Generalstab S.P., 30.11.1916.

417 PA AA, R 21022, Galen, 19.12.1916.

418 PA AA, R 21022, Schede, 19.12 u. 20.12.1916.

419 PA AA, R 21022, Lossow, 20.12.1916.

420 PA AA, R 21022, Surguladse, Tseretheli, Karziwadse, Leo u. Georg Keresselidse, 12.12.1916.

421 PA AA, R 21022, Wesendonk, 14.12.1916.



სამსუნელი ლაზები. ღია ბარათი

ბი, შეიძლება, გერმანელების მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილ ტერიტორიებზე, ან ავსტრო-უნგრეთში დაესახლებინათ. ოფიცრებს ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 3000 მარკა უნდა მიეღოთ.⁴²² მაისში შულენბურგი ლოსოს უთანხმდებოდა, ქრისტიანი ქართველები „კლიმატური პირობების გამო იქნებ უნგრეთში“ დავასახლოთო.⁴²³ საქმე იქამდეც კი იყო მისული, რომ ნიადაგის მოსასინჯად საუბრები წარმოებდა უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარ პერენისთან.⁴²⁴

1916 წ. ბოლოს ბერლინი ლეგიონის სამსუნში გადაყვანას, იქ დაშლას და მისი შეიარაღების თურქებისადმი მიყიდვას უჭერდა მხარს. ქართველებს, რომლებიც შეიარაღების სამომავლოდ შენახვას ითხოვდნენ, გერმანიის გენერალური შტაბი დაპირდა, რომ „როცა ლეგიონი თავიდან შეიქმნება კავკასიის ფრონტზე ახლიდან გამოსაყენებლად, მას იარაღი და მასალა არ მოაკლდება.“⁴²⁵ 15 დეკემბერს გენერალური შტაბი, საგარეო უწყება და ქართული კომიტეტი შეთანხმდნენ: მოხალისეები გერმანული ხელმძღვანელობით გერმანია-რუსეთის ფრონტზე დაეშვათ; ბრძოლის არმსურველები ან უუნარონი შვებულე-

422 PA AA, R 21018, Wesendonk, 22.4.1916.

423 PA AA, R 21018, Mil.Bev. an Generalstab 23.5.1916.

424 PA AA, R 21018, Wesendonk, 9.6.1916.

425 Zürrer, Legion, S. 98.



ბაში მყოფებად ჩაითვლებოდნენ. ენვერ ფაშას პირობა უნდა დაედო, რომ ლეგიონერებს არ აიძულებდნენ ოსმალეთის არმიის ბრძოლას.⁴²⁶ თურქები თანახმანი იყვნენ რუსეთის ქვეშევრდომი ქართველები ოსმალეთის ჯარში სამსახურისგან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ ოსმალთა ქართველები ჯარში მიჰყავდათ. გარდა ამისა, ლეგიონი სამსუნში კი არა, კერასუნტში უნდა დაშლილიყო.⁴²⁷ სამსუნის ჯარისკაცებით იყო სავესტატირებოლუდან გზა კი ბევრად უფრო გრძელი, ვიდრე კერასუნტამდე. ამიტომ შედეგად ამ გადაწყვეტილებასაც დაეთანხმა. ლეგიონის ლიკვიდაცია ისე ჩქარა მოხდა, რომ შულენბურგმა, რომელსაც ლეგიონის დაშლა დაევალა, ადგილზე ჩასვლა ვერც კი მოასწრო.⁴²⁸

2.6.11. ლეგიონის შემდგომი ბედი

1917 წ. დასაწყისში ლეგიონი ლიკვიდირებული იყო, ლეგიონერთა ბედი კი ჯერ კიდევ გაურკვეველი. თურქებმა ისევ დაარღვიეს პირობა და მაჰმადიან ქართველთა განთავისუფლებაზე უარი თქვეს. მათი აზრით, ყველა მაჰმადიანი ხალიფას ქვეშევრდომი იყო და ოსმალეთში უნდა დარჩენილიყო. როდესაც ქართულმა კომიტეტმა ამაზე დაიჩივლა, ლოსომ მათ განუცხადა, რომ ეს მას აღარ ეხებოდა და რომ თვით ქართველებს უნდა მოენფრთხილებინათ ეს საქმე. გენერალურმა შტაბმა, რომელსაც ქართველებთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა, ლოსოს საქმეში ჩარევა უბრძანა.⁴²⁹ ზენოლამ შედეგი გამოილო და მაჰმადიან ქართველებსაც დაერთოთ ნება კონსტანტინოპოლში ჩასულიყვნენ. ყოფილ ლეგიონერთა მომავალი აპრილში ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. ბერლინმა მათი გერმანიაში ჩაყვანა და ზალცვედელის ტყვეთა ბანაკში მოთავსება გადაწყვიტა, მერე კი რუმინეთში ან სერბეთში სოფლის მეურნეობაში დაკავებაზე ფიქრობდა, შემდეგში გაჩნდა იდეა მათი დობრუჯაში, რკინიგზის ყარაულებად დაყენების შესახებ.

20 აპრილს ლეგიონერთა პირველი ჯგუფი სტამბოლიდან

426 PA AA, R 21022, Generalstab S. Pan Lossow, 15.12.1916.

427 PA AA, R 21022, Lossow an Generalstab S. P., 4.1.191.

428 PA AA, R 21022, Schede, 13.1. u. 19.1.1917.

429 PA AA, R 21022, Generalstab S. Pan Lossow, 27.2.1917.



რუსი სანიტრები

ბერლინის გაემგზავრა – 8 ოფიცერი, 6 ოფიცრის მოადგილე, 23 რუსეთის გერმანელი, 62 მაჰმადიანი და 6 ქრისტიანი ჯარისკაცი, 2 მაისს მეორე ჯგუფი – 3 ოფიცერი, 6 რუსეთის გერმანელი და 82 მაჰმადიანი.⁴³⁰

7 მაისს შულენბურგმა ლოსოს უპატაკა, რომ ლეგიონის დაშლა დამთავრებულია და კონსტანტინოპოლში მხოლოდ 1 ოფიცერი და 13 ჯარისკაციღა დარჩა.⁴³¹

მართალია, 15 დეკემბრის შეთანხმების მიხედვით, ქართულ კომიტეტს საგარეო უწყებასთან შეთანხმებულად მუშაობა ბერლინის გარდა კონსტანტინოპოლსა და სამსუნში უნდა გაეგრძელებინა,⁴³² მაგრამ 1917 წლის დასაწყისისთვის თითქმის მთელი ქართული კომიტეტი ბერლინში გადაბარგდა. კონსტანტინოპოლში მხოლოდ მალალოვი დატოვეს, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ,⁴³³ რაც, ფაქტიურად, თურქეთში მუშაობის შეჩერებას ნიშნავდა.

1917 წ. მაისში ლეგიონის ნარჩენები ზალცვედელის ბანაკში იმყოფებოდა, რადგან მათი რუსეთის ფრონტზე გამოყენება მოცემულ მომენტში არ იყო შესაძლებელი⁴³⁴ და ქართველებს სოფლის მეურნეობად ყოფნა არ უნდოდათ. „ქართული ლეგიონის ინსტრუქციის ოფიცრის“ შლიპაკის ხელმძღვანელობით 17

430 Zürrer, Legion, S. 98, Bihl 1975, S.79.

431 PA AA, R 21024, Schulenburg, 7.5.1917.

432 PA AA, R 21022, Generalstab S. Pan Lossow, 15.12.1916.

433 Zürrer, Legion, S.99.

434 PA AA, R 21023, AA an S.P., 18.4.1917.



მკვდარი გერმანელი ჯარისკაცი

ოფიცერი და 137 ჯარისკაცი წერთნას გადიოდა და საყარაულო სამსახურისთვის ემზადებოდა.⁴³⁵ მაჩაბლის რჩევის მიხედვით, ლეგიონი, რომელსაც ახლა ხშირად «ქართულ ასეულს» უწოდებდნენ⁴³⁶, შლიპაკის მეთაურობით 1917 წ. ივნისში რუმინეთში, კოტროჩენის ბანაკში, იქნა გადაყვანილი იქ მყოფი მაჰმადიანი სამხედრო ტყვეების სადარაჯოდ.⁴³⁷

1917 წ. სექტემბერში ბერლინში 7 და ზალცვედელში 4 ქართველი ოფიცერი რჩებოდა, რომელთა გამოყენებაზე კავკასიაში ისევ ფიქრობდნენ.⁴³⁸

1918 წ. ზაფხულში რუმინეთში მყოფი ლეგიონის ნაშთის სამშობლოში დაბრუნების საკითხი დადგა. ვეზენდონკის აზრით, მათ შორის ზოგიერთი («ეს ხალხი ლაზეთიდანაა!») ძალიან პროთურქულად იყო განწყობილი და ჯობდა საქართველოში თან არ წაეყვანათ.⁴³⁹


435 PA AA, R 21023, Wesendonk, 16.5.1917 u. Schliephack, 21.5.1917 სხვათაშორის, ლეგიონის მეორე მნიშვნელოვანი გერმანელი თანამშრომელი მოშელი, შულენბურგის მიხედვით, სამხუნში გერმანიის საკონსულოში იყო მივლენილი - PA AA, R 21024, Schulenburg, 7.5.1917.

436 PA AA, R 21024, Schliephack an AA, 20.7.1917; შლიპაკი თავის თავს ამეთაურს (Kompagnieführer) უწოდებდა.

437 PA AA, R 21024, S.P. an AA, 15.6.1917, Klietmann 1964, S.215, Zürrer, Legion, S.99; Bihl 1975, S.280f, Anm.116 (3.Kap.) მიხედვით, ზოგიერთი ქართველი ოფიცერი შლიპაკის წინააღმდეგ რუმინეთშიც გამოდიოდა. კოგროჩენი ბუქარესტის ერთ-ერთი უბანია, სადაც რუმინეთის ბოლო კომუნისტმა პრეზიდენტმა ჩაუშესკემ მშენიერი ვილები დაანგრია და უმარბამარი სახახლე ააშენა.

438 PA AA, R 21024, S.P. an AA, 22.9.1917.

439 PA AA, R 21025, Wesendonk, 9.6.1917.



დასახიჩრებული ჯარისკაცი
 ოპერაციის შემდეგ.
 1924 წელს გამოცემული ერნსტ
 ფრიდრიხის ნიგნიდან „ომი ომს“

1918 წ. 28 ივნისის გაზეთ „სახალხო საქმეში“ სათაურით „გერმანელი მეცნიერები ტფილისში“ ვკითხულობთ, რომ „ლივრეპოლისა (!) და ბერ. უნივერსიტეტების არქეოლოგი“ შლიპაკი და (ადოლფ) დირი თბილისში ჩამოსულან. „ობერლეინტენანტ შლიპაკი მეთაურობს ქართულ ლეგიონს. რომელიც ჯერ კიდევ ბუქარესტშია. შლიპაკი ტფილისშია გაზრდილი. იგი დიდი მეგობარი იყო მუდამ ქართველების. ობერ შლიპაკი იბრძოდა კავკ. ფრონტზე ქართველ ლეგიონერებთან ერთად. შემდეგ რუმინეთის ფრონტზე დიდ მფარველობას უწევდა ქართულ ლეგიონს. ამჟამად ბატონი შლიპაკი ტფილისს ჩამოვიდა ლეგიონის დავალებით, ის თხოულობს სათანადო ნებართვას საქ. რესპუბლიკის მთავრობისგან ლეგიონის ჩამოსაყვანად.“⁴⁴⁰

რუმინეთში მყოფ დაახლოებით 140 კაცს 1918 წ. ივლისში ებრძანა, მომზადებულიყო სამშობლოში დასაბრუნებლად.⁴⁴¹

ლეგიონერები საქართველოში, როგორც ჩანს, სექტემბრისთვის დაბრუნდნენ.⁴⁴²

სექტემბრის დასაწყისში „ლეგიონს ზემით შეხვდნენ სამხედრო სამინისტროსთან. სამხედრო მინისტრმა მოულოცა

440 „სახალხო საქმე“, № 267, 28 ივნისი 1918.

441 PA AA, Großes Hauptquartier, Georgien Nr. 13, Georgien: allgemeine Lage-Bd. I., Ludendorff an Lersner 21.7.1918;

442 Jäschke 1941, S. 14, Anm. 70 ცნობა La Chesnais, S.60 მიხედვით, რომ ლეგიონი 1918 წ. 18 ივნისს თბილისში ჩავიდა, სწორი არაა.

ლეგიონს მშვიდობით დაბრუნება...⁴⁴³ სამხედრო მინისტრის გიორგაძე სპეციალური ბრძანებით 12 სექტემბერს კიდევ ერთხელ მიესალმა ლეგიონერებს და მადლობა გადაუხადა შლიპაკს, „რომელსაც დიდი შრომა და მუყაითობა გაუნწვია ლეგიონერების აღზრდასა და განაფვაზე მთელს ქვეყანაზე განთქმულის გერმანელთა ჯარების მსგავსად.“⁴⁴⁴

ლეო კერესელიძე შეეცადა ლეგიონის რეანიმაციას საქართველო-სომხეთის კონფლიქტის დროს. გაზეთებმა გამოაქვეყნეს განცხადება: „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით ქართული ლეგიონი მოინვესტეს მოხალისეებს. მამულიშვილნო, დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია! ... ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.“⁴⁴⁵

ლეგიონს ახალციხის ფრონტზეც უბრძოლია.⁴⁴⁶ ლეო კერესელიძე „ერთობის“ რედაქციისათვის გაგზავნილ წერილში უარყოფდა თბილისში გავრცელებულ ჭორებს, თითქოს ლეგიონის აჭარელი ჯარისკაცები მტრის მხარეს გადასულიყვნენ და წერდა, რომ ლეგიონმა „იბრძოლა მედგრად, არ დასტოვა არც ერთი ნაბიჯი ალბუღელ პოზიციისა მიუხედავად დიდი ზარალისა. ვუსურვებ ყოველივე ნაწილს ქართული ჯარისა ესრე გამირულათ და პირნათლად შეესრულებინოს ყოველთვის თავის მოვალეობა, როგორც ეს შეასრულა ქართულმა ლეგიონმა ბრძოლის ველზე.“⁴⁴⁷ გენერალი კვინიტაძე მაღალი აზრის არ იყო ახალციხეში ლეო კერესელიძესა და მის რაზმზე და უკან თბილისში დაუბრუნებია დასასმულელად.⁴⁴⁸

443 „საქართველოს რესპუბლიკა“, № 36, 7 ენკენისთვე 1918, სტაგიაში „ლეგიონის ჩამოსვლა“ რამდენიმე არასწორი ცნობაა: „ბუდაპეშტიდან ჩამოვიდა აუსტრო-უნგრეთში შემდგარი ლეგიონი, რომელიც შეხლგება ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებისგან“. ჩამოსულ ლეგიონში სულ 120 ჯარისკაცი და 5 თოქიერი ყოფილა.

444 „საქართველოს რესპუბლიკა“, № 47, 21 ენკენისთვე 1918, „ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა (სამხედრო უწყების მიმართ) № 77“. პირსტ გუხგაე შლიპაკის სახელი და გვარი დამახინჯებულად წერია – „ხარც ლეღვიგის ძე შლიღაკ“. იხ. ასევე – „კლდე“, № 3, კვირა, 1918 წ. ენკენისთვის 29.

445 ერთობა, № 273, 18.12.1918, სხვა გაზეთებში მოწოდება: „მამულიშვილნო! არ არის, მავ: საქართველო, № 243, 19.12.1918.

446 სურგულაძე 1994, გვ. 34.

447 ერთობა, № 30, 7 თებერვალი 1919.

448 Квиництадзе, ст. 98-100.



ქართველი ლეგიონერები და გერმანელი ოფიცერი (მოზელი?).
შუაში (1) - ლეო კერესელიძე.

2.6.12. გერმანელებისა და ქართველების ურთიერთშეფასება

ლეგიონის მონაწილე მხარეები ერთმანეთს ტკბილი მოგონებებით არ დაშორებიან.

ის, რომ თურქებს ქართულ-გერმანული ღონისძიება გულზე არ ეხატებოდათ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ხელი შეეშალათ ამ წამოწყებისთვის, ცხადია. ჯერ კიდევ დასაწყისში მათ სცადეს, ფიზიკურად გასწორებოდნენ ან დაეშინებინათ მაინც ლეგიონის პიონერები, როცა ვინეში მათი სახლი დაწვეს.⁴⁴⁹ ბოლოს კი, ვეჭიბ ფაშას სექტემბრის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სრულიად უაზრო ბრძანება, რომ ყველა ქართველი, მათ შორის ავადმყოფებიც, ჯერ კიდევ სამსუნში ან კერასუნტში რომ იყვნენ, სასწრაფოდ ტირებოლუში უნდა გადაეყვანათ,⁴⁵⁰ თითქმის სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. თურქები ქართულ ლეგიონს თითქმის მხოლოდ უარყო-

449 ხალია 1995, გვ. 59; u. PA AA, R 21021, Mitglieder des Georgischen Komitees in Berlin, 22.09.1916.

450 PA AA, R 21024, Schulenburg, 11.10.1916.

ფითად ახასიათებდნენ და მას „ყაჩაღობაში, ქურდობასა და გაუპატიურებებში“-ც კი სდებდნენ ბრალს.⁴⁵¹

ქართველები და გერმანელები თურქებში მხოლოდ ხელის შემშლელ ძალას ხედავდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთმანეთის მიმართაც დაუგროვდათ უკმაყოფილება. დაულალავი და ეჭვიანი „არანეიტრალური“ დამკვირვებლის, ავსტრო-უნგრეთის კონსულ კვიატკოვსკის თქმით, სამივე მხარე – გერმანელები, ქართველები და თურქები – ერთმანეთს მხოლოდ ბოჭავდნენ.⁴⁵²

ლეიტენანტ დოქტორ შედეს ეკუთვნის სიტყვები: „nous faisons une politique allemande, et non géorgienne“ (ჩვენ გერმანულ პოლიტიკას „ვაკეთებთ“ და არა ქართულს).⁴⁵³ მოზელი, რომელიც შედეს მსგავსად სიმპათიებით არც თურქებისადმი გამოიჩინოვდა, ლეგიონერებს უხსნიდა, რომ „ისინი საქართველოს კი არა, გერმანიის ჯარისკაცები“ არიან. ეს კი ქართველებს, რასაკვირველია, აღიზიანებდა და რაც უფრო ჭიანჭურდებოდა საქმე, მით უფრო იზრდებოდა ერთმანეთისადმი გაღიზიანება.

ქართველები მოზელს, „უბრალოდ მთელი ნამონყების მადემორალიზირებელ ელემენტს“,⁴⁵⁴ შლიპაკსა და მოზელს კი ინტრიგნებსა და ქართველების სიამაყის შემლახველებს უწოდებდნენ. „ადამიანს ნამდვილად ცხოველის მოთმინება უნდა ჰქონდეს, ამას რომ გაუძლოს და ისევ და ისევ ასეთი შეურაცხყოფა აიტანოს.“⁴⁵⁵

გერმანული მხარე ვალში არ რჩებოდა.

შლიპაკის აზრით, ქართული კომიტეტის წევრები – „არაფრისმცოდნენი, ზარმაცები და ქედმაღალნი, მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, ბევრი ფული როგორ ეშოვათ.“⁴⁵⁶

ნაწილობრივ ამას ადასტურებს კვიატკოვსკიც. ქართველები ფულს ფლანგავდნენ, ამორალურ ცხოვრებას ეწეოდნენ

451 PA AA, R 21018, Schulenburg, 1.2.1916.
 452 HHSIA, PA I 947 Krieg 21 k Türkei, Kwiatkowski an Burian, 11.2.1916, Bihl 1975, S.81 – მიხედვით.
 453 HHSIA, PA I 947 Krieg 21 k Türkei, Kwiatkowski an Czernin, 15.6.1917
 454 PA AA, R 21021, Tseretheli, 4.10.1916. წერეთელი თფიცერ კიკნაძის ბოძვებს ამბობს
 455 PA AA, R 21021, Mitglieder des Georgischen Komitees in Berlin, 22.09.1916, ციტატა სერგულაძის წერილიდან.
 456 PA AA, R 21021, Mil.Bev. Konstantinopel an Generalstab, 18.9.1916



Vorführung einer österreichisch-ungarischen Haubitzenbatterie

Zensiert
Paul Hoffmann & Co.
Berlin-Schöneberg

*vor dem türkischen Kriegsminister Enver Pascha
und Offizieren des Generalstabes in Konstantinopel.*

1903.

ავსტრო-უნგრული პაუზიცის ჩვენება სამხედრო მინისტრ ენვერ ფაშას თანდასწრებით კონსტანტინოპოლში

და ვალებში ვარდებოდნენ. ზოგიერთი უნტეროფიცერი გადამყიდველობას ეწეოდა, ზოგი თვითდანაწესებას და, აქედან გამომდინარე, უკეთეს ჯამაგირს ინიშნავდა, ასე მაგალითად, „საპყრობილის დირექტორი“ 8-ფუნტიანი თვიური სარგოთი ან „საიდუმლო პოლიციის შეფი“. ქართველები ვერც სამხედრო წვრთნას უდებდნენ გულს.⁴⁵⁷

შულენბურგმა ქართული კომიტეტი ლეგიონის საქმეებს ნელ-ნელა ჩამოაშორა და რუსეთის გერმანელებს ანიჭებდა უპირატესობას. წერეთლის აზრით, „შულენბურგი კი შესანიშნავი ადამიანია, მაგრამ არა მიუკერძოებელი“.⁴⁵⁸

ასეთ პირობებში სურგულაძეს უთქვამს: „რუსეთის პოლიტიკურ საპყრობილებებში უკეთესად ვგრძნობდი თავს“-ო.⁴⁵⁹

შედე კი ლოსოსთან ჩიოდა – „ამ ბოლო დროს კომიტეტისა და ზოგიერთი ოფიცრის ქცევამ ზოგიერთი გერმანელი ბატონის მიმართ ისეთი შეურაცხმყოფელი ფორმა მიიღო, რომ მათი შემდგომი მუშაობა შეუძლებელი გახდა და გერმანიის

457 HHStA, PA I 947 Krieg 21k Türkei, Kwiatkowski an Burian, 12.2.1916 u. 5.3.1917, an Czernin, 15.6.1917, Bihl 1975, S.82 - მახედვით.

458 PA AA, R 21021, Tseretheli, 4.10.1916.

459 HHStA, PA I 946, Kwiatkowski an Burian, 18.10.1916, Bihl 1975, S.81 მახედვით.

ჯარის ნევრთა ავტორიტეტი სასტიკად შეილახა.“ ამიტომ მხ
 ფიქრობდა, მთელი სამუშაო ქართველებისთვის მიეყარა და
 სამშობლოში დაბრუნებულიყო გერმანელებთან ერთად, რომ-
 ლებიც „ციებ-ცხელებით ავად ან ნერვიულად გალიზიანებ-
 ულები“ იყვნენ.⁴⁶⁰

ბერლინი ამ მდგომარეობას არ ან ვერ აქცევდა სათანადო
 ყურადღებას. არც ქართველების მიერ 1916 წ. შემოდგომაზე,
 მრავალგზის მოთხოვნილი გამოძიება და „საქმის გარჩევა“
 მოუწყვია დაპირისპირებულ მხარეთა მოსმენით. ერთადერთი,
 რასაც ბერლინი მოითხოვდა, იყო აქციის გაგრძელება.

კონსტანტინოპოლის გერმანიის საელჩო და სამხედრო
 ატაშე ლონისძიების ჩქარ დასრულებაზე ოცნებობდნენ და ამი-
 ტომ ხშირად თურქებისკენ იხრებოდნენ. რომ არა ბერლინის
 ჩარევა, ისინი ლეგიონს უფრო ადრეც დაშლიდნენ. საოცარია,
 რომ ერთწელზე ოდნავ მეტის შემდეგ, იგივე ლოსო დამოუკიდე-
 ბელი გერმანული კავკასიური პოლიტიკისა და საქართველოს
 დამოუკიდებლობისთვის აქტიური მებრძოლი გახდა.

კვიატკოვსკის ამ საქმეში მონაწილე გერმანელი ოფიცრე-
 ბისგან გაუგია – „ლონისძიება მაიმუნობა იყო და ასეც დამთა-
 ვრდა. გერმანულმა შტაბმა და უდისციპლინობამ დალუპეს ლე-
 გიონი.“⁴⁶¹

ლეო კერესელიძის 1917 წლის 26 სექტემბრის წერილი ლე-
 გიონის ჩავარდნით გამოწვეულ ურთიერთდადანაშაულებათა
 დაგვირგვინებაა.

1916 წლის თებერვალში ლეო კერესელიძე სპარსეთში
 სპეციალური დავალებით წასვლაზე დაითანხმეს. 1916 წ. სე-
 ქტემბერში ქართულ კომიტეტს მისგან ცნობა მიუღია, რომ ის
 1000 ქურთით რუსებს ებრძოდა სპარსეთში.⁴⁶² 1916 წ. სექტემ-
 ბრის ბოლოს ოფიცერ კიკნაძეს ის, სიცხიანი, კონსტანტინოპ-
 ოლში უნახავს. მიხეილ წერეთელი გერმანელებს სთხოვდა,
 კერესელიძისათვის ნება დაერთოთ, ბერლინში ჩამოსულიყო.
 გერმანელებს ემინოდათ, რომ მას ტიფი არ ჰქონოდა. წერ-
 ეთელი კი წერს, რომ კერესელიძის მუდმივი სიცხეების მიზეზი
 მისი ძვლის ტუბერკულიოზიაო. კერესელიძეს არც ფინანსური
 სიძნელეები ექნება, რადგანაც შვეიცარიიდან შეუძლია მიიღოს,

460 Zürrer, Legion, S.104, Anm. 58

461 HHStA, PA I 947 Krieg 21k Türkei, Kwiatkowski an Czernin, 3.4.1917.

462 PA AA, R 21021, Mitglieder des Georgischen Komitees in Berlin, 22.09.1916.



შემოწირულობის შეგროვება ომში დაზარალებულთათვის პეტერბურგში. 1917 წ.

რაც საჭიროაო.⁴⁶³ გამოსაჯანმრთელებლად კერესელიძე 1917 წ. დასაწყისში შვეიცარიაში გაემგზავრა. ლეო კერესელიძის ურთიერთობა გერმანელებთან უკვე კარგა ხანია დაძაბული იყო, მაგრამ ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩანს, ქართულ კომიტეტთანაც საბოლოოდ გაფუჭდა. წერილი სოლოტურნიდან (შვეიცარია) – „ქართ. სეპარატ. კომიტეტს ბერლინში“ უაღრესად გაღიზიანებული კაცის დანერილია და ზოგჯერ აბდაუბდაც⁴⁶⁴, მაგრამ საინტერესო ანგარიშსწორებას წარმოადგენს, როგორც გერმანელ, ისე ქართველ პარტნიორებთან. ლეო კერესელიძე მისი კომიტეტიდან გასვლის უმთავრეს მიზეზებს შორის ასახელებს:

„4) კომიტეტის თავჯდომარეს პოლიტიკის წყალობით მთელი ჩვენი მოქმედება ტრაპიზონში და შემდეგ სამსუნში არსებობდა შულენბურგის და სხვა ინტრიგანების ბრძანების ქვეშ.“

463 PA AA, R 21021, Tseretheli, 4.10.1916.

464 დოქტორ მეკელაის, რომელმაც, როგორც „ნახრიბგენშტელეს“ თანამშრომელმა, თარგმნა წერილი. გერმანული თარგმანის ბოლოში მიუწერია – „განსაკუთრებით ბოლოსაკენ ძალიან ნაჩქარევად დაწერილი წერილი შეიცავს რამდენიმე გაურკვეველ სიტყვას, რომლებიც ზოგიერთ წინადადებას გაუგებარს ხდის. დრ. მეკელაინ“ – PA AA, R 21025, იქვე 16-ვევრდიანი ქართული ორიგინალიც, რომლის ორთოგრაფიაც აქ დაუკლია.



კომიტეტმა დაჰკარგა ყოველივე ღირსება. გაუხდა მოსამსახურეთა და ლაქიათ მოზელს, შულენბურგსა და სხვებს. თუ ეს მართალი არ არის, დეე ოსმან ბეგმა და მალალაშვილმა სინდისის ქვეშ პირდაპირ კომიტეტის წინაშე სთქვან.

5) იანვრის ბოლოს 1916 წ ბატონმა სურგულაძემ ლალატი იმოქმედა ჩემ წინაშე შეგნებულათ და საერთო საქმეების წინაშე ალბათ შეუგნებლათ. ჩუმათ კომიტეტისა მოელაპარაკა შულენბურგს ჩემი სარდლობიდან გამოცვლის შესახებ. ამ ორმა გავლენა იქონიეს გ. მაჩაბელზე რომელმაც ბერლინში ამხანაგების შეუკითხავათ წერილი მოსწერა შულენბურგს რომელშიც სწერდა, რომ თანახმაა, მე გამომცვალონ და ჩემ ადგილას დააყენონ შლიბაქი. (ეს უკანასკნელი ამბავი მე თვით შულენბურგიდან ვიცი.) ამნაირათ გადამაყენეს მე სარდლობიდან მთელი ლეგიონის ჯარისკაცების და აფიცრების სურვილის წინააღმდეგ. მას შემდეგ ლეგიონს აღარ უხეირია. ყოველივე კომიტეტი ამნაირ უკანონო საქციელს თავჯდომარისას სცნობდა დანაშაულათ და მას პასუხის გებაში მისცემდა. ქართ. სეპარ. კომ. კი ამ შემთხვევას არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

6) ჩემ შემდეგ სარდლათ, შულენბურგის ბრძანებით, კომიტეტმა დანიშნა ბატ. შლიბაქი, კაცი ლოთი, ბრიყვი და უვიცი. ამ უკანასკნელმა გახრწნა და დაარღვია ის დისციპლინა რომელიც მე ლეგიონში დიდი ენერჯიის დახარჯვის შემდეგ შევქენი.

7) შულენბურგის ბრძანებითვე კომიტეტმა გადააყენა ლოთი შლიბაქი და სარდლათ დანიშნა თვით შულენბურგი, კაცი ქურდი, (ამისი დამადასტურებელი საბუთები მაქვს და კიდევ ...) ბოზი ზნეობრივათ და სრულიათ სუსტი ხასიათით რომელიც ყველა ინტრიგანის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამ უკანასკნელმა გასწიხლა და დაამცირა ლეგიონი. ოფიცრებზე გააბატონა გარუსებული გერმანელი ტყვეები და ამით დაარღვია ისეთაც დარღვეული დისციპლინა. ყველა ამის არათუ მწამე იყო კომიტეტი არამეთ ხელის შემწყობი თავისი თავჯდომარის სახით.

8) ბატ. სურგულაძემ ცილი დაგვწამა ზურგთ უკან მე და ოსმან ბეგს ვითომ მე და მას სტამბულში ყოფნის დროს 1915 წ. კომიტეტის ფული ქეიფში და ბოზებში დაგვეხარჯოს და ამაზე ლეგიონის ოფიცრებში ილაპარაკა, ხმა გაავრცელა. ...

9) ჩემი სარდლობის მთელი დროს განმავლობაში ჯარში იყო სრული წესიერება და დისციპლინა. თუმცა ოფიცრები ნაკლებათ მყავდა მაინც ჯარი მეჭირა ხელში ჩემი ძალით და ავტორი-



1915 წლის ზაფხულში 60-კაციანი ჯგუფი, ოსკარ ფონ ნიდერმაიერისა და ვერნერ ოტო ფონ პენტინგის მეთაურობით, ბალდადიდან ინგლისელებისა და რუსების კონტროლქვეშ მყოფი ირანის გავლით ავღანეთში ჩავიდა, რათა ავღანეთის ემირი შაბიბულა რუსეთისა და ბრიტანეთის წინააღმდეგ ჯიხადში ჩაებათ (პირველად ამ ოპერაციისთვის ვილჰელმ ვასმუსს, შემდეგში გერმანულ ლოურენსად წოდებულს, უნდა ეხელმძღვანელა). მათთან ერთად იყო რაჯა მაჰენდრა პრატაპი, რომელმაც ქაბულში ინდოეთის დროებითი მთავრობა შექმნა და ინდოეთში აჯანყებების მოწყობას ცდილობდა.

გიუნტერ ფოიგტ, კურტ ვაგნერ, ვერნერ ოტო ფონ პენტინგ, ოსკარ ნიდერმაიერ და ვალტერ რიორ ავღანეთში. 1916 წ.

ტეტიო. ჩემ შემდეგ კი გერმანელებმა დაარღვიეს ყოველგვარი დისციპლინა და ჯარი და ოფიცრობა დაამცირეს. ქართული ლეგიონი უბრალო გერმანულ ბატალიონათ გადააქციეს, მხოლოდ დამცირებულ და უღირს ბატალიონათ. საზიზლარი და ამაღელვებელი საქციელია ეს, თავმოყვარეობის შემლახავი! მაგრამ ამას მიხვდება მხოლოდ ის ვისაც სამხედრო თავმოყვარეობა აქვს! ჩვენ პოლიტიკას კი ისეთი კაცი აწარმოებდა რომელიც დაბადებულია და აღზრდილი სოფლის მასწავლებლათ ...

...
 11) კომიტეტის დაუდევრობით, პეტრე სურგულაძის პოლიტიკის წყალობით და იმით რომ რამდენიმე წევრი კომიტეტის ენეოდა კერძო პოლიტიკას საერთო საქმე მთლათ წახდა და ლეგიონმა უსახელოთ, არა ბრძოლის ველზე არამედ სამსუნის ციების და შულენბურგ-მოზელის ბრჭყალებში დალია სული.“



2.7. ქართული კომიტეტის კონტაქტები საქართველოსთან

1914 წ. 23 ოქტომბერს გიორგი მაჩაბელი „ძვირფას ბატონ ფონ ვეზენდონკს“ წერდა, „ხვალ საქართველოში მივემგზავრები, იქ ახლა ერთ ორგანიზაციასთან შესახვედრად“ (sic!).⁴⁶⁵ მაჩაბელი მაშინ ჯერ კიდევ ნეიტრალური რუმინეთის გავლით ოდესაში ჩავიდა და იქიდან საქართველოში გაემგზავრა. ოდესაშივე, 13 ოქტომბერს (ძ.ს.), ქართველ სტუდენტებს სტუდენტ მიხეილ იაშვილის ბინაზე შეხვდა და ქართული კომიტეტისა და ქართულ-გერმანული ხელშეკრულების შესახებ ესაუბრა, გაიგო მათი განწყობილება.⁴⁶⁶ 14 ოქტომბერს (ძ.ს.) იგი საქართველოში წამოვიდა. ჯერ თბილისში იყო და მერე რამდენიმე დღით ქუთაისში.⁴⁶⁷ ქუთაისში ფარულად შეიკრიბნენ საქართველოს სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები. „ქუთაისის კონფერენციას,“ რევაზ გაბაშვილის მოგონებების მიხედვით, ესწრებოდნენ: „ქართული ეროვნული პარტიიდან“ თავად გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბი; სოციალ-ფედერალისტებიდან – სამსონ ფირცხალავა და გრიგოლ რცხილაძე; სოციალ-დემოკრატებიდან – ნოე ჟორდანიას და ევგენი გეგეჭკორი. თათბირს თავჯდომარეობდა ყველაზე ახალგაზრდა ვ. ფ[ალია]⁴⁶⁸შვილი, იმ „სახლის პატრონი, საცა შევიკრიბებით“. მაჩაბელმა თავის მოხსენებაში საერთაშორისო მდგომარეობა დაასურათა, შეკრებილთ გააცნო თან ჩამოტანილი ხელშეკრულებები და „საქ. განმ. კომიტეტის“ კავშირები. ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ იზიარებენ და ემხრობიან კომიტეტის მუშაობას, ფედერალისტებმა გაურკვეველი პოზიცია დაიჭირეს, ნოე ჟორდანიას კი უთქვამს, რომ „თქვენ იმუშავებთ მაგ გზით, ჩვენ ჩვენი გზით. ჩვენ ხელს არ შევიშლით, პირიქით, იქნება ზოგ რამეში დაგეხმაროთ“-ო.⁴⁶⁹ ნოე ჟორდანიას ანტანტის მომხრე იყო და გერმა-

465 PA AA, R 21009, Matschabeli an Wesendonk 23.10.1914.

466 სესსა.ფ. 94,ა.1,ბ.722,გვ.65,ქ. ოდესის კანდარმთა სამმართველოს უფროსი, 15.10.1914; და ფ.13,ა.27,ბ. 5412,გვ. 26,გუილისის გუბ. კანდარმთა სამმართველოს უფროსი, 18.1.1916.

467 სესსა.ფ.13,ა.27,ბ. 5412,გვ. 24,ქუთაისის გუბ. კანდარმთა სამმართველოს უფროსი, 6.1.1916

468 ვრძელიძე, გვ.65 -ის მიხედვით.

469 გაბაშვილი 1992, გვ.149-150; როგორც ჩანს, ჟორდანიას (1990, გვ.71-72) ერთმანეთში ურევს შეხვედრებს წერეთელთან და მაჩაბელთან. შეხვედრების შინაარსს კი მსგავსად ვადმოსცემს.



ვასილ დუმბაძე

ნიის გამარჯვებისა არ სწამდა.⁴⁷⁰ ჟანდარმერიას ეს შეხვედრა არ შეუმჩნევია, თბილისშიც მაჩაბლის სტუმრობას მხოლოდ „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში მიაქციეს ყურადღება. თბილისიდან მაჩაბელი 7 ნოემბერს გამგზავრებულია პეტერბურგში.⁴⁷¹ 1915 წ. იანვრის ბოლოს ის პეტერბურგში სასტუმრო „ასტორიაში“ იყო გაჩერებული. 8 თებერვალს პეტერბურგი დაუტოვებია, როგორც მეთვალყურეებს ეგონათ, თბილისის მიმართულებით.⁴⁷² „გარეგანი თვალყურისდევნებით მაჩაბელზე, ტფილისსა და შემდეგ პეტროგრადში, არაფერი დანაშაულებრივი არ იქნა შენიშნული და რადგანაც არანაირი მითითება მისი ზრახვების შესახებ თავდაპირველი ცნობების დამამტკიცებელი, არ იყო მიღებული, მასზე შემდგომი თვალთვალი შეწყდა“ – იუნყებოდა ტფილისის ჟანდარმერია, ძველი მოხსენებების საფუძველზე, 1916 წელს, როდესაც აშკარა გახდა მაჩაბლის ზრახვები.⁴⁷³

470 ჟორდანიას თავისი ანტიგერმანელობის გამო უსიამოვნებაჲ კი ჰქონდა საკუთარ პარტიაში, რომლის სხვა ხელმძღვანელები პროგერმანულად იყვნენ განწყობილნი. ჟორდანიას 1990, გვ.69; შუად. გურული/ვაჩნაძე 1999, გვ. 273-275.

471 სქსსა.ფ.13.ა.27.ბ. 3165.გვ.14.4.12.1914 პაგაკი. გამგზავრებულია შქარუმიძის თანხლებით კავკავამდე. იხ. გაბაშვილი 1992, გვ.158.

472 სქსსა.ფ.153.ა.1.ნ.2859/4, გვ.19.

473 სქსსა.ფ.13.ა.27.ბ. 5412.გვ. 26. გუილისის გუბ. ჟანდარმთა სამმართველოს უკრისი, 18.1.1916; ომამდე მაჩაბელი არ ვადიოდა ჟანდარმერიის საქმეებში



სამხედრო მინისტრი ვლადიმირ სუხომლინოვი გენერლებთან ერთად


თბილისში მაჩაბლის ვიზიტის შემდეგ დავით ვაჩნაძეს, სპირიდონ კედიასა და რევაზ გაბაშვილს დაუარსებიათ კონსპირაციული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ფილიალი“,⁴⁷⁴ რომლის უპირველესი მიზანი იყო საზღვარგარეთის კომიტეტთან უწყვეტი კავშირის დამყარება. მსგავსი ორგანიზაცია მოუწყვიათ პეტროგრადშიც, რომლის ხელმძღვანელიც გიორგის უმცროსი ძმა ნიკო მაჩაბელი გამხდარა.⁴⁷⁵ პეტროგრადიდან მაჩაბელი სტოქჰოლმის გავლით დაბრუნდა ბერლინში. გზაში ის ვასო ღუმბაძესაც შეხვედრია.⁴⁷⁶

- სსცხა, ფ.13, ა.27, ს. 3167, ქუთაისის გუბერნიის ვანდარშთა სამმართველოს უფროსი, 13.11.1914, გვ. 7ა.

474 გაბაშვილი 1992, გვ.157, ს.კედიას არ ასახელებს დ. ვაჩნაძე, გვ. 127, ალბათ, უფრო კედიასადმი მისი გაფუჭებული ურთიერთობის გამო.

475 ხალია 1995, გვ.60-61.

476 ღუმბაძე მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძის ერთ-ერთი პროტოგოპია და პირველი მსაფულო ომის დროს ძალზე გახმაურებული, რუსეთის სამხედრო მინისტრ სუხომლინოვის საქმის მოქმედი პირი. მისი უაღრესად საინტერესო საქმიანობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. საქართველოში ლეგენდები მასზე თავიდანვე არსებობდა. შუად. გაბაშვილი 1992, გვ.171-176 (წიგნში ვერძლების ნუმერაცია დარღვეულია). ახლანდელი 1996 ამ ლეგენდებს იმეორებს. სუხომლინოვი თავის მოგონებებში (Erinnerungen. Berlin 1924) რასაკვირველია, უარყოფს ახლო ურთიერთობას ღუმბაძესთან. ღუმბაძე ცალკე თემაა და დამატებით კვლევას იმსახურებს.



სპირიდონ კედია

პეტერბურგის (სტოქჰოლმის გზით), ქუთაისისა და თბილისის სხვადასხვა წრეები ცდილობდნენ, კავშირი ჰქონოდათ კომიტეტთან.⁴⁷⁷ ჩანს, ამ ჯგუფებმა თუ ცალკეულმა პირებმა ერთმანეთის მოქმედებათა შესახებ არაფერი იცოდნენ.

კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ შეხვედრებს ფრონტის პირას ჰქონდა ადგილი.⁴⁷⁸

ლუის მოზელი 1915 წ. მარტში ატყობინებდა ბერლინს, რომ როგორც თავის დროზე კონსტანტინოპოლის საელჩოს მოვასხენე, დეკემბრის შუა რიცხვებში ბორჩხაში ქუთაისისა და ტფილისის ქართული კომიტეტების წარმომადგენელს შევხვდი, რომელმაც რუსეთის არმიის განლაგებაზე ზუსტი ცნობები მომანოდაო.⁴⁷⁹ მოზელი შემდეგ ნერილში დანერჩილებით აღწერს „ორგანიზაციას კავკასიაში“: კავკასიური მოძრაობის სათავეში ქართველები დგანან. სოციალ-დემოკრატები, ფედერალისტები და ნაციონალისტები შეთანხმდნენ და მათი ხელმძღვანელები ერთ კომიტეტში არიან გაერთიანებულნი. ყველანი ერთ მიზანს ემსახურებიან, რუსების გაძევებას და კავკასიის დამოუკიდებლობას. მთავარი კომიტეტის

477 ხორიძე 1998, გვ. 53-55. უაღრესად საინტერესოა ცნობა ივანე ჯავახიშვილის შესახებ. სამწუხაროდ, აქ უკრიგიოდ არის განმეორებული ვანდარმერიის ცნობა იმის თაობაზე, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი და თელო სახოკია სგამბოლში, ქართულ კომიტეტში თანამშრომლობდნენ.

478 შეაღ.: *** (Tseretheli) 1924, S. 140.

479 PA AA, R 21011, Mosel, 19...3.1915.



პართენ გოთუა

შტაბ-ბინა აღმოსავლეთ საქართველოსათვის ტფილისშია და დასავლეთ საქართველოსთვის - ქუთაისში. მათ ხელმძღვანელობს „კავკასიის ნითელი ჯვრის“ თავმჯდომარე პ. გოთუა, თავად-აზნაურთა მარშალი თავადი აბხაზი, მწერლები - ლასხიშვილი და ფირცხალავა, გიორგი ზდანევიჩი. ... თათრებსაც აქვთ კომიტეტი, ისევე როგორც დაღესტნელებს, რომლებიც ქართულ თბილისის კომიტეტთან მუდმივ კონტაქტში არიან. თათრული კომიტეტის თავმჯდომარეა მეფისნაცვლის ყოფილი ადიუტანტი თავადი უზმიევი. თათრები და დაღესტნელები თურქებს არ ენდობიან და ელიან ქართველების გამოსვლას. ქართველი მაჰმადიანები სავსებით ემხრობიან ქრისტიან ქართველებს და თავიანთი ბებების სრული გავლენის ქვეშ არიან, ასლან ბეის, ალი ფაშას შვილის ქიამილ ბეის და სხვ. დღეს, აღნიშნავს მოზელი, სამწუხაროდ, შეფერხებულია საჭირო კავშირ-ურთიერთობა შიდა და საზღვარგარეთის კომიტეტებს შორის.⁴⁸⁰ მოზელის წერილში ნახსენები კომიტეტი „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებად“ შენიღბული ორგანიზაცია უნდა იყოს.⁴⁸¹

480 PA AA, R 21011, Mosel, 22. 3.1915 მოშელი შედგება ოპტიმისტურადაა განწყობილი. ბორჩხაში შეხვედრასა და კავკასიაში ორგანიზაციის სრულ მზადყოფნაზე წერს წერეთელიც R 21012, 3.4.1915.

481 იხ. ვროძელისე, გვ. 64-65; შეად: გაბაშვილი 1992, გვ.151 მოშელის მიერ ბეტივისგებად დასახელებული პირების, მაგ: პართენ გოთუას (1873-1936) ასეთი საქმიანობა ჯერჯერობით არაა გამოკვლეული, ისევე როგორც საქველმოქმედო საზოგადოებისა. საზოგადოების ხელახლა დაარსებიდან (1914 წ.) მოყოლებული (მახი ერთ-ერთი ინიციატორი და თანადაშაარსებელი?) გიორგი მანაბელი მთელი ომის განმავლობაში, ერთ-ერთ პირველ



გიორგი ლახვილი

თათრულ კომიტეტში იგულისხმება აზერბაიჯანული თავდაცვის ორგანიზაცია „დიფაი,“ რომლის წარმომადგენელსაც ელიზავეტოპოლიდან – ემირ ასლან ხან ხოისკის, გერმანელებთან 1915 წ. თებერვლიდან ჰქონდა კონტაქტი. მისმა ბიძამ, აზერბაიჯანის მომავალმა პრემიერ-მინისტრმა ფატალი ხან ხოისკიმ, 1915 წ. გაზაფხულზე ბაქოში ქართველებთან შეთანხმებას მიაღწია კავკასიის მომავლის თაობაზე.⁴⁸² მათთან კავშირში იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ალი მარდანბეი თოფჩიბაშევი.⁴⁸³ „დიფაის“ და აღმოსავლეთ კავკასიის და-

ადგილახაა მოხსენიებული საზოგადოების ყველა ხაზი. იხ. სქსხა, ფ.517.

482 Jäschke 1941, S. 16 Difai Cemiyeti-ს დაარსებულა აჰმედ ალაოღლუხ (აგაეე) (1869-1939) მიერ 1905წ. მაგრამ ათიან წლებში, რეაქციის დროს, ეკვე განადგურებულად ითვლებოდა.

ფაგ ალი ხოისკი (1875-1920), ამიერკავკასიის კომისარიატის და შემდეგ მთავრობის წევრი, აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრი აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ თბილისში გამოიქცა, სადაც ხომესმა გეროორისგმა მოკლა 19 ივნისს. დასაფლავებულა თბილისში, ბოგანიკურ ბაღთან, აზერბაიჯანულ მოღვაწეთა პაგარა „პანთეონში“. აეგორი მუშაობს სტაგიაზე ამ პანთეონის შესახებ.

1915 წ. ქართულ-აზერბაიჯანული შეთანხმების, ან მოლაპარაკების შესახებ არანაირი სხვა ცნობა არ მოგვეპოვება.

483 Bihl 1975, S. 70; თოფჩიბაშევი (1862, თბილისი-1934, პარიზი) ბაქოელი ექილი, რუსულენოვან გაზეთ „კასპის“ გამომცემელი, პირველი დუმიის დეპუტატი, მუორე დუმიის მაჰმადიანური ფრაქციის ლიდერი, 1919 წელს პარიზში სამშვიდობო მოლაპარაკებებზე აზერბაიჯანის წარმომადგენელი იყო.



ფატალი ხან ხოისკის საფლავი
 თბილისის „თათრულ“ სასაფლაოზე

მოუკიდებლობას, აჯანყების შემთხვევაში გერმანელებმა ელჩ ვანგენჰაიმის ხელით (ქართველების მსგავსად) 1915 წ. 6 ივლისს დახმარება აღუთქვეს.⁴⁸⁴ შემდეგში გერმანელები ავანტიურისტ ასლან ხანს, რომელიც პანთურქისტების გავლენის ქვეშ მოექცა, ეჭვის თვალით უყურებდნენ და რუსებისგან ქრთამების აღებაშიც კი ადანაშაულებდნენ.⁴⁸⁵

კიდევ უფრო ავანტიურისტული იყო გერმანელების ურთიერთობა ახალგაზრდა ჩეჩენთან, რომელიც თავს უზდენ ხაჯიმურატ გაზავატს ან უბრალოდ გაზავატს უწოდებდა და თავს იატაკქვეშა რევოლუციური ორგანიზაციის – „მზე, ვარსკვლავი და ნახევარმთვარე“ – ხელმძღვანელად ასალებდა, რომელსაც ქართველებთან და დიფაის თათრებთან ჰქონდა კავშირი. 1915 წ. ნოემბერში ის ნადოლნის ესაუბრა და მან ვლადიკავკაზელი გაზავატი, რომლის ნამდვილი სახელი უზდენ არზამაკოვი იყო, „სანდო და გამოსადეგ“ პირად ჩათვალა. მიუხედავად გაზავატ-არზამაკოვის სრულიად ფანტასტიკური გეგმებისა, რომელიც ითვალისწინებდა მაგალითად, ქალაქების – ვლადიკავკაზის, გროზნის, არგუნისა და ვედენოს, განადგურებას, გერმანელები მას ფულსაც მისცემენ და საბოტაჟის აქციების ჩასატარებლად 1916 წ. კავკასიაში გააგზავნიან მაჩაბელთან ერთად.⁴⁸⁶

484 Bihl 1975, S. 71.

485 Jäschke 1941, S. 16; Bihl 1975, S.71-72.

486 Zürer 1978, Nordkaukasien, S.31-33; Bihl 1975, S. 62 u. 72.



ალი მარდან ბეი თოფჩიბაშევი

„საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ფილიალსა“ და უცხოურ კომიტეტს შორის რეგულარული ურთიერთობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კავკასიის ფრონტზე რუსებმა იწყეს წინსვლა, არამცთუ გაჭირდა, არამედ ვერა და ვერ დამყარდა. ასე გრძელდებოდა კარგა ხანი.

მაშინ, 1915 წ. ოქტომბერში, დავით ვაჩნაძემ მოძებნა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელსაც დაავალეს ტყვედ ჩაეარდნილიყო და მოეძებნა მაჩაბელი გერმანიაში. ოფიცერი ლადო მძინარიშვილი და ორი ქართველი ჯარისკაცი წარმატებით ჩაეარდნენ გერმანელთა ტყვეობაში და მალე მაჩაბელსაც შეხვდნენ.⁴⁸⁷ 1916 წ. მაისის დასაწყისში მაჩაბელმა, როგორც ერთადერთი რეალური საშუალება კავკასიასთან კონტაქტის დასამყარებლად, ითხოვა წყალქვეშა ნავით საქართველოში გადაყვანა. გარდა ამისა, ის ითხოვდა რაიმე ოფიციალურ წერილს იმის თაობაზე, რომ გერმანელები კავკასიის დამოუკიდებლობას სცნობდნენ, თუ ხალხი თავს გაითავისუფლებდა. მას გადასცეს⁴⁸⁸ სტატუს-სეკრეტარ იაგოს 1915 წ. 19 დეკემბრის განცხადება ფუად ფაშასადმი, დაპირებით, რომ გერმანია დაეხმარება დამოუკიდებელ კავკასიას.⁴⁸⁹

487 gabaSvili 1992, gv.159-161; შეად.: ვაჩნაძე 1992, გვ. 127.

488 PA AA, R 21019, Wesendonk, 2.5.1916.

489 PA AA, R 7308, Zusammenstellung der deutschen Erklärungen an Georgien,

Beilage 11-

 Schema der goldenen Organisation der Asienatischen Gesellschaft.
 (Das A.G. ausgeführt ist und von der Organisation ausgeht.)


გაზაფატის მიერ შედგენილი
 ჩრდილო-კავკასიის მთიელთა
 ორგანიზაციის სქემა

ნადოლნი აუნყებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მაჩაბლის საქმისთვის 203750 მარკა არის გამოსაყოფიო.⁴⁹⁰ წერეთელი აცნობებდა ვეზენდონკს, რომ მაჩაბლის ცნობით, 1 ივნისს სამი ქართველი კონსტანტინოპოლიდან წყალქვეშა ნავით გავიდა.⁴⁹¹ U 38-მა 3 ივნისს ანაკლიის ნაპირთან გადმოსხა ლეიტენანტი ახალკაცი, პლატონ ქორქია⁴⁹² და ლადო მძინარიშვილი. თვითონ მაჩაბელი 26 ივნისს იმავე წყალქვეშა ნავით გაემგზავრა ორ ქართველთან, აზერბაიჯანელ სელიმ ბეი ბეზუთოვთან და ჩეჩენ გაზაფატთან ერთად და ანაკლიასთან გადმოვიდა 29 ივნისს.⁴⁹³ აგვისტოში ჩერქეზმა აზიზ მეკერმა სხვა კავკასიელთა მსგავსად კავკასიაში გადაყვანა ითხოვა. ეს შეთანხმებულიც

24.5.1918 ოს. ბაქრაძე 1997, გვ.276-282; უცნაურია, რომ არც ქართველებს და მით უმეტეს არც გერმანელებს არ აწუხებდათ, როდესაც ხან მარტო საქართველოს, ხან კი მთელი და ერთიანი კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე იყო საუბარი.

490 PA AA, R 21019, Nadolny an AA, 3.5.191.

491 PA AA, R 21019, Tseretheli an Wesendonk, 14.6.1916; Lorey 1928, S.238 - მისხდეთი 31 მაისს გასულან.

492 Lorey 1928, S.238 - ხოიან „ჩერქეზი“. U 38-ის კაპიტანი იყო ლეიტენანტი ვალენცინერ, Schwarz 1935.

493 Lorey 1928, S.242; PA AA, R 21019, Wesendonk, 27.6.1916; გაბაშვილს ეზღება უზღენ ხაჯი-შურატ გაზაფატის (არზამაკოვის) ფსევდონიმი და მას შამილს უწოდებს. მასთან პირველი და მეორე ექსპედიციის მონაწილეებიც არეული არიან. წყალქვეშა ნავით ჩამოვიდნენ ვინმე კერესელიძე და ამამუკელი - გაბაშვილი 1992, გვ.160-161.



წყალქვეშა ნავი გერმანულ პროპაგან-
დისტულ პლაკატზე

ყოფილა თავად მაჩაბელთან, მაგრამ „პრაქტიკული სიძნელე-
ბის“ გამო ჩერქეზები თან ვერ წაუყვანია. მერეც მისი საზღვაო
გზით გადაყვანა არ მოხერხდა⁴⁹⁴ (ან საჭიროდ არ ჩათვალეს).

მიუხედავად მაჩაბლის ერთი შეხედვით წარმატებული
აქციისა, მის და ამხანაგთა ჩამოსვლას კავკასიაში არანაირი
შედეგი არ მოჰყოლია და არც მომავალში აენყო რეგულარული
მიმოსვლა წყალქვეშა ნავეებით,⁴⁹⁵ თანაც გერმანელებმა მაჩ-
აბლის კვალი დაკარგეს და არაფერი იცოდნენ მისი შემდგომი
ბედის შესახებ.

1916 წ. ბოლოს რუსებს ხელში ჩაუვარდათ წყალქვეშა ნავით
ჩამოსვლები – პლატონ ქორქია და ალექსანდრე ბერძენი, რომ-
ლებიც მათ ნებაყოფლობით ჩაბარდნენ.⁴⁹⁶ ორივე პატიმარი
მოყვა, თუ როგორ აგიტაციას უტარებდნენ მათ გერმანულ ტყ-
ვეთა ბანაკ ცოსენში ჯერ მაჩაბელი, წერეთელი, კერესელიძე
და ერთი გერმანელი, რომელზეც ამბობდნენ, რომ ქუთაისის
ვაჟთა გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელიაო,⁴⁹⁷ მას შემდეგ კი,

494 PA AA, R 21020, Metternich an Bethmann Hollweg, 15.8.1916.

495 ამის ქართულ სუბიექტურ მიზეზებს კარგად ვცხიბავს ვაბაშვილი 1992,
გვ. 162-164.

496 სხესა, ფ.13, ა. 27, ხ. 5168 „მიმოწერა დაკავებული პ.ა.ქორქიასა და
ა.ა.ბერძენის შესახებ“.

497 აქ კომპაკი იგულისხმება, რომელიც ქუთაისში არა, მაგრამ გამკენგში
იყო მასწავლებლად.



წყალქვეშა ნავის
ჭრილი

რაც ქართველებმა ისინი არამეგობრულად მიიღეს და აგიტაციამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, ქართველი ტყვედყოფილი ოფიცრები. მათ შორის იყვნენ, პორუჩიკ ქორქიას თქმით, კიკაბიძე და ლადო „მძინაროვი (იგივე მძინარიშვილი თუ მძინარაძე)“, ბერძენის თქმით, იმერელი ერიმაძე, ვლადიმირ მძინარაძე და ჩერქეზი თუ ჩეჩენი გაზავატი, რომელიც ამბობდა, რომ დაღესტნის ცხენოსანი პოლკის ოფიცერი იყო. ქორქიას, რომელსაც სამეგრელოში უნდა ეწარმოებინა პროპაგანდა, 10000 მანეთს შეპირებიან ომის შემდეგ. 45 ტყვე გადაიბირეს და ზაგენის ბანაკში გადაყვანის შემდეგ, წაიყვანეს კონსტანტინოპოლში, სადაც გემ „კოროკოვადოზე“ ცხოვრობდნენ. გემზე რალაც გერმანული შტაბის მსგავსი იყო და იმყოფებოდა ასობით ქართველი, რომლებიც ჯგუფებად გადაჰყავდათ სამსუნში. წყალქვეშა ნავით ქორქია, მისი თქმით, ორ უცნობთან ერთად გამგზავრებულა. ბერძენი ამტკიცებდა, რომ ესენი პოდპორუჩიკი მძინარაძე(!) და ვინმე გიორგი თუ დათიკო კერესელიძე იყვნენ.⁴⁹⁸ ისინი ტყე-ტყე მთა ურტუმდე (სოფელ ხეთასთან, ზუგდიდის მაზრა) მივიდნენ და მათი გზები იქ გაიყარა. ქორქია მშობლებთან წავიდა ფოთში, სადაც მას სამჯერ მიუღია წერილი საყვედურით, სიტყვა რატომ გატეხე და რატომ უსაქმურობო. მესამე წერილის მომტანმა საპასუხო მისამართად „ტფილისი, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, სპირიდონ კედია“ მიუთითა.

ბერძენი იმ წყალქვეშა ნავში იჯდა, რომლითაც მაჩაბელი, ბე-

498 ქორქიას არ უნდოდა გაეცა თანამგზავრები, თორემ მისივე თქმით, მძინარაძეს მანამდეც იცნობდა. მეორე პირად კერესელიძე დასახელებული, რომელსაც გაბამუვილიც (გვ.161) იხსენებს. გერმანული წყაროების მიხედვით კი ეს პირი ახალკაცი უნდა იყოს (იხ. შექმით).




G. M.

გიორგი მაჩაბელი

ბუთოვი, გაზავატი და მასავით „დაბალჩინოსანი მეგრელი“ აკაკი კარიჭავა ჩამოვიდნენ ქურჩასთან – რედუტ-კალესა და ანაკლიას შორის. ოთხი დღის ბოდილის შემდეგ მწყემსმა კვარაცხელიამ შეიფარა თავის ქოხში. მერე ადგილობრივი მეგზური იშოვეს და სოფელ ხორგას გავლით სადგურ ქალაქში ჩავიდნენ, საიდანაც მაჩაბელი, ბებუთოვი და გაზავატი თბილისში გაემგზავრნენ, კარიჭავა – ზუგდიდში და ბერძენი, როგორც ქალაქიდელო, იქვე, მამასთან დარჩა. არც ქორქიამ და არც ბერძენმა სხვა თანამგზავრთა ასავალ-დასავალი არ იცოდნენ.⁴⁹⁹

მაჩაბელი გერმანელების თვალსაწიერიდან გაქრა. ბოლოს, 25 სექტემბერს, ვეზენდონკმაც დაკარგა იმედი – „რაიმენაირი წარმატება მაჩაბლის მეცადინეობას აქამდე არ ჰქონია, როგორც ამას აქ ყოველთვის ვარაუდობდნენ.“⁵⁰⁰

1916 წ. ზაფხულში ლეო კერესელიძემ მოსულიდან სპარსეთის აზერბაიჯანის გავლით აგენტები გაგზავნა საქართველოში,⁵⁰¹ მაგრამ მათი კვალიც იკარგება.

1917 წლის მარტში მაჩაბელი, რომლის ბედიც უკვე გადანყვტილი ეგონათ, უეცრად გამოჩნდა. 26 მარტის მოხსენებაში ის

499 სხვა.ფ.13,ა. 27,ბ. 5168,ქუთაისის გუბერნიის კანდარშითა სამმართველოს უფროსი, 9.12.1916.

500 PA AA, R 21021, Wesendonk, 25.9.1916.

501 PA AA, R 21020, Metternich an AA (18.7.1916) mit Bericht Leo Keresselidses vom 12.7.1916 u. Mil. Bevollmächtigter Konstantinopel an Gen.Stab S.P. (25.8.1916) mit Bericht Keresselidses vom 20.8.1916.

ნორინა მაჩაბელი (1880-1957),

ქალიშვილობაში ნორინა ჯილი, სასცენო სახელი მარია კარმი. 10-იან და 20-იან წლებში თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი. 1916 წელს გაეყარა პირველ ქმარს კარლ ფოლმოელერს და გათხოვდა გიორგი მაჩაბელზე. 1921 წელს ისინი ამერიკაში გადასახლდნენ და აქ 1924 წელს პარფიუმერიის ფირმა „პრინცი მაჩაბელი“ დააარსეს. 1933 წელს ისინი დაშორდნენ. 1935 წელს, გიორგის გარდაცვალების შემდეგ, მან პარფიუმერიის ფირმა გაყიდა. ნორინა 30-იანი წლების დასაწყისიდან სიკვდილამდე სპირიტუალური მოძღვრის მეპერ ბაბას მიმდევარი იყო.



დანვრილებით (და ზოგჯერ ზედმეტად მსუყე ფერებით) აღწერს თავის თავგადასავალს.⁵⁰² 5 კავკასიელი 29 ივნისს, სალამოს 9 საათზე, ანაკლიის ახლოს ნაპირზე გადასულა. ჭაობიან ადგილას ძნელი იყო გზის გაკვლევა. მიუხედავად ამისა, მესამე დღეს მოსახლეობასთან დაუმყარებიათ კავშირი, მათ შორის მაჩაბლის სკოლის ამხანაგ დ.-სთან, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია და სელიმ ბეი და გაზავატი თბილისამდეც გააცილა. მალე მასთან მივიდა ქართული კომიტეტის წევრი, რომლისგანაც გაუგია, რომ პირველი სამი ქართველიც მშვიდობიანად ჩამოსულა. მხოლოდ ერთ-ერთი გამყოლი, რომლისთვისაც ახალკაცს 5000 მანეთი მიუცია შესანახად, ფულთან ერთად გამქრალა. ბატონ მ.-ს, რომელიც შვეიცარიიდან საქართველოში ჩასულა ქრისტიანიაში, დეპეშა გაუგზავნია წინასწარ დათქმულ მისამართზე, სადაც იუნყებოდა, სად უნდა მისულიყო წყალქვეშა ნავი და სად იყო მომზადებული სახლი იარაღის შესანახად. ეს დეპეშა ქრისტიანიიდან უკან დაბრუნებულა, ადრესატი აქ არ ცხოვრობსო. არც საქართველოდან გერმანიაში მყოფი ოფიცრებისადმი გაგზავნილი წერილების შესახებ შეუტყვიათ ბერლინში რამე.⁵⁰³

502 PA AA, R 21023, Matschabelli Bericht, 26.3.1917.


503 თუ რატომ არ შედგა კონტაქტი წყალქვეშა ნავებით ხანდვარდარეთისა

მაჩაბელი დასავლეთ საქართველოში კიდევ ოთხი კვირა დაიწყო, ის ჭალადიდის ტყეებში პატარა ქოხში ცხოვრობდა.⁵⁰⁴ ამ ტყეებში მაჩაბელი აგროვებდა დეზერტირებს, რომლებიც ათასობით ყოფილან იქ. ასე გადაუბირებია მას 180 კაცი, რომელიც თურქების ძლიერ იერიშს ელოდნენ. რადგან არც თურქებს შემოუტევიათ და აღარც ფული იყო (ბატონ ბ.-ს შეპირებული 50000 არ მიუცია),⁵⁰⁵ მაჩაბელს შეიარაღებული ჯგუფი დაუშლია და თბილისს წასულა. აქ გადაუნყვეტიათ ურთიერთობის გაღრმავება და საქმიანობის კოორდინაცია თათრებთან და ჩრდილოკავკასიელებთან. გადაცმული მაჩაბელი ბაქოსა და ვლადიკავკაზში ყოფილა. „გულის ამაჩუყებელი იყო, როდესაც ჭალარა ინგუშები და ჩეჩნები ცრემლიანი თვალებით ჩემთან თავისუფალი კავკასიის შესაძლებლობაზე საუბრობდნენ.“ ამასობაში, რამდენიმე პირი, რომლებიც წყალქვეშა ნავთან კავშირში იყვნენ, დაუპატიმრებიათ. ქრთამებით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი მათგანის განთავისუფლება, მაგრამ მაჩაბლის ყოფნა თბილისში საშიში გახდა და მან ისევ ვლადიკავკაზს მიაშურა, სადაც დიდი ტერორისტული აქტიც ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ პოლიცია დაადგა თავზე და იძულებული გახდა, პეტროგრადში წასულიყო. აქ შვედეთისათვის პასპორტის შოვნა შეუძლებელი იყო, მაგრამ იაპონიისათვის იშოვა და გაემგზავრა კიდეც. სამი კვირა დაჰყო იაპონიაში და საინტერესო დაკვირვებებიც აწარმოა. ნოემბრის დასაწყისში ამერიკაში ჩავიდა, მოუხედავად იმისა, რომ მისი პასპორტი მხოლოდ იაპონიამდე იყო ძალაში. სან-ფრანცისკოში რუსები, მათ შორის, კონსული, გაუცვნია, როგორც საავტომობილო მოტორების შემსყიდველს და იქ, სან-ფრანცისკოში საავტომობილო აკადემიის 6-კვირიანი კურსები ორ კვირაში დაუმთავრებია. რუსებს სარეკომენდაციო წერილიც კი მიუციათ მისთვის ნიუ-იორკის რუსეთის საკონსულოსთვის. აქ მან შეიტყო ამერიკის რომელი ქარხნები ასრულებდნენ დაკვეთებს რუსეთისათვის. ნიუ-იორკში გამგზავრება მისი ავადმყოფობის გამო შეფერხებულა 3 კვირით. ყოფილა ვაშინგტონშიც, სადაც

და საქართველოს შორის, გაბამეილი სულ სხვა მიმეშს ასახელებს. მაგ: სპირიდონ კელიას უნიათობას – გაბამეილი 1992, გვ.62-63. საერთოდ, მაჩაბლის მოხსენებასა და გაბამეილის მოხსენებებს შორის ბევრა განსხვავებაა.

504 იგულისხმება ჭალადიდი, დღევანდელ ხობის რაიონში.

505 გერმანელების მიხედვით - ფულის გადარიცხვა ვარშავიდან კიევის გავლით ვლადიკავკაზში ვერ მოხერხდა. ამის გამო გაზაფაგი 25000 მანეთით და მაჩაბელი 50000-ით, რომელიც თან ჰქონდათ წაღებულა, ფონს უნდა გახულიყვნენ - Zürrer, Nordkavkasien, S.32-33, Anm. 7.



გერმანიის ელჩი ვაშინგტონში (1917-18 წწ. კონსტანტინეპოლში) – იოჰან ჰაინრიხ გრაფ ფონ ბერნსტორფი

გერმანიის საელჩოშიც ჰქონდა საუბარი. იანვარში ადგილი უშონვია გემ „ფრედერიკ VIII“-ზე, მას შემდეგ, რაც რუსეთის საკონსულოს მგზავრობის გასაგრძელებლად ვიზა მიუცია. გემზე გაუცვნია ამერიკის კონსული თბილისში ს[=სმიტ]. ქრისტიანიაში გემიდან ჩამოსულა, რათა შეუმჩნევლად ნორვეგიიდან, და არა დანიიდან, დაბრუნებულიყო გერმანიაში.

ახლა კი სტოქჰოლმში მივდივარ, – წერდა მაჩაბელი, – ჩემს მეგობრებთან და ცნობილ თანამემამულეებთან შესახვედრად და სტოქჰოლმშიც (!), შესაძლებლობისდაგვარად, რუსული სამშვიდობო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად, საზღვარგარეთიდან რუსეთში მშვიდობის მეგობართა გასაძლიერებლად.

რუსეთის თებერვლის (12 მარტი /დ.ს. 27 თებერვალი) რევოლუციიდან სულ ორი კვირაა გასული, ამერიკის ომში ჩაბმამდე (6 აპრილი) ერთ კვირაზე ცოტა მეტი რჩება – საჭიროა სრულიად ახალ სიტუაციაზე მორგება, ახალი სტრატეგიის შემუშავება.

გედნიერი ოჯახი

მე მოყვარს ბაღი და ყველაზე
 (ნიკოლოზ II)



ო.იწლინტ-

ნიკო შეუღდა ბაღის შენებას...
 ბატარა ღვეპსო.—ცხენის კენებას...

ილია შესტრფის ნახატს, (მშვენებას),
 ყველა გრძნობს სიტყბოს და მოსვენებას.

ოსკარ შპერლინგის კარიკატურა. უშპაკის მათრახი, №13, 26 მარტი 1917 წ.

3.1.1. თებერვლის რევოლუცია თბილისში

1917 წლის თებერვლის ბოლოს (ძ.ს.) პეტროგრადში მდგომარეობა უაღრესად დაიძაბა. იმპერიის დედაქალაქის დიდი გაზეთები აღარ გამოდიოდა. სდუმდა პეტროგრადის დეპუშათა სააგენტო. იმპერიამ არ იცოდა, რა ხდებოდა დედაქალაქში. არც თბილისი იყო გამონაკლისი. თბილისამდე ინფორმაცია დიდი დაგვიანებით აღწევდა.

ამ დროს სოციალ-დემოკრატები პეტროგრადიდან იღებენ გოგიტა ფალავას ლეგენდადქცეულ დეპუშას: „Мтаврბაძე скончался. Сообщите родным и знакомым.“⁵⁰⁶ დეპუშა, ნაირ-ნაირად გაფორმებული და სახეცვლილი, მთელ ქალაქს აკერია პირზე, მაგრამ გაზეთები მაინც ვერ ბედავენ რაიმეს გამოქვეყნებას, სანამ ცნობები არ დაზუსტდება. ხელისუფლება, რომელიც ინფორმირებულია რევოლუციის შესახებ, არ ცდილობს ახალი ამბების გავრცელებას⁵⁰⁷ და მოვლენათა განვითარებას ელის. ხუთშაბათს, 2.03.1917, გაზეთები ჯერ კიდევ იმეორებენ, რომ „როგორც მკითხველებმა უკვე იციან, სახელმწიფო სათათბირო და საბჭო უმაღლესის ბრძანებით დაითხოვეს აპრილამდე.“⁵⁰⁸ პეტროგრადის დეპუშათა სააგენტოს დეპუშის მიღების შემდეგ, 2 მარტს, ნაშუადღევს, სამ საათზე, ქალაქის თავი ხატისოვი⁵⁰⁹ მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მიიღო.

506 შეად.: ჟორდანიას 1990, გვ. 74. საქ.ისგ.ნარკვევები, გვ. 404 დეპუშას კახეიძეს მიაწერს. პირველად ეს დეპუშა სახეშეუღლილი სახით გვხვდება იუმორისტულ ჟურნალში „ემშაქის მათრახი“ (№ 11, კვირა 12.03.1917). დეპუშის შესტი შინაარსი უცნობია.

507 „Красный архив“ ტ.21, მოსკოვი 1927. „Февральская революция 1917 года“ გვ. 22-24, შეად.: საქ.ისგ.ნარკვევები, გვ. 403-404.

508 სახალხო ფურცელი, № 808, 2.03.1917. სახალხო ფურცელში 1 მარტის მუთაური მთლიანადაა ცენზურის მიერ ამოღებული.

509 ალექსანდრე ხაგისიანი (1874-1945) 1909-1917 წწ. თბილისის ქალაქის თავი. 1917 წ. ალექსანდროლის ქალაქის თავი, 1918 წ. ამიერკავკასიის სეიმის ფინანსთა მინისტრი, 1918 წ. ნოემბრიდან სომხეთის საგ.საქ.მინისტრი, 1919-1920 პრემიერ-მინისტრი. ემიგრაციაში წერდა მემუარებს, მაგ.: A.Khatissian, The Memoires of a Mayor (II). In: The Armenian Review 2 (Winter, 1949/1950) 104-116, მისი მემუარები „სომხეთის რესპუბლიკის წარმოშობა და განვითარება“ გამოქვეყნებულია „მარია ვოსტოკაში“ 1925 წ. № 770



პეტერბურგელი ჯარისკაცები მიტინგზე

სალამოს 7 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში თავშეყრილი დიდძალი ხალხის წინაშე „ქალაქის მოურავმა ა.ი.ხატისოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, დაწვრილებით გააცნო კრებას მომხდარი სახელმწიფო ამბები.“⁵¹⁰

რევოლუცია „მივიღეთ „ფოშტით“, როგორც მაშინ ამბობდნენ, მაგრამ ასეთივე „ფოშტით“ მიიღო ის მთელმა იმპერიამ და არა მარტო საქართველომ.“⁵¹¹

3 მარტს იბეჭდება 1 მარტის ოფიციალური დეპეშა პეტროგრადიდან: „27 თებერვალს, შუალამისას საბოლოოდ შესდგა სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი, შემდეგის შემადგენლობით: როძიანკო, კერენსკი, ჩხეიძე, შულგინი...“. „საქართველოში“ სპირიდონ კედია წერს, რომ ცნობები არასაკმარისიაო, არ ვიცით „ძველი უარყოფილი მთავრობა რა გზას დაადგა. არ ვიცით, ხმელეთის ჯარი და ფლოტი ამ ამბავს როგორ შეეგება... რუსეთის ახლო მომავალში

(4.01.1925), № № 776, 777, 780, 782, 791 და ა.შ. ამ მოვლენებთან მიხედვით შეფასნაევალს უკვე 27 თებერვალს უთქვამს ხაგისოვისთვის - პეტროგრადში რევოლუციით (№ 777, 13.01.1925).

510 საქართველო, № 50, 4.03.1917.

511 ჟორდანიას 1990, გვ. 74; „რევოლუცია ფოშტით მიიღეთ“ - ამბობს ხალხის ხმა. მარა ფოშტით მიღებული - იგი შეთვისებულ იქნა ხალხისგან ერთობა: „1917 წელი ჩვენში“ - № 1, 1.1.1918.

ЗАЕМЪ СВОБОДЫ



რუსული პლაკატი თებერვლის რევოლუციის შემდეგ ახალი „თავისუფლების“ სესხის და „გამარჯვებამდე ომის“ მონოდებით

კითხვის ნიშნების გაუვალი ტყე-ლა მოსჩანს.⁵¹² „სახალხო ფურცელი“ კი წერდა: „დიად ამბების მოწმენი ვხდებით და განსაკუთრებული მომენტი დაგვიდგა“. ადგილობრივი მთავრობა აცხადებდა, „პეტროგრადში მოხდა უმალლესი მთავრობის წარმომადგენელთა ცვლილება, რის შემდეგაც სატახტო ქალაქში მშვიდობიანობა დამყარდა.“⁵¹³ შაბათს, 4 მარტს, გაზეთებს უკვე დიდი ასოებით აწერია – „განთავისუფლებული რუსეთი“⁵¹⁴ ან „რუსეთის რევოლუცია“.⁵¹⁵ რევოლუციას ყველაზე თავშეკავებულიად და დაგვიანებით სოციალ-დემოკრატიის ორგანო „თანამედროვე აზრი“ შეეგება. 4 მარტს სოციალ-დემოკრატები, ჟორდანია და რამიშვილი, როგორც კავკასიის უძლიერესი პარტიის ლიდერები, ქალაქის თავი ხატისოვი, თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ მეფისნაცვალთან, რომელიც კმაყოფილი იყო კავკასიით, „რადგან აქ არანაირი არეულობა არ არის“-ო.⁵¹⁶ 7 მარტს, იმპერატორის უკანასკნელი ბრძანებით, უმალლეს მთავარსარდლად

512 საქართველო, № 49, 3.03.1917.

513 სახალხო ფურცელი, № 809, 3.03.1917.

514 სახალხო ფურცელი, № 810, 4.03.1917.

515 საქართველო, 4.03.1917.

516 საქ.სტ.ნარკვევები, გვ. 405 -მიხედვით: თანამედროვე აზრი, № 52, 1917.



დიდი მთავარი ნიკოლოზი

დანიშნული დიდი მთავარი⁵¹⁷ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ოჯახთან ერთად თბილისიდან რუსეთს გაემგზავრა⁵¹⁸. ძველი ძალაუფლება ნელ-ნელა იშლებოდა. 13 და 14 მარტს გადადგნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნატორები.⁵¹⁹ ის, რომ სოციალ-დემოკრატებს აბრალებენ, ძალაუფლება თვით ძველმა რეჟიმმა გადააბარაო, კრიტიკის საგანია როგორც მარცხნიდან, ისევე მარჯვნიდან.⁵²⁰

5 მარტს „საქართველო“ მოუწოდებს: „ქართველებო შეგნებულათ, შეერთებულათ, დინჯათ!“ აქვე კმაყოფილებითაა აღნიშნული, რომ „თანამედროვე აზრი“ დაუყოვნებლივ ჩაგრული ერების განთავისუფლებას ითხოვს, „სახალხო გაზეთი“

517 იმპერატორმა ნიკოლოზ II თავისი ბიძა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე უშაკოვს მთავარსარდლად საკუთარი ტახტიდან გადაღობის მანიფესტის ხელმოწერის შემდეგ დანიშნა. ბრძანება რამდენიმე საათის წინ დაათარილეს - Richard Pipes, Die Russische Revolution, Bd. I, Berlin 1992, S. 543.

518 გამგზავრების შესახებ პატარა ცნობა - სახალხო ფურცელი, № 815, 10.3.1917. საბჭოთა ისტორიკოსები აღმოუთებულნი იყვნენ თბილისის საბჭოს შემრიგებლური პოლიტიკით, რის გამოც „მეფის საგრაჰმა“ ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ასე მშვიდობიანად შეძლო თბილისის დატოვება. მეგოც, 11 აპრილს გაათავისუფლეს მარტის დასაწყისში დაპატიმრებული თბილისის გუბერნიის კანდარმთა უფროსი პასტრიულინი, რადგან ციხე მის ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიდა - ცერცვაძე 1960, გვ. 69.

519 საქ. ისტ. ნარკვევები, გვ. 407.

520 შეად: საქ. ისტ. ნარკვევები, გვ. 405 დ. შ., გაბაშვილი 1992, გვ. 179.



ალექსანდრე ხატისოვ (ხატისიან)
თბილის ქალაქის თავი (1910-1917),
სომხეთის პრემიერ-მინისტრი
(1919-20)

საქართველოს ავტონომიაზე ლაპარაკობს.⁵²¹ გაზეთები ბექ-დავენ, თითქოს უკვე მეორეხარისხოვან ცნობას, ნიკოლოზ II-ის ტახტიდან ჩამოსვლის შესახებ.

კვირას, 5 მარტს, დილის 10 საათზე, ნაძალადევეში, თეატრის მოედანზე, უზარმაზარი სახალხო მიტინგი მოეწყო.

რევოლუციის პირველი დღეების ეიფორიას თბილისში დასავლური ჟურნალისტიკისათვის დამახასიათებელი ეგზოტიზმისკენ მიდრეკილებით აღწერს ინგლისელი მორგან ფილიპს პრაისი „Manchester Guardian“-ში: ქალაქის მოედანზე სახალხო მიტინგი იყო „ერთ-ერთი უდიდესი დღე კავკასიის ისტორიაში.“ ცხენდაცხენ და ურმებით შორეული მთის სოფლებიდან მოდიოდა ხალხი. ათასობით ქართველთან, სომეხთან და თათართან ერთად აქ მოსულიყვნენ „ველურ ტომები – ლეკები, ავარები, ჩეჩნები და სვანები – გრძელი შავი ლაბადებითა და ცხვრის ქუდებით.“ მხრებზე შემოსმული მოჰყავდათ პოლიტპატიმრები. ქალაქის კაპელები მარსელიოზას მღეროდნენ. სიტყვა „დემოკრატია“ ყველა მომხსენებელს ეკერა პირზე. მშვიდობის იმედით ივსებოდა გულები. შეკრების დაშლისას ეიფორიული სცენები იმართებოდა, როგორც ამ რეგიონს თავისი სისხლიანი ისტორიის განმავლობაში არ უნახავს – დიდი ხნის წინათ ერთმანეთს გადამტერებული ადამიანები ეხვეოდნენ და მარადიულ მეგობრობას აღუთქვამდნენ ერთმანეთს.⁵²²

პირველი დღეების საერთო-სახალხო დაძმობილება და

521 საქართველო, № 51, კვირა, 5.03.1917.

522 ციტირებულია Peter Hopkirk, 1996, S. 290f.-მხედვით.



ოზაკომის წევრები: ვასილ ხარლამოვი, მიქაელ პაპაჯანოვი, მამედ იუსუფ ჯაფაროვი

მოჩვენებითი ერთსულოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. მუშათა, შემდეგ ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ჩამოყალიბებამ შედარებით უმტკივნეულოდ ჩაიარა. მაგრამ, როცა დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის სამართავად ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) შექმნა, რომელშიც ქართული ინტერესების წარმომადგენლად კიტა აბაშიძე შედიოდა და მასში ქართველი სოციალ-დემოკრატები არ მოხვდნენ, თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ სასტიკი პროტესტი განაცხადა: „არჩევა ადგილობრივი მოღვაწისა, რომელიც წევრი არაა სახელმწიფო სათათბიროსი და უკვე ოცი წელიწადია ებრძვის ინტერნაციონალურ პროლეტარიატს აძლევს მთელ კომისარიატს ცხოველ ანტიმუშურ ხასიათს.“⁵²³ ატყდა ერთი ამბავი – სოციალ-დემოკრატებისათვის სასურველი ჩხენკელი თუ ეროვნული ძალების თვალსაჩინო ფიგურა, ფედერალისტი აბაშიძე. უნებო და დაუინტერესებელმა დროებითმა მთავრობამ სასწრაფოდ გამოცვალა აბაშიძე ჩხენკელით, ახალი პროტესტების შემდეგ კი ორივე დატოვა ოზაკომში. ასე რომ, ოზაკომში თითო-თითო წარმომადგენელი ჰყავდათ სომხებსა და თათრებს - მ. ი. პაპაჯანოვი და მ. ი. ჯაფაროვი, ქართველებს კი ორი – აბაშიძე და ჩხენკელი. თავმჯდომარე იყო, რასაკვირველია, რუსი ვ. ა. ხარლამოვი. ეს იყო, ავალიშვილის სიტყვით, „ქართულ-სომხურ-თათრულ ერთობის ერთგვარი სახე. მაგრამ ეს „სიმბოლიზმი“ შეადგენდა, მგონი, კომიტეტის ერთადერთ

523 საბჭოს დადგენილება თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიასა და მდივნის, სარქის ხანოიანის, ხელმოწერით, საქართველო, № 60, 16.03.1917.



კიჭა აბაშიძე



აკაკი ჩხენკელი

ღირსებას.⁵²⁴ დაბადებიდანვე სუსტი ოზაკომი, რომლის ფუნქციებიც ძალიან ბუნდოვნად იყო განსაზღვრული დროებითი მთავრობის მიერ, არასდროს გამხდარა ამიერკავკასიის სრულფასოვანი ხელისუფალი.⁵²⁵

შაბათს, 18 მარტს, კომისრები – ხარლამოვი, პაპაჯანოვი, ჯაფაროვი – დილის 10.13 სთ-ზე ჩამოვიდნენ თბილისის რკინიგზის სადგურში. სადგურთან იმდენი ხალხი მისულა, რომ ტრამვით დაგვიანებით მისულ კიჭა აბაშიძეს ბრბო ვერ გაურღვევია და ხალხში მდგარა, სანამ მისი თანაკომისრები აღფრთოვანებულ ხალხს სიტყვით მიმართავდნენ.⁵²⁶ მოგვიანებით დანიშნული ჩხენკელი ჯერ კიდევ გზაში იყო. (მეფისნაცვლის ყოფილ) სასახლეში მისულმა კომისარიატის თავმჯდომარემ ხარლამოვმა („მემარცხენე კადეტი, დონის ოლქის ყაზახი“) აივ-

524 ავალიშვილი 1929, გვ. 14. (შენიშვნა ***).

525 კითხვა, იყო თუ არა პეტროგრადის მაგალითის შესაბამისად ორხელისუფლებიანიობა ამიერკავკასიაშიც, აწუხებდა საბჭოთა ისტორიკოსთა მთელ თაობებს; ორხელისუფლებიანიობის თეორიის მომხრე და დამკვიდრებელია მაგ. ხაქ. ისტ. ნარკვევები გვ. 427-433, წინააღმდეგო ცერცვაბე 1951 (რუს. ენაზე), გვ. 66 დ.მ., სეფი 1932 (რუს. ენაზე) კი თვლიდა, რომ საბჭოებს სრული ძალაუფლება ეპყრათ ხელთ და ოზაკომი „მხოლოდ მშვიდობიანი დანაშაუდი იყო რეალურად არსებული ხელისუფლებისა“ (გვ. 10), შეად.: ახვეე წხარგიშვილი 1957 (რუს. ენაზე).

526 Тифлисский листок, 19.03.1917.

ნიდან კიდევ ერთხელ მიმართა ხალხს: „განსაკუთრებით უნდა ვებრძოლოთ სრულს გამარჯვებამდე გერმანიას, ამ ერთადერთ ავტოკრატიულ სახელმწიფოს მთელს დედამიწის ზურგზე, თორემ თუ გერმანიამ გაიმარჯვა, თავისუფლებას დაგვკარგავთ და ძველი რეჟიმი გამეფდება.“⁵²⁷ სასახლის წინ შეკრებილმა ხალხმა აბაშიძის სიტყვაც მოითხოვა. „ქართველ ერს სურს თავისუფალ ერთა კავშირი და ეს კავშირი უნდა შეიქმნას“, – უთქვამს კიტა აბაშიძეს.⁵²⁸

3.1.2. თებერვლის რევოლუცია და ქართული კომიტეტი

მაშინ, როცა საქართველოში ყველაზე რადიკალურ ლოზუნგად ითვლებოდა „თავისუფალი საქართველო თავისუფალ რუსეთში!“ და ეროვნული ძალების გაზეითი „საქართველოც“ კი სტატიებს აქვეყნებდა სათაურით – „ჩრდილოეთით ამობრწყინებულს მზეს,“⁵²⁹ „ქართული გაზეითის“ რედაქცია კითხვაზე – „რას მოუტანს საქართველოს ეს ცვლილებები?“ პასუხობდა: „ჩვენის რწმენით, ჩვენს მდგომარეობას ვერავითარი რუსეთში მომხდარი ცვლილება ვერ გააუმჯობესებს. ვინც არ უნდა ჩაუდგეს რუსეთის მთავრობას სათავეში, რუსეთი მაინც მუდმივი და დაუძინებელი მტერი დარჩება საქართველოსი. ...“

ჩვენის ღრმა რწმენით, ჩვენი ერი არაფერ კეთილს არ უნდა მოელოდეს რუსებისაგან, იქნებიან რუსები ლიბერალები თუ რეაქციონერები.“⁵³⁰

დაახლოებით იმავეს წერდა მაქს ვებერიც, სხვათა შორის, კარლო ჩხეიძესთან კავშირში, – „რუსი ინტელექტუალი, სულერთია, რომელ პარტიასაც უნდა მიაკუთვნებდეს თავს: როგორც კი სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობას იღებს, ხდება არა მარტო „ნაციონალური“, როგორც ყველა

527 საქართველო, 19.03.1917; შეად.: Тифлисский листок, 19.03.1917.

528 საქართველო, 21.03.1917.

529 ლომუნჯიყა (გვ.1) და სტაგიაც (გვ.3) (ინ-ბანის ხელმოწერით) – საქართველო, № 57, 12.03.1917. „საქართველო“ მაისე ყველაზე შორს მიდიოდა ეროვნულ საკითხში, იხ. მაგ.: ა.ახათიანი: ქართველი ერის სუვერენული უფლებები, თუ 1783 წლის გრაქაგაი? – № 58 (14.03) და № 59 (15.03) 1917.

530 საეკლესიო ფურცელი სათაურით „რევოლუცია რუსეთში“, რომელიც დამატებული ჰქონდა, როგორც წინს, „ქართული გაზეითის“ 24-ე №-ს (16 მარტი, 1917).



ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე

ქვეყნის ყველა რადიკალურ პარტიას ახასიათებს, არამედ ნაციონალისტური და იმპერიალისტური.⁵³¹

მიუხედავად ამ უნდობლობისა, ქართული კომიტეტის წევრებს რუსეთის გავლენიანი ქართველი პირების იმედი მაინც ჰქონდათ, ცდილობდნენ მათთან კონტაქტების დამყარებას და მათ გამოყენებას საქართველოსა და გერმანიის (მაგ.: სეპარატული მშვიდობა აღმოსავლეთის ფრონტზე) ინტერესებისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი ქართველის დანიშნაობა რუსეთში ქართულ კომიტეტს, ახალ პირობებში, გერმანელთა თვალში ავტორიტეტის ამალღებაშიც ეხმარებოდა.

ეს ახალი მომენტები კარგად ჩანს მაჩაბლის სტოქჰოლმიდან ვეზენდონკისადმი გაგზავნილ წერილებში.

„რეიხსკანცლერის ბოლო სიტყვა ჩემთვის უაღრესად სასიხარულო სიურპრიზი იყო.⁵³² დეპეშის ტექსტს ოდნავ შეეცვლი ამ

531 "Die Russische Revolution und der Friede" in: Max Weber (MWG), Bd. 1/15 (Zur Politik im Weltkrieg. Schriften und Reden. 1914-1918), S.294.

532 შეად.: გერმანიის კანცლერი რუსეთის რევოლუციამე (სახალხო ფურცელი, № 823, 19 მარტი 1917); ცნობაში სტოქჰოლმიდან (16 მარტი) ნათქვამია, რომ კანცლერ ბეიშმან-პოლვეგს რაიხსტაგში უთქვამს – რუსეთის შინაურ



პაველ მილიუკოვ

სიტყვის გათვალისწინებით. საელჩოში ფინლანდიური კომიტეტის მისამართი შევიტყვე და სასწრაფოდ ბატონ დრ. გუმერუსს] დავეუკავშირდი. დღეს სალამოს ბატონ ჩხენკელს (დუმის დეპუტატი) წერილი გავუგზავნეთ, რომელშიც მას ვთხოვ აუცილებლად ჩამოვიდეს როგორმე ჰაპარანდაში,⁵³³ სადაც ჩვენ შეგვიძლია შევხვდეთ. მე ხაზი გავუსვი ჩვენი შეხვედრის მნიშვნელობასა და აუცილებლობას. თუ მოხერხდა მასთან დალაპარაკება მთელი სურათი გადაიშლება ჩვენს წინ, თუ როგორია ნამდვილი სიტუაცია რუსეთში და ჩვენ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. თქვენ ჩემგან ყოველ მეორე-მესამე დღეს ინფორმაციას მიიღებთ. თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდა – ტელეგრაფით“ (პირველი წერილი, დანერილი სტოქჰოლმში ჩამოსვლიდან მეორე დღეს, 30 მარტს).⁵³⁴

3 აპრილს: „დეპეშები ჩ(-ჩხეიძეს), ჩ(-ჩხენკელს) და მ(-მილიუკოვს) I.IV გავუგზავნე. მ.-სადმი გაგზავნილი ტექსტის მეორე ნაწილი ოდნავ შეცვალე. რუსულიდან თარგმანში ეს ასე უდერს: „პირადად მე დავამატებდი, რომ გერმანიას, ჩემი ღრმა რწმენით, და როგორც რაიხსკანცლერის ბოლო სიტყვიდან ჩანს, გულწრფელი მშვიდობა სურს რუსეთთან, რუსეთის შინაგან საქმე-

ცხოვრებაში არ ჩავერევითო. მშვიდობიანობის ჩამოვდება გვინდაო, ისეთი პირობებით, „რომლებიც არცერთ მხარეს არ შეურაცხყოფენ.“ „ჩვენ ვუსურვებთ რუსეთს რათა მან ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება შეინარჩუნოს. ჩვენ გვინდა რუსეთი შეიქმნეს მშვიდობიანობის ბურჯად...“

533 შევლეთის სახაზღერო ქალაქი (ფინეთის საზღვარზე).

534 PA AA, R 21023, Matschabelli an Wesendonk, 30.3.1917.


 ПОДНИСЫВАЙТЕСЬ
 НА ЗНАМЕНЬ СВОБОДЫ

 РОДИНА И СВОБОДА ВЪ ОПАСНОСТИ.
 ДАЖЕ ГОСУДАРСТВУ ДЕНЬГИ
 ДЛЯ БОРЬБЫ СЪ ВРАГОМЪ.

რუსული პლაკატი ახალ „თავისუფლების“ სესხზე ხელმონერის მონოდებით

ბში ჩარევის გარეშე. ამის გამო დანაშაული იქნება ამ უმიზნო და არავისთვის საჭირო ომის გაგრძელება და უდანაშაულო ხალხის სისხლისღვრა. თქვენი გამარჯვება არის უდიდესი გამარჯვება, რის მიღწევაც მას (იგულისხმება რუსეთი) შეეძლო და ახლა ჩქარი და საპატიო მშვიდობა თქვენ საშუალებას მოგცემთ, დაასრულოთ თქვენი კურთხეული სამუშაო - თავისუფლებისა და მშვიდობის დამყარება.“ ჩემი დეპეშა უპასუხოდ თუ დარჩა, მე სხვა საშუალებებს გამოვძებნი ახალი მთავრობის ომის უინის შესასუსტებლად. ხვალ აქაურ გაზეთში – „ნია დაგლიგტ ალლეჰანდა“ დაიბეჭდება სტატია საქართველოზე, რომელშიც ამჟამინდელი მთავრობა მოფერებით არ მოიხსენიება.⁵³⁵ გარდა ამისა, ფინელებს შევუთანხმდი, დიდი სამშვიდობო კონგრესი მოვიწვიოთ, რუსეთის სხვა ერების წარმომადგენლებთან და შესაძლებელია ასევე რუს. სოციალისტებთან ერთად. ... ჩვენ ყველაფერი უნდა ვცადოთ რუსეთის მშვიდობის პარტიის გასაძლიერებლად. თუ აქამდე საქართველოს ომის იმედი ჰქონდა, ახლა იმედები მშვიდობის კალთაში ალაგია, რადგანაც მე დარწმუნებული ვარ,

535 „Ett fritt Georgien?“ in: „Nya Dagligt Allehanda“, 4.4.1917. მანაბელი წერდა, რომ რევოლუციამ რუსეთში ქართველებს ომის დამთავრების იმედი მოსცა. მაგრამ ახალი ხელისუფლების იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ეს იმედი გაუქურდა და ასეთ მთავრობასთან ქართველებს საერთო არაფერი უნდათ, რომ შექონდეთ.



პლაკატი. ჟურნალი „ნივა“, 1917 წლის ოქტომბრის დასაწყისი

სწორედ მშვიდობის შემდეგ რუსეთში ისეთი არეულობა შეიქმნება, რომ ამ ქაოსიდან ჩვენ ადვილად, სრულიად გამოვეყვით რუსეთს.“ შემდეგ მაჩაბელი მოახსენებს ბარონ ვეზენდონკს, რომ წერილებს სწერს მეგობრებსა და მთელ რიგ გაზეთებს საქართველოსა და რუსეთში, სადაც მათ მოუწოდებს მშვიდობის პროპაგანდისკენ. ჩხენკელისგან („სერიოზული, წყნარად მომუშავე პარლამენტარი, რომელსაც უფრო დიდი გავლენა აქვს კოლეგებზე, ვიდრე მეორე ჩ-ს“) მოელის წერილის პასუხს. თუ მათი შეხვედრა შედგა, უნდა, რომ მეტი იცოდეს გერმანიის მთავრობის აზრის შესახებ 3 საკითხზე, რომლებიც, ალბათ, მათი საუბრის ძირითადი ბირთვი იქნება: 1) რუსეთის ტერიტორიები, რომლებიც დაპყრობილია, 2) ბალკანეთის და 3) სრუტეების საკითხი. ... და ბოლოს, „სამსუხაროდ“, თხოვნა უხდება 2000 კრონის, რადგანაც ცხოვრება აქ საშინლად ძვირია. ერთი მხრივ წყნარად და შეუმჩნეველად საქმიანობის მიზნით და მეორე მხრივ სიძვირის გამო სასტუმროდან პატარა ბინაზე გადასულა.⁵³⁶

8 აპრილს: „პეტროგრადიდან ჯერ-ჯერობით არაფერი მიმიღია.“ გუშინ ისევ გავუგზავნე დეპეშა ჩხეიძეს: თქვენმა მონოდებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოს ხალხებზე.⁵³⁷..

536 PA AA, R 21023, Matschabelli an Wesendonk, 3.4.1917.

537 უცნაურია, რომ მაჩაბელი ასე გაბოლად მოიხსენებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოწოდებას - „მთელი ქვეყნის ერებს“, სადაც, ვარდა შაფის სახარებლოდ მოწოდებისა, ნათქვამია: „აფსტრია-გერმანიის პროლეტარიაგს მოეუწოდებთ რუსეთის მსგავსად ჩა-



მათ იმედი აქვთ, რომ რუსეთის დემოკრატია შეძლებს მსოფლიო მშვიდობის დამყარებას... მოკითხვა კაკი წერეთელს. „ჩვენი წერეთელი და მე პირადად ვიცნობთ მას“. ჩხენკელისგან პასუხი აღარ იქნება, რადგან კავკასიაში გაემგზავრა.

რუსეთში ისეთი უნესრიგობაა, რომ ადვილად შეიძლება ანარქიაში გადაიზარდოს. ამიტომ აუცილებელია ფრონტზე პროკლამაციების გავრცელება. პროკლამაციების შინაარსი ძალიან გულმოდგინედ უნდა შედგეს. ერთი პროკლამაციის ტექსტს თან ვურთავ. ... „რუსი გლეხის ან მუშის შუშხუნა ტყინს მოსვენების საშუალება არ უნდა მივცეთ.“

ბარონი ფონ როპპი წინააღმდეგია კონფერენციისა. ამიტომ ბატონი გუმბერუსი თქვენთან და ფონ როპპთან შესავედრად ბერლინს მოემგზავრება.

„თუ პეტროგრადიდან არანაირი ცნობა არ მოვიდა და ამიტომ ჩემი აქ ყოფნა უაზრო აღმოჩნდება, მაშინ ვთხოვდი გერმანიის მთავრობას, მის სრულ განკარგულებაში მამყოფოს. უკიდურეს შემთხვევაში რამენაირად პეტროგრადში მოხვედრასაც მოვახერხებ და საჭირო ნაბიჯებსაც გადავდგამ ხელისშემშლელ პიროვნებათა ჩამოსაცილებლად. ჩემი ბედი ისეა გადაჯაჭვული საქართველოს და გერმანიის ინტერესებთან, რომ არაფრის წინაშე უკან არ დავიხეებ, იმისთვის, რასაც ჩვენთვის სარგებლის მოტანა შეუძლია. ჩვენი მტრები უფრო მეტად რომ გამრავლდნენ კიდევ, მაინც გავიმარჯვებთ და უფრო დიდ სახელსაც მოვიხვეჭთ.“⁵³⁸

გერმანელებს რუსეთთან სეპარატული ზავის დადების იმედი მალე გაუცრუვდათ და ახალი გზების ძიება დაიწყეს. 27 მარტს (ა.ს. - 9 აპრილს), როდესაც დროებითა მთავრობამ ომის ამოცანების და საგარეო პოლიტიკის შესახებ დეკლარაციაში ომის გაგრძელება სასიცოცხლო ამოცანად გამოაცხადა და ლოზუნგი: „სახელმწიფო განსაცდელშია“ გადმოისროლა⁵³⁹, ციურიხიდან გერმანიის და შვედეთის გავლით რუსეთისაკენ ლენინი და სხვა რევოლუციონრები გაემგზავრნენ.

1917 წ. მაისს გიორგი მაჩაბელი „Neue Zeit“-ში წერდა: „რუსეთის რევოლუციამ ჯერ იმედები მოგვცა, რომ ომი დასრულდებო-

მოიშორის თვითმპყრობელობის უღელი და ხამხამი მსოფლიოს შემარცხვენილი თბი შეაჩეროს“ - საქართველო, № 61, 17.03.1917; ასევე: სახალხო უურცელი, № 825, 22.03.1917.

538 PA AA, R 21023, Matschabelli an Wesendonk, 8.4.1917 - წილი დედ ხახო-წარკვეთილებაზე მითითებს.

539 საქართველო, № 71, 30.03.1917.



ვლადიმირ ლენინი
 (ქოლგით ხელში)
 სტოკჰოლმში.
 1917 წლის მარტი

და და თავისუფლებას ზავიც მოჰყვებოდა, მაგრამ უკანასკნელმა ამბებმა რუსეთიდან იმედები გაგვიცრუა.⁵⁴⁰

ქართული კომიტეტის მცდელობა, რამენაირად გავლენა მოეხდინა საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ისევ უშედეგოდ რჩებოდა. მათი წერილები უცხოეთიდან ზოგჯერ იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, მაგრამ არანაირი გამოხმაურება არ ჰქონდა. მ. წერეთლის 2 მაისით დათარიღებული „პროტესტი რუსეთის დროებით მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც საქართველოს ერსა და სამღვდელოებას აუკრძალა დაუყოვნებლივი აღდგენა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიისა,“ მხოლოდ ივლისში გამოქვეყნდა.⁵⁴¹ ორი დღის შემდეგ იბეჭდება მ. წერეთლის ახალი წერილი სტოკჰოლმიდან („აქაურ ქართველთა მონდობილობით“) – „ჩვენ საზღვარ-გარედ მცხოვრებ ქართველთ არ გვესმის სრულიად მოქმედება ქართველი საზოგადოებისა ამ დიდი რევოლუციის დროს: რუსეთის რევოლუცია მარტო რუსის ერს კი არ მოუხდენია, არამედ ყველა ერებმა რომლებიც სცხოვრობენ რუსეთის სახელმწიფოში და მაშასადამე ყოველ ერს აქვს უფლება თანასწორი ეროვნული უფლებანი მოითხოვონ. ასე მოქმედებენ ყველა ერნი - ფინები, უკრაინელები და სხვანი, ხოლო ქართველები კი ემორჩილებიან უკანონო ბრძანებას და იმასაც კი ვერ ბედავენ, რომ ეს ბრძანებანი ეწინააღმდეგებიან დროებით მთავრობისვე გამოცემულ თავისუფლების მანიფესტსა.

540 ციტატა „ქართული გაზეთის“ (№ 27,20 მაისი 1917) მიხედვით.

541 „სამღვარგარეთ მყოფ ქართველთა მონდობილობით“, მ. წერეთელი, სტოკჰოლმი, 2 მაისი 1917, საქართველო, № 150, მკათაიეთის 12(24), 1917.



О ТОМЪ, КАКЪ НИМЪИ БОМЪИВЪИКА НА РОССІЮ ВЪИДЪКАИ

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

1) „...“
2) „...“
3) „...“
4) „...“
5) „...“
6) „...“
7) „...“
8) „...“
9) „...“
10) „...“

პლაკატი გერმანელების მიერ დაფინანსებული ბოლშევიკების წინააღმდეგ

ის მუხლი მანიფესტისა, რომელიც აცხადებდა ეროვნულ შეზღუდვათა მოსპობას, ნიშნავს ქართველთათვის მხოლოდ ერთს: ჩვენს უფლებათა აღდგენას: 1) აღდგენას საქართველოს ავტონომიისას რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, როგორც ეს განსაზღვრული იყო 1783 წლის ხელშეკრულებაში; 2) უფლებას ქართველ დამფუძნებელ კრების მოწვევისას, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქართული კონსტიტუცია... 3) უფლებას საქართველოს ტერიტორიის განსაზღვრისა...

... ახალი მთავრობა ძველის გზით მიდის: არც საკუთარი დამფუძნებელი კრება, არც ავტოკეფალია, არც მილიცია, ავტონომიაზედ ხომ სულ არავინ ლაპარაკობს...⁵⁴²

პირველ ასეთ წერილს – „საზღვარგარეთელ ქართველთა ხმას“, გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს 28(10) მაისს: „დაე თვითოეული ერის დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვროს გარეგანი განწყობილება ერისა რუსის ერთან. ეს არის ის რასაც მოითხოვს პრინციპი ეროვნებისა და აგრეთვე პრინციპი თვითგამორკვევისა.“⁵⁴³

542 საქართველო, № 152, მკათათვის 14(27), 1917 - საქართველოს საკითხები (წერილი სტოკოლმიდან).

543 საქართველო, № 113, მაისის 28 (10), 1917, ხმა საზღვარ-გარეთელ ქართველთა, ხელმოწერით: X.



პაველ აქსელროდი, იულიუს მარტოვი და ალექსანდრე მარტინოვი სტოქჰოლმში, კონფერენციის პერიოდში

ქართულ კომიტეტს ბევრი არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ შეძლებისდაგვარად საქართველოში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აუცილებლობა ექადაგა, უცხოეთში კი პროპაგანდა გაეგრძელებინა. პროპაგანდისტულ აქციათა რიგს განეკუთვნება: 26 მარტის დეპეშა ჟენევიდან დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავად ლეოვისადმი, რომელსაც ხელს აწერენ ლ. კერესელიძე, გ. კერესელიძე, მ. წერეთელი, როგორც ქართული ეროვნული პარტიის ევროპის კომიტეტის წევრები⁵⁴⁴ და „მემუარი წარდგენილი სოციალისტურ საერთაშორისო კომისიისადმი ქართულ სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრ მ. წერეთლის და ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრ გიორგი მაჩაბელის მიერ“⁵⁴⁵.

ქართული კომიტეტი ასევე განაგრძობდა ტყვეთა შორის ქართული საქმის და რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას: „უცხოა რუსის მუჟიკი ქართველ გლეხისათვის, უცხოა რუსის მუშა ქართველი მუშისათვის. ქართველი ერის მტერი იყო, არის და იქნება მუდამ რუსი ხალხი...“⁵⁴⁶

544 ქართული გაზეთი, № 30, 1.8.1917, ეს დეპეშა გაეგზავნათ ასევე საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებს რიბოს და ლოიდ ჯორჯს. შუალ.: Der Neue Orient, Bd.1, Heft 2, 21. April 1917, S.60.

545 ქართული გაზეთი, № 31, 1. 9.1917, Der Neue Orient. Sonderbeilage zu Bd. 1, H11/12, 15.9.1917: Memoire sur la question de la Géorgie... (Stockholm, le 25 Juin 1917), S. 557-559. სტოქჰოლმის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია დიდი ხნის განმავლობაში იკვებებოდა და მრავალგზის გადაიდო. საბოლოოდ, ანტანტის ქვეყნების სოციალისტთა ბიუროს გამო, წაუხუტა მხოლოდ მცირე მასშტაბის კონფერენცია შედგა. შუალ.: სალია 1995, გვ. 65.

546 ქართული გაზეთი, № 32, 15.09.1917 – კერესელიძე: რუსეთი და საქართველო.

3.1.3 საქართველოსთან კონტაქტების განახლება

რევოლუციის შემდეგ „ქართული გაზეთის“ რედაქცია ხშირად ჩიოდა, რომ საქართველოდან გაზეთები აღარ მოდიოდა, ან შეფერხებებით და დიდი ხნის დაგვიანებით. საქართველოში არსებული რეალური სიტუაცია, განწყობილება და ძალთა გადანაწილება უცნობი იყო ქართული კომიტეტისათვის და ისინი გერმანელებთან ერთად მოუთმენლად ელოდნენ ნაღდ ინფორმაციებს საქართველოდან.

1917 წლის ზაფხულში თბილისიდან გაგზავნილი შალვა ქარუმიძე სტოქჰოლმს ჩავიდა, სადაც ის გ. მაჩაბელს, მ.წერეთელსა და გერმანიის წარმომადგენლებსაც შეხვდა. შალვა ქარუმიძის არცთუ უკრიტიკოდ სანდო მონათხრობის მიხედვით, ცალკე გიორგი მაჩაბელმა და მიხეილ წერეთელმა და ცალკე გერმანიის წარმომადგენლებმა მოხსენებები გაგზავნეს ბერლინში. სტოქჰოლმის საელჩოს მიერ 8 აგვისტოს გაგზავნილი მოხსენება წაიკითხა და მცირე კომენტარებიც დაურთო თვით იმპერატორმა ვილჰელმ II.

„კავკასიაში ინგლისელები ძირითადად სომხებთან ერთად მუშაობენ, / ამის გამო სომხების ახალი ჟღერა / მაგრამ შეეცადნენ ქართველებთან კავშირის დამყარებასაც და დახმარებას შეჰპირდნენ რუსეთის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის ბრძოლაში. / წმინდაო ირლანდიაე! / პირობა იყო, რომ ქართველებს ყოველგვარი ურთიერთობა შეენწყვიტათ წერეთელთან და მაჩაბელთან, რომელთა საქმიანობა ცნობილია ინგლისელთათვის. ქართველებმა ამაზე უარი თქვეს. ამა წლის მაისში ამერიკის კონსული ტფილისში ეწვია ქართველ ნაციონალ დემოკრატთა კრებას და ამერიკის დახმარება აღუთქვა ქართულ მოძრაობას. / მომხიბლავია (charmant) !? / ქართველებმა კი ყოველგვარი საუბარი თავიდან აიცილეს...“⁵⁴⁷

გიორგი მაჩაბლისა და მიხეილ წერეთლის მოხსენებაში – „დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში“ – ნათქვამია: „რუსეთის რევოლუციამ საქართველოს ახალი პოლიტიკური პერსპექტივები გადაუშალა და მთელი ქართველი ხალხი გააერთიანა თავისი ეროვნული იდეალების მისაღწევად. ამჟამინდელი მოძრაობის სათავეში დგას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც შეძლო საქართველოს სხვა პოლიტიკურ

547 PA AA, Großes Hauptquartier Rußland Nr. 31, Bd. 4, Stoffe an Michaelis, 8.8.1917 - Bihl 1992, S. 280 – მიხედვით.



შალვა ქარუმიძე, მისი ცოლი
 ანა ზოლოტარსკაია და ქალ-
 იშვილი თინა

პარტიებთან და კავკასიის სხვა ერებთან ერთად საერთო ენის გამონახვა და ძლიერი ორგანიზაციის შექმნა." ეროვნულ-დემოკრატიკა მომდომებით შეიქმნა ქართველ მხედართა ორგანიზაცია, რომელსაც თავისი ორგანოც აქვს („ჯარისკაცი"). ამ ორგანიზაციის მიზანია ქართული ჯარის შექმნა. დროებით მთავრობას სურდა ამ ორგანიზაციისა და გაზეთის ალაგმვა, მაგრამ ქართველთა მხრიდან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. გარდა ამისა, ორგანიზაციას უნდა მთელი კავკასიის არმიის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდება. კავკასიის არმიის მთავარსარდალი ცნობილი გენერალი იუდენიჩი ჩამოშორებულია. მის ადგილას არჩეულ იქნა გენერალი მდივანი. ამის წინააღმდეგ გამოვიდნენ რუსები და სომხები და გენერალი პრჟევალსკიც ახლა მასთან ერთად სარდლობს კავკასიის არმიას. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან არსებობს ასევე საიდუმლო სამხედრო შტაბი, რომლის წევრებიც უმნიშვნელოვანესი ქართველი გენერლები და ოფიცრები არიან, მათ შორის მეფის გენერალ-ადიუტანტი, თავადი ორბელიანი, რომელიც ომის დასაწყისში მეფის მიერ განსაკუთრებული მისიით იყო საფრანგეთსა და ინგლისში წარგზავნილი. შტაბის წევრები არიან ომში გამორჩეული გენერლები გაბაევი, მაკაევი, ვაჩნაძე, ლეონიძე და სხვები. ეს შტაბი შესაძლებელი აჯანყების გეგმებზე მუშაობს. ამ შტაბს სექცია აქვს საიდუმლო ორგანიზაციებისა, როგორც მაგ.: „ძმობა მამულისა და ხალხისათვის (Brüderschaft für Vaterland und Volk),“ რომელიც მუშაობს სპეციალურად დეზერტირებთან (დაახლოებით 16-18 ათასი კაცი). ეროვნულ-

დემოკრატიულმა პარტიამ დააარსა სპორტული საზოგადოება „ამირანი“, რომლის მიზანია ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის სამხედრო წვრთვნა. ... ბოლშევიკებთან ეროვნულ-დემოკრატებს მუდმივი კონტაქტი აქვთ. მათ გაზეთს – „კავკასიელ მუშას“ ფულითაც კი დაეხმარნენ. გაზეთის რედაქტორი და პროპაგანდისტთა უმრავლესობა ქართველები არიან და ხელჩაკიდებულნი მუშაობენ ეროვნულ-დემოკრატებთან ერთად.

სოციალ-დემოკრატების დიდი ნაწილიც ეროვნულ ნიადაგზე დადგა და ორი გაზეთი – „ალიონი“ და „ხალხის თავისუფლება“ იმავე ტენდენციისაა. ...

კავკასიის არმიაში ამჟამად 40-50 ათასი ქართველია (ყველა ფრონტზე 160-180, ომის დაწყებიდან ჯარში გაყვანილი 350 ათასიდან), რომელთაგან უმრავლესობა უკვე ქართული სამხედრო ორგანიზაციის წევრია (28 ათასზე მეტი). გარდა ამისა, იქ ამდენივე უკრაინელია, რომელთა გადმობირებაც შესაძლებელია ჩვენი საერთო საქმისთვის. ამჟამად ჩვენი პარტიის დეპუტაცია კიევში უნდა იმყოფებოდეს, სადაც ის უკრაინის რადასთან მოლაპარაკებას აწარმოებს ურთიერთდახმარების თაობაზე. სხვა ფრონტებზე დიდი პროპაგანდა მიმდინარეობს ქართველთა შორის, რათა ისინი დეზერტირები გახდნენ და სამშობლოში დაბრუნდნენ.

„ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენ დღეს ადვილად შეგვიძლია რუსეთის კავკასიის არმია დავშალოთ და კავკასიის აჯანყებაც ვცადოთ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში საშიში იქნება, რომ დაშლილი, უდისციპლინო, დამშეული კავკასიის არმია მთელ ქვეყანას გაძარცვავს და რომ აჯანყება არსებული საშუალებებით ვერ იქნება წარმატებული. ამას ანარქია და გაჭირვება შეიძლება მოჰყვეს. ამიტომ ჩვენი მეთაურები იმ აზრის არიან, რომ ყოველმხრივ ძლიერი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას და რომ მატერიალური და მორალური დახმარება გარედან უზრუნველყოფილი იქნას. პირველი – ცენტრალურმა სახელმწიფოებმა გარანტიები უნდა მოგვცენ, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იცნობენ ამ დამოუკიდებლობას და რომ არცერთი მხრიდან მას არაფერი დაემუქრება და მეორე, რომ საჭირო ფულადი სახსრები და იარაღი ჩვენს განკარგულებაში იქნება და მათი სისტემატიური მონოდება უზრუნველყოფილი.“⁵⁴⁸

548 A AA, R 11041, Matschabeli und Tseretheli: Heutige Lage in Georgien. Stockholm, 9.8.1917.



წყალქვეშა ნავის კაპიტანი შვარცი, პეტრე სურგულაძე და გიორგი მაჩაბელი კონსტანტინოპოლში, 1917 წ.

მსგავსი შინაარსისაა კიდევ ერთი მოხსენება სტოქჰოლმის საელჩოდან გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციისადმი, რომელშიც უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კავკასიის სხვა ხალხების მზადებას აჯანყებისათვის და მაგ. სომხების შესახებ ნათქვამია, რომ ქართველებისა და თათრების შიშით სომხები წყნარად იქნებიან, რადგანაც „არანაირი იმედი მათი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისა არ უნდა ჰქონდეთ, ქონება უკვე გაყიდული აქვთ და სურვილი აქვთ ამერიკაში გადასახლდნენ.“⁵⁴⁹

ეს მოხსენებები, სადაც არანაირი ეჭვი არ არის შეტანილი შალვა ქარუმიძის მონათხრობში, კარგი ილუსტრაციაა იმ ცოდნისა და წარმოდგენისა, რაც 1917 წ. ზაფხულში საქართველოში არსებულ სიტუაციაზე ჰქონდათ ქართულ კომიტეტსა და მათ მეგობარ გერმანელებს.

ეროვნულ-დემოკრატიების ეგზომ დიდი გავლენით აღფრთოვანებულ გიორგი მაჩაბელს სტატიაც დაუბეჭდავს „Stockholms Dagblad“-ში: „საქართველო და რუსეთის რევოლუცია“, ქვესათაურით: „ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობა თვითმართველობისთვის“ (ანუ ავტონომიისთვის.)⁵⁵⁰

შალვა ქარუმიძესთან საუბრებმა გარკვეულწილად ბიძგი მისცა ახალი წყალქვეშა მისიების დაგეგმვას.

549 PA AA, R 11041, Steinwachs, 9.8.1917.

550 Stockholms Dagblad, Nr. 260 vom 26.09.1917. გერმანული თარგმანი – PA AA, R 21025.



3.1.4 საქართველოში გადასასვლელად მონყობილი ექსპედიციები⁵⁵¹

1917 წ. 3 ოქტომბერს ხუთი ქართველი, მათ შორის ოსმან ბეი და ნერეთელი, დიდძალი იარაღით და ფულით დატვირთულნი (370 ათასი მანეთი, 100 ინფანტერიის თოფი, 28.700 ვაზნა, 100 ხელყუმბარა) წყალქვეშა ნავ UB 42-ში ჩასხდნენ.⁵⁵² გემის კაპიტანი კურტ შვარცი იხსენებს: პატარა წყალქვეშა ნავს ამდენი ტვირთის გადაზიდვის გამო თითქმის მთელი არტილერიის ტყვია-წამლის და სარეზერვო ტორპედოების დატოვება მოუხდა. ამდენი დამატებითი პირის გადაყვანამ ისედაც შეზღუდულ სივრცეში საშინელი სივიწროვე შექმნა. ცუდი ამინდის გამო გემი მხოლოდ 4 ოქტომბერს გავიდა გაშლილ ზღვაში. თავიდან არაკეთილგანწყობილი მეზღვაურები მალე დაუმეგობრდნენ სტუმრებს. 8 ოქტომბერს წყალქვეშა ნავი საქართველოს სანაპიროს მიადგა. როდესაც დაბნელდა, ოსმან ბეი პატარა ნავით ნაპირზე გადავიდა, რამდენიმე საათის შემდეგ დაბრუნდა და თქვა, რომ ხვალ იმავე დროისთვის უფრო დიდი ნავით მზად იქნებოდა. მეორე დღეს, 9 ოქტომბერს, მთელი აღჭურვილობა მშვიდობიანად გადაიტანეს ნაპირზე. უკანა გზაზე გერმანულმა ნავმა ტუაფსეს პორტი დაბოძა, ერთი იარაღის ტრანსპორტიორი და ერთიც იალქნიანი ნავი ჩაძირა.⁵⁵³ მ. ნერეთელი და სხვები ოხარკალიას ტყეში ნიკო ხორავასთან დაბინავდნენ და იქვე გადამალეს თოფ-იარაღიც.⁵⁵⁴

იმავე კურტ შვარცმა, ერთი თვის შემდეგ, 10 ნოემბერს, საქართველოსკენ წაიყვანა ხუთი ქართველი, მათ შორის პეტრე სურგულაძე, 470 მაუზერით, ტყვია-წამლით, 100 ხელყუმბარით და 730 ათასი მანეთით აღჭურვილნი.⁵⁵⁵ 16 ნოემბერს დათქმულ ადგილს მიაღწიეს.⁵⁵⁶ „წყალ ქვევით მავალი ნავი, რომლითაც პ. სურგულაძე, სიამაშვილი და სხვები უნდა გადასულიყვნენ

551 ეს სახელწოდება აღებულია ქართული ეროვნული კომიტეტის ოქმებიდან – ხცსა.ფ.13,ა.27,ხ.5429,გვ. 31.

552 Bihl 1992, S. 33. ბილი რაგომლაყ ამბობს, რომ ექსპედიცია უმეღვო ოყო, რაც ხანამდვილეს არ შეესაბამება.

553 Schwarz, in: Klde, Nr.17/18, 1935.

554 ხაღია 1995, გვ. 67; მ. წერეთელთან ერთად იყვნენ კიდეც ოფიცერი გვიშანი და „ორი გურული უნგერ-ოფიცერი“, რომლებიც სვანეთსა და გურიაში გაიგზავნენ.

555 Bihl 1992, S.33f.

556 Schwarz, in: Klde, Nr.17/18, 1935.

საქართველოში, მისდგომია საქართველოს ნაპირს. პირველად დასათვალისწინებლად გადასულან პატარა ნავით სიამაშვილი, სულიმან ირემაძე და ორი გერმანელი მეზღვავე, თან წაუღიათ თითოს (ქართველებს) 2 ათასი მანეთი. უნდა მალე უკან დაბრუნებულიყვნენ, რათა დანარჩენი ქართველები გადასულიყვნენ და გადაეტანათ ფული და იარაღი. ...დიდხანს უკან აღარ დაბრუნებულან არც ქართველები და არც გერმანელი მეზღვავეები და შორიახლოს კი რუსის სამხედრო გემი გამოჩნდა, ამიტომ წყალ ქვევით მავალ ნავს ჩაუყურყუმაღავებია. 2 დღის შემდეგ კიდევ მობრუნებულან ამავე ადგილს, მაგრამ არავინ უნახავთ.⁵⁵⁷ მ. წერეთელი და მ. ქარცივაძე, იქვე, ოხარკალიას ტყეში, ელოდებოდნენ წყალქვეშა ნავს და ამ ნავითვე აპირებდნენ უკან გაბრუნებას. „სანაპიროდან, რუსის პოსტიდან უფრო მეტი სინათლე გამოდიოდა, ვიდრე იყო ქართველების სიგნალები და წყალქვეშა ნავმა მზვერავები და პაროლის მოქმელნი სწორედ იქ გადასხა.“ ატყდა სროლა, „რუსებმა დაიჭირეს ორი გერმანელი და ორი ქართველი და გადასცეს ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტს, რომელმაც ისინი ბათუმის ციხეში გააგზავნა. მთელი ამბავი შემდეგ გაიგეს რუსებმა და ნიკო ხორავას სახლს, სადაც კომიტეტის წევრები იმყოფებოდნენ, დაბომბვას უპირებდნენ, მაგრამ აეროპლანი გზაში გაფუჭდა და ზღვაში ჩავარდა. ... ხოლო აკაკი ჩხენკელმა, გაიგოთუ არა ოხარკალიაში მომხდარი ამბავი, გააგზავნა ბათუმში სპეციალური კაცები, მოაწყობია მათ ციხეში აჯანყება, გააქციეს ორი გერმანელი და ორი ქართველი, ჭურიაში დაჭერილნი და დაამალვინეს სოფელში. ჩხენკელს რომ ეს დროზე არ ექმნა, მათ გაგზავნიდნენ სევასტოპოლში, სადაც აუცილებელი სიკვდილით დასჯა მოელოდათ.“⁵⁵⁸

წყალქვეშა ნავი UB 42 პეტრე სურგულაძეთი და პატრი შალვა ვარდიძით უკან დაბრუნდა და 24 ნოემბერს სამსუნში იყო.⁵⁵⁹

557 ხცხსა.ფ.13.ა.27.ს.5429.ქართული ეროვნული კომიტეტის 3.12.1917 წ. კრების ოქმი.გვ.32; შუაღ: Schwarz, in: Klde, Nr.17/18, 1935.

558 სალია 1995, გვ. 68-69. ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი რევკომის რუსეთისადმი ერთგულება და ის, რომ თითქმის ყოველს შემძლე, ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა კომისარს, ჩხენკელს, რუსების შიშით, იატაკქვეშა მეთოდებით უხდება გვევითა გამოხსნა. არ უნდა დაგვეავწყდეს, რომ ამ დროს აღარც რუსეთის იმპერია არსებობს და არც ბოლშევიკურ ხელისუფლებას აღიარებენ კავკასიაში.

559 Bihl 1992, S.34, ბილიან მესამე ქართული მთხრობიუბულია Tschakhzkadze-დ.

3.1.5 მიხეილ წერეთელი საქართველოში

მ. წერეთელი თბილისში დავით ვაჩნაძის ბინაზე იყო ფარულად გაჩერებული. 5 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, აქვე შედგა შეხვედრა მიხეილ წერეთელს, ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორს (სოციალ-დემოკრატიის და ამიერკავკასიის ლიდერებს) იოსებ გედევანიშვილსა (სოციალ-ფედერალისტი) და დავით ვაჩნაძეს შორის, რომელმაც ამ კრების შესახებ ვრცელი მოგონება დაგვიტოვა. ნოე ჟორდანიას თავის შემაჯამებელ სიტყვაში უთქვამს: „ნუ ავჩქარდებით საქართველოს რუსეთისგან გამოყოფის საკითხში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს დრო მალე დადგება. მისკენ ისწრაფვის ჩვენი ახლანდელი ისტორია.“⁵⁶⁰

„თათბირი დასრულდა, მაგრამ მომავალ თავისუფალ საქართველოზე მსჯელობა ქართულ სუფრაზე გაგრძელდა.“⁵⁶¹

მიხეილ წერეთლის საქართველოში ყოფნა დაემთხვა ახალ დიდ ძვრებს. 1917 წ. 25 ოქტომბერს (ა.ს. 7 ნოემბერს) რუსეთში მოხდა კიდევ ერთი გადატრიალება: ძალაუფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში.

თათბირსა და მიხეილ წერეთლის თბილისში ყოფნას დიდი შედეგი არ მოჰყოლია. დიდი ხნის წინათ მოთხოვნილმა და ბოლოს და ბოლოს 19 ნოემბერს შეკრებილმა საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ რეზოლუციის ნოე ჟორდანიას-ეული პროექტი მიიღო: „1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე; 2. ქართველ დემოკრატიათ დღიდან თავის პოლიტიკური არსებობისა თავის სეგებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიათ და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს; 3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ

560 ვაჩნაძე 1992, გვ. 145; ხალია 1995, გვ. 68 კრების დამსწრეთა შორის ასახელებს მელაიკონ ქარცივაძესაც; ჟორდანია (გვ. 71 და 72) ურევს ერთმანეთში მამაკელთან და წერეთელთან შეხვედრებს და ორივეს 1917 წ. თებერვლამდე პერიოდში ათავსებს. საერთოდ, როგორც ჩანს, ჟორდანია დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ შეხვედრებს.

561 ვაჩნაძე 1992, გვ. 146.



ნოე ჟორდანია

აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან. ...⁵⁶²

12 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე ამიერკავკასიაში დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები. არც ერთ პარტიას, მათ შორის ეროვნულსაც, აზრადაც არ მოსვლია ამ არჩევნების ბოიკოტი. ამას საყვედურობდნენ 1917 წლის ბოლოს ქართული კომიტეტის წევრები და კერძოდ, გიორგი მაჩაბელი, დამფუძნებელ კრებაში არჩეულ სპირიდონ კედიას: „მე საყვედური უთხარ – ჩემის აზრით საჭირო არ იყო რომ საქართველოს მონაწილეობა მიეღო, ყოველ შემთხვევაში ჩვენი პარტიიდან უნდა ბოიკოტი გამოეცხადებინ[ათ].“⁵⁶³

რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებთან დაკავშირებით მოხდა ერთი ინციდენტი. პატარა და უმნიშვნელო რადიკალ-დემოკრატიულმა პარტიამ⁵⁶⁴ თავის კანდიდატად, როგორც

562 სკსსა, ფ. 1836, ა.1, ს. 29, გვ. 20 - ციტირებულია გურული/ვანნაძე, გვ. 296 – მიხედვით.

563 სკსსა, ფ. 13, ა.27, ს.5430; ქართული კომიტეტის 28.12.1917 წ. კრების ოქმი, გვ. 9.

564 რადიკალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი იყო დავით ჩიქოვანი. როგორც ჩანს, ეს იგივე პეტროგრადის სასოფლო-სამეურნეო კურსების მსმენელი დავით ჩიქოვანია, რომელიც ვ. შანაბლას საქართველოში 1914 წ. ყოფნის



ვახტანგ გუგუშვილი

მალე გამოირკვა, უკითხავად, დაასახელა მიხეილ წერეთელი. წერეთელმა პროტესტი „საქართველოში“ გამოაქვეყნა: „ბატონო რედაქტორო! გავიგე, რომ ზოგიერთი პარტიები ჰვიქრობენ რუსეთის მომავალ დამფუძნებელ კრებისათვის ჩემის კანდიდატურის წაყენებას, მე სრულიად წინააღმდეგი ვარ ამისა და ვსთხოვ ყველას, ჩემი კანდიდატურა არ წამოაყენონ, არც ნაციონალ-დემოკრატიულმა, არც სხვა რომელიმე პარტიამ...“⁵⁶⁵

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მ. წერეთლის მეუღლემ მარიამ წერეთელმა და ნოე ჟორდანიამ ჩვენებები მისცეს. „ნ. ჟორდანიამ შემდეგი ჩვენება მისცა: „ჩემდამი წარმომადგენელს ბარათს საარჩევნო კომისიისადმი, მიხეილ გიორგის ძე წერეთლის მიერ ხელმოწერილს, რუსულ ენაზედ (რადიკალ დემოკრატებისა), წერეთლის ხელად ვერ ვცნობ, ხოლო ქართულს წერილს მის მიერვე ხელმოწერილს (ეროვნულ-დემოკრატებისა), რომელშიაც უარს აცხადებს ვისიმე სიით თავის კანდიდატურის

შემდეგ ოსმალეთის გამარჯვების მომხრეობაში იყო რუსეთის განდარმწირის მიერ ექვმიგანილი – სცხსა.ფ. 13,ა. 27,ს.5412,ფ. 26.

565 საქართველო, № 240, ლეინობისთვის 31 (13), 1917; მხაკო წერეთლის განცხადება (წერილი „საქართველოს“ რედაქციის მიმართ). „პატივისცემით მიხეილ წერეთელს“ მიწერილი აქვს „სტოკოლმი“-ს, ხინამღვილეთში მ. წერეთელი იქვე თბილისში ცხოვრობდა კონსპირაციულად.



რუსული პლაკატები დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში

წამოყენებაზედ, ვსცნობ მის ხელად." ნ.ნ. ჟორდანიას თბილისი, 10 გიორგობისთვე 1917.⁵⁶⁶ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ რადიკალ-დემოკრატების სია № 16 ყალბად იქნა მიჩნეული და მათი სია მოხსნილია საქმის წარმოებიდან, ამ სიებისადმი მიცემული ხმები მხედველობაში მიღებული არ იქნება.⁵⁶⁷

რადგან წყალქვეშა ნავით უკან დაბრუნება ვეღარ მოხერხდა, მიხეილ წერეთელი და მელიტონ ქარცივაძე 1917 წლის ბოლომდე საქართველოში დარჩნენ. ყალბი პასპორტებითა და რეკომენდაციებით აღჭურვილებმა 1918 წ. იანვარში ჩააღნიეს პეტროგრადს. დიდი ხნის და სხვადასხვა ცდის შემდეგ, გაჭირვებით, მარხილებით, გაყინულ ზღვაზე, აბოდან (ფინეთი) იმ დროს გერმანელების მიერ ოკუპირებულ ალანდის კუნძულებზე გადავიდნენ, საიდანაც, როგორც იქნა, სტოქჰოლმის გავლით, მარტის დასაწყისში, ბერლინში ჩავიდნენ.⁵⁶⁸

566 საქართველო, №251, 12(25).11.1917; ნოე ჟორდანიას წვენება (მხაკო წერეთლის წერილის შესახებ).

567 საქართველო, №250, გიორგობისთვის 11 (24), 1917; ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება.

568 საღია 1995, გვ. 69.

3.1.6. ახალი ცნობები საქართველოდან

სანამ მეორე ნყალქვეშა ექსპედიცია ჩაიშლებოდა, ქართული კომიტეტისთვის მდგომარეობის გასაცნობად საქართველოდან გამოგზავნილ იქნა სპირიდონ კეღია. „ბატონი კეღია ტფილისიდან 1 ნოემბერს გამოეშვა ზავრა და იმედი ჰქონდა, რადგანაც პასპორტი და ა.შ. უკვე ტფილისში ეშოვნა, რომ ასე 10 ან 12 ნოემბერს სტოქჰოლმში იქნებოდა.“⁵⁶⁹ მაგრამ ამასობაში ძალაუფლება „ბოლშევიკებს ჩაუგდიათ ხელში, ამიტომ საჭირო იყო მათი ბეჭედი. ბოლშევიკების კომისარი (ანუ მინისტრი) ეროვნებათა საკითხისა არის ბ-ნ ჯულაშვილი, რომელიც მეტად სიმპატიებით უცქერს ეროვნებების თავისუფლებათ. მას მიუღია ბეჭედი. მაგრამ შვეციის მთავრობა არ უშვებდა და ეს მოუხერხა ნიკო მაჩაბელმა.“⁵⁷⁰ სპირიდონ კედიას ერთ თვე დასჭირდა შვედეთის ვიზის ასაღებად. სტოქჰოლმიდან დეკემბერში კეღია, რომელიც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ამ პარტიის პირველი კანდიდატია რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, თბილისის ქალაქის ხმოსანია“, კოპენჰაგენში ჩავიდა და შეხვდა მაჩაბელს.⁵⁷¹

მისი გამოგზავრების შემდეგ საქართველოში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. „რაც ლენინს ჩაუგდია მთავრობა ხელში, ჩვენშიც მოუსურვებიათ მეუმრავლესოელებს ხელში ჩაგდოთ ძალა, მაგრამ ჩვენი ეროვნული პოლკები და მენშევიკები შესტაკებინან და დაუმარცხებიათ (ეს ცნობებია დეპემებით პეტერბურგში).“ კედიას ნალაპარაკევიდან მაჩაბელს ბევრი რამ ვერ გაუგია: „გამოურკვეველია ორი მოვლენა – ერთი კრება ჩხენკელის თავმჯდომარეობით, რომლის დამფუძნებელ კრებათ გადაქცევა უნდოდათ მაგრამ ვერ მოხდა... მეორე ფაქტი 28 ნოემბერს (ბოლშევიკების გამარჯვების 10 დღის შემდეგ) შესდგა მთელი კავკასიის მთავრობა, სადაც შედიოდა 11 კაცი – მათ შორის 3 ქართველი, 3 თათარი, 3 რუსი და 2 სომეხი. მთიელები ამ დროს არ შესულიყვნენ, მათ მხოლოდ წარმომადგენელი გაუგზავნეს. თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი არის მგონი ჩხენკელი, იუსტიციის მესხიშვილია. ეს ორი ფაქტი რომ ერთიმეორეს

569 PA AA, R 11041, Matschabelli, Berlin, 26.12.1917.

570 სესხა, უ. 13, ა. 27, ს. 5430; ქართული კომიტეტის 28.12.1917 წ. კრების ოქმი, გვ. 9; შუად.: PA AA, R 11041, Matschabelli, Berlin, 26.12.1917, სადაც ასევე ნახსენებია, როგორ დაეხმარა კედიას ერთი ქართველი, სახელად Jögaschwili.

571 PA AA, R 11041, Matschabelli, Berlin, 26.12.1917.

No. 20 • 10. December 1917 • 30 Cms. • 21 Pf. •
 Schweizer
Illustrierte Zeitung
 11, Noyes, N.Y. • 11, Noyes, N.Y. • 11, Noyes, N.Y. • 11, Noyes, N.Y.


Lenin (Leningrad)

ლენინ

დაუყენოთ უნდა ვიგულისხმოთ რომ ორნაირი მთავრობა – საქართველოსი ჩხენკელის თავმჯდომარეობით და მთელი კავკასიის გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. ამბობდნენ, რომ კავკასიის მთავრობა პირდაპირ შეუდგა ოსმალეთთან ზავზე ლაპარაკს.⁵⁷²

„მთავრობა ყოველგვარ ბოლშევიკურ მოძრაობას ებრძვის, რადგან ბოლშევიკების იდეებს მივყავართ ყოველგვარი სახელმწიფო წესრიგისა დაშლისა და ანარქიისაკენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეშინოდეს, რომ კავკასიის მთავრობა, კალენდინის ან სხვა ანტირევოლუციურ მოძრაობას რუსეთში ხელს შეუწყობს, ან რომ ომის გაგრძელებას დაუჭერს მხარს. ჩვენი პოლიტიკა არის და იქნება, ლენინისტების მხარდაჭერა რუსეთში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში. ... რადგანაც სოციალისტური პარტიის მეთაურთა შორის ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, ვისაც რუსეთის დემოკრატიის სჯერა და რუსეთის დემოკრატიასთან ერთად უნდა მუშაობა, ჩვენს მეგობრებს უხდებოდათ მათი საქმიანობის კიდევ უფრო დაძაბვა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრეების გასამრავლებლად. ჩვენმა ბატონმა ფონ ნერეთელმა ამ მხრივ ბევრი გააკეთა მისი საქართველოში ჩასვლის შემდეგ და სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელებთან იქონია საუბრები, რომლებიც უშედეგო არა ყოფილან.“ შემდეგ

572 სესხა. ფ. 13, ა. 27, ს. 5430; ქართული კომიკეგის 28.12.1917 წ. კრების ოქმი. გვ. 9. ის, რომ მოელი რიგი საკითხებისა გაურკვეველი იყო, რაბაკვირველია. მამაბელს გერმანელებისთვის არ მოუხსენებია.



Lenin (Leningrad)

 In Verbindung mit dem Verlag der Illustrierten Zeitung in Zürich
 auch in allen Buchhandlungen, Verlagsstellen, Druckereien, etc.

ლენინ

დაუყენოთ უნდა ვიგულისხმოთ რომ ორნაირი მთავრობა – საქართველოსი ჩხენკელის თავმჯდომარეობით და მთელი კავკასიის გეგეჭკორის თავმჯდომარეობით. ამბობდნენ, რომ კავკასიის მთავრობა პირდაპირ შეუდგა ოსმალეთთან ზავზე ლაპარაკს.⁵⁷²

„მთავრობა ყოველგვარ ბოლშევიკურ მოძრაობას ებრძვის, რადგან ბოლშევიკების იდეებს მივყავართ ყოველგვარი სახელმწიფო წესრიგისა დაშლისა და ანარქიისაკენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვეშინოდეს, რომ კავკასიის მთავრობა, კალენდინის ან სხვა ანტირევოლუციურ მოძრაობას რუსეთში ხელს შეუწყობს, ან რომ ომის გაგრძელებას დაუჭერს მხარს. ჩვენი პოლიტიკა არის და იქნება, ლენინისტების მხარდაჭერა რუსეთში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში. ... რადგანაც სოციალისტური პარტიის მეთაურთა შორის ჯერ კიდევ ბევრია ისეთი, ვისაც რუსეთის დემოკრატიის სჯერა და რუსეთის დემოკრატიასთან ერთად უნდა მუშაობა, ჩვენს მეგობრებს უხდებოდათ მათი საქმიანობის კიდევ უფრო დაძაბვა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მომხრეების გასამრავლებლად. ჩვენმა ბატონმა ფონ ნერეთელმა ამ მხრივ ბევრი გააკეთა მისი საქართველოში ჩასვლის შემდეგ და სხვადასხვა პარტიების ხელმძღვანელებთან იქონია საუბრები, რომლებიც უშედეგო არა ყოფილან.“ შემდეგ

572 ხესხა.ფ. 13,ა.27,ს.5430; ქართული კომიკეგის 28.12.1917 წ. კრების ოქმი. გვ. 9. ისრომ მოელი რავი საკითხებისა გავრკვეველი იყო, რახაკვირველია. მახაბელს გერმანელებისთვის არ მოუხსენებია.



სტალინი

საუბარია იმაზე, რომ გერმანიამ იქნებ სახელმწიფო სესხი მისცეს კავკასიას და რომ ეს ორივე მხარისთვის რუსეთისგან გამოყოფისკენ გადადგმული მომგებიანი ნაბიჯი იქნება. ფინანსურ საკითხთა მოწესრიგების გარდა კედიას უნდოდა საქართველოს ან კავკასიის მთავრობისთვის გადაეცა ცენტრალურ სახელმწიფოთა განცხადებები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამასობაში გერმანიის მთავრობამ წერილობით გადმოგვცა ეს დოკუმენტი, რისთვისაც მას, ქართული კომიტეტის სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებ. ამ დოკუმენტს კედიას გადავცემ, მაგრამ მის გამგზავრებამდე არ მოხერხდება სხვა მთავრობათა დოკუმენტების მიღება. „ამიტომ ჩვენ გერმანიის მთავრობის დიდად მადლიერნი ვიქნებით, თუ ის მოგვანვდის ცნობას, მოკავშირე ქვეყნების მთავრობები რომ შეუერთდნენ გერმანიის განცხადებას და როდის შეუერთდნენ. ...“⁵⁷³

პეტრე სურგულაძის უშედეგო ექსპედიციის გამო საქართველოში ვერჩატანილი ფული (726 ათასი მანეთი) სპირიდონ კედიას გადაუგზავნეს სტოქჰოლმში, მაგრამ ვერც მან ნაილო თან ეს თანხა.⁵⁷⁴ პეტერბურგიდან კედია საქართველოში მხოლოდ 1918 წლის აპრილის ბოლოს ჩავიდა ზურაბ ავალიშვილთან ერთად.⁵⁷⁵

573 PA AA, R 11041, Matschabelli, Berlin, 26.12.1917,

574 Bihl 1992, S.34 u. 38,

575 PA AA, Rußland Nr. 97 a, Bd. 14, Wesendonk Notiz, 13.5.1918; შეად.: ავალიშვილი 1929, გვ. 23,

3.1.7 საქართველოს/კავკასიის დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი

1917 წ. 26 ივლისს ქართულმა ეროვნულმა კომიტეტმა ოთხთა კავშირის მთავრობებს აცნობა, რომ საქართველო „სრული დამოუკიდებლობისთვის“ იბრძვის და ითხოვდა ამ მთავრობებისგან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. ცენტრალურ სახელმწიფოთა შორის ამას აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა. ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნესიმი ბეის უთქვამს: „წერილობითი გამონათქვამებით ვერაფერს მივალწევთ, ქართველებისგან კი უნდა მოველოდეთ, რომ ისინი ნამდვილი მოქმედებით რუსეთის უღლისაგან განთავისუფლების გადამწყვეტილებას საქმედ აქცივენ.“⁵⁷⁶


1917 წ. ნოემბერში ცენტრალური სახელმწიფოები შეთანხმდნენ, სიტყვიერად დაჰპირებოდნენ ქართულ კომიტეტს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. 29 ნოემბერს გ. მაჩაბელმა კომიტეტს მოახსენა, „რომ გერმანიის, ავსტრია უნგრეთის და ოსმალეთის მთავრობებმა შეატყობინეს ქართ. კომიტეტს რომ იგინი მზათ არიან სცნო(ნ) საქართველოს დამოუკიდებლობა, როდესაც გამოცხადდება საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო და დაიცვან მისი ინტერესები ზავის კონგრესზედ. ჩემის აზრით საჭიროა ჩვენ ეს განცხადება წერილობით გვქონდეს.“ კრებაზე ზოგიერთებმა უხერხულად მიიჩნიეს განცხადების წერილობით მოთხოვნა, უნდობლობაში არ ჩამოგვერთვასო.⁵⁷⁷ კომიტეტის 3 დეკემბრის სხდომაზე გ.მაჩაბელმა საკითხი ისევ დასვა: „ჩემის აზრით საჭიროა ყველა ღონისძიება ვიხმაროთ რათა მოვანყოთ კავშირი საქართველოსთან და შევატყობინოთ ცენტრ. სახელმწიფოების გადამწყვეტილება სცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა. საჭიროა ვაცნოთ საქართველოს რათა რაც შეიძლება მალე გამოაცხადონ დამოუკიდებლობა და ან გამოგზავნონ ხალხი ან ჩვენ მოგვცენ ვეჭილობა რომ შეგვეძლოს ვაცნოთ ყველა სახელმწიფოებს ჩვენი დამოუკიდებლობა, რათა გვქონდეს უფლება ზავის კონგრესზე წარვდგეთ.“⁵⁷⁸

5 დეკემბერს ქართული კომიტეტის სახელით გ. მაჩაბელ-

576 Bihl 1992, S. 32f. – ცნობის საკითხი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა აქ უფრო დაწვრილებით.

577 სქსსა.უ. 13,ა.27,ს.5429,29.11.1917 წ. კრების ოქმი,გვ. 25.

578 სქსსა.უ. 13,ა.27,ს.5430,3.12.1917 წ. კრების ოქმი,გვ. 3.



ბრიტანული რუკა გერმანიის სავარაუდო იმპერიალისტური გეგმების შესახებ. 1917 წ.

მა და გ.კერესელიძემ ეს განცხადებები წერილობით ითხოვეს. 17 დეკემბერს გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების უნტერ-სტატს-სეკრეტარმა ფრაიჰერ ფონ დემ ბუსშემ დაუდასტურა ქართულ კომიტეტს გერმანიის თანხმობა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე.⁵⁷⁹

19 დეკემბერს პრინცი ჰოენლოე ატყობინებდა გრაფ ჩერნინს, რომ ოსმალეთმაც გერმანიის მსგავსი განცხადება გააკეთა, მაგრამ თურქებს სურთ, ბერლინის კონგრესზე დაკარგული ქალაქები – ყარსი, არდაჰანი და ბათუმი უკან დაიბრუნონ.⁵⁸⁰

579 5 დეკემბრის თხოვნა და გერმანიის 17 დეკემბრის განცხადების გეჟ-სტი საქართველოს/კავკასიის ცნობის შესახებ, იხ.: ლამა ბაქრაძე, ნოგების გაიკლა-გამოსივლა... გვ. 277-278.

580 Bihl 1992, S.33; HHSta, PA I 947, Hohenlohe an Czernin, 19.12.1917.

3.1.8 აჭარის საკითხი

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ოსმალეთმა თავისი პრეტენზიები განაახლა 1878 წელს დაკარგულ ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის სანჯაყებზე. გერმანიას არ სურდა, ნინ აღდგომოდა მოკავშირის ამ მისწრაფებას. 1917 წ. ბოლოს ოსმალეთში პანთურქისტულმა მოძრაობამ თავის ზენიტს მიაღწია. თურქი პოლიტიკოსების მზერა თურქესტანისკენ, თურანისკენ იყო მიპყრობილი. გზად კავკასია იყო. თურქები ძალიან ადვილად შეეგუენ 1917 წ. 9 დეკემბერს იერუსალიმის დაკარგვას. მაშინ, როცა მესოპოტამიის ფრონტსაც საფრთხე ელოდა, ჰალილ ფაშას უთქვამს: „დავანებოთ ინგლისელებს ეს დანყველილი უდაბნო! ნავიდეთ თურქესტანში! იქ ჩემი პატარა ჩინგიზისათვის ახალი სამეფო მინდა დავაარსო.“⁵⁸¹

1917 წ. დეკემბერში სამხედრო ატაშე ფონ ლოსოს აზრით, სამი სანჯაყის დაბრუნებას თურქი ხალხის სამხედრო მორალის ამალღებაზე კარგი გავლენა უნდა მოეხდინა. ერთადერთი წინაპირობა იყო ამ ტერიტორიის მოსახლეობის სურვილი, გამოყოფოდა რუსეთს.⁵⁸² ამ სურვილის გამოსახატავად თურქებმა ახალი „კავკასიური კომიტეტი“ შექმნეს, რომელშიც აჭარლები და ლაზები შედიოდნენ - სენატორები ალი რიზა თოფჩუ და მაჰმუდ ჩურუქსულუ, რომელმაც სულთანს „თურქულ დედა-სამშობლოში დაბრუნების“ თხოვნით მიმართა „ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის მოსახლეობის სახელით.“⁵⁸³ 19 დეკემბერს გერმანიის სტატს-სეკრეტარ კოულმანსაც მიმართეს მსგავსი მოწოდებით აჰმედ ფაშა თავდგირიძემ, ჰასან ფეჰმი ეფენდიმ, რიზა ბეიმ, ტეფვიკ ქიამილ ბეიმ.⁵⁸⁴ 22 დეკემბერს კოულმანმა ენვერ ფაშას ურჩია, ეს ტერიტორიები ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე ჩაეგდო ხელთ.⁵⁸⁵ აჭარის თურქულ დედა-სამშობლოსთან შეერთების მოთხოვნით და ამ საკითხზე ყურადღების გამახვილების მიზნით კომიტეტის დელეგაცია ოსმალეთის მოკავშირეთა დედაქალაქებსაც ესტუმრა. „დელეგაციას ხელმძღვანელობდა აჰმედ ფაშა თავდგირიძე ჩურუქსუ, თურქი გენერალი, ყოფილი სამხედრო ატაშე ბელგრადში და გენერალური შტაბის ყოფილი უფროსის მაჰმუდ ფაშას ძმა. ძმები ქობულეთის (...) ოლქის ერთ

581 Jäschke 1941, S.23 ჩინგიზი ჰალილ ფაშას შეიღის სახელია.

582 Zürrer, Kaukasien (1978), S. 29f.

583 Jäschke 1941, S.24, Anm.145.

584 BA, R 901, 10, Mf-Aufn. Nr. 818462-818463, Abschrift der Telegramm vom 19.12.1917. დეკემბის პირველ მუწერაით: გამოიმგზავნელ პართა ენაობა კონსტანტინოპოლს ეკითხით.

585 Zürrer, Kaukasien (1978), S. 30, 494f (Anm. 34, 35).



პაილი (კუტი) ფაშა, ენვერ ფაშას ბიძა (ზის), ოფიცრებთან ერთად. 1916 წ.

დინასტიას განეკუთვნებიან და დღესაც თავს „ქობულეთის მთავრებს (Prinzen von Kobuleti)“ უწოდებენ. ეს ქართული დელეგაცია უკან უშედეგოდ დაბრუნდა. როგორც გრაფი ჩერნინი, ისე ბატონი კოულმანიცი ბრესტ-ლიტოვსკში იმყოფებოდნენ და, გარდა ამისა, ქართველებს მოუთითეს, რომ ჯერჯერობით მზად არ არიან დაკავდნენ კავკასიის საკითხით.⁵⁸⁶ მაჩაბელი ესაუბრა ზოგიერთ მათგანს. „ჩვენ ვიქონიეთ ლაპარაკი ამ დელეგაციის კერძო წევრებთან: ახმეტ ფაშასთან და ხასან-ფე(ჰ)მისთან. ესენი ერთი მეორეს აბრალებენ, არა მას უნდოდა ამ საკითხის დაყენება არა მასო. მგონი თითონაც არ იციან რა სურდათ.“⁵⁸⁷ მათთან საუბრის შემდეგ მაჩაბელმა აჭარის საკითხის ქართული ხედვა გააცნო ვეზენდონკს და დაასკვნა: „აჭარლები თავიანთი ბედით სრულიად კმაყოფილნი და თანახმანი არიან. აქ მყოფი თურქული დეპუტაციის ხელმძღვანელებს, მათთან საუბარში, იგივე ფაქტებზე მივუთითე და მათ ეს ლამიდასტურეს. რაც სხვა პროვინციებს შეეხება (ყარსს და არდაჰანს), იქ მცხოვრებმა ერებმა საკუთარი ბედი თვითონ უნდა გადაწყვიტონ გარედან ჩარევის გარეშე.“⁵⁸⁸

586 Kriegesarchiv Wien, AOK NA 1918, K 3668, Pomiankowski an das k. u. k. Armeeoberkommando, 26.02.1918.

587 სესხა, ფ. 13, ა. 27, ხ. 5432, 29.1.1918 წ. კრების ოქმი, გვ. 2.

588 PA AA, R 11041, Matschabelli an AA, 24.1.1918.

3.1.9 კავკასიის ფრონტზე

ამ დროს აჭარის, საქართველოსა და კავკასიის ბედი უკვე ფრონტზე წყდებოდა. კედიას ინფორმაცია კავკასიის მთავრობასა და ოსმალეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ სწორი იყო. 1917 წ. ნოემბრის ბოლოს ენვერის განკარგულების შესაბამისად თურქეთის მესამე არმიის სარდალმა ფერიკ ვეჰიბ ფაშამ დროებითი ზავის დადება შესთავაზა კავკასიის ფრონტის ჯარების სარდალ გენერალ პრევევალსკის.⁵⁸⁹ 5 (18) დეკემბერს ერზინჯანში ხელი მოაწერეს დროებით ზავს. წინა დღეს კავკასიის არმიის მთავარსარდალი გენერალი ოდიშელიძე წერდა საზავო კომისიის თავმჯდომარეს გენერალ-მაიორ ვიშინსკის: „მდგომარეობა იმდენად კატასტროფულია, რომ საჭიროა, ზედმეტი ლაპარაკისა და ზედმეტი ცერემონიების გარეშე სასწრაფოდ მოხდეს დაზავება, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის რწმუნებულებს შეუძლიათ მოწმენი გახდნენ პირველი კორპუსის კატასტროფული რღვევისა.“⁵⁹⁰ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს მიიღეს ცნობა სამი დღის წინ, 15 დეკემბერს, ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულების შესახებ, რომელიც 17 დეკემბრიდან რუსეთის ფრონტის მთელ ხაზზე უნდა შესულიყო ძალაში, მაგრამ გადაწყდა ეხელმძღვანელათ არა ბრესტის, არამედ ერზინჯანის ხელშეკრულებით, როგორც უფრო გვიანდელით.⁵⁹¹ სადემარკაციო ხაზი თითქმის ყველგან შეესაბამებოდა არმიების პოზიციებს ხელშეკრულების დადების მომენტში. ეს ხაზი მთელი 1917 წ. განმავლობაში ხელშეკრულების დაუდებლადაც არ შეცვლილა. ფრონტზე ისედაც სინყნარე სუფევდა. 1916/1917 წწ. ზამთარი განსაკუთრებით მკაცრი იყო. სიცივის, მომარაგების სიძნელის, დეზერტირობის (1917 წ. თებერვლის რევოლუციამდე ძირითადად თურქების მხარეზე) და ავადმყოფობათა (ძირითადად, ტიფი) გამო მოქიშპე არმიები ბრძოლის უუნარონი იყვნენ. „ომი გაყინვასა და შიმშილობის შეჯიბრებად გადაიქცა.“ თებერვალში რუსებმა ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე ერთი 2700 მეტრი სიმაღლის მთა დატოვეს. „თურქული ქვეგანაყოფი, რომელმაც მთა მაშინვე დაიკავა, მეორე დილას გაყინული იყო.“⁵⁹² თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსულმა ფრონტმა მოშლა იწყო. 1 მაისს თურქები რუსებისგან

589 Документы и материалы, стр. 11.

590 საქ. ისგ. ნარკვევები, გვ. 547.

591 Документы и материалы, стр. 70.

592 Guse 1940, S. 92.



გენერლები ილია ოდიშელი-ძე და კონსტანტინე (კოტე) აბხაზი

უბრძოლველად დატოვებულ ქალაქ მუშში შევიდნენ.⁵⁹³ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ფრონტმა გახრწნა იწყო. ამას ფრონტის სომხურ და ქართულ მონაკვეთებად გაყოფამაც ვერ უშველა, პირიქით, დაასუსტა კიდევ.⁵⁹⁴

დროებით დაზავებას კავკასიის ფრონტზე არმიის სრული მოშლა მოჰყვა. შეიარაღებულ რუს ჯარისკაცთა ბრბომ სახლში დაბრუნება იწყო. ჯარის სრულ გახრწნას თან ერთვოდა ამიერკავკასიის კომისარიატის სრულიად უაზრო, „რუსეთის დემოკრატიისადმი“ ბრმა ერთგულებით აღსავეს პოლიტიკა. რუსეთისადმი ერთგულება გრძელდებოდა მას შემდეგაც, რაც 1918 წ. 5 (18) იანვარს დემოკრატიის უკანასკნელი იმედი – „რუსეთის დამფუძნებელი კრება“ – მეზღვაურმა ყელეზნიაკოვმა გარეკა უბრალო დასაბუთებით – „ყარაული დაიღალა!“⁵⁹⁵

593 Лудшувайт 1966, стр. 73.

594 Лудшувайт 1966, стр. 160.

595 Pipes 1992, S.366, თავის მოვლენებში, „რეალპოლიტიკურ/რეალპოლიტიკოსი“, ჯორდანია დასცილის კიდევ თანამებრძოლ ა. წერეთელს, რომელიც დამფუძნებელ კრებაზე გაგზავნეს და რომელსაც „კიდევ სწამდა პეგერბურგი“ – ჯორდანია, 1990, გვ. 85.

მაშინ, 1918 წ. 2 იანვარს კი, ჯორდანია ეროვნული საბჭოს აღმასკომის ხსლომაზე ოსმალეთთან ზავის საკითხის გახარკვევად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ამყარებდა იმელს – ფ.1836, ა.1, ს.2, გვ. 26.

GEORGIEN



Zusammenfassung

- Grenzlinie Georgiens
- Staatsgrenze
- Verwaltungsgrenze
- ethnographische Grenze
- Provinz- und Gouvernementsgrenze
- alte russ. Provinzgrenze

Nach dem St.-Lizewski-Vertrag selbstbestimmte Provinzen

— Küsten — gebirgig

საქართველოს რიგო საბჭოთა ფიგურების რიგო 1918 წელს საქართველოს
საქართველოს სახელმწიფო სახელმწიფო

4. 1918

4.1.1. იძულებით დამოუკიდებლობის გზაზე

ვეპიბ ფაშას 1918 წ. 1 (14) იანვრის წერილმა, რომ მის აღმატებულება ენვერ ფაშას „სურს გაიგოს, რა გზით შეიძლება დამოუკიდებულება აღდგეს დამოუკიდებელ კავკასიურ მთავრობასთან, რა წინადადებები აქვს კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას ორივე მხარეს შორის მშვიდობიანობის აღდგენის მიზნით,“⁵⁹⁶ დიდი შეშფოთება და დაბნეულობა გამოიწვია თბილისში. ორი კვირა მოუწდნენ კავკასიელები მსჯელობას, ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზე უშედეგო აზრთა გამოკითხვას და ბოლოს შემდეგი პასუხი აღირსეს თურქებს: „ამიერკავკასიის მთავრობას არ შეუძლია დაგიმალეთ თქვენ, ბატონო გენერალო, რომ მისთვის აუცილებელია თავისი გამოსვლები [ვისტუპლენია], ომის ლიკვიდაციისაკენ მიმართული, რუსეთის რესპუბლიკის ტერიტორიალურ ერთეულების სხვა ავტონომიურ მთავრობების აზრებსა და შეხედულებებს შეუთანხმოს.“⁵⁹⁷ ასე რომ, თურქების შეკითხვას პასუხი ვერ გასცეს. თურქების შემოთავაზებაზე, ბრესტ-ლიტოვსკში განახლებულ საზავო კონფერენციაზე წარმომადგენლები გაგზავნონ,⁵⁹⁸ კომისარიატი კიდევ ერთხელ დაჰპირდა, საბოლოო პასუხს მომავალში გაგცემთ, მაგრამ მოლაპარაკებებისათვის უკვე მზად ვართო.⁵⁹⁹ ამ დროს თურქებმა, სომხების მიერ ანიოკებული მაჰმადიანური მოსახლეობის დაცვის მომიზეზებით, უკვე გადალახეს სადემარკაციო ხაზი და წინ მიიწევედნენ. ამასობაში ბრესტ-ლიტოვსკიდან ცნობა მოვიდა, ბოლშევიკებმა არდაჰანი, ყარსი და ბათუმი თურქებს გადასცესო.⁶⁰⁰

596 **Документы и материалы**, стр. 24 – ქართული თარგმანი, ნომარე 1934, გვ. 22; მთელი საბჭოთა ისტორიოგრაფია შერეე აღლევებული იყო. **დამოუკიდებლობა როგორ შემოგებელესო**. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით იხ.: სილაგაძე/გურული 1998, ბრესტის მოლაპარაკებების შესახებ, იხ.: მსჯანძებ, ბრესტის ზავი და საქართველო, „ქართული დიპლომატია“, წელიწადული 3, თბილისი 1996, გვ. 285-303.

597 **Документы и материалы**, стр. 35-36 – ქართული თარგმანი, ნომარე 1934, გვ. 25; ესე იგი, მაგ: უკრაინას უნდა შეუთანხმოს, რომელიც ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთისგან დამოუკიდებლად იღებდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას და ამიგომ მათგან პასუხიც არ მიუღია.

598 **Документы и материалы**, стр. 52 ვეპიბ ფაშას 3 (16) იანვრის მიწვევა ბრესტ-ლიტოვსკში თბილისში 1 (14) თებერვალს მიიღეს.

599 **Документы и материалы**, стр. 60; ამიერკავკასიის კომისარიატის დეპეშა ვეპიბ ფაშას, 6 (19). 02. 1918.

600 **Документы и материалы**, стр. 85, 21 თებერვალს მომხდარი ამბავი



ჩრდილოეთ კავკასიელთა დელეგაცია თურქებთან ერთად ტრაპიზონის კონფერენციაზე. მარჯვნიდან მარცხნივ: აბდულ მეჯიდ (ტაპა) ჩერმოევ, ჰაიდარ ბამატოვ, მუჰამედ ყადი დიბირ, ჰიუსეინ რაუფ ბეი.

თურქეთში იმ დროს არსებულ განწყობილებას კარგად გამხატავს აჰმედ ბეი ალაოღლუს გაოცება, საზავო მოლაპარაკების შემოთავაზებაზე ვილაც „კეჩეკური“ რატომ ანერს ხელს და არა ვინმე აჰმედი ამ მემედი ანუ მაჰმადიანი, როცა კავკასიის 11-მილიონიანი მოსახლეობიდან 7 მილიონი მაჰმადიანიაო.⁶⁰¹

მალე ახლად ჩამოყალიბებული ამიერკავკასიის სეიმი, რომლის მთავრობის მეთაური, კომისარიატის მსგავსად, ისევ გეგეჭკორი გახდა, წავიდა საზავო მოლაპარაკებებზე ტრაპიზონში.⁶⁰² „ამბობენ რომ, როცა ტრაპიზონში მოსალაპარაკებლათ გაგზავნილი ამიერ-კავკასიის დელეგაცია გადმოვიდა დამხმარე კრეისერის „კაროლ კარლოსიდან“ ნაპირზე (ეს იყო 27 თებ. ძვ. სტ. 1918 წ.), ერთმა ოსმალომ შენიშნა: „თუ ეს არის პირობის შემკვრელ მხარის მთელი მოსახლეობა, მაშინ მოსულთა რიცხვი მცირეა და თუ ეს მხოლოდ დელეგაციაა, მაშინ მათი რიცხვი მეტად დიდია.“⁶⁰³

ტრაპიზონის მოლაპარაკებები უშედეგოდ დამთავრდა. 31 მარტს (ძ.ს. 13 აპრილს) სეიმში, ტაშის გრიალში, ირაკლი ნე-

თბილისში 2 მარტს შეიკვეცხ.

601 Kriegsarchiv Wien, AOK NA 1918, K 3668, Pomiankowski an das k. u. k. Armeecoberkommando, 26.02.1918.

602 ტრაპიზონის კონფერენციასთან დაკავშირებით იხ.: მ. სვანიძე, ტრაპიზონის კონფერენცია. 1918წ. 14 მარტი-14 აპრილი, „ქართული დიპლომატია“, წელიწადული 5, თბილისი 1998, გვ. 19-34.

603 ავალიშვილი 1929, გვ. 33.



ირაკლი წერეთელი

რეთელმა ომახიანად განაცხადა: „თურქეთის იმპერიალიზმმა ამიერკავკასიის დემოკრატიას ნაუყენა ულტიმატუმი, აღიაროს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. ასეთ ხელშეკრულებას ჩვენ არ ვიცნობთ. ჩვენ ვიცით, რომ ბრესტ-ლიტოვსკში რევოლუციურ რუსეთს სასიკვდილო განაჩენი უკარნახეს, და ჩვენი სამშობლოს ამ სასიკვდილო განაჩენს ჩვენ ხელს არ მოვანერთ (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).“⁶⁰⁴

ბათუმის დაცემის (1 (14) აპრილი) შემდეგ და თურქეთის ახალი ულტიმატუმების ზენოლის ქვეშ, სეიმმა 9 (22) აპრილს, როგორც იქნა, ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოაცხადა. ოსმალეთი და კერძოდ კავკასიის ფრონტის ჯარების მეთაური ვეჰიბ ფაშა უნებლიეთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ბეზიაქალად იქცა.

ასევე ბორძიკით და, აკაკი ჩხენკელის სიტყვები რომ ვიხმაროთ, „ზიგ-ზაგებით“⁶⁰⁵ მიდიოდა ქართული პოლიტიკური ელიტა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ.⁶⁰⁶

604 Документы и материалы, стр. 170.

605 უ. 1861. ა. 2. ს. 23, ა. ჩხენკელი ნოეს (რამიშვილს), 12.5.18, გვ. 2, დოკუმენტი გამოსცა ნინო გულავეამ, 1992.

606 მთელი ეს ამბები შესანიშნავად და დიდი იუმორით აქვს აღწერილი ვიქტორ ნოზაძეს, 1934.

4.1.2. ქართული კომიტეტი 1918 წლის დასაწყისში

1918 წ. 2 იანვარს გიორგი მაჩაბელმა და გიორგი კერესელიძემ ქართული კომიტეტის სახელით გერმანიის საგარეო საქმეთა უწყებას განუცხადეს: „დღევანდელი საერთო მდგომარეობის ძირფესვიანი გამოკვლევის შედეგად ქართული კომიტეტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოცემულ მომენტში და უახლოეს მომავალში მენშევიკებს ყველაზე დიდი გავლენა ექნებათ საქართველოში. ასეთ პირობებში საჭიროდ ვთვლით, ჩვენი პოლიტიკა ამ ფაქტებს შევუთანხმოთ და ჩვენი მომავალი მუშაობა არა მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წრით შემოიფარგლოს როგორც აქამდე, არამედ დავინწყოთ კავშირის გაბმა და გავლენის მოხდენა მენშევიკებზე. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ კერძო ურთიერთობების საშუალებით, რაც შესაძლებელია იმის გამო, რომ ჩვენი წრის წევრია, აგერ თითქმის სამი წლის განმავლობაში, მენშევიკებისათვის ცნობილი და პატივსაცემი პირი სოლომონ ვადაკური, რომელიც ისევე როგორც მენშევიკების ერთი ჯგუფი ტფილისში, საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეა. ...



ავსტრო-უნგრეთის იმპერატორისა და მეფის ფრანც იოზეფ I გარდაცვალების შემდეგ (1916 წლის 21 ნოემბერი) ტახტზე ავიდა სარაევოში მოკლული ტახტის მემკვიდრის, ფრანც ფერდინანდის, ძმისშვილი კარლ I (უნგრელთათვის კარლ IV)



1918 წლის 3 ივლისს გარდაიცვალა სულთანი მეჰმედ V რეშადი. ტახტზე ავიდა მისი ძმა, ოსმალეთის უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI ვაჰდეტინი

მან უკანასკნელ დროს რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი საქართველოში დაბრუნებისა და ამან ჩვენ კომიტეტში წარმოშვა აზრი მისი როგორც დამაკავშირებელი პირის გამოყენების შესახებ, ჩვენს კომიტეტსა და მენშევიკებს შორის. ჩვენ მასთანაც გვექონდა საუბარი და ვიკითხეთ, შეძლებდა თუ არა თავის პოლიტიკურ მეგობრებთან (რომელთა შორის არიან ჩხეიძე, ჩხენკელი, ნერეთელი, ჟორდანიასა და ამ პარტიის სხვა გამორჩეული წევრები) ამ მხრივ მუშაობას. ამასთან დაკავშირებით, მან განგვიცხადა, რომ ... ყველაფერს იღონებს, თავის მეგობრებს გადამწყვეტი პოლიტიკური ნაბიჯები გადაადგმევინოს...

როგორც გავიგეთ, 10 იანვარს პირველი რუსი სამოქალაქო ტყვეები მიემგზავრებიან რუსეთში. ჩვენ ძალიან მომგებნიანად მივიჩნევდით, თუ ის პირველივე მატარებლით შეძლებდა გამგზავრებას. ამჟამინდელ რუსეთის მთავრობას მისი პიროვნების სანინაალმდეგო, ალბათ, არაფერი ექნება, რადგან ის ერთერთ მთავრობის კომისარს, ჯულაშვილ-სტალინს, ეროვნებათა საკითხში კარგად იცნობს და მისი რეკომენდაციის იმედი აქვს.

საქართველოში ნაყოფიერად რომ იმუშაოს, კომიტეტი ითხოვს, ბატონ ვადაკურს რუსეთში ჩასვლის შემდეგ, რაიმენაირად გარკვეული თანხა გადაეცეს. ფულის გადარიცხვისა და თანხის რაოდენობაზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ.



გერმანელებისა და რუსების დამობილება ფრონტის ხაზზე. შობა-ახალი წლის დღეები 1917/18 წწ.

ასეთი ურთიერთობის დამყარება იმ პირობებთან, რომლებიც არა მარტო საქართველოში, არამედ, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკაშიც ასეთ როლს თამაშობენ, ისედაც არ იქნება გერმანული საქმისთვის უმნიშვნელო, განსაკუთრებით კი საქართველოსთან მიმართებაში, სადაც თავისუფალი სახელმწიფოს აღდგენა უახლოეს მომავალში მნიშვნელოვანს ხდის, რომ ეს (სახელმწიფო) გერმანიისკენ იყოს ორიენტირებული.⁶⁰⁷

„ქართული გაზეთის“ ასოთამნყოფმა სოლომონ ვადაკურამ (ვადაჭკორიამ) 1917 წ. 31 დეკემბერს პირველად მიიღო მონაწილეობა ქართული კომიტეტის სხდომაში, სადაც მას დაუზარელი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადეს.⁶⁰⁸ ვადაკურის მგზავრობა იანვარში ვერ განხორციელდა. თებერვლის ბოლოს ის მაჩაბელთან და ავსტრო-უნგრელ ობერლეიტენანტ ბრანდენერთან ერთად გეგმავდა სამშობლოში დაბრუნებას.⁶⁰⁹

4.1.3. ბრანდენერ-მაჩაბლის მისია

დღეიდერიუს ბრანდენერი 1916 წ. რუსებმა ჩაიგდეს ტყვედ. მან სამარიდან ბაქოში შეძლო გაქცევა, სადაც მაჰმადიანურ კომიტეტს დაუკავშირდა და მასთან ერთად 1917 წ. კავკასიის მაჰმადიანური არმიის ჩამოყალიბებაში იღებდა მონაწილეობას. ავსტრო-უნგრეთის არმიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ბრანდენერი გერმანიის საგარეო საქმეთა უწყების განკარგუ-

607 PA AA, R 21026, Matschabelli u. Keresselidze an AA, 2.1.1918: „ჯულაშვილ-სტალინს, ეროვნებათა საკითხში“, ვუქრობ, მაჩაბლის ხელთაა ჩამატებული.

608 სესხა, ფ.13, ა.27, ს.5430, ქართული კომიტეტის 31.12.1917 სხდომის ოქმი, გვ.13.

609 HHSta, X 155, Beilagen, an Botschafter von Bernstorff, 28.2.1918.



მოხუც ქალს შიმშილისგან გული მისდის სურსათის რიგში. გერმანია, 1916/17 წწ.

ლებაში გადასცა სპეციალური მისიის შესასრულებლად.⁶¹⁰ 1918 წ. 20 თებერვალს უნტერ-სტატს-სეკრეტარმა ფ. დ. ბუსემმა მაჩაბლისა და ბრანდენერისათვის დავალებათა მონახაზი გააკეთა.⁶¹¹ ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრების, ქართველ მაჰმადიანთა და კათოლიკეთა, თურქეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენლების და ჩეჩენი ჯემალედინ ალბოგაჩისგან შემდგარ დელეგაციას უნდა ჩადგომოდნენ სათავეში და კავკასიაში გამგზავრებულიყვნენ. გარდა კავკასიაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოგროვებისა, მათ ადგილობრივ დამოუკიდებლობის პარტიებზე გავლენა უნდა მოეხდინათ, რათა ამ პარტიებს ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ და დამოუკიდებელი ფედერალური სახელმწიფო გამოეცხადებინათ. მაჩაბელს ქართველებთან უნდა ემუშავა, ბრანდენერს კი – თათრებთან (აზერბაიჯანელებთან) და თათრული არმია ჩამოეყალიბებინა, საქიროების შემთხვევაში

610 Bihl 1992, S. 38; Zürer 1978, S. 32; HHSta, PA I 947, Pro domo Nr.501 Tagesbericht (Matscheko 24.1.1918), Storck an Czernin, 13. 3.1918.

611 PA AA, Rußland Nr. 97 a, Bd. 11, Bussche an Sektion Politik des Generalstabs, 13.2.1918.



შინგაგან საქმეთა
 მინისტრი თალაათ ფაშა

გერმანელი და ავსტრო-უნგრელი ტყვეების საშუალებით რუსეთის ჯარი განეიარაღებინა. ისინი თბილისში წერეთელს და ჩრდილოეთ კავკასიაში გაზავატს/არზამაკოვს უნდა დაკავშირებოდნენ და ასევე კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ თურქეთის წარგზავნილთან – ნური ფაშასთან. ალბოგაჩი/ალბოგაჩიევიც ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა წასულიყო. სპირიდონ კედიასათვის „კავკასიის დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ განწყობილ მენშევიკებთან“ საბრძოლველად გამოყოფილი და სტოქჰოლმში ჩარჩენილი ფული – 726.000 რუსული მანეთი მაჩაბლის განკარგულებაში გადადიოდა. 300.000-300.000 მანეთი თათრული და ჩეჩნური მოძრაობისთვის გამოიყო, 50.000 – სხვადასხვა ხარჯებისათვის.⁶¹²

ოთხ თებერვალს, ვარშავაში მაჩაბელთან შეხვედრის შემდეგ, თალაათ ფაშამ⁶¹³ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ არაფერი აქვს საქართველოში მაჩაბლის გამგზავრების სა-

612 ბრანდენერის მისიის შესახებ Bihl 1992, S. 38, SS. 154-156; Sead.: Zürer 1978, Deutschland-Nordkaukasien, 31 ff.

613 „თავადი მაჩაბელი თალაათ ფაშას სურვილის შესაბამისად, სამში საღამოს ვარშავაში უნდა გაემგზავროს და დიდუშორს იქ შეხედეს. კულმანი“, Brest-Litovsk, 2.02.1918 - BA, MF, D 818849.

3 თებერვალს ქართული ეროვნული კომიტეტის კრებაზე მაჩაბელმა ჩამოაყალიბა ის საკითხები, რომლის შესახებაც ექნებოდა საუბარი 4 თებერვალს (ლოკუმენტში შეცდომით წერია იანვარი) თალაათ ფაშასთან. უმნიშვნელოვანესი იყო: „საჭიროა გამოირკვეს ოსმალეთის ჩვენდამი განწყობილება, რათა ოსმალეთმა კატეგორიულად გამოაცხადოს, რომ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე (გარდა იმისა, რაც მას ეჭირა ამ ომის წინ) იგი არაფერს პრეტენზიებს არ აცხადებს და რომ ოსმალეთი არც პროპაგანდისტებს არ გაგზავნის აჭარაში...“ – სხცხა, ფ.13, ა. 27, ს.5432, გვ. 11.



ღერძის სახელმწიფოთა დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკში. მარცხნიდან მარჯვნივ: გერმანელი გენერალი მაქს პოფმანი, ავსტრო-უნგრეთის საგ. საქ. მინისტრი ოტოკარ ფონ ჩერნინი, ოსმალეთის დიდი ვეზირი და შინ. საქ. მინისტრი თალაათ ფაშა და გერმანიის საგ. საქ. მინისტრი ფონ კიულმანი

წინააღმდეგო. მართალია, თურქებმა 5 თებერვლის პროტოკოლზე ხელი არ მოაწერეს,⁶¹⁴ მაგრამ მაჩაბლის ამ დიპლომატიური ნიჭის ნაყოფმა იმათი პოზიციები მაინც გაამაგრა, ვინც თურქეთისაგან დამოუკიდებელი კავკასიური პოლიტიკის მომხრე იყო – პირველ რიგში ვეზენდონკი და ნადოლნი და ამ დროისთვის უკვე ლუდენდორფიც.⁶¹⁵ მეორე მხარეზე იდგნენ – კიულმანი, ბერნსტორფი და მაისამდე ლოსო, რომლებიც თელიდნენ, რომ კავკასიაში ინიციატივა მოკავშირე ოსმალეთისთვის უნდა დაეთმოთ.⁶¹⁶

614 მაჩაბელი - თალაათის მოლაპარაკებებს ვარშავაში ელჩი პაკკი ფაშა და იმეჯ ფაშა ესწრებოდნენ. პაკკიმ და იმეჯმა განაცხადეს, რომ პროტოკოლს კონსტანტინოპოლიდან კავკასიაში წამსვლელ დელეგაციას თან გააგანდნენ. მაჩაბლის წინადადება იყო ქართულ-თურქული სახვეწარლოფიციალური დელეგაციის მივლინება კავკასიაში. შეად: Bihl 1992, S. 232.

615 შეად: Fischer 1964, S. 734.

616 შეად: Zürrer 1978, Kaukasien, S. 32-33. გერმანიის ელჩი ბერნსტორფი თელიდა, რომ მაჩაბლის გაგზავნა შედეგით გახდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა თანხმობა განაცხადა კავკასიის კომისარიატთან სამშვიდობო მოლაპარაკებები ეწარმოებინა. იქვე, შენიშვნა 44, გვ. 496.




ლევ ტროცკი (1) და ადოლფ იოფე (3) ბრესტ-ლიტოვსკში, დეკემბერი, 1917.

ასე იყო ისე, კავკასიაში არსებული რეალური მდგომარეობის გარკვეულ ცილებელი გახდა. ბრესტ-ლიტოვსკში ქართველები და კავსიელები წარმოდგენილნი არ იყვნენ, მიუხედავად ქართული კომიტეტის მცდელობისა, კავკასიის საკითხი დასაწყისში სრულად მეორეხარისხოვანი თემა იყო. კიულმანი მხოლოდ ერთხელ დაბრუნდა კავკასიაში არსებული მდგომარეობით და ტროცკისგან ზოგადი და არაპირდაპირი პასუხი მიიღო – სიტუაციას რუსული ჯარები აკონტროლებენო. როზენბერგის დასკვნით, ბოლშევიკების სამხედრო მინისტრმა სინამდვილეში არაფერი იცოდა კავკასიაში მიმდინარე პროცესების შესახებ და ასეთი პასუხით ცდილობდა დაერწმუნებინა მოწინააღმდეგე, რომ კავკასიაშიც კონდა გაელენა.⁶¹⁷ ტროცკის პასუხის გამოქვეყნების შემდეგ ქართველებმა (ქართული კომიტეტი) თავიანთი შეშფოთება გამოატეს ამის გამო.⁶¹⁸ მაგრამ თვითონ ქართულმა კო-

617 BA, MF 88649, Rosenberg an AA, 21.01.1918; შეად.: Zürner 1978, Kaukasien, S. 32.

618 BA, MF 88646, Bussche an Rosenberg, 20.01.1918.



რუსეთის დელეგაციის წასვლა ბრესტ-ლიტოვსკში

მიტეტმაც ბევრი არაფერი იცოდა ამიერკავკასიაში არსებული სიტუაციის შესახებ, გარდა იმისა, რომ ძალაუფლება მენშევიკების და არა ბოლშევიკების ხელში იყო.

1918 წ. დასაწყისიდან საქართველოში გამგზავრების საკითხი მთავარ თემად იქცა ქართული კომიტეტის სხდომებზე. დგებოდა წამსვლელთა სიები,⁶¹⁹ დისკუსია მიმდინარეობდა გამგზავრების გზებსა და ექსპედიციის ხელმძღვანელობაზე. მაგ., 12 თებერვლის სხდომაზე ითქვა, რომ: « [მაჩაბელი:] სასიამოვნოა, ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენ კიდევ გვეძლევა საშუალება საქმე გავაგრძელოთ. გერმანიის მთავრობა გვპირდება დახმარებას. უეჭველია გერმანიას ურჩევნია ჩვენთან ცალკე ჩამოაგდოს ზავი. ... საჭიროა ჩვენს მთავრობას გაუადვილოთ საქმე და გავაორკეცოთ ჩვენი მოქმედება. ...

სამინისტროში შემომთავაზეს უკრაინიდან წასვლა. მე უარი ვთქვი ბევრი მოსაზრებით. ერთი – საჭიროა დახმარება, მეორე – არ ვანწყენინოთ ოსმალებს და სხვა.

საჭიროა ერთი კაცი წავიდეს უკრაინიდან რომ შეატყობინონ

619 ბერლინიდან – მაჩაბელი. ვადაკური, ხულევიძან ვარშანიძე, ლორთქიფანიძე, ახმედ ლევიძე, კონსტანტინოპოლიდან – სურგულაძე, შალვა ვარდიძე, ჩახრუხაძე, გორდელაძე – სსცხა, ფ.13, ა. 27, ს.5432, გვ. 9ა, 8.2.1918.



ხელმოწერა ცეცხლის შეწყვეტაზე ბრესტ-ლიტოვსკში, 15 დეკემბერი, 1918 წ.

ჩვენი ჩასვლა. მხოლოდ სოლომონი საჭიროა ჩვენ წამოგყვეს. იცნობს სხვადასხვა გავლენიან სოციალისტებს. ჩემის აზრით წამსვლელნი იგივენი უნდა იყვნენ.


ჩემის აზრით უკრაინაზე შეიძლება წავიდნენ კიკნაძე და კანდელაკი. ისინი შეატყობინებენ მიხა წერეთელს და სპირიდონ კედიას ჩვენ ჩასვლას.

სოლომონ: რაც შეეხება პეტრე სურგულაძეს, იქნება არ წამოვიდეს. თუ წამოვიდა, მართლაც ამისთანა საქმეების ფხა ვერ გამოიჩინა და ვერ გამოდგება. ...

გ. მაჩ: თუ ექსპედიციაში წამოვიდა ხელმძღვანელობას ვერ დაუთმობთ, რადგან ვერ მოახერხებს და არა იმიტომ რომ მინდა ეს პირველობა.⁶²⁰

22 თებერვლის სხომაზე წამსვლელებს კიდევ ორნი (კაპიტანი იმნაძე და პორუჩიკი ქუთათელაძე) დაემატნენ. მაჩაბელმა წინადადება წამოაყენა, რომ „ექსპედიციას ერქვას არა სახელი კომიტეტისა, არამედ საზღვარ გარეთ მყოფ ქართველებისა.

უმთავრესად ექსპედიცია ეცდება გაცნოს საქართველოს მთავრობას ოსმალეთის მთავრობის აზრი. ამ ექსპედიციის არალეგალური შესწავლა საქართველოში იქნება სრულიად უმნიშვნელო, საჭიროა სრულიად ლეგალურად შევიდეს, რო მი-



ბათუმის პორტი
 XX საუკუნის
 დასაწყისში

აღნიშნული თავის მიზანს.⁶²¹

1 მარტს შედგა კომიტეტისა და ორივე (უკრაინის და ოსმალეთის გავლით მიმავალ) ექსპედიციის წევრთა შეერთებული კრება. მაჩაბელი: „როდესაც პირველად დაიბადა ოსმალეთით საქართველოში ექსპედიციის საკითხი, მაშინ ჩვენ სრული სხვა აზრი გვქონდა. ჩვენის აზრით საჭირო იყო აგვემოქმედებინა ჩვენი პასიური მთავრობა. გაგვეცნო მისთვის, რომ ოსმალეთთან საკითხი არც ისე ძნელია. ... მერე ცნობა მოვიდა, რომ უნდა კავკასიას ზავი. ... ეხლა ამ ექსპედიციას ინფორმაციული ხასიათი ექნება. უეჭველია, სანამ ჩვენ იქ ჩავალთ მოლაპარაკება დაიწყება კავკასიისა და ოსმალეთის მთავრობათა შორის. ...

მე კი ვგონებ, რომ ოსმალეთს იმდენი თავსატეხი საქმე აქვს, რომ ისეთ ფანტასტიკურ პლანებს დაადგეს, როგორც კავკასიის დაპყრობა.

ვნახავთ ჩვენს მთავრობას და მივიღებთ პირდაპირ ინსტრუქციებს. ...

სოლომონ: ნამდვილ რეალურ პოლიტიკას კი ვერ ახერხებენ. - როცა პალესტინა დაიპყრო ინგლისმა ქართველი ალტაცებით მიეგება პალესტინის განთავისუფლებას და საქართველო კი რომ გათავისუფლდა ეს თითქმის არაფერი. ასეთი მოკლე ჭკუის პოლიტიკა ჩვენში ხშირია.

ჩვენ შეგვიძლია ავახელინოთ თვალი, დავანახოთ მათ, როგორ უნდა ანარმოვონ ნამდვილი პოლიტიკა.⁶²²

მაჩაბლის იმედი, რომ ოსმალეთი კავკასიის დაპყრობის

621 სსსსა,ფ.13,ა. 27,ს.5432,გვ. 20.

622 სსსსა,ფ.13,ა. 27,ს.5432,გვ. 23,23ა.



ოსმალური მარკა საფოსტო
 ბეჭდით „ბათუმი 3“. 1918 წ.

„ფანტასტიკურ პლანებს“ არ დაადგებოდა, არ გამართლდა. უკვე თებერვლის ბოლოს მოკავშირეები მორიგდნენ, მხარი დაეჭირათ სამ სანჯაყზე თურქეთის პრეტენზიებისთვის. სწორედ 1 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკში, ბოლშევიკებმა უდრტ-ვინველად მოისმინეს მონინალმდეგე მხარის სამშვიდობო პირობები, რომლებიც ყარსის, არდაჰანისა და ბათუმის დეტოვებასაც მოიცავდა. ორი დღის შემდეგ მოლაპარაკებებზე რუსების ახალმა წარმომადგენელმა სოკოლნიკოვმა თანხმობა განაცხადა ხელი მოეწერა მონინალმდეგეთა მიერ ნაკარნახევ პირობებზე.⁶²³ მართალია, ხელშეკრულების მიხედვით ეს ტერიტორიები პირდაპირ კი არ გადადიოდა თურქების ხელში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ეს დოკუმენტი ოსმალეთის არმიას საბოლოოდ უღებდა კარს კავკასიისკენ.⁶²⁴ „14 აპრილს მესამე არმია პრაქტიკულად უბრძოლველად ბათუმში შევიდა. გენერალმა გედევანოვმა 3000-კაციანი გარნიზონით, მათ შორის 600 ოფიცერი, კაპიტულაცია მოახდინა. ... ბრიტანელებმა, რომლებსაც მანამდე კიდევ სჯეროდათ, რომ შეძლებდნენ

623 შეად.: Zürrer 1978, Kaukasien, S. 36.

624 გერმანულ ენაზე ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებასთან დაკავშირებული დოკუმენტები გამოცემული აქვს ჰალევეს. Der Friede von Brest-Litovsk. Hrsg. von W. Hahlweg. = Quellen zur Geschichte des Parlamentarismus und der politischen Parteien. Band 8. Düsseldorf 1971; 1918 წ. 12 მარტს „ნახობგენშტელეს“ თანამშრომელმა დრ. კაუფმანმა „Norddeutsche Allgemeine Zeitung“-ში გამოაქვეყნა ინტერვიუ პაკო ფაშასთან („Kars, Erdahan, Batum. Eine Unterredung mit dem türkischen Botschafter Hakki Pascha.“), რომელშიც პაკო ამბობს, რომ თურქებმა ეს ტერიტორიები უზუნ-პასანის (თურქული გომების ყარახა და ყოინლუს მბრძანებელი) და გრაჰიმონის სამეფოებისგან მიიღეს და ოთხი საუკუნის განმავლობაში თურქეთის ხელში იყო.



გერმანული ინფანტერიის ასვლა სატრანსპორტო გემზე

მტრისათვის გზა გადაეღობათ, ფარ-ხმალი დაყარეს. Russia Committee-მ ლაკონიურად დაასკვნა, რომ რეჟიმს თბილისში ველარაფრით დაეხმარებოდა.⁶²⁵

მუდმივად ცვალებადმა მდგომარეობამ კავკასიის გარშემო, გერმანელების მერყეობამ და თურქების ამკარა თუ ფარულმა წინააღმდეგობამ ხელი შეუშალა მაჩაბელი-ბრანდნერის მისიას. მაჩაბელი და ბრანდნერი მარტში კონსტანტინოპოლში ჩარჩნენ. მაჩაბელი, რომელიც თურქებს ტრაპიზონში არ გაუშვიათ, უკვე მარტის დასაწყისში აპირებდა უკან დაბრუნებას ბერლინში.⁶²⁶ აპრილის დასაწყისში პომიანკოვსკისთან საუბარში მაჩაბელს უთქვამს, რომ დიდგვზირი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხისადმი თებერვლის დასაწყისში კარგად იყო განწყობილი, ახლა სრულიად სანინააღმდეგო აზრისაა და რომ თურქები ბრანდნერს არ ენდობოდნენ, რადგანაც ხშირად მაჩაბელთან ერთად ხედავდნენ. ბრანდნერის, როგორც გერმანელი აგენტის, გამოსადეგობაში ეჭვი გერმანელებსაც შეეპარათ.⁶²⁷

625 Zürrer 1978, Kaukasien, S. 49.

626 HStA, Pl 192, Informativer Bericht Nr.100, Konstantinopel, 6.3.1918.

627 HStA, KA, AOK, Na. Abt. Zl. 9075 v.15.4.1918: Pomiankowski an Chef Generalstab (9.4.1918), Bihl 1992, S. 157 u. 155-მობეჯვით.



გერმანიის სტოქჰოლმის საელჩოს მიერ ოსმან ბეისთვის (იგივე მელიტონ ქარცივაძე) გაცემული დროებითი პასპორტი ბარნაბა გამსახურდიას სახელზე

1918 წ. აპრილში საგარეო საქმეთა უწყებამ ქართველებთან (კავკასიელებთან) დაკავშირებით ახალი გეგმები შეიმუშავა: 1. წერეთელი და ოსმან ბეი აპრილის შუა რიცხვებში ოდესაში უნდა გამგზავრებულყვნენ, საიდანაც ბათუმის გავლით სამშობლოს უნდა დაკავშირებოდნენ. 2. მაჩაბელი გერმანიის ახალელქს რუსეთში გრაფ მირბახს⁶²⁸ მოსკოვში უნდა გაჰყოლოდა და იქნადაგი მოესინჯა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შანსებთან დაკავშირებით. თუ ამის პერსპექტივა იქნებოდა, წერეთელს მისთვის ოფიციალუ-

628 Frankfurter Zeitung, Nr. 146 (erstes Morgenblatt), 28.5.1918-ში იუწყებოდა, რომ „13 მაისს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო გრაფი მირბახის შემოთავაზება რუსეთის მთავრობასა და „ე.წ.“ ამიერკავკასიის მთავრობას შორის შუამავლობის გაწვევის შესახებ. ... 22 მაისს გერმანიის ელჩმა შუაგყობინა სახალხო კომისართა საბჭოს, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ მოქალაქე მაჩაბელი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში თავის წარმომადგენლად დანიშნა და ამავე დროს წინადადება შემოიტანა მოლაპარაკებების აღვილად კიევი აერჩიათ.“



გენერალი გაბაშვილი და მისი ადიუტანტი

რი მანდატი უნდა ეშოვა თბილისში. 3. გერმანიის ადმირალთა შტაბს სთხოვეს ხელშეწყობა ამიერკავკასიაში კონსულების გაგზავნაში. 4. ალბოგაჩიევს უნდა ეცადა სკანდინავიის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში მოხვედრა, მთიელთა მიზნების გამოსარკვევად. 5. ქართველ სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციისა და შეიარაღების საკითხი გადანყდებოდა, როგორც კი ჯერ რუსეთი და შემდეგ გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას აღიარებდნენ.⁶²⁹

ამ გეგმების უმრავლესობაც ვერ განხორციელდა. ბრანდ-ნერმა მისში კავკასიაში ჩააღწია და იქიდან რამდენიმე საინტერესო ინფორმაციაც გამოგზავნა, მაგრამ ამ დროს უკვე გერმანელებიც იყვნენ კავკასიაში და ტრაპიზონის კონფერენციისგან განსხვავებით, ბათუმის მოლაპარაკებებში იღებდნენ

629 PA AA, Rußland 97a, Bd. 12, 4.4.1918 AA an Generalstab; 30.3.1918 AA an Bernstorff. იცტირებულია Zürner 1978, Kaukasien, S. 49-შიხედეით. შუად. იქვე შენიშვნა 91, გვ. 502: ქართველი ემიგრანტების მიერ შემოთავაზებული კავკასიელ სამხედრო ტყვეთა სამუქლებით უკრაინაში პეგლიურას ეროვნული ძალების გაძლიერება და სანაცვლოდ კავკასიაში მყოფი უკრაინელების სამხედრო დახმარება ამიერკავკასიის კომისარიაგისათვის, ბერლინში მხანმუწონილად არ მიიწინეს თურქულ-ქართული ურთიერთობების გამორკვევამდე.



გენერალი ფონ ლოსო



გენერალი ფონ კრესენშტაინი

მონაწილეობას. ბრანდნერს საუბრები ჰქონია ჯერ მაგალოვთან, (თათრული) ველური დივიზიის მეთაურთან, 19/20 მაისს ეროვნულ-დემოკრატებთან (გაბაშვილი, თაყაიშვილი, ვეშაპიძე, ვაჩნაძე, ამირეჯიბი), რომლებსაც თურმე გერმანელ-ავსტრო-უნგრელთა შემოსვლა უნდოდათ კავკასიაში. ვაჩნაძეს უთხოვია ობერლეიტენანტებისთვის, კაიზერისთვის და იანკისთვის, რომელიც გერმანელ ტყვეებზე ზრუნავდა, რომ გერმანელ სამხედრო ტყვეთაგან შეექმნათ საჯარისო ერთეული. 21 მაისს ბრანდნერს უსაუბრია სოციალ-დემოკრატებთან – ნერეთელთან, ჩხეიძესთან, გეგეჭკორთან, რამიშვილთან. ირაკლი ნერეთელს უთქვამს, „ქართველთა მზერა მიპყრობილია გერმანიისკენ და იქიდან ელიან შველას. ქართველები არასდროს დაივინყებენ, თუ გერმანია მათ თურქული საფრთხისგან იხსნის.“ საერთოდ, ბრანდნერის აზრით, „ყველა ქართველი“ გერმანიის დახმარებას ნატრობდა. აზერბაიჯანელებთან დაკავშირებით ის იუწყებოდა, ბაქოს ინტლიგენციას დამოუკიდებელი კავკასია უნდაო, ელიზავეტოპოლელებს კი თურქეთთან შეერთება.⁶³⁰

630 HStA, PA X, Rußland 155, Liasse XI, K 1, Bericht Leutnant Brandners, Batum, 25 Mai 1918 და Bihl 1992, S. 156 u. Anm. 25. ბრანდნერამდე თბილისში ქართველ ნაციონალისტებს შეხვდა გერმანელი ოფიცერი კაიშერი. ამის შესახებ ვაგაშვილმა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომისიებს მოახსენა 14 მაისს



ვერნერ ფონ დერ შულენბურგი
 თამარის ორდენით, თბილისი, 1918 წ.

24 მაისს ბრანდნერმა ლოსოს ბათუმში აცნობა, რომ ის და სოლომონ ვადაკური ბაქოდან თბილისში მგზავრობის დროს კიურდემირთან თათარ ყაჩაღებს გაუძარცვავთ.⁶³¹

ივნისში, თბილისიდან ბაქოში მგზავრობის დროს იველახთან, ბრანდნერი, როგორც ჩანს, მსგავს ბანდიტურ თავდასხმას ემსხვერპლა. 1918 წ. სექტემბერში ბრანდნერის გაუჩინარებასთან დაკავშირებული გამოძიება შეწყდა.⁶³²

4.1.4. ქართული კომიტეტის არსებობის ბოლო თვეები

ქართველოში მეტ-ნაკლებად ლეგიტიმური ხელისუფლების გამოჩენამ სერიოზულად შეარყია. გერმანია და მისი მოკავშირეები ამ ახალ ხელისუფლებასთან ცდილობდნენ კავშირის დამყარებას. ქართული კომიტეტი ცდილობდა მოვლენებზე რამენაირი გავლენა მოეხდინა, მაგრამ მოკავშირეთა მზარდ უარყოფით დამოკიდებულებას აწყდებოდა. 3 აპრილს გრაფ ჩერნინს მიმართეს მემორანდუმით, რომელშიც ნათქვამი იყო,

– სხვა.ფ. 1836,ა.1,ს.2,სხდომის ქურნალი № 58.

631 PA AA, Rußland Nr. 97a, Bd.14, Beih.V, Brandner an Losow, 24.5.1918.

632 Bihl 1992, S. 156 u. Anm. 28, 29, 30.



გერმანელები თბილისში, 1918 წლის ივნისი

რომ ბრესტ-ლიტოვსკში საქართველოს წარმომადგენლები არ ყოფილან, მაგრამ თალაათ ფაშა მაჩაბელს დაჰპირდა, რომ საქართველოს ტერიტორიებზე არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა. ქართველები თავიანთ ტერიტორიად მიიჩნევდნენ ბათუმს, არდაჰანსა და ყარსის პროვინციის ნაწილს, სადაც ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ, რომელთა დიდი ნაწილი თურქულად არ ლაპარაკობდა. ნ აპრილს ელჩმა ჰოენლოემ ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველები არ მიიღო, რადგანაც იმ დროს, როდესაც მოკავშირე თურქეთთან ასე გართულებული იყო ურთიერთობა, ამ ბატონების მიღება, რომელთა საქმიანობა ძირითადად თურქეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მიზანშეწონილად არ ჩათვალა.⁶³³ ქართული კომიტეტის გაფრთხილებები, კავკასიაში პირველობა თურქეთისათვის არ დაეთმოთ, რადგან გერმანული პოლიტიკისათვის „კავკასია როგორც ხიდი, როგორც გზა სპარსეთის, ავღანეთისა და ცენ-

633 HHStA, PA I 947, Hohenlohe an Czernin, 6.4.1918 u. Beilage; Bihl 1992, S. 157-მხოვდით.



გერმანელი ჯარისკაცის დაკრძალვა თბილისში. პროცესიაში – გენერალი გაბაშვილი, კაპიტანი ეგან-კრიგერი და ფონ შულენბურგი

ტალური აზიისაკენ თავისუფალი უნდა დარჩეს,⁶³⁴ არ გაიზიარეს. ბერნსტორფი თავის მხრივ კი აფრთხილებდა საგარეო უწყებას, ყური არ ეგდოთ ასეთი „სირინოზების“ ხმებისთვის, მით უმეტეს, რომ ქართველ ემიგრანტებს არანაირი მანდატი არ ჰქონდათ თავიანთი ერისგან მინიჭებული.⁶³⁵

მიუხედავად ამისა, გერმანელები მაისშიც ცდილობდნენ ქართველ ემიგრანტთა საშუალებით ინფორმაციის მოპოვებას და თან თურქებსაც აჩვენებდნენ, რომ საქართველოსთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გეგმებიც ჰქონდათ. ასე, მაგალითად, ოდესიდან სევასტოპოლში წყალქვეშა ნავებით გადაიყვანეს ორი ქართველი, შემდეგში საქართველოში გასამგზავრებლად. 21 მაისს აპირებდნენ გერმანელების ხელში მოხვედრილი სატორპედო გემ „ზორკით“ ფოთში ქართველების ჩაყვანას და გერმანული „დროშის გამოჩენას“, როგორც ამას ჯერ კიდევ 12 მაისს ლუდენდორფი მოითხოვდა.⁶³⁶ ამ დროს, როგორც იქნა, ყირიმში ჩააღწია სპირიდონ კედიამ, რომელიც აღჭურვილი იყო მოლაპარაკებებისათვის საჭირო მანდატე-

634 PA AA, Rußland 97a, Bd.12, Matschabelli, 22.3.18.

635 PA AA, Rußland 97a, Bd.12, Bernstorff, 22.3.18.

636 Bihl 1992, S. 58.



გერმანელების სამხედრო დელეგაცია და ქართველები თბილისში

ბით,⁶³⁷ მაგრამ ბერლინში ის მაინც ჩხენკელზე ბევრად უფრო ადრე ვერ ჩავიდა და დამოუკიდებლად მოლაპარაკებების გამართვაც არ დასცალდა.

ემიგრანტ ქართველებს, გარდა სიტყვიერი და წერილობითი პროპაგანდისა, ბევრი სხვა საშუალება აღარ ჰქონდათ მოვლენებზე ზეგავლენისა.

1918 წლის აპრილიდან მოყოლებული გერმანელებმა უამრავი გეგმა და ინსტრუქცია შეიმუშავეს კავკასიასთან და განსაკუთრებით საქართველოსთან დაკავშირებით, მაგრამ ეს უკვე ქართულ-გერმანული ურთიერთობების ახალი ეტაპია, სადაც ქართული კომიტეტი თითქმის არანაირ როლს აღარ თამაშობს. 1 მაისს ბათუმის მოლაპარაკებებზე გერმანიის წარმომადგენელი, ლოსო, ბათუმს გაემგზავრება. მასთან იქნებიან გრაფი შულენბურგი და ცოტა მოგვიანებით ოტო გიუნტერ ფონ ვენდონკი.⁶³⁸ ბერნსტორფის სიტყვებით, თურქეთის წარმო-

637 ხალია 1995, გვ. 70. მაქსინდა თუ არა თან სპირიდონ კედას ან გამოიყენეს თუ არა ოდესმე საქართველოს ეროვნული საბჭოს მანდაგები (Certificat) მიხეილ წერეთლის, ვიორგი მაჩაბლის და სხვათათვის კორდანიას ხელმოწერით. 7 მარტს 1918 წლისა, გაურკვეველია. მანდაგის ასლი - ფ.1836, ა.1, ს.1, გვ. 131, გვ. 38. 28 მაისს ბერლინში ჩასულ კედას რწმუნებულებას ჩხენკელის ხელმოწერა ჰქონია - „ქართული გაზეთი“, № 12 (52), 11 ივნისი. ვიყუადმირალ ალბერტ ჰოპმანის დღიურში ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ის 22 მაისს სევესტოპოლში კავკასიის მთავრობის წარმომადგენელს შეხვედრია. ჩემის ამრით, აქ კედა იგულისხმება და არა ჩრდილოეთ კავკასიელი ბამაგი, როგორც ეს გამოცემის შენიშვნაშია ნაჯარაუდევი - Baumgart (Hrsg.) 1971, S.498.

638 ბათუმის მოლაპარაკებების შესახებ, იხ.: Baumgart 1966, S.177-179, Trum-pener 1968, pp. 176-178, Zürer 1978, Kaukasien, S.66-68, Bihl 1992, S.51ff; მ.



ჰალილ ბეი, ოსმალეთის ელჩი ბერლინში

მადგენელ ჰალილ ბეის უთქვამს: „წავიდეთ მალე, თორემ ავსტრიელები და ბულგარელებიც მოინდომებენ ჩვენთან ერთად გამომგზავრებას!“⁶³⁹ თურქების გაუთავებელმა საბოტაჟმა და გაუმძღვრობამ ლოსო, რომელიც თავიდან პროთურქულად იყო განწყობილი, კავკასიისა და საქართველოსკენ შემოატრიალა. რასაკვირველია, კავკასიის ილუზორული სიმდიდრე არც აქ და არც ბერლინში უკანასკნელ როლს არ თამაშობდა. ლოსო ბათუმიდან იწერებოდა: „აქ დიდი, მდიდარი ქვეყანაა გასაცემი. ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა ალბათ მრავალი საუკუნის განმავლობაში აღარ განმეორდება. საკითხი გრანდიოზულია, გამოცდის დრო მოკლე.“⁶⁴⁰ გრაფი შულენბურგი 25 მაისს თბილისიდან წერდა ლოსოს: „მხოლოდ საქართველოს თუ შვეინარჩუნებთ, დანარჩენი კავკასიაც ადრე თუ გვიან ხელში ჩაგვცივარდება.“⁶⁴¹

სვანძე, ბათუმის კონფერენცია და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება (1918 წლის 11 მაისი – 4 ივნისი). „ქართული დიპლომატია“, წელიწადული 6, თბილისი 1999, გვ. 183-207, ოლონდ, ფონ ვეზენდონკი „საზღვაო საკითხების მრჩეველი“ (გვ. 186) არ ყოფილა.

639 Bihl 1992, S. 49.

640 Baumgart 1966, 179; Baumgart 1970, 76, Anm. 147.

641 PA AA, Rußland Nr. 97a, Bd. 14, Beih. V, Schulenburg an Lossow, 25.5.1918.



გენერალი გიორგი კვინიტაძე (სიგარეტით პირთან) და კაპიტანი ედუარდ იენიო ფონ ეგან-კრიგერი, გერმანული სამხედრო მისიის ხელმძღვანელი თბილისში

მას შემდეგ, რაც 22 მაისს აკაკი ჩხენკელმა ლოსოს აცნობა, რომ საქართველო მზადაა დამოუკიდებლობა გამოაცხადოს და ბერლინს დაცვას სთხოვს, ყველაფერი დიდი სისწრაფით განვითარდა.⁶⁴² 26 მაისს, როცა ლოსომ ჩხენკელთან, სომხეთის წარმომადგენლებთან და ყალმუხ თავად თუნდუტოვთან ერთად ფოთიდან გემ „მინა ჰორნიტ“ გეზი გერმანიისკენ აიღო, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

გაზაფხულის დაძაბულ დღეებში ქართული კომიტეტის ზოგი წევრი ოსმალეთიდან ცდილობდა სამშობლოსთან დაკავშირებას, ზოგიც – უკრაინიდან, ზოგმა, მაგალითად, სურგულაძემ, ბათუმამდეც კი ჩააღწია მაისში. ბერლინში, როგორც ჩანს, კომიტეტის კრება ზაფხულამდე აღარ გამართულა. ყოველ შემთხვევაში, ოქმებს ვერ მივაკვლიეთ. ზაფხულის დასაწყისში კი კომიტეტის ძირითადი ბირთვი ისევ ბერლინში იყო და ლოიალურად ასრულებდა საქართველოს მთავრობის (ჩხენკელის სახით) დავალებებს. 21 ივლისის სხდომაზე პირველ და ერთადერთ საკითხად ქართული კომიტეტის ლიკვიდაცია იდგა.

642 Zürrer, Kaukasien, S.73.



ტფილისის გერმანიის
 საკონსულოს კონვერ-
 ტის „დახალუქი“ მარკა



ავსტრიული თუთუნის ქაღალდის კომპანია
 „აბადის“ მიერ გამოცემული სურათი საქართ-
 ველოს დროში, მსოფლიოს დროშებისა და
 გერბების კოლექციისათვის

ლიკვიდაციის შესახებ საუბრები წინათაც ყოფილა. ქართული კომიტეტის უკანასკნელ კრებაზე სხდომის თავმჯდომარემ მაჩაბელმა თქვა: „ეს საჭიროა, რადგან ჩვენ სახსარი არა გვაქვს მატერიალური არსებობისა. ეხლა ჩვენი მთავრობა შესდგა. ამას წინათ ჩხენკელმაც მთხოვა მოგვეწყო ლიკვიდაცია. მეტის სიმპატიით მოიხსენია ჩვენი მუშაობა და სთქვა, რომ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს ისტორიაშიო – ამიტომ დოკუმენტები უნდა შეინახოთო [ნო?]. ეხლა საკითხია ვინ წავა და ვინ დარჩება. ეხლა ორი სხვა და სხვა საკითხია. კომიტეტი და გაზეთი. გაზეთი დარჩება კიდეც ერთი ორი თვე ალბად. ეს გაზეთი არის ნახრიბტენშტელეს ხელში. ჩვენ უნდა მადლობელი ვიყვეთ გერმანიისა, რომ ამისთანა ინტერესს იჩენს ჩვენ საქმეში.“

საჭიროა დარჩნენ მხოლოდ ისინი ვინც ემსახურება გაზეთს.

საჭიროა მივართვათ მემორანდუმი გერმანიის მთავრობას, მადლობით მივმართოთ. ამისთვის ამოვარჩიოთ კომისია.“

„კრებამ მიიღო ეს წინადადება და კომისიაში აირჩია მაჩაბელი და ნერეთელი.“⁶⁴³

4.1.5. ქართული კომიტეტის წევრები 26 მაისის შემდეგ

1918 წ. 11 ივნისს „ქართული გაზეთი“ იუნყებოდა: „28 მაისს ჩამოვიდა ბერლინში ამიერ კავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნული საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი ბ-ნი სპირიდონ კეღია.“ იმავე ნომრის იმავე პირველ გვერდზე იყო მეორე ცნობაც: „სამ ივნისს ჩამოვიდა ბერლინში საქართველოს



მარცხნიდან მარჯვნივ, სხედან: ნიკო ნიკოლაძე, აკაკი ჩხენკელი, ზურაბ ავალიშვილი, დგანან: სპირიდონ კედია, გიორგი მაჩაბელი, მიხეილ წერეთელი. ბერლინი, 1918 წ.

რესპუბლიკის დელეგაცია ცენტრალურ სახელმწიფოებთან მოსალაპარაკებლად. ამ დელეგაციის სათავეში სდგას ბ-ნი აკაკი ჩხენკელი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

დელეგაციის წევრები არიან: ნიკო ნიკოლაძე და პროფესორი ზურაბ ავალიშვილი.

დელეგაციის მდივნად დაინიშნა ბ-ნი სპირიდონ კედია. დელეგაციას თან ახლავს ლადო ახმეტელაშვილი.⁶⁴⁴

ზურაბ ავალიშვილის მოსწრებული თქმით, „მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი ძვირფასნი არიან ჩვენთვის; მათ დაჰყავთ ა. ჩხენკელი და კარგი საკმაზი არიან ამ დინჯ, მაგრამ ძნელათ მოსანელეებელ საქმლისთვის.“⁶⁴⁴

მადლიერმა ჩხენკელმა „მადლობა გამოუცხადა კომიტეტის წევრთ და უთხრა: უღიდესი საქმე გაგიკეთებიათ და ჩემთვის კარგი ნიადაგიც მოგიმზადებიათ“-ო.⁶⁴⁵

ქართული ეროვნული კომიტეტის დაშლის შემდეგ ჩხენკელმა „დაავალა ბ-ნ გიორგი მაჩაბელს ქართველი ტყვეების სამშობლოში

644 ავალიშვილი 1929, გვ. 72.

645 ხალია 1995, გვ. 70.



ალდი სტეპანოვი. ვიკი მანკო.

მიხეილ ჭიაურელის
 კარიკატურა.
 ეშმაკის მათრახი,
 1920 წლის 18 აპრილი

დაბრუნების საქმის მონყოლა.⁶⁴⁶ შემდეგში გ. მაჩაბელი ვენაში გადავიდა და როგორც საქართველოს წარმომადგენელს ავსტრო-უნგრეთში,⁶⁴⁷ ტყვეთა საკითხის გადაჭრაც ევალებოდა.⁶⁴⁸

გიორგი კერესელიძე „ქართული გაზეთის“ რედაქტორობას განაგრძობდა და ქართველ ტყვეებზეც ზრუნავდა.

მიხეილ წერეთელმა გამოსცა საინფორმაციო ბროშურა საქართველოს შესახებ, რომელსაც დამატებული ჰქონდა რაიხსტაგში, 24-25 ივნისს, საქართველოსთან დაკავშირებული დებატების სტენოგრაფიდან ამონაწერები.⁶⁴⁹ წერეთელს საქართველოს ახალმა

646 „ქართული გაზეთი“, № 15 (55), 30 ივლისი 1918 წ.

647 „le Représentant du Gouvernement Géorgien à Vienne“ – შუალ.: Bihl 1992, S.201.

648 ქართული გაზეთი, № 18 (58), 12. 09. 1918, უკვე 24 ივლისს იყო ცნობილი, რომ „ჩხენკელი მაჩაბელს ვენაში წარმომადგენლად უშვებს, უმთავრესად სამხედრო გყვეთა საკითხში.“ - HHStA, X 157 Rußland, Liasse XI k 3, Georgische Republik, k.u.k. Botschafter in Berlin an Burian, 24.07.1918.

649 Tseretheli, Michael v., Das neue Georgien. Eine Denkschrift mit statistischen Tabellen und einer Kartenskizze nebst einem Anhang: Auszüge aus den Reichstags-sitzungen vom 24. und 25. Juni 1918. Berlin 1918; შუალ.: გიორგი ახიაიშვილი, საქართველო-გერმანიის ურთიერთობების ისტორიიდან. დამოუკიდებელი საქართველო (1918-1921 წწ.) და გერმანია ერთი დოკუმენტის ფონზე, „ქარ-



ფრანგული ანტიგერმანული პლაკატი. 1918 წ.

მთავრობამ ვერანაირი დასაქმება ვერ მოუძებნა,⁶⁵⁰ ან, რაც უფრო საფიქრებელია, წერეთელმა არ მოინდომა მათ სამსახურში ჩადგომა. მან რამდენიმე კრიტიკული და სრულიად იმედგაცრუებული მოხსენებაც გაუგზავნა გერმანელებს. კრესს ფონ კრესსენშტაინი, გერმანიის წარმომადგენელი თბილისში, მის შეხედულებებს უსაფუძვლო-სა და განზრახ პესიმისტურს უწოდებდა.⁶⁵¹ წერეთელი არა მარტო საქართველოს მთავრობით იყო უკმაყოფილო, არამედ ხალხითაც. ვეზენდონკმა 19 ივლისს ჩაინიშნა: „ბატონი წერეთელი მდგომარეობას საქართველოში ძალიან პესიმისტურად აფასებს. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა პარტიულ პროპაგანდას ეწევა, ავტორიტეტისა და ძალაუფლების მოპოვება კი ავიწყდება. ნითელ გვარდიას კუდს უქიციანებს, რუსებს უფლებას აძლევს, რადგანაც ყოველგვარი ცენზურა „არადემოკრატიულია“, გაზეთებში ღიად გამოხატონ პროტესტი საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგიტატორებს ნება ეძლევათ ქვეყანაში დარჩენისა. სოციალიზმი ქართველ ხალხს ესმის

თული დიპლომატია“, წელიწდეული 3, თბილისი 1996, გვ. 304-326, ამონაწერების თარგმანით.

650 როდესაც საქართველოს გერმანული ორიენტაცია დახრულდა, წერეთელი გაგზავნილ იქნა სკანდინავიის ქვეყნებში – ავალიმვილი 1929, გვ. 124.

651 PA AA, Georgien, Bd.6, Kref, 5.8.1918; შუაღ.: Zürer, Kaukasien, S. 143.



ბერმანელები – გენერალი კრესს ფონ კრესსენშტაინი, გრაფი შულენბურგი, ექიმი ფრიც ფონ ნიდერმაიერი (ოსკარ ნიდერმაიერის ძმა) და სხვები ქართულ მასპინძლებთან ერთად გელათში. 1918 წლის იანვარი

არა როგორც შრომის გათავისუფლება, არამედ როგორც საერთოდ შრომისგან გათავისუფლება.⁶⁵²

652 PA AA, Georgien, Bd.4, Wesendonk Notiz, 19.7.1918.



გერმანული პოლიტიკის დასახარული.
 მარჯვნიდან მარცხნივ: გენერალი დ. ართმელაძე, ქუთაისის მოურავი დ.
 კალანდარიშვილი, კ. დათეშიძე, გენერალი კრესს ფონ კრესსენშტაინი,
 გენერალი ტ. ვაშაკიძე, კრესსის ადიუტანტი ბარონი ჰამში და მწერალი
 დ. კლდიაშვილი. ის. კვიციარიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორა იმერეთში.
 ქუთაისი, 1919 წლის იანვარი

5. დასასრული

შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველო გერმანიის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. თუ რამდენად მოკრძალებული ადგილი ეკავა გერმანელების „ქართულ პოლიტიკას“ გერმანიის საერთო საგარეო პოლიტიკაში, ადვილი წარმოსადგენია იმ ხარჯების ნუსხის მაგალითზე, რომელიც ფონ ვეზენდონკმა წარუდგინა ბუსშეს 1918 წ. 3 თებერვალს.⁶⁵³ ესაა საგარეო საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა – სხვადასხვა საქმიანობისა და მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების და 1918 წ. 30 იანვრისათვის ნაშთის შესახებ. გრაფაში კავკასიური საქმე (საქართველო) (Kaukasus-Unternehmen (Georgien)) გამოყოფილ თანხად მითითებულია 2.150.000,00 მარკა, ამ თანხიდან დარჩენილია 360.585,99. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნუსხაში ზოგიერთი ადგილი გაურკვეველია ან შეცდომაა გაპარული, შესადარებლად მოგვყავს რამდენიმე სხვა მონაცემი. მაგ.: „ავღანეთის ექსპედიციისთვის დ. სხვ.“ 5.250.000,00, „ეგვიპტის ექსპედიციისთვის“ 4.730.785,00, „სპარსეთის ექსპედიციისთვის“ კი 36.200.000,00 მარკა იყო გამოყოფილი. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულ-კავკასიური საქმისთვის გათვალისწინებული თანხა, რომელიც ამ ნუსხაშია მითითებული, არ იძლევა სრულ წარმოდგენას ამ წამოწყებისათვის დახარჯული თანხების რაოდენობაზე. რა თანხები გაიცა მისთვის სხვა წყაროებიდან, მაგალითად, ნუსხის დასაწყისში აღნიშნული „საერთო პროპაგანდის“ (გამოყოფილია 38.150.000,00, აუთვისებულია 6.580.811,44 მარკა) ან „რუსეთში პროპაგანდის“ (შესაბამისად 40.580.997,25 და 14.514.875,30) ფონდებიდან, არ ჩანს.

გერმანელებისა და ქართული კომიტეტის თანამშრომლობამ კავკასიის „გასარეველოციონირებლად“ ნაყოფი არ გამოიღო. კავკასიაში 1918 წლის გაზაფხულამდე მოხდა ის, რაც გერმანელებისა და ქართველი ემიგრანტების ძალისხმევით გარეშეც მოხდებოდა. ქართული კომიტეტის დაულალავმა პროპაგანდამ გარკვეულწილად შეამზადა საქართველოსადმი გერმანული მხარის კეთილგანწყობა. საქართველოში ახლად ჩამოსულ კრესს ფონ კრესსენშტაინს ერთ-ერთ პირველ წვეულებაზე უთქვამს: „ჩვენ ვიცნობთ საქართველოს იმ ქართველი

653 PA AA, Wk 11, Bd.3 – ციტირებულია Bihl 1992, S. 39-ის მიხედვით.



პეტრე სურგულაძე

პატრიოტების მუშაობის წყალობით, რომელნიც „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ გარშემო იკრიბებოდნენ დღივად ომის დაწყებისა. მათმა მოხსენებებმა, მათ მიერ გამოცემულმა წიგნებმა და ბროშურებმა გაგვაცნეს საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი მისწრაფებანი.⁶⁵⁴ მაგრამ რამდენად იმოქმედა ამან საქართველო-გერმანიის ურთიერთობაზე შემდგომში? თან თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ გერმანიის კავკასიურ პოლიტიკას უკვე მაშინ ბევრი გერმანელი ავანტიურას ან სისულელესაც⁶⁵⁵ კი უწოდებდა.

ქართული მხარეც არ ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართული კომიტეტის მუშაობას. ზურაბ ავალიშვილის თქმით, „ემიგრანტთა ჯგუფს, რომელიც რაღაც საშუალებებით ომიდან მოელოდა სამშობლოს განთავისუფლებას. ... გიჟებად სთვლიდნენ; ეხლა მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ მართალი. შეცდომაა! რაც 1917 წელში მომხდარ ამბების შემდეგ, გონივრული და აუცილებელი გახდა 1918 წ. პირობებში, 1914-1917 წლებში იყო უნიადაგო, უსაფუძვლო

654 შალვა ქარუმიძე, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (მოგონებები), კლდე №2, 22.09.1918.

655 ალბერტ პოპმანის დღიური, 1918 წ. 5 სექტემბერი: მთელი კავკასიური ექსპედიცია არის და დარჩება სისულელე. ზევნ ვერასდროს მივიღებთ საქართველოს – Baumgart (Hrsg.) 1971, S.583, შეად.: მობივე, Das „Kaspi-Unternehmen“ - Größenwahn Ludendorffs oder Routineplanung des deutschen Generalstabs? 1970.



გიორგი მაჩაბელი

და ამიტომ ფუჭი, მაგრამ მათმა მუშაობამ, პროპაგანდამ ბევრი რამ მოამზადა.“

საქართველოში მათი მუშაობის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ და თანამოაზრეთა მცირე ჯგუფის გარდა მათი საქმიანობა ან არ აინტერესებდათ, ან ეჭვის თვალით უყურებდნენ. ერთ-ერთი პირველი გაზეთი, რომელმაც ქართული კომიტეტის შესახებ 1918 წელს მოუთხრო მკითხველს, იყო „კაუკაზიშე პოსტი“. ⁶⁵⁶ 16 ივნისს იოსებ იმედაშვილის „თეატრი და ცხოვრების“ ყდაზე გრაფ შულენბურგის პორტრეტის ქვემოთ მოთავსებული იყო მიხეილ წერეთლის, პეტრე სურგულაძის და გიორგი მაჩაბლის პორტრეტები – „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კომიტეტის წევრნი საზღვარ გარედ“. ⁶⁵⁷ 1918 წ. შემოდგომაზე ქართველ ნაციონალისტთა ⁶⁵⁸ ორგანო „კლდეში“ გამოქვეყ-

656 Kaukasische Post, № 24, 1.06.1918, ვუიქრობს, სტაგაიის „Die Kaukasusländer und Deutschland“ ავტორია მ. წერეთელი.

657 „თეატრი და ცხოვრება“, № 9, ივნისის 16; შემდეგ ნომერშია ლეო კერესელაძის, ნესტორ შალაღამუილის, ვიორგი კერესელაძის, სოლომონ ვადაკურის პორტრეტები.

658 ნაციონალ-დემოკრატებს ერთი ჯგუფი გამოეყო, რომელმაც დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია დაარქვა. თავმჯდომარე იყო ვრიგოლ ვეშაპელი, ამხანაგები: ვახილ წერეთელი და შალვა ქარკშიძე. მდივანი – დმიტრი ჯავახიშვილი. ურაქციამი ვეშაპელის გარდა დავით ვანსაძე და რეჟან გაბაშვილი შედიოდნენ.



ნესტორ მაღალაშვილი

ნებულმა მოგონებებმა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ისტორიიდან და განსაკუთრებით კი 1914 წ. ოსმალეთთან შეთანხმების ტექსტმა⁶⁵⁹ ძალიან გააღიზიანა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანოები „ერთობა“ და „ბორბა“. ნესტორ მაღალაშვილი მათ პასუხად წერდა: „იმ დროს, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ აქ სამშობლოში საქართველოს განთავისუფლების იდეებზე ვლაპარაკობდით - თქვენ, თქვენის გაზეთების ფურცლებზე დემოკრატიის მოლაღატესა და შავრაზმელებს გვეძახდით და ეხლა კი, როდესაც საქართველოს თავისუფლების დაცვის მონოპოლიას ითვისებთ და მათ, ვინც სულ ამ თავისუფლებისთვის იბრძოდა ისევ დემოკრატიის მოლაღატეს უწოდებთ.“ „საკვირველია: გაზ. „ერთობა“ და „ბორბა“ ყოველივე ჩვენს ნაბიჯს ავანტიურისტულ გამოსვლას უწოდებენ იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა ჩვენგან შემდგარ ლეგიონს საქართველოს ჯარში იღებს თავისივე სახელით, და პასუხსაგებ საქმეებს ანდობს. საზავო დელეგაციის თავჯდომარე, პატივცემული აკაკი ჩხენკელი ტრაპიზონის კონფერენციის დროს გწერდა, რომ მოგვეხერხებინა გერმანელების და ავსტრიელების ჩარევა მოლაპარაკებებში და ეხლაც, ბერლინში ჩვენი კომიტეტის თანამშრომლობით სარგებლობს.“⁶⁶⁰

659 ნესტორ მაღალაშვილი, ოსმალეთთან შეთანხმება 1914 წელს („საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ ისტორიიდან), კლდე, № 7.27.10.1918 660 ნ. მაღალაშვილი, „საქართველოს განთავისუფლების“ კომიტეტის



მიხეილ ნერეთელი

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა კომიტეტის წევრთა თანამშრომლობით სარგებლობდა, სანამ გერმანიის ორიენტაციის გზას ადგა. როგორც კი ორიენტაცია შეიცვალა, ანტანტის ქვეყნებთან შეკედლების მცდელობისას ყოველგვარი წარუმატებლობა კომიტეტს დააბრალეს. ხელმოცარული საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი აცხადებდა: „უპასუხისმგებლო ხუთი კაცისგან შემდგარმა ჯგუფმა დიდი ზიანი მოუტანა მთელს ჩვენს პოლიტიკას და მდგომარეობას.“ ვლასა მგელაძე კვერს უკრავდა მინისტრს – „იმ ჯგუფს ჩაუდენია იმდენი უარყოფითი ფაქტები, იმდენი წერილები დაუბეჭდია, რომ ეხლა მთელი ჩვენი ძალა იმაზე არის მიმართული, რომ ეს ინფორმაცია იქნეს გამოსწორებული.“⁶⁶¹

